




კრებული

**ადამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოს მიერ
გამოტანილი განჩინებები
საქართველოს წინააღმდეგ**

(2005-2019)





USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია მისი ავტორი და ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

This publication is made possible by the support of the American People through the United States Agency for International Development (USAID). The contents of this publication are the sole responsibility of the author and do not necessarily reflect the views of East West Management Institute, USAID or the United States Government.

წინასიტყვაობა

ადამიანის უფლებათა ევროპული დაცვის სისტემა საქართველოში აქტუალურია 1999 წლიდან, როდესაც ჩვენი ქვეყანა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე გახდა. დღემდე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს განვითარებული აქვს საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი პრაქტიკა საქართველოსთან მიმართებით. საქართველოში იურიდიული პროფესიის სხვადასხვა წარმომადგენლებს (მოსამართლეებს, ადვოკატებს, სამართალდამცავებს, საკანონმდებლო მუშაობის ექსპერტებს, მეცნიერებს, მკვლევარებს, უფლებადამცველებს და სხვ.) პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას სულ უფრო და უფრო მეტად სჭირდებათ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნა, მეტადრე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია გათვითცნობიერება საქართველოსთან დაკავშირებულ ნაწილში.

წინამდებარე პუბლიკაციაში თავმოყრილია საქართველოს მიმართ 2005-2019 წლებში გამოტანილი განჩინებები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6, მე-7 მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-18 მუხლების, 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის და მე-7 ოქმის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე. თითოეული განჩინება მომზადებულია ისეთი ფორმატით, რომ მკითხველს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია ძალიან მოკლე დროში; აგრეთვე, განჩინებები დალაგებულია თემატურად და ქრონოლოგიურად. ამ გზით პუბლიკაცია უადვილებს პროფესიონალებს საქართველოს მიმართ განვითარებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოძიებას, საფუძვლიანად გაცნობას და, რაც მთავარია, ეფექტიან გამოყენებას პროფესიულ საქმიანობაში. მომდევნო წელს იგეგმება მეორე გამოცემა, რომელშიც თავმოყრილი იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ის განჩინებები, რომლებიც დანარჩენ მუხლებს (მე-2, მე-3, მე-5, და ა.შ) ეხება.

სარჩევნი

მუხლი 6 § 1 სასამართლოს ხელმისაწვდომობა

სასჯელის ათვისების თარიღის დაზუსტება მსჯავრდებულის მონაწილეობის გარეშე: დარღვევა
კერესელიძე საქართველოს წინააღმდეგ / Kereselidze v. Georgia 39718/09 7

სისხლის სამართლის საქმეზე საკასაციო საჩივრის დაუშვებლობა: არ არის დარღვევა
ყუფარაძე საქართველოს წინააღმდეგ / Kuparadze v. Georgia 30743/09 9

საკასაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმა სასამართლო ბაჟის გადაუხდელობის გამო:
დარღვევა
საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ / FC Mretebi v. Georgia 38736/04 10

სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა ბაჟის გადაუხდელობის გამო:
დარღვევა
აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ / Apostol v. Georgia 40765/02 12

მოსარჩელისთვის სარჩელზე ხარვეზის დადგენის შეუტყობინებლობა: დარღვევა
ქიძინიძე საქართველოს წინააღმდეგ / Kidzinidze v. Georgia 69852/01 13

კანონის საფუძველზე შექმნილი ტრიბუნალი

საქმის განხილვა კოლეგიის მიერ, რომლის შემადგენლობა არ ყოფილა განსაზღვრული კანონის
საფუძველზე: დარღვევა
გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ / Gorgiladze v. Georgia 4313/04 15

ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ / Panjikidze and others v. Georgia 30323/02 16

მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების საკითხის განხილვა ზემდგომ
ინსტანციაში ნაწილობრივ იმავე შემადგენლობის მიერ: დარღვევა
გაბაიძე საქართველოს წინააღმდეგ / Gabaidze v. Georgia 13723/06 19

სტურუა საქართველოს წინააღმდეგ / Sturua v. Georgia 45729/05 20

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალი

მოსამართლების სავარაუდო მიკერძოება სამივე ინსტანციის სასამართლოში სატელევიზიო
კომპანიის საკუთრებასთან დაკავშირებულ დავაზე: არ არის დარღვევა
სამუწყებლო კომპანია რუსთავი 2 და სხვები საქართველოს წინააღმდეგ / LTD Rustavi 2 and others v.
Georgia 16812/17 21

მხარეთა შეჭიბრებითობა

ჩხრეკის კანონიერების გასაჩივრების ეფექტიანი შესაძლებლობის არქონა: დარღვევა
კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ / Kobiashvili v. Georgia 364516/06 24

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო: დარღვევა
ბართაია საქართველოს წინააღმდეგ / Bartaia v. Georgia 10978/06 26

დანაშაულის პროვოკაციის შესახებ განაცხადის არასათანადო განხილვა: დარღვევა
ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ / Tchokhonelidze v. Georgia 31536/07 28

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, როდესაც არ არის მიღებული საკმარისი ზომები
უნწყების ჩასაბარებლად: დარღვევა
გახარია საქართველოს წინააღმდეგ / Gakharia v. Georgia 30459/13 29

დავის განახლება საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მხარის მონაწილეობის გარეშე: დარღვევა <i>ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ / Tchitchinadze v. Georgia 18156/05</i>	31
სასამართლოს მიერ ერთი მხარის არახელსაყრელ პირობებში ჩაყენება მეორე მხარესთან შედარებით: დარღვევა <i>დონაძე საქართველოს წინააღმდეგ / Donadze v. Georgia 74644/01</i>	34

გონივრული ვადის მოთხოვნა

ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება: დარღვევა <i>კვიციანი საქართველოს წინააღმდეგ / Kvitsiani v. Georgia 16277/07</i>	36
სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოების გაჭიანურება: დარღვევა <i>კობელიანი საქართველოს წინააღმდეგ / Kobelyan v. Georgia 40022/05</i>	37
სამოქალაქო საქმის განხილვის გაჭიანურება: დარღვევა <i>ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ / Kharitonashvili v. Georgia 41957/04</i>	38
<i>ქიძინიძე საქართველოს წინააღმდეგ / Kidzinidze v. Georgia 69852/01</i>	39

ზავირი მოსმენა

შემცვლელი მოსამართლის მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მონშეთა უშუალოდ მოსმენის გარეშე: დარღვევა <i>სვანიძე საქართველოს წინააღმდეგ / Svanidze v. Georgia 37809/08</i>	40
საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა: არ არის დარღვევა <i>მუმლაძე საქართველოს წინააღმდეგ / Mumladze v. Georgia 30097/03</i>	41
<i>გოგოლაძე საქართველოს წინააღმდეგ / Gogoladze v. Georgia 4683/03</i>	42
<i>ოგანოვა საქართველოს წინააღმდეგ / Oganova v. Georgia 25717/03</i>	43
<i>რიჟამაძე საქართველოს წინააღმდეგ / Rizhamadze v. Georgia 2745/03</i>	44

საქმის სამართლიანი განხილვა

წამების შედეგად მიღებული აღიარებითი ჩვენების დაუშვებლად ცნობა და წამების შემდეგ, განმეორებით მიცემული აღიარებითი ჩვენების დაშვება: დარღვევა <i>მინდაძე და ნემსინვერიძე საქართველოს წინააღმდეგ / Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia 21571/05</i>	46
მთლიანი სამართალწარმოების სამართლიანობის ეჭვქვეშ დაყენება: არ არის დარღვევა <i>გოლოშვილი საქართველოს წინააღმდეგ / Goloshvili v. Georgia 45566/08</i>	48
<i>გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ / Goginashvili v. Georgia 47729/08</i>	49
<i>მგელაძე საქართველოს წინააღმდეგ / Mgeladze v. Georgia 74909/01</i>	50

სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება

გამამტყუნებელი განაჩენის დაუსაბუთებლობა: დარღვევა <i>როსტომაშვილი საქართველოს წინააღმდეგ / Rostomashvili v. Georgia 13185/07</i>	52
<i>ჭანკოტაძე საქართველოს წინააღმდეგ / Tchankotadze v. Georgia 15256/05</i>	53
სამოქალაქო სამართლებრივ დავაზე სასამართლო გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა: დარღვევა <i>ჯგარკავა საქართველოს წინააღმდეგ / Jgarkava v. Georgia 7932/03</i>	55

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა რეგისტრაციის ორგანოს მიერ მასში შესწორების შეტანის მოთხოვნის გამო: დარღვევა
დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ / *Dadiani and Machabeli v. Georgia 8252/08* 57

ზიანის ანაზღაურების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებლობა: დარღვევა
ამატ.ჯი და მებაღიშვილი საქართველოს წინააღმდეგ / *Amat.ge LTD and Mebaghishvili v. Georgia 2507/03*... 58
შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ / „*IZA*“ LTD and *Makrakhidze v. Georgia* 60

მუხლი 6 § 2 უდანაშაულობის პრეზუმფიცია

ხელისუფლების მიერ განმცხადებლის „მამხილებელი“ დამონტაჟებული აუდიო ჩანაწერის გავრცელება: დარღვევა
ბათიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ / *Batiashvili v. Georgia 8284/07* 62

მალალი თანამდებობის პირის საჯარო კომენტარი განმცხადებლის დაკავებასთან დაკავშირებით: არ არის დარღვევა
ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ / *Natsvlishvili and Togonidze v. Georgia 9043/05* 63

მუხლი 6 § 3 (დ) მონაშენის დაკითხვა თანაბარ პირობებში

გამამტყუნებელი განაჩენის დაფუძნება სასამართლოს სხდომაზე გამოუკვლევლ მტკიცებულებაზე: დარღვევა
ქარცივაძე საქართველოს წინააღმდეგ / *Kartsivadze v. Georgia 30680/09*..... 66

სასამართლოს უარი დაცვის მხარის მოწმეების დაკითხვაზე: დარღვევა
ბრეგვაძე საქართველოს წინააღმდეგ / *Bregvadze v. Georgia 49284/09* 68
ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგ / *Kartvelishvili v. Georgia 17716/08*..... 70

დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების გაუთვალისწინებლობა: არ არის დარღვევა
ყუფარაძე საქართველოს წინააღმდეგ / *Kuparadze v. Georgia 30743/09; 21.09.2017* 71

მუხლი 7 არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე

სასაუბრო გამოთქმის გამოყენება დანაშაულის შემადგენლობის განსაზღვრისას: არ არის დარღვევა
აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ / *Ashlarba v. Georgia 45554/08*..... 72

მუხლი 8 პირადი ცხოვრებისა და საცხოვრისის პასტივისცემა

თბოელექტროსადგურის საქმიანობის ზემოქმედება ახლომდებარე შენობის მაცხოვრებლებზე: დარღვევა
ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ / *Jugheli and Others v. Georgia 38342/05*..... 74

რეპუტაცია

- მინისტრის მიერ სხვა პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვა ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე:
დარღვევა
კიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ / *Jishkariani v. Georgia 18925/09*..... 75
- მონმის სახით დასაკითხი პირის ფოტოს გამოქვეყნება ძებნილთა დაფაზე: დარღვევა
ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ / *Nikolaishvili v. Georgia 37048/04*..... 77
- ღირსებისა და პატივის შელახვისგან დაცვის ეფექტიანი საშუალების არარსებობა: დარღვევა
გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ / *Gurgenidze v. Georgia 71678/01*..... 79

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა

- სასამართლოს ბრძანება ბავშვების ნების საწინააღმდეგოდ, მათი მამასთან დაბრუნების შესახებ:
დარღვევა
ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ / *N. T.S. and Others v. Georgia 71776/12* 81
- ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა მისი საუკეთესო ინტერესების
გაუთვალისწინებლად: დარღვევა
გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ / *G.S. v. Georgia 12361/13*..... 83

მუხლი 9 რელიგიის თავისუფლება

- იეჰოვას მოწმეების მიმართ ძალადობის ფაქტებზე პასუხისმგებელი ორგანოების რეაგირების
არარსებობა: დარღვევა
ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ / *Tsarttsidze and Others v. Georgia 18766/04* 86
- ბედელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ / *Begheluri and Others v. Georgia 28490/02* 89
- იეჰოვას მოწმეთა გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ / *97 Members of The Gldani Gongregation of Jehovah's Witnesses and 4 Others v. Georgia 71156/01* 90

მუხლი 10 მედიის თავისუფლება

- მედიის პასუხისმგებლობა პოლიტიკოსის ქონებრივ მდგომარეობის შესახებ კრიტიკული სტატიის
გამო: დარღვევა
გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ / *Gorelishvili v. Georgia 12979/04* 93

მუხლი 11 შეკრების თავისუფლება

- უნივერსიტეტის პროფესორების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა რექტორის კაბინეტში
შეჭრის გამო: არ არის დარღვევა
ტუსკია და სხვები საქართველოს წინააღმდეგ / *Tuskia and Others v. Georgia 14237/07* 96
- ხელისუფლების ორგანოების წარუმატებლობა მშვიდობიანი შეკრების უზრუნველყოფასა და
მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვაში: დარღვევა
იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ / *Identoba and Others v. Georgia 73235/12* 98
- სასამართლოს ეზოში მშვიდობიანი აქციის მონაწილეების დაპატიმრება: დარღვევა
კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ / *Kakabadze and Others v. Georgia 1484/07* 99

მუხლი 18 **უფლების შეზღუდვის ფარგლები**

ოპოზიციის ლიდერის წინასწარი პატიმრობის კანონიერი მიზნის შეცვლა სხვა უპირატესი მიზნით: დარღვევა
მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ / Merabishvili v. Georgia 72508/13..... 102

1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი **საკუთრების უფლება**

ქონების ექსპროპრიაციის გამო კომპენსაციის გამოთვლის მეთოდის სამართლიანობა: დარღვევა
ხიზანაშვილი და კანდელაკი საქართველოს წინააღმდეგ / Khizanishvili and Kandelaki v. Georgia 25601/12 107

ბრალდებულისთვის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა: არ არის დარღვევა
გოგიტიძე საქართველოს წინააღმდეგ / Gogitidze v. Georgia 36862/05..... 109

უზენაესი სასამართლოს ყოფილი წევრის პენსიის ოდენობის განსაზღვრის წესის ცვლილება: არ არის დარღვევა
ხონიაკინა საქართველოს წინააღმდეგ / Khoniakina v. Georgia 17767/08..... 112

იძულებით გადაადგილებული პირების ძალის გამოყენებით გამოსახლება სახელმწიფოს მიერ გადაცემული საცხოვრებელიდან: დარღვევა
საღინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ / Saghinadze and Others v. Georgia 18768/05..... 114

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ კომპენსაციის გაუცემლობა შესაბამისი ნორმატიული აქტის არარსებობის გამო: დარღვევა
კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ / Klaus and Yuri Kiladze v. Georgia 7975/06 117

ოქმი 7; მუხლი 2 **სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება**

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ხარვეზები და გასაჩივრების შეუძლებლობა: არ არის დარღვევა
ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ / Natsvlishvili and Togonidze v. Georgia 9043/05.... 119

ადმინისტრაციული პატიმრობის გასაჩივრების შეუძლებლობა: დარღვევა
კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ / Kakabadze and Others v. Georgia 1484/07..... 119

მუხლი 6§1

საქმის სამართლიანი განხილვის უფლება

„ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს დაშვებული დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვნის ინტერესები, ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა, რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გამო, ვინაიდან საქვეყნობა დააზარალებდა მართლმსაჯულების ინტერესს“.

სასამართლოს ხელმისაწვდომობა

კერესელიძე საქართველოს წინააღმდეგ¹

KERESLIDZE V. GEORGIA

№ 39718/09; 28.03.2019

სასჯელის ათვლის თარიღის დაზუსტება მსჯავრდებულის მონაწილეობის გარეშე: დარღვევა

ფაქტები: 2006 წლის 12 აპრილს განმცხადებელი ირაკლი კერესელიძე მსჯავრდებულად ცნო სასამართლომ პენიტენციური დაწესებულებიდან გაქცევის მცდელობისა და ოფიციალური დოკუმენტის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების გამო; ამისთვის შეუფარდა 4 წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა. ამ დროისათვის ის უკვე იყო მსჯავრდებული დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის ჩადენის გამო და სასჯელის სახით განსაზღვრული ჰქონდა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. პირველი

ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის ათვლა დაინწყებოდა მეორე დანაშაულის ჩადენის დღიდან.

ამ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, შეიცვალა სისხლის სამართლის კოდექსის დებულება, რომელიც არეგულირებდა განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დადგენის წესს და განისაზღვრა, რომ საბოლოო სასჯელი აითვლებოდა ბოლო განაჩენის გამოტანის დღიდან. შესწორებული კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებდა მისი უკუძალის საკითხს.

პარალელურად, 2007 წლის 20 აპრილს განმცხადებლის მიმართვის საფუძველზე, სისხლის სამართლის კანონში შესული სხვა ცვლილების შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ განმცხადებლის პირველი მსჯავრდებისთვის განსა-

¹ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:\[%22%-22CASE%20OF%20KERESLIDZE%20v.%20GEORGIA%22%22\],%22languageisocode%22:\[%22ENG%22\],%22documentcollectionid%22:\[%22JUDGMENTS%22\],%22itemid%22:\[%22001-191909%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:[%22%-22CASE%20OF%20KERESLIDZE%20v.%20GEORGIA%22%22],%22languageisocode%22:[%22ENG%22],%22documentcollectionid%22:[%22JUDGMENTS%22],%22itemid%22:[%22001-191909%22]})

ზღვრული სასჯელის ვადა შეამცირა 15 წლით თავისუფლების აღკვეთამდე. უზენაეს სასამართლოს არ გაუკეთებია მითითება მეორე მსჯავრდებასა და საბოლოო სასჯელის ათვლის დროზე.

2008 წლის 8 თებერვალს, ასევე, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, უზენაესმა სასამართლომ დააზუსტა, რომ საბოლოო სასჯელის - 8 წლისა და 6 თვის - ათვლა დაიწყებოდა მეორე დანაშაულის ჩადენის დღიდან და მისი ვადა ამოიწურებოდა 2010 წლის 29 სექტემბერს.

2008 წლის 3 დეკემბერს, უზენაესი სასამართლოს ზემოთ აღნიშნული განჩინებების გათვალისწინების გარეშე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა განმცხადებლის მეორე მსჯავრდება და დარჩენილი სასჯელის ვადა განსაზღვრა ცამეტი წლითა და ექვსი თვით, რომლის ათვლის თარიღად მიუთითა დანაშაულის ჩადენის დღე. ამ წესით სასჯელის ვადა დასრულდებოდა 2015 წლის 29 სექტემბერს. აღნიშნული გადაწყვეტილება განმცხადებელმა გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. ამ უკანასკნელის მიერ საჩივრის განხილვამდე სააპელაციო სასამართლომ, წერილობითი პროცედურის შედეგად და მხარეთა მონაწილეობის გარეშე, სისხლის სამართლის კოდექსის 615-ე მუხლზე დაყრდნობით, მიიღო განჩინება განაჩენში უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ. შესწორების შედეგად, განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის დაწყების დროდ განისაზღვრა მეორე მსჯავრდებისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასჯელის განსაზღვრის დრო. უზენაესმა სასამართლომ განმცხადებლის საჩივრის განხილვის შედეგად გამოიტანა განჩინება - გაითვალისწინა წინა განჩინებით მის მიერ შემცირებული სასჯელის ვადა პირველი მსჯავრდებისთვის, ასევე, შეამცირა მეორე მსჯავრდებისთვის განსაზღვრული სასჯელის ვადა და დაადგინა, რომ ხელახლა დაანგარიშებული საბოლოო სასჯელის ვადა აითვლებოდა მეორე დანაშაულისთვის სასჯელის განსაზღვრის დღიდან ანუ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში შეტანილ შესწორებას. შესაბამისად, სასჯელი ამოიწურებოდა 2013 წლის 12 აპრილს. განმცხადებლის მოთხოვნა, შეტანილიყო ცვლილება უზენაესი სასამართლოს განჩინებაში სასჯელის ათვლის დროის განსაზღვრის ნაწილში, უარყოფილ იქნა. საბოლოოდ განმცხადებელი გაათავისუფლეს 2013 წლის იანვარში ამნისტიის შედეგად.

სამართალი - მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: ბატონმა კერესელიძემ ევროპული სასამართლოს წინაშე გაასაჩივრა სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა, იმის გამო, რომ არ მიეცა შესაძლებლობა, უშუალო მონაწილეობა მიეღო პროცესში. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მხოლოდ უზენაესი სასამართლოს საბოლოო განჩინებით გახდა მისთვის ცნობილი გადაწყვეტილებაში არსებული უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ; ეს შესწორება ეწინააღმდეგებოდა უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 20 თებერვლის საბოლოო განჩინებას, რომლითაც დადგინდა მისი განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის ათვლის განსხვავებული თარიღი, სახელდობრ, 2010 წლის 29 სექტემბერი. განმცხადებელმა, ასევე, მიუთითა, რომ მისი სააპელაციო საჩივარი იყო სააპელაციო სასამართლოს განაჩენის ერთადერთი საფუძველი; სასჯელის ათვლის ნაწილში ცვლილების შეტანა კი ზრდიდა მისი სასჯელის ხანგრძლივობას. აღნიშნული ვითარება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 540-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფდა სამართალწარმოებაში მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესებისაგან დაცვას, პროკურატურის მხრიდან საჩივრის არარსებობის პირობებში.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, განმცხადებლის საჩივარი შეიძლება განხილულ იქნეს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების კუთხით ან საქმეზე ზეპირი მოსმენის უფლების ქრილში; თუმცა, რომელი პერსპექტივიდანაც არ უნდა შეფასდეს, საქმის მთავარი არსი, ნებისმიერ შემთხვევაში, მდგომარეობს იმაში, რომ განმცხადებელთან მიმართებით ცვლილებები განხორციელდა ისეთი გზით, რომ მას არ მიეცა შესაძლებლობა, ზეპირად ან წერილობით წარედგინა საკუთარი არგუმენტები განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის ათვლის თარიღის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით, რითაც სისხლის სამართალწარმოება გახდა უსამართლო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გაგებით.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის 41-მუხლი: 1 ევრო.

შენიშვნა: აგრეთვე, არ დადგინდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.

**ყუფარაძე საქართველოს
წინააღმდეგ²
KUPARADZE V. GEORGIA
№ 30743/09; 21.09.2017**

**სისხლის სამართლის საქმეზე საკასაციო
საჩივრის დაუშვებლობა: არ არის დარღვევა**

ფაქტები: განმცხადებელი გვანცა ყუფარაძე დაიბადა 1992 წელს. 2007 წლის 12 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო თანაკლასელის განზრახ მკვლელობის მცდელობაში. სამართალწარმოებისას განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ოთხი ახალგაზრდა მამაკაცი სკოლის ეზოში შემოიპარა, ორი მათგანი თავს დაესხა დაზარალებულს და ორი დანის გამოყენებით დაჭრა. დაზარალებული კი აცხადებდა, რომ მას თავს დაესხა განმცხადებელი, რომელმაც ხელები გაუკავა და შემდეგ რამდენჯერმე დანა ჩაართყა. დაზარალებულმა მოახერხა სკოლის საკალათბურთო მოედანზე გაქცევა, სადაც ის იპოვეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს. ინციდენტს სხვა თვითმხილველი არ ესწრებოდა. სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა დაზარალებულის ჩვენებასა და რამდენიმე ექსპერტიზის დასკვნას; მათ შორის, ერთ-ერთი დასკვნა ადგენდა, რომ მსხვერპლის ტანსაცმლის ქსოვილი განმცხადებლის ტანსაცმელზე აღმოაჩინეს. განმცხადებელს შეუფარდეს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა და ხუთი წლით პირობითი მსჯავრი. მან საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოში და წარადგინა ორი ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით, დაზარალებულის მიმართ გამოიყენეს არა ერთი, როგორც ამას თავად ამტკიცებდა, არამედ ორი დანა. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნები იმ საფუძვლით, რომ ისინი სპეკულაციურ ხასიათს ატარებდა და პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. 2008 წლის 12 სექტემბერს უზენაესმა სასამართლომ, ზეპირი განხილვის გარეშე, დაუშვებლად ცნო განმცხადებლის საჩივარი. ევროპული სასამართლოს წინაშე განმცხადებელმა გაასაჩივრა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი ორი ალტერნატიული ექსპერტი-

ზის დასკვნის ადეკვატურად შეუფასებლობა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა, აგრეთვე, უზენაესი სასამართლოს მიერ მისი საჩივრის დაუშვებლად ცნობა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი

პუნქტი: ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ „სასამართლოს უფლება“, რომლის ერთ-ერთი ასპექტიც არის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა, არ არის აბსოლუტური უფლება; დასაშვებობის კრიტერიუმების განსაზღვრის ნაწილში სახელმწიფოს აქვს შეფასების ფართო არე; ამასთან, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა არ უნდა შეიზღუდოს იმ ხარისხით, რომ დაირღვეს უფლების არსი; ასეთი შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და უნდა იყოს ამ მიზნის პროპორციული. განსახილველ საქმეში შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანია მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელება. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ქვედა ინსტანციების სასამართლოებისგან განსხვავებით, საქმეს არსებითად არ განიხილავს და მისი როლი შემოიფარგლება სპეციფიკური სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტით. ასეთ ვითარებაში, ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ როდესაც საკასაციო სასამართლო უარს ამბობს საჩივრის განხილვაზე შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, მცირე დასაბუთებაც საკმარისია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვაზე უარის თქმის გამო, სასამართლოსათვის ხელმისაწვდომობის უფლება არ დარღვეულა.

ვინაიდან განმცხადებლის საჩივარი ეხებოდა ეროვნული სასამართლოების მიერ მტკიცებულებების შეფასებას და მთელი სამართალწარმოების შედეგს, ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ კონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით, მისი ვალდებულებაა, შეამოწმოს მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. მისი ფუნქცია არ არის ეროვნული სასამართლოების მიერ ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების შეფასებისას დაშვებული შეცდომების გასწორება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამან გამოიწვია კონვენციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა.

² <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22%22CASE%20OF%20KUPARADZE%20v.%20GEORGIA%22%22%5D,%22languageisocode%22:%5B%22ENG%22%5D,%22documentcollectionid%22:%5B%22JUDGMENTS%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-177074%22%5D%7D>

ევროპული სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება განმცხადებლის მიერ მოვლენათა განვითარების საკუთარი ვერსიის გასამყარებლად წარმოდგენილი ორი ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნის გაუთვალისწინებლობის შესახებ, ღია გარკვეული კრიტიკისთვის; განსაკუთრებით, გადაწყვეტილებაში გამოხატული მოსაზრება, რომ მითითებული დასკვნები არ შეიცავდა საკმარის ინფორმაციას, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა მტკიცებულებები, რომლებიც საპირისპიროს ამტკიცებდა; თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებიდან ნათლად ჩანს, რომ მან განიხილა აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნები, შეაფასა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად და მიიჩნია, რომ მათ არ ჰქონდა ღირებულება საქმისათვის. უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლომ უპასუხა განმცხადებლის არგუმენტს იმის შესახებ, რომ დაზარალებული ცემა და დაჭრა ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა; კერძოდ, დაადგინა, რომ აღნიშნული ჩვენება არ დასტურდებოდა, იმის გათვალისწინებით, რომ სამედიცინო დასკვნა გამორიცხავდა ცემის ფიზიკურ ნიშნებს. დამატებით, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ეფუძნებოდა ექსპერტის დასკვნას, რომლის ავთენტურობა და სიზუსტე არ გამხდარა სადავო სამართალწარმოების რომელიმე ეტაპზე. შესაბამისად, აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით, განმცხადებელი სარგებლობდა შეჭიბრებითი სამართალწარმოებით.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ცალკე ან მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან ერთობლიობაში: არ არის დარღვევა.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის ნაწილში: არ არის დარღვევა.

საფეხბურთო კლუბი

„მრეტები“ საქართველოს

წინააღმდეგ

FC MRETEBI V. GEORGIA

№ 38736/04; 31.07.2007

საკასაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმა სასამართლო ბაჟის გადაუხდელობის გამო: დარღვევა

ფაქტები: 1992 წლის 11 ივლისს განმცხადებელმა საფეხბურთო კლუბ „მრეტებმა“ დადო ხელშეკრულება საფეხბურთო კლუბ „დინამოსთან“ ფეხბურთელ გიორგი ქინქლაძის ტრანსფერის თაობაზე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მომავალში, ფეხბურთელის „დინამოდან“ საზღვარგარეთ ტრანსფერის შემთხვევაში, განმცხადებელი მიიღებდა ანაზღაურების 50%-ს. 1995 წელს ბატონი ქინქლაძე შეუერთდა ინგლისურ კლუბ „მანჩესტერ სითის“. სანაცვლოდ „დინამომ“ მიიღო 1,820,000 ევრო; თუმცა, განმცხადებლისთვის წილის გადახდის პირობა არ შეასრულა. წლების განმავლობაში მიმდინარეობდა საქმის წარმოება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში. საბოლოოდ, „დინამოს“ „მრეტების“ სასარგებლოდ დაეკისრა 236 000 ევროს გადახდა. ვინაიდან მოსალოდნელი ანაზღაურების მხოლოდ ნაწილი მიიღო, განმცხადებელმა სარჩელით მიმართა ადგილობრივ სასამართლოს. როგორც პირველ, ასევე, მეორე ინსტანციაში განმცხადებელმა გადაიხადა 5000 ლარი. ორივე ინსტანციამ მიიჩნია, რომ „მრეტების“ მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო. საკასაციო ეტაპზე განმცხადებელმა ვერ შეძლო იმავე ოდენობის ბაჟის გადახდა. 2004 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით, უზენაესმა სასამართლომ მას უარი უთხრა ბაჟისგან სრულად ან ნაწილობრივ განთავისუფლებაზე და, 2004 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით, საჩივარი დაუშვებლად გამოაცხადა. განმცხადებელმა სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: აღნიშნული დებულება ყველასთვის უზრუნველყოფს უფლებას, ნებისმიერი საჩივრით მიმართოს სასამართლოს საკუთარი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების დასაცავად. კონვენციის მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს მოეთხოვებათ, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის უზრუნველყონ კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ფუნდამენტური

გარანტიები როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ასევე, ზემდგომ ინსტანციებში. შესაბამისად, უდავოა, რომ განმცხადებელს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით მინიჭებული ჰქონდა უფლება – მისი საქმე განეხილა უზენაეს სასამართლოს, მაგრამ ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებებით, ეს უფლება შეეზღუდა.

ევროპულმა სასამართლომ უნდა განსაზღვროს, ამ შეზღუდვით ხომ არ დარღვეულა განმცხადებლის უფლების არსი. სამოქალაქო საქმეებზე ბაჟის გადახდის მოთხოვნა, როგორც პროცესის ინიცირების წინაპირობა, თავისთავად არ არის შეუთავსებელი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან; თუმცა, ასეთი ბაჟის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის ინდივიდუალური გარემოებების მიხედვით, მათ შორის, განმცხადებლის გადამხდელუნარიანობისა და სამართალწარმოების სტადიის გათვალისწინებით; უფრო მეტიც, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შეესაბამება ლეგიტიმურ მიზანს და გამოყენებული საშუალებები დასახული მიზნის პროპორციულია.

განსახილველ საქმეში განმცხადებელმა ორჯერ გადაიხადა სასამართლო ბაჟი – 5 000 ლარი, მაგრამ მისი მესამედაც გადახდა ბოლო ინსტანციაში ვეღარ შეძლო. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მთავრობის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ საქართველოში „ულარიბეს საფეხბურთო კლუბსაც“ კი შეუძლია გაიღოს ასეთი ხარჯები, არის ჰიპოთეტური მსჯელობა და არ არის გამყარებული მტკიცებულებებით. საქმის მასალების მიხედვით, განმცხადებელი გაკოტრებული იყო, იმდენად, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისგანაც თავი შეიკავა, რადგან მონაწილეობის გადასახადს ვერ იხდიდა.

ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ მთავრობის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითება, რომელიც მოსარჩელესა და მოპასუხეს თანაბრად აკისრებს მტკიცების ტვირთს, შეუსაბამოა. წარმოდგენილ საქმეში პრობლემა არსებობს არა მხარეთა შორის, არამედ მხარესა და მართლმსაჯულებას შორის. თუკი სასამართლო მხარის განცხადებას გაკოტრების თაობაზე მიიჩნევს საეჭვოდ ან არასაკმარისად, უნდა მოსთხოვოს მას დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოდგენა. ამასთან, საგულისხმოა, რომ უზენაეს სასამართლოს არ მიუთითებია, რომ მონო-

დებული ინფორმაცია არასაკმარისი იყო. მისი გადაწყვეტილებები ცალსახად მიუთითებდა, რომ არ არსებობდა სასამართლო ბაჟისგან განთავისუფლების საფუძველი. ასეთ ვითარებაში, უზენაესი სასამართლოს უარი არის სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების თვითნებური შეზღუდვა.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, განმცხადებელი არა მარტო სასამართლო ბაჟისგან განთავისუფლებას ითხოვდა სრულად ან ნაწილობრივ, არამედ, ასევე, გამოხატავდა მზაობას, თანხა გადაეხადა განწილვადებით ან სასამართლო მოსმენის შემდეგ; მიუხედავად ამისა, უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის ინტერესით და განმცხადებლის მოთხოვნა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარყო. დაწესებული შეზღუდვა მხოლოდ ფინანსურ ხასიათს ატარებდა და არ ყოფილა დაკავშირებული საჩივრის გარემოებებთან ან მოგების პერსპექტივასთან. ასეთი შეზღუდვა, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროებს ძალიან კრიტიკულ გამოკვლევას.

ევროპული სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ გარდა „მართლმსაჯულების სამართლიან და ეფექტიან განხორციელებაზე“ აბსტრაქტული მინიშნებისა, მთავრობას არ წარმოუდგენია ფინანსური შეზღუდვის რაიმე კონკრეტული, ლეგიტიმური მიზანი; მაგალითად, არ ჩანს, რომ ბაჟის მოთხოვნა ემსახურებოდა მეორე მხარის დაცვას აუნაზღაურებელი სასამართლო ხარჯებისაგან ან სასამართლო სისტემის დაცვას აშკარად დაუსაბუთებელი საჩივრებისაგან. შესაბამისად, ამ საქმეში არ იკვეთება რაიმე საჭარო ინტერესის არსებობა.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნულმა სასამართლომ ვერ დაიცვა ბალანსი გონივრული ბაჟის უზრუნველყოფის სახელმწიფო ინტერესსა და განმცხადებლის ინტერესს შორის, დაეცვა საკუთარი პოზიცია სასამართლოსთვის მიმართვის გზით. შესაბამისად, სახეზეა სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე გაუმართლებელი უარი.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი:

დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: მოთხოვნა უარყოფილია.

**აკოსტოლი საქართველოს
წინააღმდეგ
APOSTOL V. GEORGIA
№ 40765/02; 28.11.2006**

**სასამართლო გადაწყვეტილების
აღსრულებლობა სასამართლო ბაჟის
გადაუხდელობის გამო: დარღვევა**

ფაქტები: განმცხადებელმა ლეონიდ აპოსტოლმა სამოქალაქო სარჩელით მიმართა სასამართლოს კერძო პირის წინააღმდეგ. 2001 წლის 21 ნოემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და მოვალეს დააკისრა დავალიანების – 2 000 აშშ დოლარის და სასამართლო ხარჯების – 100 ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში.

მოვალემ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარი განაცხადა. ბატონმა აპოსტოლმა სააღსრულებო წარმოების დაწყების მოთხოვნით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს. ამ უკანასკნელმა 2002 წლის 27 ნოემბრის წერილით განმცხადებელს აცნობა, რომ ეკისრებოდა აღსრულების საშუალებებთან დაკავშირებული წინასწარი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება.

განმცხადებელს სააღსრულებო წარმოების ხარჯების გაწევა არ შეეძლო, ვინაიდან მის შემოსავალს მხოლოდ პენსია – 45 ლარი შეადგენდა. მან მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურას მოვალის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით, მაგრამ – უშედეგოდ. აღნიშნულმა ორგანოებმა უპასუხეს, რომ ისინი ვერ ჩაერეოდნენ სამართალწარმოების პროცესში. განმცხადებელმა სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი: მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი:

დასაშვებობა: მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს არ ამოუწურავს მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები; კერძოდ, თუ თანხის გადახდის ვალდებულება სააღსრულებო წარმოების დაწყებამდე არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით

მინიჭებულ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას, განმცხადებელს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის უნდა მიემართა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის გაუქმება მოეთხოვა.

ევროპულმა სასამართლომ ეს მოსაზრება არ გაიზიარა. მისი შეფასებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გააუქმოს საჯარო უწყებების ან საერთო სამართლოების მიერ გამოტანილი ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს მოსარჩელის უფლებებზე. იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არ შეუძლია მიუთითოს კომპეტენტურ უწყებებს, აღასრულონ გადაწყვეტილება, ზუსტად შეუძლებელია იმის ცოდნა, გამოინვევდა თუ არა კონსტიტუციური სამართალწარმოება აღსრულებლობის პრობლემის სწრაფ და პირდაპირ გადაწყვეტას. შესაბამისად, საქართველოში ამჟამად არსებული საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის სისტემა არ წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულებლობის საფუძველზე წამოყენებული საჩივრის დაკმაყოფილების სათანადო საშუალებას.

არსებითი განხილვა: სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის აბსოლუტური და ის შეიძლება შეიზღუდოს კიდევ, ვინაიდან ეს უფლება თავისი ბუნებით, მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან მონესრიგებას; თუმცა, ევროპული სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ გამოყენებული შეზღუდვა არ არის იმ ზომის, რომ ინდივიდისათვის მინიჭებული უფლება შეიზღუდოს ან შემცირდეს იმ ხარისხით ან სახით, რომ დაირღვეს უფლების არსი.

ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლზე დაყრდნობით, კომპეტენტურმა ოფიციალურმა პირებმა, „წინასწარი ხარჯების“ გადახდის ვალდებულების ფორმით, განმცხადებელს ფინანსური შეზღუდვა დააკისრეს. აღნიშნული „წინასწარი ხარჯები“, რომლებიც ზღუდავს სააღსრულებო წარმოებაზე ხელმისაწვდომობას, იმ წესს მოგვაგონებს, რომლის მიხედვით, სამოქალაქო სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა სასამართლო ბაჟის გადახდაზეა დამოკიდებული.

იმისათვის, რათა განისაზღვროს, ისარგებლა თუ არა პირმა ხელმისაწვდომობის უფლებით, მოთ-

ხოვნილი თანხების ოდენობა უნდა შეფასდეს საქმის ინდივიდუალური გარემოებების შესაბამისად, მათ შორის, განმცხადებლის გადამდელუნარიანობისა და პროცესის იმ ეტაპის გათვალისწინებით, რომელზეც შეზღუდვა დაწესდა.

განსახილველ საქმეში სადავო ფინანსური შეზღუდვა განმცხადებლის მიმართ არ დაწესებულა სასამართლო განხილვის ეტაპზე და ამდენად, არ უკავშირდება მისი საჩივრის არსს, ან წარმატების პერსპექტივას, რასაც შეეძლო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაზე დაწესებული შეზღუდვის გამართლება. ამის საპირისპიროდ, განმცხადებლის სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო და აღსრულებადი გადაწყვეტილების არსებობა ადასტურებს, რომ მისი სარჩელი იყო სათანადოდ დასაბუთებული. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად დაკისრებული ხარჯების დაფარვის ვალდებულება მხოლოდ ფინანსურ ხასიათს ატარებს და მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროებს ძალიან კრიტიკულ განხილვას.

მთავრობას არ განუმარტავს, თუ რა იყო განმცხადებლისთვის გადაწყვეტილების აღსასრულებლად საჭირო თანხის გადახდის დაკისრების მიზანი. მათ მხოლოდ აღნიშნეს, რომ ხსენებული გადაწყვეტილება სახელმწიფოს დაფინანსებით აღსასრულებელი გადაწყვეტილებების კატეგორიაში არ შედიოდა; თუ განმცხადებელი დაინტერესებული იყო განაჩენით დადგენილი ვალის მიღებით, მაშინ მას თავად მოეთხოვებოდა აღსრულებისთვის საჭირო პროცედურის ფინანსური უზრუნველყოფა.

მთავრობის მტკიცების საპირისპიროდ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 26-ე მუხლი ან რომელიმე სხვა დებულება არ განსაზღვრავს, აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები რომელი ღონისძიებებისთვის არის გათვალისწინებული და აუნაზღაურდება თუ არა მხარეს წინასწარ გაღებული ხარჯი. უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებელი, რომელსაც არ შეეძლო წინასწარ დაეფარა ხარჯები ხელმოკლეობის გამო, მზად იყო გადასახადი გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ გადაეხადა.

კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვის ვალდებულება არ გულისხმობს მხოლოდ სახელმწიფოს ჩაურევლობას, არამედ მოიცავს

სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა პოზიტიური ზომის მიღების ვალდებულებასაც. აღსრულების პროცესის ორგანიზებისათვის, ფინანსური უზრუნველყოფის ტვირთის განმცხადებელზე დაკისრებით, სახელმწიფო შეეცადა, თავი დაეღწია თავისი პოზიტიური ვალდებულებისგან - ჩამოაყალიბოს გადაწყვეტილებათა აღსრულების სისტემა, რომელიც ეფექტიანი იქნება როგორც კანონის დონეზე, ასევე, პრაქტიკაში.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, მთავრობის პოზიცია, დაავალდებულოს განმცხადებელი, წინასწარ გადაიხადოს ხარჯები, რათა დაიწყოს აღსრულების პროცესი, ისე, რომ არ გაითვალისწინოს მისი მატერიალური მდგომარეობა, წარმოადგენს გადამეტებულ ტვირთს, რომელიც ზღუდავს განმცხადებლის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: სახელმწიფოს დაევალა 2001 წლის 21 ნოემბრის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა ევროპული სასამართლოს განჩინების ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში.

ქიქინიძე საქართველოს წინააღმდეგ³

KIDZINIDZE V. GEORGIA

№ 69852/01; 13.09.2005

მოსარჩელეს არ მიუღია შეტყობინება სარჩელზე ხარჯების დადგენის შესახებ: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი ლევან ქიქინიძე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი 1995-1999 წლებში, შპს „მარსი-91-ის“ თანადამფუძნებელი და მისი გენერალური დირექტორი 1991-1995 წლებში და 1999 წელს მცირე ხნით.

1993 წელს განმცხადებელი დაიბარა აჭარის ა/რ მთავრობის მეთაურმა ა. აბაშიძემ და რეგიონში

³ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-139022%22%7D>

შიშშილობის თავიდან აცილების მიზნით, დაავალა 4 500 ტონა ფქვილის იმპორტი. „მარსი-91“-მა მოკლე ვადაში შემოიტანა 3 671 ტონა ფქვილი. ბატონი ქიძინიძე ამტკიცებს, რომ ა. აბაშიძემ მას საქონელი დაუყოვნებლივ ჩამოართვა იმისთვის, რომ დაბალ ფასად გაეყიდა რესპუბლიკის პურის მაღაზიებში, სადაც ხალხი რიგებში იდგა. განმცხადებლის არაერთგზისი პროტესტის შემდეგ, ბატონი ა. აბაშიძის განკარგულების თანახმად, „მარსი-91“-მა შეძლო შემოტანილი ფქვილის ღირებულების ნაწილის მიღება, თუმცა, ა. აბაშიძემ ბატონი ქიძინიძე აიძულა, ამ თანხის ნაწილი გადაერიცხა მისი ფონდისა და პოლიტიკური პარტია „აღორძინების“ ანგარიშებზე. 1995 წელს აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭომ ნაწილობრივ აღიარა ფქვილის იმპორტთან დაკავშირებული დავალიანების არსებობა. 1994 წელს ა. აბაშიძემ „მარსი-91“-ს 30 000 აშშ დოლარი გამოსძალა და 1995 წელს განმცხადებელი იძულებული გახდა, ბატონი აბაშიძის დავალებით, ავტომანქანები შეეძინა მისი პარტიის სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელებისთვის. 1999 წელს აჭარის სამართალდამცავმა ორგანოებმა ბატონი ქიძინიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. მათი მტკიცებით, განმცხადებელმა, ბათუმის თამბაქოს ფაბრიკას 845 000 აშშ დოლარი გამოსძალა. ბატონმა ქიძინიძემ სასწრაფოდ დატოვა საქართველო და საცხოვრებლად გერმანიაში გადავიდა. მოგვიანებით, 2000 წელს მან წამოიწყო სამართლებრივი პროცესი ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მაგრამ წარუმატებლად. განმცხადებელმა საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის უფლების დარღვევა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: 2000 წლის ოქტომბერში განმცხადებელმა ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი ა. აბაშიძის მიმართ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და თან დაურთო შესაბამისი მტკიცებულებები.

2001 წლის 7 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო სარჩელი განსახილველად არ მიიღო და განმცხადებელს დაუდგინა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად ისე, რომ მისთვის არ უცნობებია აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ. 2001 წლის 6 მაისს ბატონმა ქიძინიძემ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი და მოითხოვა საქმის

წარმოების განახლება. მოთხოვნას რეაგირება არ მოჰყოლია. საქართველოს ხელისუფლებას არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება ბათუმის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული ქმედების გასამართლებლად ან ასახსნელად. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნულმა სასამართლომ თავისი არაპირდაპირი უარით, განეხილა სარჩელი, განმცხადებელს უარი უთხრა მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

განმცხადებელი 2000 წლის 26 თებერვლის სარჩელით ითხოვდა ადგილობრივი ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიერ მისგან გამოძალული თანხების ანაზღაურებას. მან წარმოადგინა სხვადასხვა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა, რომ ის ხელისუფლების უკანონო მოქმედებების მსხვერპლი იყო. აჭარის ა/რ-ის უმაღლეს სასამართლომ ამ საკითხზე საერთოდ არ უმსჯელია, რაც მხედველობაში მიიღო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა. 2002 წლის 15 ნოემბერს აჭარის ა/რ-ის უმაღლესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ იმ საფუძვლით, რომ სარჩელში მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარეობდა გამოძიება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 1999 წლიდან 2002 წლამდე განმცხადებლის მიმართ, მართლაც, მრავალი საფუძვლით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა, შესაბამისი დადგენილებები მოგვიანებით ცნობილ იქნა უკანონოდ. იმ შემთხვევაშიც, თუ დავუშვებთ, რომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეები აფერხებდა სარჩელის განხილვას, აჭარის ა/რ-ის უმაღლეს სასამართლოს საქმის წარმოება უნდა განეახლებინა 2004 წლის 3 მაისიდან არაუგვიანეს 2005 წლის 8 ოქტომბრამდე. ეს არ მომხდარა ამ საქმის ევროპულ სასამართლოში განხილვის დროისთვის და არც მთავრობას წარმოუდგენია ამ ვითარების გამამართლებელი მტკიცებულება.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, ამ სახის უმოქმედობა, უპირველეს ყოვლისა, ეწინააღმდეგება საქმის „გონივრულ ვადაში“ განხილვის მოთხოვნას, რის გამოც განმცხადებელს ეზღუდება სასამართლოსადმი თავისუფლად მიმართვის უფლება. არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული საქმე იყო განსაკუთრებულად რთული ან გერმანიაში მცხოვრებ განმცხადებელს არ შეეძლო, დაემტკიცებინა თავისი მოთხოვნა. ამდენად, არ არსებობდა საქმის განხილვის შეჩერების საფუძველი.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი:
დარღვევა

კონვენციის 41-ე მუხლი: 4 400 ევრო არამატერიალური ზიანისათვის და 500 ევრო განუვლი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

იხ. აგრეთვე: *Teltronic-CATV v. Poland*, no. 48140/99, 10 January 2006; *Edamski and Jedamska v. Poland*, no. 73547/01, 26 July 2005; *Podbielski and PPU Polpure*, no. 39199/98, 26 July 2005; *Majski v. Croatia* no. 16924/08, 19 July 2011; *Timergaliyev v. Russia*, no. 40631/02, 14 October 2008; *Fuklev v. Ukraine*, no. 71186/01, 7 June 2005; *Podbielski and PPU Polpure v. Poland*, no. 39199/98, 26 July 2005; *Fuklev v. Ukraine*, no. 71186/01, 7 June 2005; *Brualla Gómez de la Torre v. Spain*, no. 26737/95, 19 December 1997; *Nersesyan v. Armenia*, no. 15371/07, 19 January 2010; *Lorger v. Slovenia* no. 54213/12, 26 January 2016; *Marini v. Albania*, no. 3738/02, 18 December 2007; *Jaczkó v. Hungary*, no. 40109/03, 18 July 2006; *Golder v. United Kingdom*, no. 4451/70, 21 February 1975; *Beneficio Cappella Paolini c. San Marino*, no. 40786/98, 13 July, 2004.

კანონის საფუძველზე შექმნილი ტრიბუნალი

გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ⁴

GORGILADZE V. GEORGIA
4313/04; 20.10.2019

საქმის განხილვა კოლეგიის მიერ, რომლის შემადგენლობა არ ყოფილა განსაზღვრული კანონის საფუძველზე: დარღვევა

ფაქტები: 2002 წლის 29 ივნისს ლანჩხუთის რაიონულმა პროკურატურამ განმცხადებელი დავით გორგილაძე ცნო ეჭვმიტანლად მამაშვილის მკვლელობაში. იმავე დღეს, დილის 05:00 საათზე, ბატონი გორგილაძე გამოცხადდა პოლიციის

განყოფილებაში და განაცხადა, რომ ღამის 02:00 საათზე მომხდარი ჩხუბის დროს, მან დაქრა აღნიშნული პირები. განმცხადებელს დაენიშნა სახაზინო ადვოკატი და ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება, რომელსაც მის სხეულზე ფიზიკური ძალადობის ნიშნები არ გამოუვლენია. ბატონმა გორგილაძემ გამოიყენა დუმილის უფლება და შემოიფარგლა საკუთარი უდანაშაულობის აღიარებით.

2003 წლის 21 მაისს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით, განმცხადებელი დამნაშავედ ცნო და თვრამეტი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

ბატონი გორგილაძის შემდგომი საჩივარი უზენაესი სასამართლოს სამი პროფესიონალი მოსამართლისაგან შემდგარმა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ არ დააკმაყოფილა.

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელმაც ის პირველი ინსტანციით გაასამართლა, არ ყოფილა „კანონის საფუძველზე შექმნილი“, ვინაიდან შედგებოდა ორი არაპროფესიონალი მსაჯულისაგან, რომლებსაც არ ჰქონდათ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების უფლება; ბატონმა გორგილაძემ ამ საფუძველზე საჩივარი შეიტანა ევროპულ სასამართლოში.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: აღნიშნული დებულების შესაბამისად, „სასამართლო“ ყოველთვის „კანონის საფუძველზე შექმნილი“ უნდა იყოს. ორგანო, რომელიც არ არის შექმნილი კანონმდებლის ნების შესაბამისად, მოკლებულია დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელ ლეგიტიმაციას, განიხილოს სასამართლო დავები.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გაგებით, „კანონი“ გულისხმობს არა მხოლოდ კანონმდებლობას სასამართლო ორგანოების შექმნისა და კომპეტენციის შესახებ, არამედ, ისეთი საკითხების მარეგულირებელ დებულებებსაც, როგორცაა მსაჯულთა უფლებამოსილება, თანამდებობრივი შეუთავსებლობა და აცილება; გარდა ამისა, ტერმინი „კანონის საფუძველზე შექმნილი“ ეხება როგორც „სასამართლოს“ არსებობის სამართლებრივ საფუძველს, ასევე, მის შემადგენლობას თითოეული საქმის განხილვისას.

⁴ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Gorgiladze%22%22%5D%2C%22languageisocode%22:%5B%22ENG%22%22%5D%2C%22documentcollectionid%22:%5B%22JUDGMENTS%22%22%5D%2C%22DECISSIONS%22%22%5D%2C%22itemid%22:%5B%22001-95242%22%5D%7D>

ჩანაწერი - „კანონის საფუძველზე შექმნილი“ მიზნად ისახავს ისეთი ვითარების თავიდან აცილებას, სადაც მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციზზე დამოკიდებული და მას არ აწესრიგებს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი.

2005 წლის 25 მარტს მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმებამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულები იყვნენ კერძო პირები, რომლებსაც ჰქონდათ სხვა პროფესია და სისხლის სამართლის საქმეების პირველი ინსტანციით განხილვაში პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად მონაწილეობდნენ. მსაჯულთა ინსტიტუტი საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემის გადმონაშთი იყო.

ევროპული სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომლის თანახმად, განმცხადებლის საქმის განმხილველი სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის არსებობა მოქმედი კანონით იყო გათვალისწინებული. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო ორგანოს მხოლოდ ლეგალური არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ის მიჩნეულ იქნეს „კანონის საფუძველზე შექმნილი“ სასამართლოდ. ჩნდება კითხვა, ჰქონდა თუ არა შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი მსაჯულების მიერ სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებას. დებულებები, რომლებიც აღნიშნულ საკითხს არეგულირებდა, არსებობდა მხოლოდ 1999 წლის 5 მარტსა და 28 მაისს შორის პერიოდში და განსახილველი საქმის ფაქტების დადგომისას უკვე გაუქმებული იყო.

მთავრობის არგუმენტის თანახმად, რომელიც ემყარებოდა 1991 წლის დადგენილებასა და მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ კანონებს, განმცხადებლის საქმის განხილვაში მონაწილე ორი მსაჯული აირჩია მაშინდელმა საკანონმდებლო ორგანომ 1991 წლის 14 ივნისს. საგულისხმოა, რომ დადგენილებაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ მსაჯულის თანამდებობაზე არჩეულ პირთა სია და არ შეიცავდა დაზუსტებას კანდიდატების შერჩევის, აღნიშნულ თანამდებობაზე მათი ურთიერთმონაცვლეობის, მათი უფლებებისა და მოვალეობის შესახებ და ა.შ. შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებებით, 1997 წლის 27 ივნისსა და 2005 წლის 31 დეკემბერს შორის პერიოდში მსაჯულებს ავტომატურად უგრძელდებოდათ უფლებამოსილება. ამასთან, 1996

წლის 7 მარტის დადგენილებისგან განსხვავებით, რომელიც მიუთითებდა იმ სამართლებრივ საფუძველზე, რომელსაც კანონმდებელი ეყრდნობოდა მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელებისას, ბოლო საკანონმდებლო ცვლილებები მსგავს დებულებას არ შეიცავდა, ვინაიდან მსაჯულის მიერ სამოსამართლო ფუნქციის განხორციელების სამართლებრივი საფუძველი, არ ან აღარ არსებობდა.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებლის საქმის განხილვაში მონაწილე ორმა მსაჯულმა მოსამართლის თანაბარი უფლებამოსილებით განახორციელა მართლმსაჯულება და კოლეგიას გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად აუცილებელი ხმათა უმრავლესობა ჰქონდა სწორედ მათი ხმების გათვალისწინებით. მათ მიერ მოსამართლის როლის შესრულება ეფუძნებოდა სასამართლო პრაქტიკას, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი არ გააჩნდა. შესაბამისად, კოლეგია, რომელშიც ისინი მონაწილეობდნენ, არ ყოფილა „კანონის საფუძველზე შექმნილი“.

დასკვნა:
კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი:
დარღვევა;
კონვენციის 41-ე მუხლი: 5000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.
შენიშვნა: აგრეთვე, დადგინდა **კონვენციის მე-3 მუხლის** დარღვევა.

ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ⁵ **PANJIKIDZE AND OTHERS V. GEORGIA**

საქმის განხილვა კოლეგიის მიერ, რომლის შემადგენლობა არ ყოფილა განსაზღვრული კანონის საფუძველზე: დარღვევა

ფაქტები: 2001 წლის 8 ნოემბერს, უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ, ერთი მოსამართლისა და

⁵ file:///Users/elene/Downloads/001-95368.pdf

ორი მსაჯულის შემადგენლობით, გამოიტანა ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი განმცხადებლების მიმართ: ბატონები ფანჯიკიძე, ყურაშვილი, ქანთარია და გიორგაძე დამნაშავედ ცნო შეთქმულების გზით სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით სამშობლოს ღალატის გამო; ბატონი ქანთარია, ასევე, დამნაშავედ ცნო იარაღის უკანონო შექენისა და შენახვის გამო. ბრალდების თანახმად, აღნიშნულ დაჯგუფებას მართავდა რუსეთში მცხოვრები საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი, ბატონი. გ. და მის მიზანს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, უშიშროების, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ფიზიკური ლიკვიდაცია წარმოადგენდა.

ბატონებს - ფანჯიკიძეს, ყურაშვილსა და ქანთარიას სასჯელის სახით 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, ხოლო ბატონ გიორგაძეს - 2 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. ეს უკანასკნელი სასამართლო დარბაზიდან განთავისუფლდა, ვინაიდან წინასწარი პატიმრობის ვადა ჩაეთვალა სასჯელის მოხდის ვადაში. ბატონ გიორგაძეს საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია აღნიშნული განაჩენი. დანარჩენმა სამმა განმცხადებელმა მსჯავრდების საფუძვლიანობა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პალატაში გაასაჩივრა. მათ თავიანთ საკასაციო საჩივარში გააპროტესტეს ის ფაქტი, რომ საქმის წინასწარ გამოძიებას უშიშროების სამინისტრო აწარმოებდა, მაშინ როდესაც თავად უშიშროების მინისტრი საქმეში დაზარალებულად იყო ცნობილი.

2002 წლის 25 იანვარს, სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, სამი პროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობით, უცვლელი დატოვა 2001 წლის 8 ნოემბრის განაჩენი, მას შემდეგ, რაც მოისმინა მხარეთა არგუმენტები, „შეისწავლა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შეამოწმა განაჩენის კანონიერება და საჩივრების დასაბუთებულობა“.

განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელმაც ისინი პირველი ინსტანციით გაასამართლა, არ ყოფილა „კანონის საფუძველზე შექმნილი“, ვინაიდან შედგებოდა ორი არაპროფესიონალი მსაჯულისაგან,

რომლებსაც არ ჰქონდათ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების უფლება; მათ ამ საფუძვლით საჩივარი შეიტანეს ევროპულ სასამართლოში.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი

პუნქტი: აღნიშნული დებულების შესაბამისად, „სასამართლო“ ყოველთვის „კანონის საფუძველზე შექმნილი“ უნდა იყოს. ორგანო, რომელიც არ არის შექმნილი კანონმდებლის ნების შესაბამისად, მოკლებულია დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელ ლეგიტიმაციას, განიხილოს სასამართლო დავები.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გაგებით, „კანონი“ გულისხმობს არა მხოლოდ კანონმდებლობას სასამართლო ორგანოების შექმნისა და კომპეტენციის შესახებ, არამედ, ისეთი საკითხების მარეგულირებელ დებულებებსაც, როგორცაა მსაჯულთა უფლებამოსილება, თანამდებობრივი შეუთავსებლობა და აცილება; გარდა ამისა, ტერმინი „კანონის საფუძველზე შექმნილი“ ეხება როგორც „სასამართლოს“ არსებობის სამართლებრივ საფუძველს, ასევე, მის შემადგენლობას თითოეული საქმის განხილვისას.

ჩანაწერი - „კანონის საფუძველზე შექმნილი“ მიზნად ისახავს ისეთი ვითარების თავიდან აცილებას, სადაც მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციზაზე დამოკიდებული და მას აწესრიგებს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი.

2005 წლის 25 მარტს მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმებამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულები იყვნენ კერძო პირები, რომლებსაც ჰქონდათ სხვა პროფესია და სისხლის სამართლის საქმეების პირველი ინსტანციით განხილვაში პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად მონაწილეობდნენ. მსაჯულთა ინსტიტუტი საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემის გადმონაშთი იყო.

ევროპული სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომლის თანახმად, განმცხადებლის საქმის განმხილველი სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის არსებობა მოქმედი კანონით იყო გათვალისწინებული. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო ორგანოს მხოლოდ ლეგალური არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ის მიჩნეულ იქნეს

„კანონის საფუძველზე შექმნილ“ სასამართლოდ. ჩნდება კითხვა, ჰქონდა თუ არა შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი მსაჯულების მიერ სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებას. დებულებები, რომლებიც აღნიშნულ საკითს არეგულირებდა, არსებობდა მხოლოდ 1999 წლის 5 მარტსა და 28 მაისს შორის პერიოდში და განსახილველი საქმის ფაქტების დადგომისას უკვე გაუქმებული იყო.

მთავრობის არგუმენტის თანახმად, რომელიც ემყარებოდა 1991 წლის დადგენილებასა და მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ კანონებს, განმცხადებლის საქმის განხილვაში მონაწილე ორი მსაჯული აირჩია მაშინდელმა საკანონმდებლო ორგანომ 1991 წლის 14 ივნისს. საგულისხმოა, რომ დადგენილებაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ მსაჯულის თანამდებობაზე არჩეულ პირთა სია და არ შეიცავდა დაზუსტებას კანდიდატების შერჩევის, აღნიშნულ თანამდებობაზე მათი ურთიერთმონაცვლეობის, მათი უფლებებისა და მოვალეობის შესახებ და ა.შ. შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებებით, 1997 წლის 27 ივნისსა და 2005 წლის 31 დეკემბერს შორის პერიოდში მსაჯულებს ავტომატურად უგრძელებოდათ უფლებამოსილება. ამასთან, 1996 წლის 7 მარტის დადგენილებისგან განსხვავებით, რომელიც მიუთითებდა იმ სამართლებრივ საფუძველზე, რომელსაც კანონმდებელი ეყრდნობოდა მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელებისას, ბოლო საკანონმდებლო ცვლილებები მსგავს დებულებას არ შეიცავდა, ვინაიდან მსაჯულის მიერ სამოსამართლო ფუნქციის განხორციელების სამართლებრივი საფუძველი, არ ან აღარ არსებობდა.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებლის საქმის განხილვაში მონაწილე ორმა მსაჯულმა მოსამართლის თანაბარი უფლებამოსილებით განახორციელა მართლმსაჯულება და კოლეგიას გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად აუცილებელი ხმათა უმრავლესობა ჰქონდა სწორედ მათი ხმების გათვალისწინებით. მათ მიერ მოსამართლის როლის შესრულება ეფუძნებოდა სასამართლო პრაქტიკას, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი არ გააჩნდა. შესაბამისად, კოლეგია, რომელშიც ისინი მონაწილეობდნენ, არ ყოფილა „კანონის საფუძველზე შექმნილი“.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 2000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის თითოეული განმცხადებლის მიმართ.

შენიშვნა: ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევა:

სამი განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მაღალი რანგის თანამდებობის პირებმა გააკეთეს სატელევიზიო განცხადებები, რომლითაც მათი უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვა. განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ ფაქტების დადგომის დროისათვის, მოქმედი კანონმდებლობით, მათ არ ჰქონდათ ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა ექვმიტანილად ცნობამდე. სწორედ ამ პერიოდში დაკითხეს ისინი ღამით; გარდა ამისა, ექვმიტანილად ცნობის შემდეგ, ისინი აიძულეს, დათანხმებოდნენ სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატის მომსახურების მიღებას. ბატონი ფანჯიკიძე ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ მას უარი უთხრეს მისი მეუღლისა და მამის დაკითხვის შუამდგომლობაზე, მაშინ, როდესაც ისინი საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდნენ. ევროპული სასამართლოს შეფასებით, განმცხადებლები არ ყოფილან გასამართლებულნი „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს“ მიერ; შესაბამისად, ასეთ სასამართლოს არ შეეძლო საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფა. საქმის სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულ სასამართლოს არ მიაჩნია მიზანშეწონილად, ცალკე განიხილოს პროცესის სამართლიანობასთან დაკავშირებით წამოყენებული პრეტენზიები.

**გაბაიძე საქართველოს
წინააღმდეგ⁶
GABAI DZE V. GEORGIA
№13723/06; 12.10.2017**

**მოსამართლის მიმართ დისციპლინური
სამართალწარმოების საკითხის განხილვა
ზემდგომ ინსტანციაში ნაწილობრივ იმავე
შემადგენლობის მიერ: დარღვევა**

ფაქტები: განმცხადებელი ზურაბ გაბაიძე იყო ხულოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2004 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მის წინააღმდეგ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება. განმცხადებელს ედავებოდნენ თოთხმეტი დღის განმავლობაში მსჯავრდებულის უკანონო პატიმრობაში დატოვებას. მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს კოლეგიამ ზეპირი მოსმენით განიხილა საქმე. ბატონმა გაბაიძემ აღიარა გადაცდომის ჩადენა. კოლეგიამ ის ბრალეულად ცნო „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე - „კანონის უხეში დარღვევა“; მიუხედავად განმცხადებლის კარგი პროფესიული რეპუტაციისა და მის მიმართ წარსულში დისციპლინური სახდელის არარსებობისა, კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება განმცხადებლის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

ბატონმა გაბაიძემ ფაქტებთან და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით საჩივარი შეიტანა მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოში. ამ უკანასკნელმა ძალაში დატოვა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება. განმცხადებელმა მიმართა უზენაეს სასამართლოს, რომელმაც გააუქმა სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილება არასაკმარისი სამართლებრივი დასაბუთების გამო და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა.

სადისციპლინო საბჭომ, საქმის ხელახლა განხილვის შედეგად, იგივე გადაწყვეტილება მიიღო. მოსამართლეთა პანელის სამი წევრი - .კ. ყ., გ.ჩ. და ი. ქ. მონაწილეობდა სადისციპლინო საბჭოს მიერ ამ საქმის პირველ განხილვაშიც. ამ მოტივით განმცხადებელმა მათი აცილება მოითხოვა, მაგრამ უშედეგოდ.

ბატონმა გაბაიძემ კვლავ მიმართა უზენაეს სასამართლოს იმ საფუძველით, რომ მისი საქმე უკანონო შემადგენლობამ განიხილა დაჩქარებული წესით. ამჯერად უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქმე ამომწურავად იყო განხილული და სასჯელიც – ადეკვატურად განსაზღვრული; აგრეთვე, განმცხადებლის საქმის განმხილველი დისციპლინური ორგანოს შემადგენლობა იყო კანონიერი; ის ფაქტი, რომ ცალკეული მოსამართლეები ადრეც მონაწილეობდნენ განმცხადებლის საქმის განხილვაში, შეესაბამებოდა კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებულ პრაქტიკას და არ იწვევდა კითხვებს მათ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

განმცხადებელმა მისი საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის კანონიერების თაობაზე დავა ევროპულ სასამართლოში გააგრძელა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი

პუნქტი: ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1- პუნქტის „სამოქალაქო“ ნაწილი ვრცელდება საერთო სასამართლოების მიმართ წარმოებულ დისციპლინურ სამართალწარმოებაზეც.

სტურუას საქმეზე სასამართლომ უკვე დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა მსგავს შემთხვევაში. განმცხადებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა სადისციპლინო საბჭოს ერთი და იმავე წევრების მიერ, ორ სხვადასხვა ეტაპზე, იმ დროისათვის მოქმედი დისციპლინური სამართალწარმოების სხვა სპეციფიკურ მახასიათებლებთან ერთად, ევროპული სასამართლოსთვის საკმარისია იმის დასადგენად, რომ განმცხადებლის შიში სადისციპლინო ორგანოს მიკერძოებასთან დაკავშირებით ობიექტურად გამართლებული იყო.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 3500 ევრო არამატერიალური ზიანისთვის და 2140 ევრო განუული ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

⁶ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Gabaidze%22%5D%22itemid%22:%5B%22001-177412%22%5D%7D>

**სტურუა საქართველოს
წინააღმდეგ⁷
STURUA V. GEORGIA
№ 45729/05; 28.03.2017**

**მოსამართლის მიმართ დისციპლინური
სამართალწარმოების საკითხის განხილვა
ზემდგომ ინსტანციაში ნაწილობრივ იმავე
შემადგენლობის მიერ: დარღვევა**

ფაქტები: განმცხადებელი მიტროფანე სტურუა იყო აბაშის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე. 2004 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მის წინააღმდეგ დაიწყო დისციპლინური საქმის წარმოება. ბატონ სტურუას ედავებოდნენ სისხლის სამართლის საქმის მასალების დაყოვნებას საქმის განხილვისგან ჩამოშორებიდან ექვსი თვის განმავლობაში. განმცხადებელმა აღიარა გადაცდომის გაუფრთხილებლობით ჩადენა. სადისციპლინო საბჭოს კოლეგიამ, ზეპირი მოსმენის შემდეგ, ბატონი სტურუა ცნო ბრალეულად „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, ანდა შრომის დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა“; შედეგად, განმცხადებელი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან.

ბატონმა სტურუამ ფაქტებთან და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით საჩივარი შეიტანა მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოში. ამ უკანასკნელმა საჩივარი განიხილა პლენარულ სხდომაზე რვა მოსამართლის შემადგენლობით. აქედან ოთხი მოსამართლე - კ. კ., გ.ჩ., დ.ს. და თ.თ. ადრე მონაწილეობდა ამ საქმის სადისციპლინო კოლეგიის მიერ განხილვაშიც. მათ შორის, კ.კ. როგორც პირველ ეტაპზე, ასევე, საჩივრის განხილვის სტადიაზე, მოქმედებდა, როგორც სხდომის თავმჯდომარე და მომხსენებელი. 2005 წლის 27 იანვარს სადისციპლინო საბჭო ერთხმად დაეთანხმა კოლეგიის გადაწყვეტილებას.

განმცხადებელმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. ბატონი სტურუა ამტკიცებდა, რომ მას არ მიუღია შეტყობინება, რომ შეეძლო წარმდგარიყო სადისციპლინო საბჭოს წინაშე, მისი საქმის განხილვის პროცესი იყო გაჭიანურებული და სადისციპლინო საბჭოს ოთხი წევრი ადრე იმყოფებოდა მისი საქმის განმხილველი ორგანოს შემადგენლობაში და შესაბამისად, არ ჰქონდათ უფლებამოსილება, განეხილათ მისი საჩივარი. 2005 წლის 11 ივლისს უზენაესმა სასამართლომ განმცხადებლის საკასაციო საჩივარი წარმოებაში არ მიიღო დაუსაბუთებლობის გამო.

განმცხადებელმა მისი საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის კანონიერება ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი

პუნქტი: ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „სამოქალაქო“ ნაწილი ვრცელდება საერთო სასამართლოების მიმართ წარმოებულ დისციპლინურ სამართალწარმოებაზეც. მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს ოთხმა წევრმა განმცხადებლის საქმე მანამდე განიხილა კოლეგიის სახით, პირველი ინსტანციის წესით საქმის განმხილველი სასამართლო ორგანოს უფლებამოსილებით. კოლეგიამ ჩაატარა სხდომა, გამოიკვლია ყველა მტკიცებულება და გამოიტანა დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავდა შესაბამისი სამართლებრივი ნორმების განმარტებასა და გამოყენებას საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით. მოგვიანებით, იგივე ოთხი მოსამართლე შევიდა სადისციპლინო საბჭოს რვანევრიან შემადგენლობაში, რომელმაც განიხილა განმცხადებლის საჩივარი მითითებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, როგორც ფაქტების, ასევე, სამართლებრივი საკითხების ნაწილში; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგივე ოთხმა მოსამართლემ განიხილა საკუთარი გადაწყვეტილება და შეაფასა, დაუშვეს თუ არა თავად შეცდომა ფაქტების შეფასებისას ან კანონის განმარტებისას.

ევროპული სასამართლო, ასევე, ხაზს უსვამს, რომ სადისციპლინო საბჭო გადაწყვეტილებას იღებდა ხმათა უბრალო უმრავლესობით და სხდომის თავმჯდომარეს (რომელიც ერთ-ერთი იყო სადავო უფლებამოსილების მქონე მოსამართლეთაგან)

⁷ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22CASE%20OF%20STURUA%20v.%20GEORGIA%22%22%5D,%22languageisocode%22:%5B%22ENG%22%5D,%22documentcollectionid%22:%5B%22JUDGMENTS%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-172315%22%5D%7D>

ჰქონდა გადამწყვეტი ხმის უფლება ხმათა თანაბარი გაყოფის შემთხვევაში. ეს ნიშნავს იმას, რომ ნახევარი პანელი, მათ შორის თავმჯდომარე, მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში.

დამატებით, იმის გათვალისწინებით, რომ უზენაესი სასამართლოს როლი შემოიფარგლებოდა საქმის სამართლებრივი ასპექტების შეფასებით, ევროპული სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ საკასაციო ინსტანციას გააჩნდა უფლებამოსილება, ეფექტიანად გადაესინჯა საქმე. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეს გარემოებები საკმარისია იმის დასადგენად, რომ განმცხადებლის შიშები სადისციპლინო საბჭოს მიკერძოებასთან დაკავშირებით ობიექტურად გამართლებული იყო.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 3500 ევრო არამატერიალური ზიანისთვის და 3 380 ევრო განუვლი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

იხ. აგრეთვე: *Indra v. Slovakia*, no. 46845/99, 1 February 2005; *Nova Gorica v. Slovenia*, no. 50996/08, 5 June 2014; *Warsicka v. Poland*, no. 2065/03, 16 January 2007; *Central Mediterranean Development Corporation Limited v. Malta*, no. 18544/08, 22 November 2011; *Perote Pellon v. Spain*, no. 45238/99, 25 July 2002; *Cardona Serrat v. Spain*, no. 38715/06, 26 October 2010; *Fazlı Aslaner v. Turkey*, no. 36073/04, 4 March 2014; *A. Menarini Diagnostics S.r.l. v. Italy*, no. 43509/08, 27 September 2011; *Saghatelyan v. Armenia*, no. 7984/06, 20 October 2015; *Gerovska Popčevska v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, no. 48783/07, 7 January 2016; *Buscarini v. San Marino* no. 31657/96, 4 May 2000; *Savino and others v. Italy*, no. 17214/05, April 28, 2009; *Sokourenko and Strygoun v. Ukraine*, no. 29458/04, July 20, 2006.

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალი

სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2 და სხვები საქართველოს წინააღმდეგ⁸
LTD RUSTAVI 2 AND OTHERS V. GEORGIA
№ 16812/17; 18.07.2019

მოსამართლეების სავარაუდო მიკერძოება სამივე ინსტანციის სასამართლოში სატელევიზიო კომპანიის საკუთრებასთან დაკავშირებულ დავაზე: არ არის დარღვევა

ფაქტები: განმცხადებლებმა - ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ყოფილმა მფლობელებმა ევროპული სასამართლოს წინაშე გაასაჩივრეს ის ფაქტი, რომ ტელეკომპანიის საკუთრებასთან დაკავშირებული დავა არ განუხილავს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს პირველ, მეორე და მესამე ინსტანციებში.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი:

ა) საქალაქო სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა: განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ტელეკომპანიის ყოფილმა მესაკუთრეებმა, რომლებმაც წამოიწიეს საკუთრებასთან დაკავშირებული დავა, იცოდნენ, რომ საქალაქო სასამართლოში მხოლოდ ერთი მოსამართლე იყო სპეციალიზებული ინტელექტუალური საკუთრების ნაწილში და ამიტომ თავიანთ სარჩელში ხელოვნურად ჩართეს საავტორო უფლებასთან დაკავშირებული მოთხოვნა, რომელიც იყო აშკარად უღირსი. ფაქტებზე დაყრდნობით, ევროპულმა სასამართლომ ვერ დაინახა ე.წ. „ფორუმ შოპინგის“ ნიშნები, როგორც ამას განმცხადებლები უთითებდნენ. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ამ სპეციალიზაციით კიდევ ორი მოსამართლე იყო ხელმისაწვდომი. თავად მოსამართლე ამტკიცებდა, რომ საქმის განაწილება შედგა კანონით დადგენილი წესით, ანბანის მიხედვით. განმცხადებლებმა ვერ შეძლეს ამ სარწმუნო განმარტების უარყოფა და

⁸ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22%-22CASE%20OF%20RUSTAVI%20AND%20BROADCASTING%20COMPANY%20LTD%20AND%20OTHERS%20v.%20GEORGIA%22%22%7D,%22languageisocode%22:%5B%22ENG%22%22%7D,%22documentcollectionid%22:%5B%22JUDGMENTS%22%22%7D,%22itemid%22:%5B%22001-194445%22%7D%7D>

არ წარმოუდგენიათ მოსამართლისთვის საქმის გადაცემის ალტერნატიული ვერსიის დამადასტურებელი მტკიცებულება.

მოსამართლის მეუღლემ გამოაქვეყნა არაერთი პოსტი Facebook-ზე, სადაც გამოხატა უარყოფითი შეხედულებები რუსთავი 2-ის, როგორც სატელევიზიო არხის შესახებ და მის გენერალური დირექტორზე პერსონალურად. ამასთან, მას კომენტარი არ გაუკეთებია მიმდინარე საკუთრების დავის საბოლოო შედეგთან დაკავშირებით. ევროპული სასამართლოს შეფასებით, არ შეიძლება ამათგან რომელიმე პოსტი გაგებული იქნეს, როგორც შთაბეჭდილების შექმნა, რომ მოსამართლის მეუღლე ცდილობდა ქმრის სასამართლო პოზიციის საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენებას ან მასზე ზეგავლენის მოხდენას. მოსამართლეთა ქცევის შესახებ ბანგალორის პრინციპების მიხედვით, მოსამართლემ არ უნდა დაუშვას, რომ მისმა ოჯახურმა, სოციალურმა ან სხვა ტიპის ურთიერთობებმა გავლენა მოახდინოს მისი, როგორც მოსამართლის ქცევაზე; თუმცა, სასამართლოს მიუკერძოებლობის მოთხოვნა ხელს ვერ შეუშლის მოსამართლის ოჯახს, გამოთქვას საკუთარი შეხედულებები იმ საკითხებზე, რაც აქტუალურია საზოგადოებისთვის. ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ ოჯახის ახლო წევრების საქმიანობამ, გარკვეულ შემთხვევებში, უარყოფითი გავლენა იქონიოს საზოგადოების მიერ მოსამართლის მიუკერძოებლობის აღქმაზე. განსახილველ საქმეში განმცხადებლებს არ წარმოუდგენიათ რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ მოსამართლე მისი მეუღლის მიერ სოციალურ ქსელში გაკეთებული განცხადებების ზეგავლენის ქვეშ მოექცა ამ საქმის განხილვისას. მოსამართლემ ამ საფუძვლით მის აცილებაზე უარის თქმისას ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მისი მეუღლე მასთან არასოდეს ათანხმებდა Facebook პოსტების შინაარსს და მან არც კი იცოდა ამ პოსტების არსებობის შესახებ. ობიექტური დამკვირვებლის შეფასებით, მოსამართლე საკმარისად დისტანცირდა იმ მოსაზრებებისგან, რომლებიც მისმა მეუღლემ გამოაქვეყნა სოციალურ ქსელში.

ევროპულმა სასამართლომ, ასევე, უარყო განმცხადებლების არგუმენტი, რომ, შესაძლოა, მოსამართლეზე გავლენა მოეხდინა დედამისის წინააღმდეგ დაწყებულ სისხლისსამართლებრივ დევნას. განმცხადებლების პოზიციის თანახმად,

სისხლის სამართლის პროცესი განახლდა მას შემდეგ, რაც მოსამართლეს განსახილველად გადაეცა რუსთავი 2-ს საკუთრების საქმე. როგორც პროკურატურამ ადგილობრივ დონეზე, ასევე, მთავრობამ ევროპული სასამართლოს წინაშე განმარტა, ამ საქმეში არსებული დაყოვნება გამოწვეული იყო იმით, რომ მოსამართლის დედის ასაკის და ჯანმრთელობის, ასევე დანაშაულის ნაკლებად მძიმე ხასიათის გამო, პროკურატურამ მას მისცა დრო დაზარალებულთან შესარიგებლად. ბრალდება წარედგინა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შერიგების რესურსი ამოიწურა; და ბოლოს, ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლების პოზიცია, რომ მოსამართლეს სხვა ბევრი საქმე ჰქონდა განსახილველი და მის მიერ განსაკუთრებული სისწრაფით რუსთავი 2-ის საქმის განხილვა მის მიკერძოებაზე მიუთითებს. ერთი მხარისთვის არახელსაყრელი პროცედურული გადაწყვეტილებების ციკლი ვერ გამოდგება ამ მხარისთვის მოსამართლის მიკერძოების მტკიცებულებად.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საქმის განმხილველი სასამართლოს არარსებობის გამო, ვერ დადგინდება, თუკი მიღებული გადაწყვეტილება დაექვემდებარა ზედამხედველობას ზემდგომი სასამართლო ორგანოსგან, რომელსაც ჰქონდა სრული იურისდიქცია და უზრუნველყოფდა კონვენციის მე-6 მუხლის დებულებით გათვალისწინებული გარანტიების პატივისცემას. განმცხადებლებისთვის ხელმისაწვდომი იყო სააპელაციო სასამართლო, რომელმაც არა მარტო საქმე ხელახლა არსებითად განიხილა, არამედ, ასევე, უპასუხა განმცხადებლების გამოწვევას მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

ბ) სააპელაციო სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა: განმცხადებლებმა გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა სააპელაციო სასამართლოს სამ მოსამართლიან პანელში ერთ-ერთი მოსამართლის სავარაუდო სიახლოვის გამო პირველი ინსტანციის მოსამართლესთან. ეს ბრალდებები იყო დაუსაბუთებელი. არაფერია იმაში არამართებული, რომ ორივე მოსამართლე, სხვა თექვსმეტ მოსამართლესთან ერთად, იყო დამფუძნებელი საქართველოს მოსამართლეთა კავშირის – ასოციაციის, რომელიც წარმოადგენს მოქმედი მოსამართლეების ინტერესებს.

აგრეთვე, ნორმალურია, რომ მოსამართლეთა ასოციაციამ გააკეთა საჯარო განცხადებები, ზოგადად, სასამართლო ხელისუფლების და, კონკრეტულად, პირველი ინსტანციის მოსამართლის დასაცავად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან. გაკეთებული განცხადებები იყო კორექტული და დაბალანსებული.

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი განზრახ ახორციელებდა სიტყვიერ თავდასხმებს პირველი ინსტანციის მოსამართლეზე, მისი პროვოცირების და აცილების მოთხოვნის საფუძვლების ხელოვნურად შექმნის მიზნით. მას, როგორც მხარეს, ყველა შესაძლებლობა ჰქონდა, კრიტიკა გამოეხატა სასამართლოს დარბაზში; თუმცა, მან გადაწყვიტა, რუსთავი 2-ის მძლავრი მედია საშუალება გამოეყენებინა მოსამართლისთვის მძიმე პირადი შეურაცხყოფის მისაყენებლად.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქის, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა დასაშვები კრიტიკის ზღვარს გადააბიჯა.

გ) უზენაესი სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა: ევროპული სასამართლო არ იზიარებს განმცხადებლის პოზიციას, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე უნდა ჩამოცილებოდა საქმეს, რადგან რამდენიმე წლის წინ იყო მმართველი პოლიტიკური პარტიის შემომწირველი. რუსთავი 2-ის საკუთრების საქმე იყო დავა ორ კერძო სუბიექტს შორის და სახელმწიფო არ ყოფილა მხარე ამ პროცესში ან რამენაირად დაკავშირებული საქმის არსებით მხარესთან. მოსამართლეს პოლიტიკური პარტიისთვის შემოწირულობა ჰქონდა გაკეთებული მაშინ, როდესაც ის დასაქმებული იყო კერძო სექტორში. განმცხადებლებს არ წარმოუდგენიათ იმის მტკიცებულება, რომ მოსამართლე რაიმე ფორმით ჩართული იყო პოლიტიკურ საქმიანობაში თავისი უფლებამოსილების პერიოდში.

განმცხადებლები, ასევე, ამტკიცებდნენ, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც იყო დიდი პალატის შემადგენლობაში, შესაძლოა, ჰქონოდა პირადი მიკერძოება „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის წინააღმდეგ, რადგან 2006 წელს ამ უკანასკნელმა, მისი იუსტიციის საბჭოს წევრობის დროს, მონაწილეობა მიიღო

მის წინააღმდეგ მიმდინარე დისციპლინურ სამართალწარმოებაში.

ის ფაქტი, რომ განმცხადებლებმა გაასაჩივრეს მოსამართლეთა უმეტესობის მიკერძოება ყველა ინსტანციაში, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება შეფასდეს, როგორც მათი მცდელობა, ხელი შეეშალათ მართლმსაჯულების განხორციელებისთვის და მიუთითებს გასაჩივრების უფლების ბოროტად გამოყენებაზე. მოსამართლის აცილების მოთხოვნა არ შეიძლება მიზნად ისახავდეს სასამართლო სისტემის პარალიზებას და ეს ასპექტი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაშინ, როდესაც საქმე ეხება ბოლო ინსტანციის სასამართლოს. პირადი მტრობა მხარის მიმართ დამატებული არგუმენტია მოსამართლის დისკვალიფიკაციისთვის, როდესაც საჭიროა მოქმედება ბოროტი განზრახვის გარეშე. განმცხადებლების მიერ მოყვანილმა ფაქტებმა წამოიწია მიუკერძოებლობის არარსებობის სადავო საკითხი. მთელი რიგი დისციპლინური პროცედურები, რამაც გამოიწვია მოსამართლის განთავისუფლება, სერიოზული საკითხია, რომელსაც შეეძლო ადამიანის პირად და პროფესიულ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა. ამ თვალსაზრისით, უზენაესი სასამართლოს გაფართოებულ შემადგენლობას მოსამართლის აცილების საჩივარი უნდა განეხილა საფუძვლიანად.

ევროპული სასამართლო, დამატებით, აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არც ადგილობრივ დონეზე და არც მის წინაშე არ წარუდგენია რაიმე ინფორმაცია, რომელიც მიუთითებდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მტრულ დამოკიდებულებაზე რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის მიმართ წარსული მოვლენების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ათ წელზე მეტი ხნის წინ. გარდა იმისა, რომ არ არსებობდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შურისძიების სურვილის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ასევე, საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა, რომ მოსამართლემ ოდესმე გამოთქვა რაიმე მოსაზრება რუსთავი 2-ზე, მის დირექტორზე ან ამ უკანასკნელის როლზე მის წინააღმდეგ წარმართულ დისციპლინურ საქმეში; აგრეთვე, ის ფაქტი, რომ შემდგომში მან მოახერხა, გამხდარიყო ქვეყნის მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოს თავმჯდომარე, ობიექტური დამკვირვებლის თვალსაზრისით, ძალზე რთულს ხდის წარსულში მიღებული პროფესიული დარტყმის ხანგრძლივი შედეგების დანახვას.

იმ გარემოებებში, როდესაც განმცხადებლები სისტემატურად წარადგენდნენ დაუსაბუთებელ საჩივრებს სამივე ინსტანციის სხვადასხვა მოსამართლის აცილების მოთხოვნით, და როდესაც რუსთავი 2-ის მაუწყებლობა თავს ესხმოდა საქმეში ჩართულ მოსამართლეებს, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ უზენაესი სასამართლოს დასაბუთებული გადანყვეტილება თავმჯდომარის შემადგენლობაში დარჩენის შესახებ, საქმის გარემოებების და იმ ელემენტების გათვალისწინებით, რომელსაც ის ეფუძნებოდა, არ არის გაუმართლებელი.

და ბოლოს, ევროპულმა სასამართლომ, ასევე, ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იყო ამ საქმის განმხილველი 9 მოსამართლისგან შემდგარი უზენაესი სასამართლოს გაფართოებული პანელის მხოლოდ ერთი მოსამართლე. ამრიგად, ობიექტური დამკვირვებლის შეფასებით, გაფართოებულ შემადგენლობას ჩრდილს ვერ მიაყენებს ის გამონაკვეთი, რომელიც განმცხადებლებს აქვთ ერთი მოსამართლის მიმართ, მით უმეტეს, როდესაც სასამართლომ გადანყვეტილება ერთხელადაც მიიღო.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: არ არის დარღვევა;

შენიშვნა: მოთხოვნა კონვენციის მე-18 მუხლისა და 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის დადგენის თაობაზე დაუშვებელია, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი.

იხ. აგრეთვე: *Clinique des Acacias and Others v. France*, no. 65399/01, 13 October 2005; *Skondrianos v. Greece*, no. 63000/00, 18 December 2003; *Roberts and Roberts v. the United Kingdom*, no. 38681/08, 5 July 2011; *APBP v. France*, no. 38436/97, 21 March 2002; *König v. Germany*, no. 6232/73, 28 June 1978; *Levages Prestations Services v. France*, no. 21920/93, 23 October 1996; *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, no. 14448/88, 27 October 1993; *Khamidov v. Russia*, no. 72118/01, 15 November 2007; *Ormala v. Finland*, no. 41258/98, 16 March 2004; *Eskelinen v. Finland*, no. 7274/02, 3 February 2004; *Kranz v. Poland*, no. 6214/02, 10 September 2002; *Skowronski v. Poland*, no. 52595/99, 28 June 2001; *Kuchař and Štis v. the Czech Republic*, no. 37527/97, 21 October 1998.

მხარეთა შეჯიბრებითობა

კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ⁹

KOBIASHVILI V. GEORGIA

№ 364516/06; 14.03.2019

ჩხრეკის კანონიერების გასაჩივრების ეფექტიანი შესაძლებლობის არქონა: დარღვევა

ფაქტები: 2005 წლის 18 აპრილს სასამართლომ განმცხადებელი არჩილ კობიაშვილი დამნაშავედ ცნო დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინის შეძენასა და შენახვაში და სასჯელის სახით შეუფარდა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედო ჩხრეკის ოქმი, ორი პოლიციელის ჩვენება, რომლებმაც ჩაატარეს ჩხრეკა და ორი დამსწრის ჩვენება. ბატონი კობიაშვილი მთელი სამართალწარმოების განმავლობაში ამტკიცებდა, რომ სინამდვილეში ის არ გაუჩხრეკიათ არც დაკავებამდე და არც დაკავების შემდეგ და ნივთიერება, რომელიც მას აღმოუჩინეს, „ჩაუდო“ პოლიციამ. განმცხადებლის ორი მეგობარი, ასევე, ადასტურებდა, რომ დაკავება მათ თვალწინ შედგა და ჩხრეკა არ ჩატარებულა; თუმცა, მათი ჩვენებები სასამართლომ არ გაიზიარა, იმ მოტივით, რომ ისინი დაინტერესებული იყვნენ, რომ განმცხადებელი უსიამოვნებისგან ეხსნათ. სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი უცვლელი დატოვეს სააკველიციო და უზენაესმა სასამართლოებმა. სამართალწარმოების სამართლიანობა ბატონმა კობიაშვილმა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: აღნიშნული დებულების მიხედვით,

ევროპული სასამართლოს ამოცანაა, დაადგინოს, იყო თუ არა სამართალწარმოება სამართლიანი მთლიანობაში, რაც მოიცავს მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოკვლევის გზების შეფასებას; კერძოდ, ჰქონდა თუ არა განმცხადებელს მტკიცებულების გასაჩივრების შესაძლებლობა და დაცული იყო თუ არა მხარეთა თანასწორობის პრინციპი. მართალია, კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს საქმის სამართლიანი განხილვის

⁹ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:\[%22%-22CASE%20OF%20KOBIASHVILI%20v.%20GEORGIA%22%22\],%22languageisocode%22:\[%22ENG%22\],%22documentcollectionid%22:\[%22JUDGMENTS%22,%22DECISIONS%22\],%22itemid%22:\[%22001-191544%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:[%22%-22CASE%20OF%20KOBIASHVILI%20v.%20GEORGIA%22%22],%22languageisocode%22:[%22ENG%22],%22documentcollectionid%22:[%22JUDGMENTS%22,%22DECISIONS%22],%22itemid%22:[%22001-191544%22]})

უფლებას, თუმცა, ის არ ადგენს მტკიცებულების დასაშვებობის რაიმე წესს, რაც, პირველ რიგში, ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანია. ევროპული სასამართლოს დანიშნულება არ არის იმის განსაზღვრა, კონკრეტული ტიპის მტკიცებულება, მაგალითად, ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, უნდა იყოს თუ არა დასაშვები ანდა განმცხადებელი არის თუ არა დამნაშავე; კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, არის შემდეგი: არის თუ არა სამართალწარმოება, მთლიანობაში, მტკიცებულების მოპოვებისთვის გამოყენებული წესის ჩათვლით, სამართლიანი. ეს მოიცავს სადავო „უკანონობის“ შეფასებას და სადავო კონვენციით გათვალისწინებული სხვა უფლებაა დარღვეული, დარღვევის ბუნების დადგენას.

მტკიცებულებების მოპოვების წესი: დადგენილება ჩხრეკის ჩატარების შესახებ წარმოადგენდა შაბლონურ ტექსტს, რომელშიც ხელით იყო ჩამატებული განმცხადებლის სრული სახელი და აღნიშვნა, რომ ის იყო ეჭვმიტანილი ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ფლობაში. დადგენილებაში არ ყოფილა მითითებული გარემოებები, რომლის გამოც საჭირო გახდა ჩხრეკის გადაუდებელი ჩატარება სასამართლოს ნებართვის გარეშე; ამასთანავე, საპროცესო დოკუმენტში იდენტიფიცირებული იყო განმცხადებლის სახელი, გვარი და მისამართი; ხოლო პოლიციის თანამშრომლები აცხადებდნენ, რომ ჩხრეკის ჩატარების საფუძველი იყო მათ ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაცია, რომლის თანახმად, გაურკვეველი პირი განსაზღვრულ მისამართზე იმყოფებოდა ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ. ჩხრეკის წინაპირობები, ისევე, როგორც მისი ჩატარების გარემოებები, ბოლომდე გაურკვეველი დარჩა. ევროპული სასამართლოს შეფასებით, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა სასამართლო ბრძანება, დადგენილებას *prima facie* ჰქონდა ხარვეზები, საქმის მასალებში არ მოიპოვება ოპერატიული ინფორმაცია, რამაც განაპირობა ჩხრეკა და მისი ჩატარების გარემოებებთან დაკავშირებული ჩვენებები იყო არათანმიმდევრული და ურთიერთსაწინააღმდეგო. გამოყენებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესი ეჭვქვეშ აყენებს მის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების სანდოობასა და სიზუსტეს.

მიეცა თუ არა განმცხადებელს შესაძლებლობა, სადავოდ გაეხადა მტკიცებულების ნამდვილობა და შეწინააღმდეგებოდა მის გამოყენებას: მტკიცებულების კანონიერება სასამართლო შემოწმებას დაექვემდებარა ორჯერ: პირველად ჩხრეკის ჩატარებისთანავე სასამართლო კონტროლის განხორციელებისას და მეორედ, საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე. პირველ შემთხვევაში პროცესი არ იყო შეჭიბრებითი ხასიათის და განმცხადებელს, კანონმდებლობის მიხედვით, არ შეეძლო ჩხრეკის კანონიერად ცნობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება. სასამართლოს ხელთ არ ჰქონდა დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩხრეკის სასამართლოს ბრძანების გარეშე ჩატარების შესახებ და ჩხრეკის ოქმი; ასევე, მას არ გადასცემია ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც, ოფიციალური ვერსიით, საფუძვლად დაედო ჩხრეკას; ამ პირობებში, ეროვნული სასამართლო არ იყო შესაბამისი პოზიციაში, შეეფასებინა ჩხრეკის კანონიერება. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა კანონმდებლობის დაცვით და არსებობდა მისი ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა. მეორე შემთხვევაში, საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე განმცხადებელმა როგორც საქალაქო, ასევე, სააპელაციო სასამართლოს წინაშე დააყენა მოთხოვნა ჩხრეკის ოქმის მტკიცებულებად გამოყენების დაუშვებლობის შესახებ, რაც სასამართლომ არ გაიზიარა. დაცვის მხარემ სასამართლოს წინაშე წამოწია ერთ-ერთი დამსწრის ჩვენებების ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათი (სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ სინამდვილეში ჩხრეკას არ შესწრებია და ჩვენება გამოძიებას ზეწოლის შედეგად მისცა) და მეორე დამსწრის ჩვენების სანდოობის პრობლემა მისი სამართალდამცავ ორგანოებთან აფილირების გამო (იყო პოლიციის თანამშრომელი და დამსწრე არაერთ საქმეზე); მიუხედავად ამისა, ეს საკითხები ეროვნულმა სასამართლომ გულმოდგინედ არ გამოიკვლია. ევროპული სასამართლოს დასკვნით, ზემოთ ხსენებული პროცედურული და მატერიალურ-სამართლებრივი ხარვეზები ვერ იქნება დაბალანსებული იმ უბრალო ფაქტით, რომ პოლიციის ოფიცრები სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის თანდასწრებით დაიკითხნენ.

სხვა მტკიცებულებები საქმეში: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის თანამშრომლები წარმოადგენდნენ ორგანოს, რო-

მელმაც დაიწყო განმცხადებლის წინააღმდეგ სამართალწარმოება, შესაბამისად, ისინი დაინტერესებულნი იყვნენ სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგით. მიუხედავად ამისა, მათი ჩვენებები ავტომატურად ობიექტურად მიიჩნია სასამართლომ, განსხვავებით, განმცხადებლის მეგობრების მიერ მიცემული ჩვენებებისგან, რომლებიც არ გაითვალისწინეს, როგორც სუბიექტური და არასანდო.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;
კონვენციის 41-ე მუხლი: 3500 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

ბართაია საქართველოს წინააღმდეგ¹⁰
BARTAIYA V. GEORGIA
№ 10978/06; 26.07.2018

დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანა ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელმა - ბატონმა ალექსანდრე ბართაიამ დამსაქმებლის-სტამბის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი. სასამართლო სხდომა ჩაინიშნა 2004 წლის 28 იანვარს. განმცხადებლის ადვოკატი ვერ ახერხებდა დასწრებას, რადგან მითითებულ დროს სხვა საქმის განხილვაში მონაწილეობდა. ადვოკატმა წერილობით მიმართა სასამართლოს და ითხოვა სხდომის გადადება აღნიშნული გარემოების გამო. მას სასამართლოსგან პასუხი არ მიუღია და, შესაბამისად, განხილვას განმცხადებელი მარტო დაესწრო. სხდომაზე მან, ასევე, მოითხოვა პროცესის გადადება ადვოკატის არყოფნის მიზეზით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის უარი საქმის განხილვაში მონაწილეობაზე მისი გამოუცხადებლობის ტოლფასი იყო და დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით არ დააკმაყოფილა მისი სარჩელი. ბატონი ბართაიას ადვოკატმა ეს გადა-

წყვეტილება გაასაჩივრა, თუმცა წარუმატებლად. სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა დაადგინეს, რომ რელევანტური ეროვნული სამართლის მიხედვით, არ არსებობდა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარის თქმის გამამართლებელი საფუძველი და სხვა საქმის განხილვაში ადვოკატის მონაწილეობა არ იყო დაუსრულებელი გადაწყვეტილების გაუქმების საპატიო მიზეზი; უფრო მეტიც, ბატონი ბართაია პირველი ინსტანციის მოსამართლემ გააფრთხილა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარის თქმის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ. განმცხადებელმა ევროპული სასამართლოს წინაშე გაასაჩივრა მისი საქმის განხილვისას მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი:

(ა) სახელმწიფო ორგანოებმა გამოიჩინეს თუ არა გულმოდგინება მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდებისას; თქვა თუ არა განმცხადებელმა უარი საკუთარ უფლებაზე - წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე და დაეცვა თავი:

ევროპული სასამართლო შეფასებით, განსახილველ საქმეში საქალაქო სასამართლო არ დაინტერესდა, არსებობდა თუ არა იმის მტკიცებულება, რომ განმცხადებელი და მისი ადვოკატი მოქმედებდნენ არაკეთილსინდისიერად და ცდილობდნენ პროცესის გაჭიანურებას. ეს იყო სასამართლო პროცესის გადადების შესახებ მათი პირველი შუამდგომლობა, რომელიც მათ სათანადოდ წარადგინეს. ეროვნული კანონმდებლობით, მხარეს აქვს უფლება, საქმე აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით. საკითხი, თუ რამდენად აუცილებელია სამართლიანი სამართალწარმოებისთვის ადვოკატის დახმარება, განხილულ უნდა იქნეს თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. განსახილველი საქმის საგანი იყო დელიკატური, ვინაიდან ის ეხებოდა ყოფილი დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთობას და მოწინააღმდეგე მხარეს ადვოკატი სათანადოდ წარმოადგენდა. სასამართლომ უპასუხოდ დატოვა ადვოკატის წერილობითი შუამდგომლობა და არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა სხდომის გადადების თაობაზე, ისე რომ არ შეუფასებია საქმის კონკრეტული გარემოებები

¹⁰ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%22Bartaiya%20v.%20Georgia%22%2C%22languageiso-code%22%3A%22ENG%22%2C%22documentcollectionid%22%3A%22JUDGMENTS%22%2C%22itemid%22%3A%22001-184815%22%7D>

და ხარისხიანი და სწრაფი მართლმსაჯულების ადმინისტრირების ინტერესები. მოსამართლემ დაასკვნა, რომ მხარის წარმომადგენლის არყოფნა არ იყო სასამართლო პროცესის ჩატარების დამაბრკოლებელი გარემოება. ევროპული სასამართლო არ ეთანხმება პოზიციას, რომ განმცხადებლის წარმომადგენლის მიერ უზენაესი სასამართლოს წინაშე სხვა საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება არ წარმოადგენს სასამართლო პროცესის გადადების საკმარის საფუძველს; ასეთი ზედმეტად ფორმალისტური და მოუქნელი მიდგომა ეწინააღმდეგება გულისხმიერების პრინციპს.

ევროპული სასამართლო, დამატებით, აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში ბატონი ბართაიას უარი, წარმომადგენლის გარეშე მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში, საქალაქო სასამართლომ ფაქტობრივად გააიგივა მის მიერ საკუთარ უფლებაზე უარის თქმასთან - სასამართლოს მისი მონაწილეობით განეხილა საქმე არსებითად. როდესაც პირველი ინსტანციის მოსამართლემ განმცხადებელს აცნობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგის შესახებ, მისთვის არ განუმარტავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გულისხმობდა მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე ავტომატურად უარის თქმას, მიზეზების მითითების გარეშე; და დაუსწრებელ გადაწყვეტილებებზე არ ვრცელდებოდა გასაჩივრების სტანდარტული პროცედურა.

(ბ) ითვალისწინებდა თუ არა ეროვნული კანონმდებლობა ახალი შეჯიბრებითი სამართალწარმოების შესაძლებლობას განმცხადებლისთვის, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა მის წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ:

სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა დაადგინეს, რომ განმცხადებელს ეცნობა მისი ქმედების შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ბატონ ბართაიას სამართლებრივი საკითხები არ განემარტა ადეკვატური და გასაგები ფორმით. სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებმა დაადგინეს, რომ განმცხადებლის წარმომადგენლის მიერ სხვა საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება არ არის სასამართლო პროცესის გადადების საპატიო მიზეზი და შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისთვის დაუშვებელი საფუძველების ამომწურავ ჩამონათვალში. ასეთ ვითარებაში ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებელს არ მიეცა საქმის განახლების შესაძლებლობა.

ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ბატონ ბართაიას ჰყავდა ადვოკატი, რომელიც პასუხისმგებელი იყო მის ინფორმირებულობაზე შესაბამისი სამართლებრივი პროცედურებისა და ნიუანსების თაობაზე. ვინაიდან საქალაქო სასამართლომ უპასუხოდ დატოვა მისი შუამდგომლობა საქმის გადადების თაობაზე, ადვოკატს უნდა ემოქმედა გულისხმიერად და განმცხადებლისთვის მიეცა რჩევა, როგორ უნდა მოქცეულიყო სასამართლოს სხდომაზე მისი არყოფნისას, მოვლენების ყველა შესაძლო სცენარით განვითარებისას. თუმცა, ევროპული სასამართლოს შეფასებით, ბატონი ბართაიას და მისი წარმომადგენლის ქმედებასთან შედარებით, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების გადაწყვეტილებამ არაპროპორციულად უარყოფითი შედეგები გამოიწვია.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის სამართალწარმოებაში ეფექტიანად მონაწილეობისა და მხარეთა თანასწორობის უფლება შეიზღუდა იმ მოცულობით, რომ არ შეესაბამებოდა საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპებს.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 1500 ევრო არამატერიალური ზიანისთვის და 1000 ევრო განუვლი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

**ჭოხონელიძე საქართველოს
წინააღმდეგ¹¹
TCHOKHONELIDZE V. GEORGIA
№ 31536/07; 28.06.2018**

**დანაშაულის პროვოკაციის შესახებ განაცხადის
არასათანადო განხილვა: დარღვევა**

ფაქტები: ქალბატონმა ქ-მ - ფარულმა აგენტმა აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს (შემდგომ: კუდ-ს), რომ განმცხადებელმა - მარნეულის რაიონის გუბერნატორის მოადგილემ, ელდარ ჭოხონელიძემ მას მოსთხოვა 30 000 დოლარი ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობის ნებართვის გაცემის სანაცვლოდ. ფარული აგენტის განმცხადებელთან შეხვედრები გადაიღეს და სატელეფონო საუბრები ჩაიწერეს. წინასწარ მარკირებული ბანკნოტების სახით ფულის ხელში გადაცემის შემდეგ, ბატონი ჭოხონელიძე დააკავეს. 2006 წლის 17 ივლისს ის სასამართლომ მსჯავრდებულად ცნო დახმარების სანაცვლოდ დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნისათვის და სასჯელის სახით შეუფარდა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მისი საჩივარი დანაშაულის პროვოკაციასთან დაკავშირებით არ გაითვალისწინა არც ერთი ინსტანციის სასამართლომ და აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

სამართალი - მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: ევროპული სასამართლოს წინაშე განმცხადებელი დავობდა, რომ მის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი იყო უკანონო, ვინაიდან ეფუძნებოდა დანაშაულის პროვოკაციის გზით მოპოვებულ მტკიცებულებებს და ეროვნულმა სასამართლოებმა აღნიშნული არგუმენტი სათანადოდ არ განიხილეს.

ევროპული სასამართლო, ძირითადად, განიხილავს, სამართალდამცავი ორგანოების ქმედებები იყო თუ არა მაპროვოცირებელი, რათა განმცხადებელს აელო ქრთამი ანუ სამართალდამცავი ორგანოები შემოიფარგლნენ თუ არა „დანაშაულებრივი საქმიანობის გამოძიების არსებითად პასიური მეთოდით“. ევროპული სასამართლოს მიერ მატერიალურ-სამართ-

ლებრივი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, შეიცავს თუ არა საქმის მასალები საკმარის ინფორმაციას ფარული საქმიანობის თაობაზე. თუ მატერიალურ - სამართლებრივი ტესტი დაუზუსტებელია ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ის გადავა მოკვლევის მეორე ეტაპზე - შეაფასებს პროცედურას, რომლითაც ეროვნულმა სასამართლოებმა დანაშაულის პროვოკაციის შესახებ საჩივარი განიხილეს.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ განმცხადებელს აღნიშნულ ინციდენტამდე ჩადენილი ჰქონდა კორუფციასთან დაკავშირებული სხვა დანაშაული, სასამართლომ არ ქონა, საქმის სხვა გარემოებებისგან განცალკევებით, არ შეიძლება აღქმული იყოს, როგორც დამადასტურებელი იმისა, რომ სამართალდამცავი ორგანოები არაკეთილსინდისიერად მოქმედებდნენ. გარდა ამისა, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა იმ პირის მიმართ, რომელმაც მიიღო ქრთამზე მოთხოვნა - ისე რომ ამ უკანასკნელს შეძლებოდა დანაშაულის ჩაწერა - არ შეიძლება გაიგივებული იყოს პოლიციის მიერ ფარული ოპერაციის ჩატარების დასაშვები ფარგლების გადამეტებასთან.

განმცხადებლის მიმართ პოლიციის მიერ განხორციელებულ ოპერაციის კანონიერებას ჩრდილი მიაყენა შემდეგმა ფაქტებმა: ფარული აგენტი კუდ-თან თანამშრომლობდა არაერთ საქმეში, და როდესაც პირველად შეხვდა განმცხადებელს, ის უკვე მოქმედებდა კუდ-ის ინსტრუქციით; თუმცა, მეორე მხრივ, ოფიციალური ვერსიით, განმცხადებლისთვის ქრთამი არ შეუთავაზებია ქალბატონ ქ-ს; ეს წინადადება მომდინარეობდა თავად ბატონი ჭოხონელიძისგან. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ეროვნული სასამართლოების წინაშე ამტკიცებდა, რომ მას არ ჰქონია ფულის პირადი მოხმარების განზრახვა, ეს მტკიცება ვერ ამართლებს, ფარულ აგენტთან საუბრის დროს, მის მიერ თანხის მიღების ინიციატივის გამოჩენას. აქედან გამომდინარე, მხოლოდ საქმის მასალებზე დაყრდნობა არ იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ ქალბატონ ქ-ს ჰქონდა აქტიური და გადამწყვეტი როლი იმ გარემოებების შექმნაში, რომლებმაც წარმოშვა ქრთამის აღების დანაშაული. ამრიგად, მატერიალურ-სამართლებრივი ტესტის გამოყენება არასაკმარისია.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ უნდა გააგრძელოს პროცედურული ტესტის გამოყენება

¹¹ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%22Tchokhonelidze%22%2C%22language-iso%22%3A%22ENG%22%2C%22documentcollectionid%22%3A%22JUDGMENTS%22%2C%22itemid%22%3A%22001-183946%22%7D>

და გამოიკვლიოს, ეროვნული სამართალწარმოების დროს ჰქონდა თუ არა განმცხადებელს შესაძლებლობა, ეფექტიანად წამოეჭრა პოლიციის მხრიდან დანაშაულის პროვოკაციის საკითხი.

ბატონი ჭოხონელიძის მიერ აღნიშნული საკითხის გაუღერების პასუხად, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი მის უარსაყოფად. პროკურატურის სრული დუმილი შეიძლება აიხსნას დაკისრებული მტკიცების ტვირთის შესრულების ობიექტური შეუძლებლობით, ვინაიდან ფარული ოპერაცია განხორციელდა ფორმალური ავტორიზაციისა და ზედამხედველობის გარეშე. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ფარული აგენტის ჩართვისთვის, განსხვავებით სხვა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა, სავალდებულო არ არის სასამართლოს ბრძანება და ზედამხედველობა. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნული კანონმდებლობა ადეკვატურად არ არეგულირებს ასეთი სახის ფარული ოპერაციის ჩატარებას.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურამ ვერ შეძლო დაკისრებული მტკიცების ტვირთის შესრულება, მათი უმოქმედობა ეროვნულ სასამართლოებს არ ათავისუფლებდა დანაშაულის პროვოკაციის შესახებ განმცხადებლის საჩივრის შესწავლის ვალდებულებისგან. სასამართლო განხილვის ეფექტიანობა უნდა შეფასდეს ეროვნული სასამართლოების გადანაცვებით დასაბუთებულობის გათვალისწინებით. შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სამართალწარმოების შედეგად, სასამართლოებს უნდა დაედგინათ ის მიზეზები, თუ რატომ დაიწყო განმცხადებლის წინააღმდეგ ფარული ოპერაცია, აგრეთვე, რა მოცულობით იყო ჩართული სამართალდამცავი ორგანო დანაშაულებრივ საქმიანობაში და რა სახის პროვოკაციას ან ზეწოლას დაექვემდებარა ბატონი ჭოხონელიძე; თუმცა, ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა გადანაცვებითებაში არ წარმოადგინეს არც ერთი მიზეზი, თუ რატომ უნდა იქნეს უარყოფილი განმცხადებლის კარგად დასაბუთებული ბრალდება. მათ ვერ უზრუნველყვეს სხვა მთავარი მოწმის - ქალბატონი ნ-ს, სასამართლო პროცესზე დაკითხვა; ბატონი ჭოხონელიძისა და ქალბატონ ქ-ს განცხადებით, აღნიშნული პირი სამართალდამცავების კიდევ ერთი ფარული აგენტი იყო. შესაბამისად, დანაშაულის

პროვოკაციის შესახებ განაცხადი სასამართლოს არ განუხილავს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით.

მთლიანობაში, განსახილველ საქმეში არ არსებობდა საკმარისი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც მოაწესრიგებდა განმცხადებლის წინააღმდეგ ფარული ოპერაციის დაწყებას, ფარული აგენტები არ მოქმედებდნენ მკაცრად პასიური ფორმით, პროკურატურამ ვერ შეასრულა დაკისრებული მტკიცების ტვირთი და სასამართლომ სათანადოდ არ განიხილა განმცხადებლის დასაბუთებული არგუმენტი დანაშაულის პროვოკაციის შესახებ; შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ მიმართული სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება არ შეესაბამებოდა საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის ცნებას.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 2500 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

შენიშვნა: კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის დადგენის მოთხოვნის ცალკე განხილვის საჭიროება არ არის.

გახარია საქართველოს წინააღმდეგ¹²

GAKHARIA V. GEORGIA

№ 30459/13; 17.01.2017

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, როდესაც არ არის მიღებული საკმარისი ზომები უწყების ჩასაბარებლად: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელმა - ბატონმა რევაზ გახარიამ და კ. გ.-მ თანაცხოვრება დაიწყო 1999 წელს. 2000 წელს მათ ქალიშვილი - ლ. გ. შეეძინათ. ის ბებიასთან (დედის დედასთან) იზრდებოდა

¹² [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:\[%22%22CASE%20OF%20GAKHARIA%20V.%20GEORGIA%22%22\],%22documentcollection-id%22:\[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22\],%22itemid%22:\[%22001-170342%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:[%22%22CASE%20OF%20GAKHARIA%20V.%20GEORGIA%22%22],%22documentcollection-id%22:[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22],%22itemid%22:[%22001-170342%22]})

საქართველოში. მშობლები საზღვარგარეთ ნავიძენ სამუშაოდ და მალევე დასცილდნენ ერთმანეთს. 2008 წელს კ. გ.-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს საკუთარ მისამართზე ქალიშვილის რეზიდენტად რეგისტრაციის მიზნით. სასამართლო პროცესის თაობაზე უწყება გაეგზავნა განმცხადებელს რეგისტრირებულ მისამართზე, მაგრამ კურიერმა ვერ შეძლო მისი ადრესატისთვის ჩაბარება, რადგან სახლი დაკეტილი იყო და მასში არავინ ცხოვრობდა. სასამართლო უწყება გაიგზავნა მხოლოდ ერთხელ. ინფორმაცია სამართალწარმოების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ - „24 საათში“. იმის გამო, რომ განმცხადებლის ადგილსამყოფელი ვერ დადგინდა, საქალაქო სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა სარჩელი. მოგვიანებით, სასამართლომ კიდევ ერთი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა, რომელიც ლ.გ.-ს ანიჭებდა საერთაშორისო პასპორტის აღების და მამის თანხმობის გარეშე საქართველოს ტერიტორიის დატოვების უფლებას. გადაწყვეტილებაში მითითებული არ ყოფილა, რა ვადით იზღუდებოდა მშობლის უფლება. ამჯერად უწყება ორჯერ გაიგზავნა უშედეგოდ განმცხადებლის რეგისტრირებულ მისამართზე. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომელიც ამ საქმეში ბავშვის ინტერესებს გამოხატავდა, თავადაც ცდილობდა განმცხადებელთან დაკავშირებას. უწყებამ მშობლებისგან გაარკვია, რომ განმცხადებელმა 2003 წელს გაყიდა სახლი და გაემგზავრა მოსკოვში. ორივე დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“ კანონით დადგენილი წესით.

2012 წლის 6 ივნისს განმცხადებელმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ორივე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. ის ამტკიცებდა, რომ მათ შესახებ მხოლოდ იმავე წლის მაისში შეიტყო. მან, ასევე, განმარტა, რომ არ იმყოფებოდა საქართველოში საქმის განხილვის დროს და ეს კარგად იცოდა მისმა ყოფილმა პარტნიორმა; დაუსწრებელი გადაწყვეტილებები გამოტანილი იყო არასამართლიანი პროცესის შედეგად, რადგან ის არ ყოფილა სათანადოდ გამოძახებული სასამართლოში. საქალაქო სასამართლომ განმცხადებლის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. სააპელაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: ევროპული სასამართლოს წინაშე ბატონი გახარია დავობდა, რომ სამართალწარმოება მის მიმართ არ ყოფილა სამართლიანი, რადგან მის შედეგად დაკარგა ყოველგვარი კონტაქტი ქალიშვილთან.

ა) იყო თუ არა სათანადო ზომები მიღებული მოპასუხისთვის უწყების ჩასაბარებლად: ევროპულმა სასამართლომ შეაფასა ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული ზომები სამართალწარმოების დაწყების შესახებ განმცხადებლის ინფორმირების მიზნით; ამასთან, ყურადღება მიაქცია ბატონი გახარიას განცხადებას, რომლის მიხედვით, მოსარჩელემ იცოდა, რომ ის საქართველოში არ იმყოფებოდა. თავად მოსარჩელესაც არ დაუმალავს, რომ ჰქონდა რეგულარული სატელეფონო კომუნიკაცია მასთან. მიუხედავად ამისა, სასამართლოს არ მოუთხოვია მოსარჩელისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება განმცხადებლის ადგილსამყოფელის შესახებ. აღნიშნული უმოქმედობა ეწინააღმდეგება სასამართლოს ვალდებულებას, გადაამოწმოს მოპასუხის მისამართი. მოსარჩელის მიერ არასწორი მისამართის დასახელების შემთხვევაში, სასამართლოს შეეძლო საქმე განუხილველად დაეტოვებინა; ასევე, შეეძლო დახმარება ეთხოვა რუსეთის ფედერაციისთვის, სადაც იმყოფებოდა განმცხადებელი.

ანალოგიურად, სასამართლოს არ უცდია, დაკავშირებოდა ადგილობრივ თვითმმართველობას ან ადგილობრივი პოლიციის განყოფილებას, რათა დაედგინათ განმცხადებლის ადგილსამყოფელი. აღნიშნული საშუალება ხელმისაწვდომი იყო სასამართლოსთვის.

ვინაიდან საქმე იყო სენსიტიური ხასიათის, სასამართლოს უნდა გამოეჩინა განსაკუთრებული გულისხმიერება. ამის სანაცვლოდ, იკვეთება სასამართლოს აშკარა დაუდევრობა, როდესაც ის ფორმალურად აგზავნის უწყებებს მისამართზე, სადაც, დადგენილია, რომ არ იმყოფება განმცხადებელი და აქვეყნებს გაზეთში, როდესაც არ არის მოსალოდნელი, რომ მას განმცხადებელი წაიკითხავს.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, როდესაც ბავშვის ინტერესები საფრთხის წინაშე დგას, ეროვნული სასამართლოები ვალდებული არიან, იმოქმედონ

გარკვეული სისწრაფით; თუმცა, სწრაფი სამართალწარმოებისთვის აუცილებელი არ არის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და სასამართლო უწყების გაგზავნის წესების გვერდის ავლა. არ არის სადავო, რომ ბავშვის გამგზავრება იყო სასწრაფო გარკვეული მიზეზის გამო; საქმეში არსებობდა შესაბამისი სამედიცინო დასკვნა, თუმცა, ის სათანადოდ არ შეუფასებია სასამართლოს. ამასთან, მშობლის უფლების ულიმიტო შეზღუდვა განხორციელდა ისე, რომ არ ყოფილა მცდელობა, ბალანსი მონახულიყო მამისა და ქალიშვილის კონკურენტულ ინტერესებს შორის.

მთლიანობაში, პროცესის სისწრაფეს სასამართლომ მიაღწია სხვა საპროცესო გარანტიების დაზიანებით, მხარეთა თანასწორობის პრინციპის სანინააღმდეგოდ. განმცხადებლის მხრიდან ადგილი არ ჰქონია უმოქმედობას, რადგან მან, უბრალოდ, არ იცოდა სამართალწარმოების შესახებ.

ბ) ჰქონდა თუ არა განმცხადებელს შესაძლებლობა, საქმე ხელახლა განხილულიყო მისი თანამონაწილეობით: დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურა არ ყოფილა ხელმისაწვდომი განმცხადებლისათვის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, რომელიც აითვლებოდა გაზეთ „24- საათში“ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 10 დღის შემდეგ. განმცხადებელს შეეძლო მისი გაუქმება მოეთხოვა მხოლოდ სამართალწარმოების შესახებ შეუტყობინებლობის საფუძველზე; თუმცა, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ასევე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლისთვის შეტყობინების მიწოდება კანონით დადგენილი წესით განხორციელდა. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნული მოსამართლეების ასეთი გადაჭარბებული ფორმალისტური მიდგომა სასამართლო დოკუმენტების გაგზავნის წესების განმარტებასთან დაკავშირებით არაგონივრული იყო და არაპროპორციული გავლენა ჰქონდა განმცხადებლის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებაზე.

ევროპული სასამართლო ითვალისწინებს ფაქტს, რომელზეც მიუთითეს ეროვნულმა სასამართლოებმა - განმცხადებელს არ მიუწოდებია განახლებული ინფორმაცია მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფლის შესახებ შესაბამისი

სარეგისტრაციო ორგანოებისთვის. მაშინაც კი, თუ დაგუშვებთ, რომ განმცხადებლის ქცევა გარკვეულწილად იყო დაუდევარი, ის ნეგატიური შედეგები, რაც საქართველოს სასამართლოებმა მიანიჭეს ამ ქცევას, იყო აშკარად არაპროპორციული. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნულმა სასამართლოებმა არ გამოიჩინეს გულისხმიერება - განმცხადებელს არ მიეცა შესაძლებლობა, საქმე ხელახლა განხილულიყო მისი მონაწილეობით.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 1500 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

შენიშვნა: კონვენციის მე-8 მუხლი: განმცხადებელი ასაჩივრებდა მშობლის უფლებების შეზღუდვას და შედეგად, საკუთარ ქალიშვილთან კონტაქტის დაკარგვას. ევროპული სასამართლოს შეფასებით, განმცხადებელს უნდა მიემართა ეროვნული სასამართლოსთვის პირდაპირ მშობლის უფლების აღდგენის, მეურვეობის ან ნახვის საათების განსაზღვრის მოთხოვნით; იმის გამო, რომ სამართლებრივი დაცვის ქმედითი შიდა საშუალებები არ არის ამონურული, განაცხადი ამ ნაწილში დაუშვებელია.

ჭიჭინაძე საქართველოს

წინააღმდეგ¹³

TCHITCHINADZE V. GEORGIA

№ 18156/05; 27.05.2010

დავის განახლება საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მხარის მონაწილეობის გარეშე: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელს – სულხან ჭიჭინაძეს ეკუთვნოდა სახლი და მომიჯნავე შენობა-ნაგებობები, რომლებიც განლაგებულია 284მ² ფართობის მიწის ნაკვეთზე, ბათუმში, აჭარის

¹³ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Tchitchinadze%22%22%22documentcollectionid%22:%5B%22GRAND-CHAMBER%22%22%22CHAMBER%22%22%22item%22:%5B%22001-98923%22%22%7D>

ავტონომიურ რესპუბლიკაში. 1994 წლის 8 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, განმცხადებელმა სახლის ნახევარი დაუთმო ბატონ გ-ს – იმუამად, აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს აშკარად შეუსაბამო თანხის – 150.000.000 კუპონის (300 ევროს) სანაცვლოდ. სახლის გაყიდვიდან მოკლე ხანში, განმცხადებელმა დატოვა ბათუმი და ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა რუსეთის ფედერაციაში. სავარაუდოდ, ასეთი ნაჩქარევი გამგზავრების მიზეზი იყო ბატონი გ-ს მხრიდან განმცხადებელზე მუდმივი ზეწოლა სახლის მეორე ნაწილის დათმობის მოთხოვნით. ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის შექმნილი დაძაბული ვითარების შედეგად, აჭარის მთავრობის წევრები, მათ შორის, ბატონი გ., გაიქცნენ ქვეყნიდან 2004 წლის მაისში.

იმავე წლის 25 აგვისტოს აჭარის ა/რ პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ბატონ გ-ს წინააღმდეგ, მის მიერ თანამდებობაზე ყოფნის დროს ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულის გამო. პროკურორმა აჭარის უმაღლეს სასამართლოს მიმართა, ბრალდებულის უძრავ-მოძრავი ქონების, მათ შორის, მანიაშვილის ქუჩაზე მდებარე ქონების კონფისკაციის მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილდა.

განმცხადებელმა სამოქალაქო სარჩელი შეიტანა ბატონ გ-ს წინააღმდეგ და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ მოტივით, რომ ხელშეკრულება დაადებინეს ზეწოლის ქვეშ. 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაადასტურა განმცხადებლის საკუთრების უფლება სადავო ქონებაზე, რაც, მოგვიანებით, დაარეგისტრირა ბათუმის მიწის რეესტრის სააგენტომ; შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მითითებულ უძრავ ქონებასთან მიმართებით შეწყვიტა კონფისკაციის პროცესი.

2005 წლის 24 მარტს, აჭარის პროკურატურამ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით და ითხოვა 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სამოქალაქო საქმის განახლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, იმ მოტივით, რომ ქონება უკვე ექვემდებარებოდა კონფისკაციას და შეტანილი იყო სასამართლოს მიერ დამტკიცებულ სიაში; შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს პროკურატურა მესამე

მხარედ უნდა ჩაერთო სამოქალაქო საქმეში. 2005 წლის 30 სექტემბრის სასამართლო გადაწყვეტილებით, აღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რადგან მოთხოვნა ვადის დარღვევით იყო წარმოდგენილი.

2004 წლის 10 ოქტომბერს, ნოტარიუსმა, რომელმაც 1994 წლის 8 აპრილს დაამოწმა ნასყიდობის ხელშეკრულება, ითხოვა 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და პროცესის განახლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ნოტარიუსი ჩიოდა, რომ იგი ჩართული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო საქმეში მოპასუხის სტატუსით, რადგანაც პირადად იყო პასუხისმგებელი აღნიშნული ხელშეკრულების იურიდიულ ძალაზე. კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დაცვასთან დაკავშირებით, ნოტარიუსი აცხადებდა, რომ მან ამ გადაწყვეტილების არსებობის შესახებ პირველად ადგილობრივი გაზეთიდან „ბათუმელები“ შეიტყო 2005 წლის 28 სექტემბერს. 2005 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნები დააკმაყოფილა.

მითითებული გადაწყვეტილებების შესახებ ბატონმა ქიჭინაძემ ბათუმის საქალაქო სასამართლოსგან მიღებული ამანათიდან შეიტყო, რომელიც მას 2006 წლის 2 მარტს გაუგზავნეს.

მოგვიანებით, სასამართლომ მიიღო განჩინება საქმის განუხილველად დატოვების შესახებ და სადავო ქონება გადავიდა სახელმწიფოს საკუთრებაში.

ბატონმა ქიჭინაძემ მისი საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის უფლებისა და საკუთრების უფლების დარღვევის დასადგენად ევროპულ სასამართლოს მიმართა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი: საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის უფლება უნდა განიმარტოს კონვენციის პრეამბულის კონტექსტში, რომლის თანახმადაც, კანონის უზენაესობა მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა საერთო მემკვიდრეობაა. კანონის უზენაესობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტი არის სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი – სასამართლო თუ გადაწყვეტს საკითხს, მისი გადაწყვეტილება არ უნდა დადგეს ეჭვქვეშ. ეს კონცეფცია ხაზს უსვამს, რომ მხარეს არ

უნდა ჰქონდეს საბოლოო და ძალაში შესული გადაწყვეტილების გადახედვის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმიტომ, რომ მიაღწიოს საქმის ხელახლა მოსმენასა და საკითხის ახლებურად გადაწყვეტას. ამ პრინციპიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აუცილებელია არსებითი და უდავო გარემოებების წარმოშობის გამო. გარდა ამისა, საკუთრების არსებობა, რომელიც დადასტურებულია სავალდებულო და საბოლოო განჩინებით, წარმოადგენს ამ განაჩენის ბენეფიციარის საკუთრებას კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის გაგებით. ასეთი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა უტოლდება საკუთრებით მშვიდობიან სარგებლობაში ჩარევას.

ევროპული სასამართლოს ამოცანაა, დაადგინოს, განხორციელდა თუ არა პროცესის განახლება სათანადოდ და დარწმუნდეს, რომ ეს არ ემსახურებოდა სხვა მიზნებს, გარდა იმისა, რომლის მისაღწევადაც არის განსაზღვრული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებებით.

ევროპულ სასამართლოს მიუღებლად მიაჩნია ის ფაქტი, რომ 2005 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში ბათუმის საქალაქო სასამართლომ საკუთარი პოზიცია დაასაბუთა მხოლოდ ნოტარიუსის არგუმენტებზე დაფუძნებით, ისე რომ არ დაინტერესებულა განმცხადებლის საპასუხო პოზიციით ზეპირი მოსმენის ფარგლებში ან, სულ მცირე, წერილობითი პროცედურის მეშვეობით. ქალაქის სასამართლოს თავი არ შეუწუხებია ისეთი სერიოზული პროცესუალური დარღვევის მიზეზების დასახელებით, რომელიც უკავშირდებოდა მისსავე ქმედებას. შედეგად, განმცხადებელი გაუმართლებლად აღმოჩნდა უთანასწორო პირობებში ოპონენტის პირისპირ. საქმის მასალები არ შეიცავს საკმარის მტკიცებულებებს იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ 2005 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება, როგორც განმცხადებელი ირწმუნება, იყო უკანონო, თუმცა, ევროპული სასამართლო თვალს ვერ დახუჭავს იმ სავალალო ფაქტზე, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ განმცხადებელი დაიბარა პროცესზე ზემოთ მითითებული თარიღის გასვლის შემდეგ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს არ გაუკრიტიკებია ნოტარიუსის განცხადება, რომლის თანახმადაც, მან 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო ადგილობრივი გაზეთიდან 2005 წლის 28 სექ-

ტემბერს. ევროპული სასამართლო მიაჩნევს, რომ ნოტარიუსის განცხადებები უნდა შემოწმებულიყო სათანადო გულმოდგინებითა და ზედმინვნით. ნათელია, რომ ნოტარიუსს უნდა ეჩვენებინა, რომ გამოჩენილი ძალისხმევის მიუხედავად, მას არ შეეძლო მოეპოვებინა ინფორმაცია იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც ზღუდავდა მისი უფლებამოსილების გამოყენებას. ამასთან, ინდივიდუალური ნოტარიუსები, რომლებიც გაერთიანებული არიან ნოტარიუსთა პალატაში, იმყოფებიან იუსტიციის სამინისტროს უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. ნათელია, რომ სამინისტრო, რომელიც მოქმედებს ორი დაქვემდებარებული სააგენტოს – ნოტარიუსთა პალატისა და მინის რეესტრის სააგენტოს მეშვეობით – ყველა ეტაპზე ინფორმირებული იყო განმცხადებლის სამოქალაქო საქმის შესახებ. ასეთ პირობებში, სასამართლოს მიუღებლად მიაჩნია, რომ ნოტარიუსმა, 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადებით, მოიხსნა თანმდევი მტკიცების ტვირთი.

ევროპული სასამართლოსთვის ყველაზე შემაშვოთებელია ის ფაქტი, რომ სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა ნოტარიუსმა, რომელიც არ ყოფილა დავის მხარე და არ ჰქონდა შესაბამისი უფლებამოსილება. იმ შემთხვევაშიც, თუ დავუშვებთ, რომ მისი საქმიანი რეპუტაცია შეილახა, ასეთი რადიკალური ზომის სანაცვლოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს შეეძლო მისთვის ერიჩა ბატონი ჭიჭინაძის წინააღმდეგ ახალი სარჩელის შეტანა.

ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რაც არღვევს სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს, არის ჩარევა განმცხადებლის მიერ საკუთარი ქონებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში, წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პროცესის განახლების პროცედურის ბოროტად გამოყენებას და იწვევს განმცხადებლისთვის ზედმეტი და არაპროპორციული ტვირთის დაკისრებას.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და 1-ლი ოქმის 1-ლი პუნქტი: დარღვევა 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის გამო.

კონვენციის 41-ე მუხლი: 5000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის; განმცხადებელს დაუბრუნდეს სადავო ქონება ან, თუ ეს შეუძლებელია, გადაუხადონ კომპენსაცია. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან სამი თვის ვადაში, მაშინ ევროპული სასამართლო იტოვებს უფლებას, თავად განსაზღვროს მთავრობის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობა.

**დონაძე საქართველოს
წინააღმდეგ¹⁴
DONADZE V. GEORGIA
№ 74644/01; 07.03.2006**

სასამართლოს მიერ ერთი მხარის არახელსაყრელ პირობებში ჩაყენება მეორე მხარესთან შედარებით: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი გივი დონაძე არის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი. 1962 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში. 1991 წელს ხელმძღვანელის მხრიდან შევიწროების გამო, იძულებული გახდა, გადასულიყო რობოტული ტექნიკის განყოფილებაში, ინსტიტუტის ახალ შენობაში. იქ მას არ გამოუყვეს ოთახი 1998 წლამდე და 2000 წლამდე ვერ მიიღო უფლება, გადაეტანა თავისი ძველი ლაბორატორიის აპარატურა.

1999 წელს ბატონი დონაძე აღმოჩნდა განთავისუფლების კანდიდატთა სიაში, მიუხედავად იმისა, რომ „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თანამშრომელთა შემცირების მოტივით, მისი განთავისუფლება არ შეიძლებოდა. საბოლოოდ, მან შეინარჩუნა სამსახური, მაგრამ ამ სიაში ყოფნის გამო მან ვერ მიიღო ხარისხის შესაბამისი სახელფასო დანამატი; აგრეთვე, არ მიუღია თვიური სახელფასო დანამატები, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის და მისი ოჯახისთვის.

2000 წლის 20 იანვარს თბილისის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის სარჩელი ზიანის ანაღურების შესახებ, იმ მოტივით, რომ საქმის განხილვის დროისათვის მას გააჩნდა სამუშაო ოთახი, მაშინ, როდესაც დავის საგანს წარმოადგენდა სადავო ოთახის არარსებობა 1991-1998 წლებში და იქ ლაბორატორიის მოწყობის შესაძლებლობის არქონა 1998-2000 წლებში, რამაც მას ხელი შეუშალა დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში. განმცხადებელმა გააპროტესტა ის ფაქტი, რომ მის მიერ მოწმედ დასახელებული რობოტული ტექნიკის განყოფილების დირექტორი სასამართლოს დერეფანში იცდიდა, მაგრამ ის არ დაიკითხა.

ბატონმა დონაძემ სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა საჩივარი საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნ.დ-ს მიკერძოებული ქმედებების შესახებ, კერძოდ, ამ უკანასკნელმა განმცხადებელს მიმართა: „ეს ტექნიკური საქმეა, მე არ მესმის... და კიდევ, დამლაღა თქვენი მოხსენების კითხვამ“; ის განმცხადებელს მთელი პროცესის განმავლობაში აწყვეტინებდა სიტყვას; მოპასუხე მხარეს კი აძლევდა შესაძლებლობას, დაუბრკოლებლად გამოეხატა საკუთარი პოზიცია; მოსამართლემ, რომელიც საქმეს საკუთარ კაბინეტში, ღუმელთან ისმენდა, განმცხადებელს უთხრა: „კი, მაგრამ თქვი, რამდენი გინდა. გარწმუნებ, გადაგიხდის და დავამთავროთ ეს საქმე!“ ბატონმა დონაძემ არ უპასუხა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ ზიანის ოდენობის დადგენამდე, საჭირო იყო საქმის არსებითად განხილვა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვებს ზემდგომმა ინსტანციებმა. განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა მისი საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის უფლების მრავალჯერადი დარღვევის ფაქტები.

სამართალი: კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: შიდა სამართლებრივი ნორმების განმარტება და გამოყენება ეროვნული სასამართლოს ვალდებულებაა. ევროპული სასამართლო არ არის უფლებამოსილი, თავად შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები ან დაადგინოს, ეროვნულმა სასამართლომ სწორად შეაფასა თუ არა ფაქტები ან სწორად გამოიყენა თუ არა კანონი. მისი ამოცანაა, დაადგინოს, იყო თუ არა

¹⁴ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%22%22CASE%20OF%20DONADZE%20V.%20GEORGIA%22%22%22%22documentcollection-id%22%3A%22GRANDCHAMBER%22%22CHAMBER%22%22itemid%22%3A%22001-72676%22%7D>

უზრუნველყოფილი პროცედურული გარანტიები და, მთლიანობაში, განმცხადებლის საქმე განიხილა თუ არა სამართლიანმა სასამართლომ, ჰქონდა თუ არა ორივე მხარეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოედგინა თავისი საქმე თანაბარ პირობებში.

საქმის გარემოებათა შესწავლის შედეგად, ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს მოპასუხე მხარის ჩვენებებს. მასში არ ჩანს, რომ განმცხადებლის არგუმენტები სასამართლომ გულდასმით განიხილა. სხვადასხვა ფაქტისა და თარიღის არევით ეროვნულმა სასამართლომ განმცხადებელს მიაწერა ისეთი გამონათქვამები, რომლებიც მას არ ეკუთვნოდა. სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ფაქტებს, რომლებსაც განმცხადებელი თავის საჩივრებში არ აპროტესტებდა და, რომლებიც დავის საგანთან შემხებლობაში არ იყო.

ეროვნულმა სასამართლოებმა არ დაადგინეს, რომ განმცხადებელი მოკლებული იყო ნორმალურ სამუშაო პირობებს, მიუხედავად იმისა, რომ საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას თავად ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ 1998 წლის მაისში განმცხადებელი გადაიყვანეს რობოტული ტექნიკის განყოფილებაში და მხოლოდ 2000 წელს მიიღო თავისი ლაბორატორიის აღჭურვილობის გადატანის ნებართვა; სასამართლოებმა, ასევე, არ სცადეს, გაერკვიათ სახელფასო დანამატების კატეგორიებს შორის განსხვავებები (დანამატი სამეცნიერო პროექტში მონაწილეობისათვის და დანამატი დაკავშირებული ხარისხთან), რომელთა მიღების უფლებაც ჰქონდა განმცხადებელს, აგრეთვე, არ დაინტრესებულან დანამატების გადაუხდელობის ან გაუქმების მიზეზებით და არ შეუფასებიათ ამასთან დაკავშირებით ადმინისტრაციის ქმედებები.

ბატონი დონაძის ვრცელი დამატებითი სააპელაციო საჩივარი გაიბნა იმ სააპელაციო სასამართლოში, რომლის მოსამართლეს საყვედურობდა აპელანტს მისი ჩვენებების დამადასტურებელი საბუთების არქონის გამო, მაშინ როდესაც ეს მტკიცებულებები ფიგურირებდა ხსენებულ დამატებით საჩივარში. უზენაესმა სასამართლომ, რომელსაც უნდა განეხილა საჩივარი ამასთან

დაკავშირებით, აღნიშნულ არგუმენტს თავის დადგენილებაში პასუხი არ გასცა. ამის თაობაზე მთავრობას მოსაზრება არ წარმოუდგენია.

განსახილველ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ფორმულირებული დასკვნები არ ადასტურებს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საფუძვლიანად განიხილეს განმცხადებლის არგუმენტები და თავიანთი მსჯელობა დააფუძნეს მის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, როგორც მათ ეს გააკეთეს მოპასუხე მხარესთან მიმართებით; ბატონი დონაძე, მოპასუხე მხარესთან შედარებით, ჩააყენეს აშკარად არახელსაყრელ პირობებში.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი:
დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 3500 ევრო მიყენებული ზიანისთვის მთლიანობაში და 300 ევრო განუული ხარჯებისა და დანარჯებისთვის.

იხ. აგრეთვე: *Bykov v. Russia*, no. 4378/02, 10 March 2009; *Rowe and Davis v. the United Kingdom* no. 28901/95, 16 February 2000; *Lisica v. Croatia*, no. 20100/06, 25 February 2010; *Layijov v. Azerbaijan*, no. 22062/07, 10 April 2014; *Sakit Zahidov v. Azerbaijan*, no. 51164/07, 12 November 2015; *Svetina v. Slovenia*, no. 38059/13, 22 May 2018; *Ternovskis v. Latvia*, no. 33637/02, 29 April 2014; *Gankin and Others v. Russia*, no. 2430/06, 1454/08, 11670/10 and 12938/12, 31 May 2016; *Milovanova v. Ukraine* no. 16411/03, 2 October 2007; *Dilipak and Karakaya v. Turkey*, no. 7942/05 and 24838/05, 4 March 2014; *Carmel Saliba v. Malta*, no. 24221/13, 29 November 2016; *Gyuleva v. Bulgaria*, no. 38840/08, 9 June 2016; *N.J.D.B. v. the United Kingdom*, no. 76760/12, 27 October 2015; *Miliniénė v. Lithuania*, no. 74355/01, 24 June 2008; *“the former Yugoslav Republic of Macedonia,”* no. 18002/02, 16 July 2009; *Bannikova v. Russia* no. 18757/06, 4 November 2010; *Pravednaya v. Russia*, no. 69529/01, 18 November 2004; *Bulfinisky v. Romania*, no. 28823/04, 1 June 2010; *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, no. 14448/88, 27 October 1993; *Popov v. Moldova*, no. 19960/04, 6 December 2005; *zgurKaraduman v. Germany*, no. 4769/02, 26 June 2007; *Weber v. Germany* no. 30203/03, 2 October 2007; and *Zavodnik v. Slovenia*, no. 53723/13, § 70, 21 May 2015). *Aždajić v. Slovenia*, no. 71872/12, 8 October 2015.

გონივრული ვადის მოთხოვნა

კვიციანი საქართველოს

წინააღმდეგ¹⁵

KVITSIANI V. GEORGIA

№ 16277/07; 21.07.2009

ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება: დარღვევა

ფაქტები: 1997 წლის 15 სექტემბერს მესტიის რაიონში პოლიციის მიერ ოპერაციის ჩატარებისას შემთხვევით დაიწვა განმცხადებლის – ამირან კვიციანის საცხოვრებელი სახლი და მიმდებარე სამეურნეო შენობებიც.

განმცხადებელმა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საჩივარი შეიტანა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ, და 2000 წლის 27 დეკემბრის სასამართლო გადაწყვეტილებით, მოპასუხე ხელისუფლების ორგანოებს დაეკისრათ მისთვის 60,000 ლარის გადახდა კომპენსაციის სახით. სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით, გადახდა უნდა განხორციელებულიყო 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მითითებული გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და შესაბამისად, 2002 წლის 2 ოქტომბერს ძალაში შევიდა.

2002 წლის 19 ნოემბერს თბილისის რაიონულმა სასამართლომ მოპასუხე ორგანოების მიმართ გამოსცა სააღსრულებო ფურცელი, სადაც კიდევ ერთხელ მიუთითა განმცხადებლის მიმართ არსებული დავალიანების გადახდის ვალდებულებაზე; თუმცა, სახელმწიფო ორგანოებს ამაზე რეაგირება არ მოუხდენიათ.

2003 წლის 8 იანვარს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების დეპარტამენტმა მოუწოდა მოპასუხე ორგანოებს, ნებაყოფლობით გადაეხადათ სასამართლოს გადაწყვეტილებით დაწესებული დავალიანება მომდევნო სამი თვის განმავლობაში და გააფრთხილა, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მიმართ იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს გაატარებდა. განსაზღვრული ვადა ამოინურა და დავალიანება კვლავ გადაუხდელი დარჩა, თუმცა, მითითებული ზომები არ გამოუყენებიათ.

2006 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით, განმცხადებლის თხოვნის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2000 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებიდან ამოიღო მითითება დავალიანების 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფარვის შესახებ, როგორც ობიექტურად აღუსრულებადი დებულება. 2007 წლის 4 სექტემბერს საქალაქო სასამართლომ გამოსცა შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი.

2008 წლის 2 აპრილს წინა - 2002 წლის 19 ნოემბრის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, აღსრულების დეპარტამენტმა მოსთხოვა საქართველოს ეროვნულ ბანკს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაწესებული დავალიანების გადახდა. ამ უკანასკნელმა ეს გადახდა განახორციელა 2008 წლის 4 აპრილს და სამი დღის შემდეგ განმცხადებელმა სრულად დაიბრუნა ვალი.

სასამართლო გადაწყვეტილების ხანგრძლივი აღუსრულებლობა განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და პირველი ოქმის 1-ლი პუნქტი:

პირი, რომლის სასარგებლოდ არის გამოტანილი გადაწყვეტილება სახელმწიფოს წინააღმდეგ დავაზე, არ უნდა იყოს ვალდებული, ცალკე აღძრას სააღსრულებო წარმოება. განსახილველ საქმეში მოპასუხე სახელმწიფოს დაეკისრა პასუხისმგებლობა 2000 წლის 27 დეკემბრის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე მისი ძალაში შესვლის მომენტიდან, ანუ 2002 წლის 2 ოქტომბრიდან. აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულდა ხუთი წლისა და ექვს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს პერიოდი არაგონივრულად ხანგრძლივია, განსაკუთრებით, აღნიშნული სააღსრულებო წარმოების სიმართივის, მხარეების ქცევისა და გამცხადებლის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებული დავალიანების დროულად მიღების მნიშვნელობის გათვალისწინებით. მთავრობას არ დაუსახელებია გარემოება, რომელიც ამ ვითარებას გაამართლებდა. სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების არარსებობა ასეთ არგუმენტად ვერ გამოდგება.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებები საკმარისია დასკვნისათვის, რომ ადგილობრივი ორგანოების

¹⁵ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-93750%22%5D%7D>

მიერ ხუთწლიანადნახევრის განმავლობაში ძალაში შესული გადაწყვეტილების განმცხადებლის სასარგებლოდ აღუსრულებლობით შეილახა მისი უფლება სამართლიან სასამართლოზე და ხელი შეეშალა საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობის უფლების განხორციელებაში.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი: დარღვევა;
კონვენციის 41-ე მუხლი: 3000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

შენიშვნა: კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევის დადგენის მოთხოვნის ცალკე განხილვა საჭირო აღარ არის.

კობელიანი საქართველოს წინააღმდეგ

KOBELIAN V. GEORGIA¹⁶

№ 40022/05; 16.07.2009

სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოების გაჭიანურება: დარღვევა

ფაქტები: 2000 წლის 20 ივლისს განმცხადებლის - ლევან კობელიანის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური დანაშაულების ბრალდებით. 2001 წლის 30 ივნისს საქმე განსახილველად გადაეცა ნინოწმინდის რაიონულ სასამართლოს. 2005 წლის 18 იანვარს ასპინძის რაიონულმა სასამართლომ, რომლის განსჯადიც გახდა აღნიშნული საქმე, დაადგინა, რომ პროკურატურის მიერ წარდგენილი საბრალდებო დასკვნა შეიცავდა ხარვეზებს და არ ჩატარებულა განმცხადებლის საქმიანობის ფინანსური აუდიტი. ამ საფუძვლით სასამართლომ საქმე დააბრუნა დამატებითი გამოძიებისთვის. 2005 წლის 17 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა აღნიშნული გადაწყვეტილება, და რაიონულ სასამართლოს მიუთითა, რომ უნდა

გაეგრძელებინა საქმის არსებითად განხილვა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2005 წლის 14 ივლისს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა.

2006 წლის 11 აგვისტოს განმცხადებელი ბრალდების ნაწილში გაამართლეს და ნაწილში დამნაშავედ ცნეს, მაგრამ, ხანდაზმულობის გამო, მას სასჯელი არ შეფარდებია. აღნიშნული განაჩენი ძალაში დატოვა ჯერ თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2006 წლის 23 ოქტომბერს და შემდეგ უზენაესმა სასამართლომ – 2007 წლის 15 მაისს.

ბატონმა კობელიანმა სამართალწარმოების ხანგრძლივობა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი:

განსახილველ საქმეში სამართალწარმოება სამივე ინტანციაში გაგრძელდა 6 წელს, 9 თვესა და 25 დღეს. ამ პერიოდის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის გარემოებებისა და შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: საქმის სირთულე, განმცხადებლისა და პასუხისმგებელი ორგანოების ქმედებები.

სამართალწარმოების გაჭიანურების გასამართლებლად საქართველოს მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე ფაქტი ან არგუმენტი. ევროპული სასამართლოსთვის განსაკუთრებით გაუგებარია, თუ რატომ მიმდინარეობდა საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში 2001 წლის 12 ივლისიდან 2005 წლის 18 იანვრამდე.

ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, განსახილველ საქმეში დარღვეულია „გონივრული ვადის“ მოთხოვნები.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 1000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

¹⁶ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Kobelyan%22%22%22documentcollectionid%22:%5B%22GRAND-CHAMBER%22%22%22CHAMBER%22%22%22itemid%22:%5B%22001-93582%22%22%7D>

ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ¹⁷

KHARITONASHVILI V. GEORGIA

№ 41957/04; 10.02.2009

სამოქალაქო საქმის განხილვის გაჭიანურება: დარღვევა

ფაქტები: 2000 წლის 26 იანვრის ჩუქების ხელშეკრულებით, განმცხადებლის – ლალი ხარიტონაშვილის დედამ სახლი გადასცა სამ შვილს, მათ შორის, განმცხადებელს. აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელის კუთვნილი სახლის წილი ეკავა ოჯახის ნათესავს-ბატონ ე-ს 1923 წლიდან. განმცხადებლისა და ბატონ ე-ს სამართალმემკვიდრეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა იყო არაფორმალური იჯარა, რომლის ფარგლებშიც მოიჭარებებს საკუთრება ეკავათ კონკრეტული პირობების გარეშე. 2000 წლის 17 თებერვალს ქალბატონმა ხარიტონაშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს ბატონ ე-სა და მისი ოჯახის გასახლების მოთხოვნით.

2000 წლის 29 თებერვალსა და 20 ივლისს შორის პერიოდში სასამართლო მოსმენა ოთხჯერ გადაიდო განმცხადებლის მოთხოვნით; მოგვიანებით, გადაიდო მოპასუხეთა გამოუცხადებლობისა და მათ მიერ მოთხოვნილი, სადავო სახლის ტექნიკური შეფასების გამო; რაიონულმა სასამართლომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექპერტს მიმართა რამდენიმე საკითხზე და მისთვის პასუხის გაცემის ბოლო ვადა არ მიუთითებია. 2001 წლის 5 თებერვლიდან 2 ივლისამდე პერიოდში, მოსმენა ხუთჯერ გადაიდო განმცხადებლის მოთხოვნით – მისი ავადმყოფობის, ადვოკატის აყვანისა და მისი საზღვარგარეთ გამგზავრების გამო. 2001 წლის 26 დეკემბერსა და 2002 წლის 27 თებერვალს დანიშნული მოსმენები მოსამართლის ბიულეტენისა და მოპასუხეთა ადვოკატის დაუსწრებლობის მიზეზებით არ შედგა. 2002 წლის 10 აპრილიდან 27 მაისამდე პერიოდში საქმის მოსმენა სამჯერ გადაიდო მოპასუხეთა ადვოკატის მოთხოვნით საქმის მასალების გასაცნობად. 2002 წლის 3 ივნისს მოპასუხეებმა რაიონულ სასამართლოს სთხოვეს გასახლების პროცესის გადავადება სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, რაც რამდენიმე

უარის შემდეგ დაკმაყოფილდა. 2003 წლის 2 ოქტომბრიდან 2004 წლის 23 იანვრამდე, მოსმენა ხუთჯერ გადაიდო მხარეთა თხოვნით. შემდეგ განხორციელდა საქართველოს სასამართლო სისტემის რეორგანიზაცია, რის შედეგადაც შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო, რომელსაც გადაეცა წინამდებარე საქმე. სასამართლო მოსმენა კვლავ მრავალჯერ გაიდაიდო სხვადასხვა მიზეზით. საბოლოოდ, ევროპულ სასამართლოში განაცხადის განხილვის დროისთვის პროცესი კვლავაც მიმდინარეობდა საქალაქო სასამართლოში და ის უკვე 8 წელიწადსა და თერთმეტ თვეზე მეტ დროს ითვლიდა.

ქალბატონმა ხარიტონაშვილმა სამართალწარმოების ხანგრძლივობა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი

პუნქტი: პროცესის ხანგრძლივობის გონივრულობა ფასდება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე და შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: საქმის კომპლექსურობა და სირთულე, განმცხადებლისა და შესაბამისი უწყებების ქმედებები, განმცხადებლის ინტერესი დავის საგნის მიმართ.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის დავა დაიწყო საბჭოთა პერიოდში და იჯარის სპეციფიკურ ელემენტებს ეხებოდა, რომელსაც ითვალისწინებდა საბჭოური სამოსახლო კანონი („отсутной“), ევროპული სასამართლო გასახლების პროცესს აფასებს, როგორც კომპლექსურს.

პროცესი აშკარად მნიშვნელოვანი იყო განმცხადებლისთვის, ვინაიდან ეხებოდა მისი საკუთრების უფლებას ოჯახისგან მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ ქონებაზე.

რამდენიმე სასამართლო სხდომა გადაიდო განმცხადებლის მოთხოვნით და ის იყო სიტყვაუხვი თავისი პოზიციის ფორმულირებისას, რაც სამართალწარმოების ტემპს გარკვეულწილად აფერხებდა; თუმცა, ამ მიზეზით საქმის განხილვა გახანგრძლივდა მხოლოდ ერთიდან ორ თვემდე. შესაბამისად, განმცხადებლის ქმედებები არ წარმოადგენდა მთლიანი პროცესის გაჭიანურების მიზეზს; მისი მოთხოვნების უმეტესობა განპირობებული იყო შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვების საჭიროებით.

¹⁷ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-91240%22%5D%7D>

ევროპული სასამართლოსათვის მისაღებია მთავრობის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ, მთლიანობაში, სხდომები რეგულარული ინტერვალებით იმართებოდა. ასევე, რაიონული სასამართლოს 2004 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება გასახლების პროცესის დროებით შეჩერების თაობაზე გონივრული გადაწყვეტილება იყო.

განსახილველ საქმეში მთავრობას დამატებული ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია იმის თაობაზე, თუ რატომ იყო უმოქმედოდ ადგილობრივი სასამართლო დაახლოებით შვიდი თვის მანძილზე – 2006 წლის 13 მარტამდე, მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა 2005 წლის 20 ივლისს დააყენა პროცესის განახლების შუამდგომლობა.

სამწუხარო ფაქტია, რომ გასახლების პროცესი მიმდინარეობდა უკვე 8 წლისა და 11 თვის მანძილზე, პირველი ინსტანციის სასამართლო კი კვლავაც სანყის ეტაპზე არსებული საპროცესო სირთულეების წინაშე იდგა, კერძოდ, იხილავდა სადავო სახლის ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების საჭიროებას.

მთავრობა ვითარებას ხსნიდა დაყოფიებული საქმეების დიდი ოდენობითა და სასამართლო სისტემის რეორგანიზაციით. ევროპული სასამართლოს შეფასებით, საქმეების ქრონიკული დაგროვება არ არის გაჭიანურების დასაბუთებული ახსნა და აგრეთვე, სახელმწიფოს ვალდებულებაა, უზრუნველყოს სასამართლო სისტემის ორგანიზება ისე, რომ თითოეულ მოქალაქეს შეეძლოს საკუთარი სამოქალაქო უფლებების და ვალდებულებების „გონივრულ ვადაში“ დაცვა.

ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ საქმეში მთავარი პრობლემა არის ის, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა არ მიიღეს ეფექტიანი დისციპლინური ზომები მხარეების მიმართ და არ უზრუნველყვეს პროცესის ორგანიზებული მსვლელობა; მაგალითად, ადგილობრივ სასამართლოებს რომ უზრუნველყოთ მხარეების მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციის წინასწარი გაცვლა, ამ მიზეზით რამდენიმე მოსმენის გადადება არ მოუწევდათ. ამასთან, არასოდეს განხილულა ალტერნატიული შესაძლებლობა, დაენუსებინათ მხარეების მიერ დამატებითი განმარტებების მრავალჯერ წარმოდგენაზე რაიმე სახის შეზღუდვა; ასევე, ადგილობრივ სასამართლოებს შეეძლოთ სახელმწიფო უწყებებისათვის დაე-

დგინათ კონკრეტული ვადები მოთხოვნილი დოკუმენტებისა და ექსპერტის დასკვნების წარმოსადგენად.

ყველა ზემოთ განხილული გარემოების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო ადგენს, რომ სამართალწარმოება არ განხორციელებულა „გონივრულ ვადაში“.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 3200 ევრო არამატერიალური ზიანისთვის და 36 ევრო განუვლი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

შენიშვნა: კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის დადგენის მოთხოვნის ცალკე განხილვის საჭიროება არ არის.

**ქიქინიძე საქართველოს
წინააღმდეგ
KIDZINIDZE V. GEORGIA
№ 69852/01; 13.09.2005**

**სამოქალაქო საქმის განხილვის გაჭიანურება:
დარღვევა იხ. გვ.12.**

იხ. აგრეთვე: *Metaxas v. Greece*, no. 8415/02, 27 May 2004; *Raylyan v. Russia*, no. 22000/03, 15 February 2007; *Vodopyanovy v. Ukraine*, no. 22214/02, 17 January 2006; *Gurepka v. Ukraine*, no. 61406/00, 6 September 2005; *Pélissier and Sassi v. France*, no. 25444/94, 25 March 1999; *G.H. v. Austria*, no. 31266/96, 3 October 2000; *Sobierajska-Nierzwicka v. Poland*, no. 49349/99, 27 May 2003; *Rachevi v. Bulgaria*, no. 47877/99, 23 September 2004.

ზეპირი მოსმენა

სვანიძესაქართველოს

წინააღმდეგ¹⁸

SVANIDZE V. GEORGIA

№ 37809/08; 25.07.2019

შემცვლელი მოსამართლის მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მოწმეთა უშუალოდ მოსმენის გარეშე: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი - თინა სვანიძე, საავადმყოფოს გინეკოლოგიური განყოფილების გამვე, სასამართლომ დამნაშავედ ცნო სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პაციენტისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების არასაპატიო მიზეზით გაუნეწვლობის გამო. აღნიშნულ პროცესზე მტკიცებულებების მოსმენის შემდეგ, დაინიშნა შემცვლელი მოსამართლე. ამ უკანასკნელმა უარი თქვა დაცვის მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, ხელახლა განეხილა საქმე და აღნიშნა, რომ საქმის მასალები მისთვის საკმარისი იყო, განეგრძო სამართალწარმოება. შესაბამისად, შემცვლელ მოსამართლეს არ მოუსმენია ჩვიდმეტ მოწმეთაგან არც ერთისთვის, მათ შორის, არც ორი ექსპერტისა და სხვა ბრალდებულებისთვის ამ საქმეში და მან განმცხადებელს მსჯავრი დასდო მხოლოდ სასამართლო სხდომების ოქმების საფუძველზე. გამამტყუნებელი განაჩენი უცვლელი დატოვა სააპელაციო ინსტანციამ ისე, რომ მტკიცებულებები უშუალოდ არც მას მოუსმენია.

ქალბატონმა სვანიძემ მისი საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის უფლების დარღვევა გაასაჩივრა ევროპულ სასამართლოში.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: სასამართლო პროცესის განმავლობაში განმცხადებელი გამუდმებით სადავოდ ხდიდა პროკურორის მიერ წარმოდგენილ სპეციფიკურ ფაქტობრივ გარემოებებს. იმისთვის, რომ დაედგინა ფაქტები, რომელთაც განმცხადებლის მსჯავრდების საკითხის გადასაწყვეტად ჰქონდა ცენტრალური მნიშვნელობა, შემცვლელი მოსამართლე ეყრდნობოდა მოწმეთა ჩვენებების ჩანაწერებს. საქმის კომპლექსური ფაქტობრივი

გარემოებებისა და იმის გათვალისწინებით, რომ შემცვლელი მოსამართლე იყო ერთადერთი საქმის განხილველი მოსამართლე, ფაქტი, რომ მას უშუალოდ არ მოუსმენია ჩვენებები და არ შეეძლო შესაბამისი პირების შეფასება, არ აძლევდა მას საკუთარი აზრის ფორმირების შესაძლებლობას მათ სანდოობასთან დაკავშირებით და ამცირებდა მის შესაძლებლობას, სათანადოდ გაეგო მტკიცებულებები და არგუმენტები, ისე, რომ დაცული ყოფილიყო განმცხადებლის უფლება მისი საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვაზე.

შემცვლელი მოსამართლის ჩართვის შემდეგ, დაცვის მხარემ მოითხოვა მტკიცებულებების ხელახალი განხილვა; მაგრამ მოსამართლემ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. უფრო მეტიც, განმცხადებელმა მოითხოვა ორი დამატებითი მოწმის დაკითხვა და მოსამართლემ ამაზეც უარი თქვა. დაცვის მხარემ მკაფიოდ გამოხატა საკუთარი უკმაყოფილება ამ თვალსაზრისით და საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოში; ამ უკანასკნელმაც უარყო შუამდგომლობა მოწმეთა უშუალო მოსმენის შესახებ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მასზე ერთხელ უკვე იმსჯელა საქალაქო სასამართლომ. სააპელაციო ინსტანციამ საჩივრის არსებითად განხილვის გარეშე, დაადგინა, რომ შემცვლელი მოსამართლე არ იყო ვალდებული, ხელახლა მოესმინა მტკიცებულებები. იდენტური გადანყვეტილება მიიღო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. ამ ვითარებაში, განმცხადებელმა გააკეთა ყველაფერი, რაც რაციონალურად და რეალისტურად მოსალოდნელი იყო მისგან წამოჭრილ საკითხთან მიმართებით.

მოწმეთა ჩვენებების ჩანაწერების ხელმისაწვდომობა ვერ დააბალანსებს მათი უშუალოდ მოსმენის არარსებობას. ზემდგომი სასამართლო ორგანოები დაეთანხმნენ გადანყვეტილებას ისე, რომ არ მოუსმენიათ მტკიცებულებები, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ ამის უფლებამოსილება. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია მტკიცებულებების უშუალოდ მოსმენის პრინციპი და ზემდგომ ინსტანციებს არ მიუღიათ საკმარისი ზომები აღნიშნულის დასაკომპენსირებლად.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა

კონვენციის 41-ე მუხლი: 3500 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

¹⁸ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%22svanidze%22%22%22documentcollectionid%22%3A%22GRAND-CHAMBER%22%22%22CHAMBER%22%22%22itemid%22%3A%222001-194611%22%7D>

**მუმლაძე საქართველოს
წინააღმდეგ¹⁹
MUMLADZE V. GEORGIA
№ 30097/03; 08.01.2008**

**საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე
განხილვა: არ არის დარღვევა**

ფაქტები: 1998 წელს განმცხადებელმა წელი მუმლაძემ უარი თქვა დავალიანების გადახდაზე, რის გამოც მისი სახლი აუქციონზე გაიტანეს და გაყიდეს. რადგან განმცხადებელი მაინც განაგრძობდა სადავო სახლში ცხოვრებას, კრედიტორმა მის წინააღმდეგ დაიწყო სასამართლო პროცესი. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ განმცხადებელს არასოდეს გაუხდია სადავოდ აუქციონის კანონიერება და პირი, რომელმაც ამ აუქციონზე შეიძინა მისი უძრავი ქონება, კეთილსინდისიერ მესაკუთრედ ცნო. ქალბატონმა მუმლაძემ აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და მიუთითა, რომ მას ვალი განწილვადებით უნდა გადაეხადა და, ასევე, სადავო უძრავი ქონება მისი ქმრის სახელზე იყო რეგისტრირებული. შესაბამისად, აღმასრულებელი არ იყო უფლებამოსილი, ჩაეტარებინა აუქციონი. სააპელაციო სასამართლომ მოუსმინა მხარეებს და უცვლელი დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. განმცხადებელმა უზენაეს სასამართლოში შეიტანა საკასაციო საჩივარი, რომლის ასლი გადაეცა მეორე მხარეს. ამ უკანასკნელმა წარმოადგინა შესაგებელი, რომელიც არ გადასცემია განმცხადებელს. საკასაციო ინსტანციამ საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა. სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, რადგან განმცხადებელს არ წამოუყენებია „დამატებითი და კარგად დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია“, ქვედა ინსტანციების მიერ დადგენილი ფაქტები მიიჩნეოდა დამტკიცებულად.

**სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის
1-ლი პუნქტი:** განმცხადებელი ევროპული სასამართლოს წინაშე ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ უზენაესი სასამართლო არ არის ვალდე-

ბული, განმარტოს, რატომ გადაწყვიტა, საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე; ამასთან, მისი ეს გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას. ამით განმცხადებელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის ნაკლოვანებაზე მიუთითებდა, საკუთარი დავის კონტექსტისგან განცალკევებით; ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის სისტემა არ ითვალისწინებს მექანიზმს, რომელიც ამოწმებს სამართლებრივ დებულებებს *in abstracto*, არამედ აფასებს მის გამოყენებას განმცხადებლის ვითარების კონკრეტული გარემოებების მიმართ. შესაბამისად, ევროპული სასამართლო ადგენს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 პუნქტით გამოყენებული პროცედურა განსახილველ საქმეში იყო თუ არა შესაბამისი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებთან.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული დებულება თავისთავად არ არის შეუთავსებელი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებთან. ის გამართლებულია საკასაციო სამართალწარმოების შეზღუდული როლით საქართველოში და იმ ფაქტით, რომ, როგორც წესი, ქვედა ინსტანციებში ტარდება ზეპირი მოსმენები.

ევროპული სასამართლო ეთანხმება მთავრობას, რომ ზეპირი მოსმენის უფლება შეიძლება გადანონოს გულმოდგინებისა და ეკონომიის მოთხოვნებმა; ამასთან, პრობლემა ჩნდება, როდესაც განმცხადებელი აჩვენებს, რომ საკასაციო ინსტანციაში ზეპირი მოსმენის არარსებობის გამო, მისი უფლება შეჭირბრებით პროცესზე და მხარეთა თანასწორობის პრინციპი შეილახა. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში, ასეთი საჩივარი არ ყოფილა წარმოდგენილი. ამ საქმეში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის წერილობითი პროცედურით განხილვამ ეჭვქვეშ დააყენა პროცესის სამართლიანობა.

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი საქმის ზეპირი მოსმენა იყო აუცილებელი, რათა ნათელი მოეფნოდა ცალკეულ გარემოებებს. ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ სამართლებრივი არგუმენტებისა და ტექნიკური საკითხების წარმოდგენა უფრო ეფექტიანად შესაძლებელია წერილობით, ვიდრე ზეპირად. უფრო მეტიც,

¹⁹ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%22Mumladze%22%22%22documentcollectionid%22%3A%22GRAND-CHAMBER%22%22%22CHAMBER%22%22%22item%22%3A%222001-84264%22%7D>

საქართველოს უზენაესი სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, გადაესინჯა ფაქტებთან დაკავშირებული საკითხები.

საქმის მასალებიდან ჩანს, რომ განმცხადებელს არ გადასცემია მოპასუხე მხარის შესაგებელი საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. თუმცა, ამას არ გამოუწვევია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები არ ანიჭებს მხარეებს უფლებას, წარმოადგინონ დამატებითი არგუმენტები შესაგებებლთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, უზენაეს სასამართლოს არ გაუთვალისწინებია კომპანიის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ქალბატონ მუმლაძის საკასაციო საჩივრის განხილვისას. სასამართლოს გადაწყვეტილება, ძირითადად, განმცხადებლის მიერ წამოჭრილ არგუმენტებს პასუხობდა. შესაბამისად, პროცესის წერილობით წარმართვისას, განმცხადებელი არ იმყოფებოდა ნაკლებად ხელსაყრელ პოზიციაში მეორე მხარესთან შედარებით. ევროპული სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომლის მიხედვით, ქალბატონ მუმლაძეს წინასწარ, სათანადო წესით ეცნობა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ და მას შეეძლო გამოეყენებინა თავისი საპროცესო უფლება - მოეთხოვა საქმის მასალების გაცნობა.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო ადგენს, რომ საკასაციო ინსტანციაში, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის განხილვა არ შეადგენს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: არ არის დარღვევა.

**გოგოლაძე საქართველოს
წინააღმდეგ²⁰
GOGOLADZE V. GEORGIA
№ 4683/03; 11.12.2007**

**საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე
განხილვა: არ არის დარღვევა**

ფაქტები: განმცხადებელი ნუნუ გოგოლაძე მუშაობდა ტექნიკოსად სახელმწიფო კომპანიაში, რომელიც ეწეოდა საიუველირო წარმოებას. 2001 წელს ის გაათავისუფლეს სამსახურის გაცდენისა და მანამდე დისციპლინური სახდელის გამოყენების საფუძველზე. განმცხადებელმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სასამართლოში. საქალაქო და სააპელაციო ინსტანციებმა საქმე ზეპირი მოსმენით განიხილეს და ქალბატონი გოგოლაძის განთავისუფლება კანონიერად მიიჩნიეს. განმცხადებელმა მიმართა უზენაეს სასამართლოს. ის ეჭვქვეშ აყენებდა მოპასუხე კომპანიის წარმომადგენლის უფლებამოსილებას და ითხოვდა ზეპირი მოსმენის გამართვას. უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ წარმომადგენლის განსაზღვრა კომპანიის პრეროგატივა იყო და საქმე შეიცავდა სათანადო წესით დამონმებულ რწმუნებულებასაც. საკასაციო ინსტანციამ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა. მისი საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა ქალბატონმა გოგოლაძემ ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი

პუნქტი: ევროპული სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომლის მიხედვით, თუკი ზეპირი მოსმენა ჩატარებულია ორი ინსტანციის მიერ, საკასაციო ინსტანციაში საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის უფლება, შესაძლოა, გადანონოს სხვა ლეგიტიმურმა მოსაზრებამ, როგორცაა გულისხმიერება და რესურსების ეკონომია. ქალბატონი გოგოლაძე ამტკიცებდა, რომ ამ საქმეზე ზეპირი განხილვის ჩატარება აუცილებელი იყო, რადგან მას ეჭვქვეშ უნდა დაეყენებინა მოპასუხე მხარის წარმომადგენლის უფლებამოსილება და აგრეთვე, განემართა მის მიმართ ადრე გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველთან

²⁰ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Gogoladze%22%22%22documentcollectionid%22:%5B%22GRAND-CHAMBER%22%22%22CHAMBER%22%22%22item%22:%5B%22001-83924%22%22%7D>

დაკავშირებული ტექნიკური საკითხები. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ტექნიკურ და სამართლებრივ საკითხებზე არგუმენტების წარმოდგენა უფრო ეფექტიანად შეიძლება წერილობით, ვიდრე ზეპირად.

განმცხადებელი ცალკე არ გამოყოფს საკასაციო საჩივრის განხილვას და უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის გამო მთელი სამართალწარმოების სამართლიანობას აყენებს ეჭვქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ ზეპირი მოსმენის არარსებობა თავისთავად არ არის შეუთავსებელი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან, პრობლემა შეიძლება დადგეს, თუკი განმცხადებელი დაამტკიცებს, რომ მისი უფლება პროცესის შეჭიბრებითობასა და მხარეთა თანასწორობაზე შეილახა. ამ თვალსაზრისით, განმცხადებლის ერთადერთი არგუმენტი არის ის, რომ მას არ მიეწოდა მოპასუხის შესაგებელი მის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით. რასაკვირველია, განმცხადებელს უნდა სცოდნოდა ამ პასუხის შესახებ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაცნობამდე, თუმცა, ქალბატონმა გოგოლაძემ ვერ დაამტკიცა ამ ინფორმაციის გაცვლის სარგებელი; კერძოდ, ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა დამატებითი არგუმენტების წარდგენას. შესაბამისად, განმცხადებელი რომც გაცნობოდა შესაგებელს წინასწარ, ის ვერ შეძლებდა რაიმე ზომის მიღებას მათ საპასუხოდ. ამასთან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უზენაეს სასამართლოს არ გაუთვალისწინებია კომპანიის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები საკასაციო საჩივრის განხილვისას. სასამართლოს გადაწყვეტილება, ძირითადად, განმცხადებლის მიერ წამოჭრილ არგუმენტებს პასუხობდა. შესაბამისად, პროცესის წერილობით წარმართვისას, ქალბატონი გოგოლაძე არ იმყოფებოდა ნაკლებად ხელსაყრელ პოზიციაში მეორე მხარესთან შედარებით. ევროპული სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ განმცხადებელს წინასწარ, სათანადო წესით ეცნობა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ და მას შეეძლო გამოეყენებინა თავისი საპროცესო უფლება საქმის მასალების გაცნობის მოთხოვნის შესახებ.

საქმეში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ ზეპირი განხილვის ნაცვლად შემოთავაზებული წერილობითი პროცედურა რაიმე მიზეზით ეჭვქვეშ აყენებს სამართალწარმოების სამართლიანობას.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: არ არის დარღვევა.

**ოგანოვა საქართველოს
წინააღმდეგ²¹
OGANOVA V. GEORGIA
№ 25717/03; 13.11.2007**

**საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე
განხილვა: არ არის დარღვევა**

ფაქტები: 2002 წელს განმცხადებელმა - კარინა ოგანოვამ მიმართა სასამართლოს იმ თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით, რომელიც მან კერძო პირს ასესხა 1998 წელს მისი ორ თვეში გასტუმრების პირობით. მოპასუხე აცხადებდა, რომ მას თანხა გადახდილი ჰქონდა და ამასთან, განმცხადებლის მოთხოვნა ხანდაზმული იყო. საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა გადაწყვეტილებები მოპასუხის სასარგებლოდ მიიღეს. განმცხადებელმა მიმართა უზენაეს სასამართლოს. საკასაციო საჩივარი მოპასუხეს გადაეგზავნა, მაგრამ მას შესაგებელი არ წარმოუდგენია. უზენაესმა სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა. საკასაციო ინსტანციის მიერ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა ქალბატონმა ოგანოვამ ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული „საჯარო განხილვის უფლება“, მოიცავს ზეპირი მოსმენის უფლებას; თუმცა, ზეპირი მოსმენის გამართვის ვალდებულება არ არის აბსოლუტური. მისი არარსებობა, შესაძლოა, იყოს თავსებადი კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებთან, თუკი არ არის წამოჭრილი საკითხი, რომლის ადეკვატურად გადაწყვეტა შეუძლებელია საქმის მასალებსა და მხარეთა წერილობითი მოსაზრებების საფუძველზე.

²¹ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Oganova%22%22%22documentcollectionid%22:%5B%22GRAND-CHAMBER%22%22%22CHAMBER%22%22%22itemid%22:%5B%22001-83217%22%22%7D>

ევროპული სასამართლოს მიიჩნევს, რომ პირველი ან ერთადერთი ინსტანციის სასამართლოში სამართალწარმოებისას, ჩვეულებრივ, არსებობს ზეპირი განხილვის უფლება; თუმცა, ზეპირი განხილვის არარსებობა მეორე და მესამე ინსტანციაში შეიძლება გამართლებული იყოს საქმის განხილვასთან დაკავშირებული კონკრეტული თავისებურებებით, იმ შემთხვევაში, თუ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე ზეპირი მოსმენით განიხილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო ფუნქცია შემოიფარგლება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებით. უზენაესი სასამართლო საქმეს არსებითად არ განიხილავს და აფასებს მხოლოდ მატერიალური და საპროცესო ნორმების განმარტებასა და გამოყენებას; თუმცა, აპელანტს შეეძლო გაესაჩივრებინა დამტკიცებული ფაქტები „დამატებითი და კარგად დასაბუთებული პრეტენზიის საფუძველზე“, თუკი ისინი ქვედა ინსტანციების სასამართლოებმა დაადგინეს საპროცესო ნორმების დარღვევით.

განსახილველ საქმეში განმცხადებელი ითხოვდა მისი საქმის გარემოებების განხილვას, თუმცა, არ მიუთითებია სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებულ კონკრეტულ დარღვევებზე. ასეთ ვითარებაში უზენაესი სასამართლოს უარი ფაქტების განხილვასთან დაკავშირებით, იყო კანონიერი. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების მხოლოდ სამართლებრივი ნაწილის შემოწმების საფუძველზე, საკასაციო ინსტანციამ დასაშვებად ცნო საჩივარი ხანდაზმულობის გამოთვლის ნაწილში.

ვინაიდან ხანდაზმულობის საკითხი სააპელაციო სასამართლომ ერთხელ უკვე განიხილა, განმცხადებლის მიერ მისი ხელახლა ზეპირი მოსმენით განხილვის უფლება, შესაძლოა, გადანონოს სხვა ლეგიტიმურმა მოსაზრებამ. ამ შემთხვევაში, ევროპული სასამართლოსთვის მისაღებია მთავრობის მითითება გულისხმიერებისა და რესურსების ეკონომიის მოთხოვნებზე.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ უზენაეს სასამართლოს ჰქონდა სრული შესაძლებლობა, განსახილველი საკითხი გადაეწყვიტა საქმის მასალებსა და მხარეთა წერილობით მოსაზრებებზე დაფუძნებით. სამართლებრივი არგუმენტებისა და ტექნიკური საკითხების წარმოდგენა უფრო ეფექტიანად

შესაძლებელია წერილობით, ვიდრე ზეპირად. უფრო მეტიც, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ ზეპირი მოსმენის არარსებობა არ აყენებდა ეჭვქვეშ განმცხადებლის უფლებას მხარეთა შეჯიბრებითობაზე და ეს სადავოდ არ გაუხდია თავად განმცხადებელს. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხეს არ წარმოუდგენია შესაგებელი განმცხადებლის საკასაციო საჩივარზე. შესაბამისად, განმცხადებელი ვერ იტყვის, რომ ზეპირი მოსმენის არარსებობის გამო, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, გაცნობოდა მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტებს და ეპასუხა მათთვის; და ბოლოს, განმცხადებელს წინასწარ ეცნობა მისი საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის გადაწყვეტილების შესახებ.

საქმეში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ ზეპირი განხილვის ნაცვლად შემოთავაზებული წერილობითი პროცედურა რაიმე მიზეზით ეჭვქვეშ აყენებს სამართალწარმოების სამართლიანობას.

დასკვნა:
კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: არ არის დარღვევა.

**რიჟამაძე საქართველოს
წინააღმდეგ²²
RIZHAMADZE V. GEORGIA
№ 2745/03; 31.07.2007**

**საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე
განხილვა: არ არის დარღვევა**

ფაქტები: განმცხადებელი ავთანდილ რიჟამაძე მუშაობდა მეტაჟედ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონულ სამსახურში. 1995 წლის 30 ივნისს, რეორგანიზაციის შედეგად, ის სხვა თანამშრომლებთან ერთად, გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. შესაბამის ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ განთა-

²² <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Rizhamadze%22%5D%22documentcollection%22:%5B%22GRANDCHAMBER%22%22%22CHAMBER%22%22%22%7D>

ვისუფლებულ თანამშრომლებს გადაიყვანდნენ სხვა, ახლად შექმნილ რეგიონულ სამსახურში. მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში განმცხადებელმა მიმართა არაერთ სამთავრობო უწყებას მუშაობის გაგრძელების მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. 2001 წლის 21 მარტს დეპარტამენტიდან აცნობეს, რომ ახალ სამსახურში აღარ აიყვანდნენ. 2001 წლის 23 მაისს განმცხადებელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში სამსახურში აღდგენისა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნით. საქალაქო სასამართლომ მის სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მისი სარჩელი ხანდაზმული იყო. განმცხადებელმა მიმართა უზენაეს სასამართლოს. სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა დეპარტამენტის წარმომადგენელი და ამ მიზეზით, სხდომა გადაიდო. შემდეგ უზენაესმა სასამართლომ, წერილობითი პროცედურის შედეგად, უცვლელი დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ ვინაიდან განმცხადებელს არ წამოუყენებია „დამატებითი და კარგად დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია“, ის არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა ბატონმა რიჟამაძემ ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული „საჯარო განხილვის უფლება“ მოიცავს ზეპირი მოსმენის უფლებას; თუმცა, ზეპირი მოსმენის გამართვის ვალდებულება არ არის აბსოლუტური. მისი არარსებობა, შესაძლოა, იყოს თავსებადი ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებთან, თუკი არ არის წამოჭრილი საკითხი, რომლის ადეკვატურად გადაწყვეტა შეუძლებელია საქმის მასალებსა და მხარეთა წერილობითი მოსაზრებების საფუძველზე.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი ან ერთადერთი ინსტანციის სასამართლოში სამართალწარმოებისას, ჩვეულებრივ, არსებობს ზეპირი განხილვის უფლება; თუმცა, ზეპირი განხილვის არარსებობა მეორე და მესამე ინსტანციაში შესაძლოა, გამართლებული იყოს საქმის განხილვასთან დაკავშირებული კონკრეტული თავისებურებებით, იმ შემთხვევაში, თუ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე ზეპირი მოსმენით განიხილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო ფუნქცია შემოიფარგლება მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებით. უზენაესი სასამართლო საქმეს არსებითად არ განიხილავს. ის აფასებს მატერიალური და საპროცესო ნორმების განმარტებასა და გამოყენებას; თუმცა, აპელანტს შეეძლო გაესაჩივრებინა დამტკიცებული ფაქტები „დამატებითი და კარგად დასაბუთებული პრეტენზიის საფუძველზე“, თუკი ისინი ქვედა ინსტანციების სასამართლოებმა დაადგინეს საპროცესო ნორმების დარღვევით.

განსახილველ საქმეში განმცხადებელი ითხოვდა მისი საქმის გარემოებების განხილვას, თუმცა, არ მიუთითებია სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებულ კონკრეტულ დარღვევებზე. ასეთ ვითარებაში უზენაესი სასამართლოს უარი ფაქტების განხილვასთან დაკავშირებით, იყო კანონიერი. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების მხოლოდ სამართლებრივი ნაწილის შემოწმების საფუძველზე საკასაციო ინსტანციამ დასაშვებად ცნო საჩივარი ხანდაზმულობის გამოთვლის ნაწილში.

ვინაიდან ხანდაზმულობის საკითხი სააპელაციო სასამართლომ ერთხელ უკვე განიხილა, განმცხადებლის მიერ მისი ხელახლა ზეპირი მოსმენით განხილვის უფლება, შესაძლოა, გადაწონოს სხვა ლეგიტიმურმა მოსაზრებამ. ამ შემთხვევაში, ევროპული სასამართლოსთვის მისაღებია მთავრობის მითითება გულისხმიერებისა და რესურსების ეკონომიის მოთხოვნებზე.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ უზენაეს სასამართლოს ჰქონდა სრული შესაძლებლობა, განსახილველი საკითხი გადაეწყვიტა საქმის მასალებსა და მხარეთა წერილობით მოსაზრებებზე დაფუძნებით. უფრო მეტიც, ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ ზეპირი მოსმენის არარსებობა არ აყენებდა ეჭვქვეშ ბატონი რიჟამაძის უფლებას მხარეთა შეჯიბრებითობაზე და ეს სადავოდ არ გაუხდია თავად განმცხადებელს. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ დეპარტამენტს არ წარმოუდგენია შესაგებელი განმცხადებლის საკასაციო საჩივარზე. შესაბამისად, განმცხადებელი ვერ იტყვის, რომ ზეპირი მოსმენის არარსებობის გამო, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, გაცნობოდა მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტებს და ეპასუხა მათთვის; და ბოლოს, განმცხადებელს წინასწარ

ეცნობა მისი საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის გადაწყვეტილების შესახებ.

საქმეში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ ზეპირი განხილვის ნაცვლად შემოთავაზებული წერილობითი პროცედურა არ იყო გამჭვირვალე ან რაიმე მიზეზით ეჭვქვეშ აყენებს სამართალწარმოების სამართლიანობას.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: არ არის დარღვევა.

იხ. აგრეთვე: *Lavents v. Latvia*, no. 58442/00, 28 November 2002; *DMD GROUP, a.s., v. Slovakia*, no. 19334/03, October 2010; *Miracle Europe Kft v. Hungary*, no. 57774/13, 12 January 2016; *Fatulayev v. Azerbaijan*, no. 40984/07, 22 April 2010; *Shaykhatarov and Others v. Russia* no. 47737/10 and 4 others, 15 January 2019; *Chim and Przywieczerski v. Poland*, nos. 36661/07 and 38433/07, 12 April 2018; *Richert v. Poland*, no. 54809/07, 25 October 2011; *Pursiheimo v. Finland*, no. 57795/00, 25 November 2003; *Döry v. Sweden*, no. 28394/95, 12 November 2002; *Coorplan-Jenni GmbH and Hascic v. Austria*, no. 10523/02, 27 July 2006; *Salomonsson v. Sweden*, no. 38978/97, 12 November 2002; *Fretté v. France*, no. 36515/97, 26.05.2002.

საქმის სამართლიანი განხილვა

**მინდაძე და ნემსიწვერიძე
საქართველოს წინააღმდეგ²³
MINDADZE AND NEMSITSVERIDZE V.
GEORGIA
№ 21571/05; 01.06.2017**

წამების შედეგად მიღებული აღიარებითი ჩვენების დაუშვებლად ცნობა და წამების შემდეგ, განმეორებით მიცემული აღიარებითი ჩვენების დაშვება: დარღვევა

ფაქტები: 2004 წლის 20 იანვარს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე დაუდგენელი პირების წინააღმდეგ საქართველოს პარლამენტის წევრ კ.გ.-ზე შეიარაღებული თავდასხმის ფაქტზე.

2004 წლის 13 მაისს პირველი განმცხადებელი დავით მინდაძე, რომელიც ორჯერ იყო ნასამართლევი ყაჩაღობისა და ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებული დანაშაულისთვის, დააკავს ქუჩაში აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მკვლელობის მცდელობის გამო.

პოლიციის განყოფილებაში მან დაადასტურა, რომ მეორე განმცხადებელმა ვალერიან ნემსიწვერიძემ შეუკვეთა პარლამენტის წევრის მოკვლა 10000 დოლარის სანაცვლოდ.

2004 წლის 13 მაისს დააკავს მეორე განმცხადებელიც, რომელიც ხსენებული პარლამენტის წევრის შორეული ნათესავი იყო, და ბრალი წაუყენეს მკვლელობის მცდელობაში.

2004 წლის 4 ივნისს მისი ოჯახის მიერ კერძო ადვოკატის დაქირავებისთანავე, პირველმა განმცხადებელმა პროკურატურას წარუდგინა საჩივარი, რომლის მიხედვით, მან აღიარებითი ჩვენება წამების შედეგად მისცა და ის სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, კერძოდ, მის მიმართ რამდენიმეჯერ გამოიყენეს ელექტროშოკი და სასტიკად ცემეს.

2004 წლის 22 ივნისს პირველმა განმცხადებელმა გამომძიებელს წარუდგინა ალიბი - დაასახელა ექვსი ადამიანის ვინაობა, რომლებთან ერთადაც ის იმყოფებოდა პარლამენტის წევრის დაჭრის დროს. მან მოითხოვა ამ პირების მოწმეების სახით დაკითხვა. სასამართლომ ეს მოთხოვნა არ

²³ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22item id%22:\[%22001-173766%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22item id%22:[%22001-173766%22]})

დააკმაყოფილა, რადგან ბრალდება საკმარისად დასტურდებოდა განმცხადებლის აღიარებითი ჩვენებებითა და დაზარალებულის ამოცნობის ოქმითა და ჩვენებით.

2004 წლის 13 ივლისს მეორე განმცხადებელმა შეატყობინა მთავარ პროკურატურას, რომ პარლამენტის წევრმა ის ფარულად მოინახულა ციხეში და მოსთხოვა აღიარებითი ჩვენების დადასტურება; სანაცვლოდ ფულიც შესთავაზა. 2004 წლის 27 სექტემბერს პირველი განმცხადებლის მეუღლემ, ასევე, შეატყობინა პროკურატურას, რომ დაზარალებული მას ფულს სთავაზობდა, თუკი დაარწმუნებდა ქმარს, რომ ეღიარებინა დანაშაული. ამისთვის პარლამენტის წევრმა მას წინასწარ გადაუხადა 1.500 აშშ დოლარი.

ორივე განმცხადებლის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. პირველ და მეორე განმცხადებელს მიუსაჯეს, შესაბამისად, ოცდაერთი წლით და თექვსმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა.

განმცხადებლებმა სამარწარმოების სამართლიანობა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრეს.

სამართალი - მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი:

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი განმცხადებლის თავდაპირველი აღიარება, რომლის დროსაც მან, ასევე, ჩვენება მისცა მეორე განმცხადებლის დანაშაულში თანამონაწილეობის შესახებ, მისგან მოიპოვეს ადვოკატის დასწრების გარეშე და არასათანადო მოპყრობის შედეგად, რაც შეადგენს წამებას კონვენციის მე-3 მუხლის გაგებით. განმცხადებლის ეს ჩვენება, საბოლოოდ, საქმის მასალებიდან ამოიღო პირველი ინსტანციის სასამართლომ და აღარ გამოიყენა განმცხადებლების მსჯავრდებისთვის; თუმცა, ამ ფაქტმა ვერ შეძლო საკმარისად აღმოეფხვრა პრობლემები, რომლებიც სისხლის სამართალწარმოებაში გამოიწვია კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული დაკითხვის მეთოდების გამოყენებამ; კერძოდ, საქმის მასალებიდან ამ თავდაპირველი აღიარებითი ჩვენების ოფიციალურად ამოღებამდე, საგამოძიებო ორგანოები მთლიანად ეყრდნობოდნენ მას, როდესაც ეწინააღმდეგებოდნენ განმცხადებელთა უამრავ მცდელობას, ჩამოეყალიბებინათ და განევიტარებინათ თავიანთი დაცვის სტრატეგია. მაგალითად, სწორედ ამ აღიარებითი ჩვენების საფუძველზე უთხრეს საგამოძიებო ორგანოებმა

უარი პირველ განმცხადებელს, მისი ალიბის გადასამოწმებლად ზომების მიღებაზე.

თბილისის პოლიციის სამმართველოში წამებისა და დაკითხვის შემდეგ, პირველი განმცხადებელი იმავე პოლიციელებმა დაუყოვნებლივ წაიყვანეს ვითარების სურათის აღსადგენად დანაშაულის ადგილზე, სადაც მან სიტყვასიტყვით გაიმეორა თავდაპირველი აღიარებითი ჩვენება, მათ შორის, მითითება მეორე განმცხადებლის თანამონაწილეობაზე. ეს მეორე აღიარებითი ჩვენება შემდგომში პირდაპირ გამოიყენეს მსჯავრდებისას, როგორც ორივე განმცხადებლის წინააღმდეგ არსებული ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება. მიუხედავად იმისა, რომ პირველ განმცხადებელს იმ დროისათვის უკვე დანიშნული ჰყავდა სახაზინო ადვოკატი და ეს უკანასკნელი ესწრებოდა მოვლენების სურათის აღდგენის პროცესს, საქმის მასალებიდან არ ჩანს, რომ პირველ განმცხადებელს ოდესმე შესაძლებლობა ჰქონდა, წინასწარი კონსულტაცია გაეკლო ხსენებულ ადვოკატთან, სანამ გაიმეორებდა თავის აღიარებით ჩვენებას. უფრო მეტიც, იმ ფაქტმა, რომ პირველ განმცხადებელს საკუთარი ჩვენება იმავე პოლიციელების თანდასწრებით დაადასტურებინეს, რომლებსაც მან ბრალი დასდო წამებაში და ამ საგამოძიებო მოქმედების შემდეგ ის უნდა დაბრუნებულიყო თბილისის პოლიციის სამმართველოში, ცალსახად გაუძლიერა მას დაუცველობისა და უმწეობის განცდა.

ამ გარემოებებში, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ აღიარებითი ჩვენების ხელმეორედ მიცემა კვლავ ეწინააღმდეგებოდა კანონიერების მოთხოვნებს მანამდე განხორციელებული წამების გამო და მისი ვალიდურ მტკიცებულებად მიჩნევა არ შეიძლებოდა. ეროვნულ სასამართლოებს უნდა გამოეჩინათ მაქსიმალური ყურადღება და უმკაცრესად შეემოწმებინათ განმეორებით მიცემული ჩვენება, ვიდრე გადაწყვეტდნენ მის დაშვებას; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არის წყვეტა მიზეზშედეგობრივ ჯაჭვში, რომელსაც მივყავართ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში პირველი დაკითხვისას გამოყენებული აკრძალული მეთოდიდან დანაშაულის ადგილზე აღიარებითი ჩვენების გამეორებამდე, რომელიც შემდეგ იქცა გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველად.

ზემოთ აღნიშნული დასკვნები თავისთავად საკმარისია ევროპული სასამართლოსთვის იმის დასადგენად, რომ პოლიციის მიერ წამების გა-

მოყენებამ გამოუსწორებელი გავლენა იქონია სისხლის სამართლის პროცესის შედეგებზე და, მთლიანობაში, სამართალწარმოება ორივე განმცხადებლის მიმართ უსამართლო გახდა; თუმცა, ევროპული სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, იმსჯელოს აგრეთვე, დაზარალებულის - პარლამენტის წევრის განცხადებების გამოყენებაზე განმცხადებელთა მსჯავრდების უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულმა პირველ განმცხადებელში თავდა-მსხმელი ამოიცნო 2004 წლის 13 მაისის ამოცნობისას; მოგვიანებით, მან განაცხადა, რომ ამოცნობიდან ცოტა ხნის შემდეგ, ის პირადად გაესაუბრა პირველ განმცხადებელს და მან აღიარა მის წინაშე დანაშაული და ბრალი დასდო მეორე განმცხადებელს.

პირველ რიგში, ამოცნობა ჩატარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა აშკარა უგულებელყოფით; კერძოდ, ეჭვმიტანილი უნდა წარედგინათ სხვა სამ პირთან ერთად, „რომლებიც არ არიან შესამჩნევად განსხვავებულნი მათი გარეგნობის ან ჩაცმულობის თვალსაზრისით“; განსახილველ საქმეში კი, ამის საპირისპიროდ, ამოცნობისას პირველ განმცხადებელსა და სხვა მონაწილეთა შორის იყო მნიშვნელოვანი გარეგნული განსხვავება. აღნიშნული საკითხი ორივე განმცხადებელმა წამოჭრა ეროვნული სასამართლოს წინაშე, მაგრამ ამ უკანასკნელს თავის გადაწყვეტილებაში ამაზე პასუხი არ გაუცია.

მეორე, ევროპული სასამართლოს შეფასებით, დაზარალებულის განცხადება იმის თაობაზე, თითქოს პირველი განმცხადებელი გამოუტყდა მას დანაშაულის ჩადენაში მათი კერძო საუბრისას, რომელსაც არ ესწრებოდნენ ადვოკატი ან დამოუკიდებელი მოწმეები, არ ჰქონდა მტკიცებითი ღირებულება იმავე მიზეზების გამო - წამების ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტის გათვალისწინებით, რომელიც განხორციელდა პირველი განმცხადებლის მიმართ რამდენიმე საათით ადრე; და ბოლოს, არსებობდა საჭირო მინიმალური მტკიცებულებები იმ გონივრული ეჭვის დასადასტურებლად, რომ დაზარალებულს - პარლამენტის წევრს, ჰქონდა რამდენიმე მცდელობა, ეიძულებინა პირველი განმცხადებელი, არ შეეცვალა თავისი თავდაპირველი აღიარებითი ჩვენება. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლებმა სათანადოდ გააჟღერეს საგამოძიებო, პროკურატურისა და სასამართლო

ორგანოების წინაშე ყველა მნიშვნელოვანი საჩივარი და პირველი განმცხადებლის მეუღლის მოსყიდვის მცდელობის საიდუმლო ჩანაწერიც კი წარმოადგინეს, სახელმწიფო ორგანოები აშკარად გულგრილი დარჩნენ დაზარალებულის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის ფაქტის მიმართ.

ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება, მსჯავრდება დაეფუძნებინათ აშკარად უკანონოდ მოპოვებულ ჩვენებებზე, არ არის გამართლებული.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა

კონვენციის 41-ე მუხლი: 28000 ევრო და 16000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის, შესაბამისად, პირველ და მეორე განმცხადებელს; 4800 ევრო ორივე განმცხადებელს ერთობლივად განეული ხარჯებისთვის.

შენიშვნა: დადგინდა, აგრეთვე, **კონვენციის მე-3 მუხლის, მე-5 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების** დარღვევა.

გოლოშვილი საქართველოს წინააღმდეგ²⁴

GOLOSHVILI V. GEORGIA

№ 45566/08; 20.11.2012

მთლიანი სამართალწარმოების სამართლიანობის ეჭვქვეშ დაყენება: არ არის დარღვევა

ფაქტები: 2006 წლის 8 მარტს განმცხადებელი გიორგი გოლოშვილი დააკავეს ძარცვის ფაქტზე. 2006 წლის 16 ოქტომბერს კასპის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო ის და მის საქმეში თანამონაწილე სხვა სამი პირი. სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა სხვადასხვა მტკიცებულებას, მათ შორის, დაზარალებულის

²⁴ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Go-loshvili%22%22%22documentcollectionid%22:%5B%22GRAND-CHAMBER%22%22%22CHAMBER%22%22%22itemid%22:%5B%22001-114652%22%22%7D>

ჩვენებს სასამართლოს წინაშე, რომლის მიხედვით, მან ამოიცნო განმცხადებელი და სხვა ბრალდებულები, როგორც დანაშაულში მონაწილე პირები. განმცხადებელმა გაასაჩივრა გამამტყუნებელი განაჩენი. ის ეჭვქვეშ აყენებდა სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასებას, განსაკუთრებით, დაზარალებულის მამხილებელი ჩვენების სანდოობას: დაზარალებული აზერბაიჯანული წარმოშობის იყო და კარგად არ იცოდა ქართული ენა. მას სასამართლო სხდომაზე დახმარებას უწევდა თარჯიმანი; ხოლო გამოძიებას ჩვენება მისცა თარჯიმნის გარეშე. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი იმ მოტივით, რომ მსჯავრდება ეფუძნებოდა სასამართლოს წინაშე მიცემულ და არა გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებს. უზენაესმა სასამართლომ უცვლელი დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

სამართალი - მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-13 მუხლი: განმცხადებელი ამტკიცებდა საკუთარ უდანაშაულობას და მიუთითებდა ეროვნული სასამართლოს მიერ მტკიცებულებების არასწორად შეფასებაზე; ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებელი ასაჩივრებდა მის მიმართ განხორციელებული სამართალწარმოების შედეგს და ამით კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ეროვნული სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განმცხადებელი მოითხოვდა ევროპული სასამართლოსგან, რომ მას ემოქმედა, როგორც „მეოთხე ინსტანციის“ სასამართლოს. ევროპული სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ ეროვნული სასამართლო არის საუკეთესო პოზიციაში, შეაფასოს მტკიცებულებები საქმის გარემოებებთან მიმართებით და განმარტოს და გამოიყენოს მატერიალური და საპროცესო ნორმები. განმცხადებლის ყველა არგუმენტი მტკიცებულებების შეფასებასთან დაკავშირებით ეროვნული სასამართლოს წინაშე წარმოადგინა მისმა დამცველმა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, სასამართლომ განიხილა ისინი და გასცა პასუხები. ეროვნული სასამართლოს დასაბუთება არ შეიცავს თვითნებობის რაიმე ნიშანს.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-13 მუხლი: დაუშვებელია, როგორც ამკარად დაუსაბუთებელი.

შენიშვნა: არ დადგინდა, აგრეთვე, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ²⁵
GOGINASHVILI V. GEORGIA
№ 47729/08; 04.10.2011

მთლიანი სამართალწარმოების სამართლიანობის ეჭვქვეშ დაყენება: არ არის დარღვევა

ფაქტები: 2006 წლის 21 მაისს განმცხადებელი - ყოფილი პოლიციელი ვასილ გოგინაშვილი, საქართველო-თურქეთის საზღვარზე დააკავეს, როგორც ეჭვმიტანილი საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების კონტრაბანდული გზით შემოტანაში. ადგილზე ჩატარებული ჩხრეკის ოქმის მიხედვით, განმცხადებლის ქურთუკის ჯიბეში სუბოტექსის 650 აბი აღმოაჩინეს. ბატონმა გოგინაშვილმა აღიარა დანაშაული და დაასახელა თანამონაწილეები, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტინარკოტიკული განყოფილების მაღალი რანგის მოხელე, რომელიც, მისი თქმით, მფარველობდა მათ უკანონო საქმიანობას. სასამართლო განხილვისას ბატონმა გოგინაშვილმა უარყო თავდაპირველი აღიარებითი ჩვენება და განაცხადა, რომ მას უკანონო ნივთიერება პოლიციელებმა ჩაუდეს. სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ ცნო და შეუფარდა ოცდაერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: განმცხადებელი ამტკიცებდა საკუთარ უდანაშაულობას და ეჭვქვეშ აყენებდა ეროვნული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების შეფასებას, მათ შორის, მოწმეთა

²⁵ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Goginashvili%22%22%22documentcollectionid%22:%5B%22GRAND-CHAMBER%22%22%22CHAMBER%22%22%22itemid%22:%5B%22001-106587%22%22%7D>

ჩვენებისა და სისხლისსამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაციას. ბატონი გოგინაშვილი მიუთითებდა, რომ ვინაიდან ბუპრენორფინი გაეროს 1971 წლის ფსიქოტროპულ ნივთიერებათა კონვენციის (რომლის მხარეც არის საქართველო) მიხედვით, ფსიქოტროპულ ნივთიერებადაა მიჩნეული, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონოდ შემოტანის გამო, იყო არაკანონიერი. ევროპული სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული არგუმენტი დაცვის მხარეს არასოდეს წამოუჭრია ეროვნული სასამართლოს წინაშე. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ სასამართლოს არ უმსჯელია ამაზე.

განმცხადებელი, ასევე, აპროტესტებდა სააპელაციო სასამართლოს მიერ სატელეფონო მოსმენების ჩანაწერების, უშუალოდ მოსმენის გარეშე, მტკიცებულებად გამოყენებას. ევროპული სასამართლოს შეფასებით, განმცხადებლის ბრალეულობას ადასტურებს ბევრი სხვა მტკიცებულება - მისი თანამონაწილეების ჩვენებები და მათი საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის ოქმები, განმცხადებლის სხეულის დათვალიერება და სხვადასხვა ექსპერტის დასკვნა. სისხლის სამართლის პროცესის მთლიანობაში შეფასებისას, ცალკეული რიგითი მტკიცებულების გამოკვლევასთან დაკავშირებული სპეციფიკური ეპიზოდი არ არის საკმარისი მთელი სამართალწარმოების სამართლიანობის ეჭვქვეშ დასაყენებლად.

კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი: განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ვერ შეძლო დროულად მიეწოდებინა მისთვის სხდომის ოქმი, რის გამოც მას აპელაციის მოსაზრებლად საკმარისი დრო აღარ დარჩა. ამ პრეტენზიის დასადასტურებლად განმცხადებელს რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები: დაუშვებლია, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი.

შენიშვნა: არ დადგინდა, აგრეთვე, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

გგელაძე საქართველოს წინააღმდეგ²⁶
MGELADZE V. GEORGIA
№ 74909/01; 24.10.2007

მთლიანი სამართალწარმოების სამართლიანობის ეჭვქვეშ დაყენება: არ არის დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი შალვა მგელაძე ცხოვრობდა დედასთან ერთად. 1975 წელს დედამ გაყიდა ბინა და ვაჟთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა თავის ორ გაუთხოვარ დასთან. განმცხადებლის ერთ-ერთი დეიდა 1963 წლიდან იყო ბინათმშენებლობის კოოპერატივის წევრი და ფლობდა მშენებარე საცხოვრებელ ბინას, რომლისთვისაც სისტემურად შეჰქონდა შენატანი კოოპერატივში. განმცხადებლის დედამ მონაწილეობა მიიღო შენატანის გადახდაში; კერძოდ, გადაიხადა თავისი გაყიდული ბინის ღირებულების მესამედი და, ასევე, უარი თქვა მამისეული სახლის მემკვიდრეობით მიღებაზე საკუთარი დის სასარგებლოდ, რათა მისი გაყიდვით მიღებული თანხაც კოოპერატივისთვის გადაეცათ.

1975 წელს ბეტონი მგელაძე, მისი დედა და დეიდა საცხოვრებლად გადავიდნენ კორპორატიულ ბინაში. განმცხადებელსა და მის დედას კოოპერატივის წევრის „ოჯახის წევრების“ სტატუსი ჰქონდათ. შესატანის მთლიანად დაფარვის შემდეგ, 1993 წელს დეიდამ გააფორმა ხელშეკრულება კოოპერატივთან ბინის პრივატიზების შესახებ. იმავე წელს დეიდამ ნოტარიუსს დაამოწმებინა ანდერძი, რომლის თანახმადაც, მისი გარდაცვალების შემდეგ პრივატიზებული ბინა გადაეცემოდა ბატონი მგელაძის დის ქალიშვილს. 1995 წელს გარდაიცვალა განმცხადებლის დედა. 1996 წელს დეიდა განმცხადებლის დამ და მისმა მეუღლემ თავიანთ სახლში გადაიყვანეს. 1996 წელს ბატონმა მგელაძემ მისცა დისშვილს ბინაში ჩაწერის ნება. 1996 წელს დეიდა საავადმყოფოში გარდაიცვალა. მისი დაკრძალვის დღეს განმცხადებელმა დაკარგა თავისი ბინის გასაღები. მან სთხოვა დას, რომ ეთხოვებინა მეორე გასაღები, რაზეც უარი მიიღო. 1996 წელს ბატონმა მგელაძემ თავისი დისშვილის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა. იგი ითხოვდა პრივატიზაციის ხელშეკრულებისა და ანდერძის უკანონოდ ცნობას, საცხოვრებელი ბინის ნახე-

²⁶ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22mgeladze%22%22%5D%22%22%7D>

ვარ ნაწილთან მიმართებით. განმცხადებლის მტკიცებით, პრივატიზების ხელშეკრულების გასაფორმებლად სავალდებულო იყო მისი და დედამისის თანხმობა, რაც არ მომხდარა. ასევე, განმცხადებლის მტკიცებით, კანონის საწინააღმდეგოდ, ანდერძის გაფორმებას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები-მისი დისშვილები. ბატონი მგელაძე, ასევე, ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ საკასაციო ეტაპზე მისი დისშვილის ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი, რომელიც ადრე მოსამართლის სტატუსით გაეცნო მისი საქმის მასალებს. ბატონ მგელაძეს ადვოკატის აცილებაზე უარი უთხრეს მოთხოვნის დაუსაბუთებლობის გამო. ეროვნულმა სასამართლომ განმცხადებლის სასარჩელო მოთხოვნები არ დააკმაყოფილა და საბოლოო გადაწყვეტილება მისი დისშვილის სასარგებლოდ გამოიტანა. სამართალწარმოების სამართლიანობა განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი - მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი:

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ პრივატიზების ხელშეკრულება და ანდერძი გაფორმდა განმცხადებლის დედის სიცოცხლეში. მას არასოდეს გაუხდია სადავოდ ამ დოკუმენტების კანონიერება. გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებლის მოპასუხე ამ ქალბატონისთვის შვილიშვილი იყო. შესაბამისად, ბატონი მგელაძე თავის საკუთრებას სადავო ქონებაზე ვერ დაამტკიცებდა იმ არგუმენტზე დაფუძნებით, რომ დედამისი მონაწილეობდა ბინის შენატანის გადახდაში. რაც შეეხება შესატანი თანხის დაფარვაში საკუთრივ მის მონაწილეობას, განმცხადებელმა, როგორც ქვეყნის სასამართლო ორგანოების წინაშე, ისე ევროპული სასამართლოს წინაშე, ვერ წარმოადგინა ამ არგუმენტის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.

ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებს შორის არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა კოოპერატივებისადმი კუთვნილი ბინების პრივატიზაციის შემთხვევაში ოჯახის ზრდასრული წევრების თანხმობის აუცილებლობის თაობაზე. ევროპულ სასამართლოს ესმის, რომ განმცხადებელმა დიდი იმედგაცრუება განიცადა 1992 წლის დადგენილების მე-10 მუხლთან

დაკავშირებით სასამართლოსეული ინტერპრეტაციის გამო; ამასთანავე, მიაჩნია, რომ აღნიშნულ დადგენილებაში ერთმნიშვნელოვნად იყო მითითებული, რომ ოჯახის წევრთა თანხმობის აუცილებლობა ეხებოდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდებში არსებული ბინების პრივატიზაციას; ამ სამართლებრივი აქტის მე-10 მუხლი კი, სხვა პირთა ყოველგვარი თანხმობის გარეშე, საკუთრების უფლებას ანიჭებდა საბინაო კოოპერატივების წევრებს, რომელთაც სრულად გადაიხადეს შესატანი. იმის გამო, რომ ეს ინტერპრეტაცია განსხვავდება იმისაგან, რომელსაც განმცხადებელი ისურვებდა, გამოტანილი დასკვნა ვერ მიიჩნევა კონვენციის მე-6 მუხლის საწინააღმდეგოდ, ვინაიდან ის არც ამკარად მცდარია და არც შეგნებულად დამახინჯებული; ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია იმოქმედოს, როგორც მეოთხე ინსტანციის ორგანოს და თავად შეაფასოს ფაქტები, რომელთა საფუძველზეც ეროვნულმა სასამართლომ მიიღო სადავო გადაწყვეტილება.

განმცხადებელი, ასევე, ასაჩივრებდა ადვოკატ გ.თ-ს მონაწილეობას პროცესში. აღნიშნული პირი ესწრებოდა მხოლოდ უზენაეს სასამართლოში გამართულ ერთ სხდომას და შემდეგ უარი თქვა მეორე მხარის ინტერესების წარმოდგენაზე. საქმეში არ ჩანს, რომ საკასაციო სასამართლოს მოსამართლემ რაიმე სახის უპირატესობა მიანიჭა მონაწილემდეგე მხარეს იმის გამო, რომ მას იცავდა ბატონი გ. თ., - მისი ყოფილი კოლეგა. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბატონი გ.თ-ს მონაწილეობა სადავო პროცესში გარკვეულ კრიტიკას იმსახურებს, მას, მთლიანობაში, პროცედურისთვის ზიანი არ მიუყენებია.

დასკვნა: მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: არ არის დარღვევა.

შენიშვნა: კონვენციის მე-8 მუხლი: განმცხადებელი აცხადებდა, რომ სადავო ბინა წარმოადგენდა მის საცხოვრებელს 1975 წლიდან 1996 წლამდე. მისი მტკიცებით, იგი ბინიდან იძულებით გამოასახლეს დამ და დისშვილმა. ბატონ მგელაძეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ მას ამ ბინასთან ჰქონდა საკმარისად მჭიდრო და უწყვეტი კავშირი. საქმეში არ ფიგურირებს ქვითარი, რომელიც დაადასტურებდა, რომ განმცხადებელი იხდიდა კომუნალურ გადასახადებს, ან ბინის მოვლის

ხარჯებს, ან იღებდა პირად კორესპონდენციას ამ ბინის მისამართზე; არ მოიპოვებდა მეზობლებისა და ახლობლების ჩვენებები იმის შესახებ, რომ იგი ნამდვილად ცხოვრობდა იქ 90-იან წლებში. მეტიც, განმცხადებლის მეორე მეუღლემ დაადასტურა სასამართლოს წინაშე, რომ 1982 წელს იქორწინეს და განმცხადებელი მასთან გადავიდა საცხოვრებლად. შესაბამისად, ევროპული სასამართლო ამ ბინას ვერ განიხილავს, როგორც განმცხადებლის „საცხოვრებელს“ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით. შესაბამისად, განაცხადი ამ ნაწილში დაუშვებელია.

იხ. აგრეთვე: *Fidanci v. Turkey*, no. 17730/07, 17 January 2012; *El Haski v. Belgium*, no. 649/08, 25 September 2012; *Salduz v. Turkey* no. 36391/02, 27 November 2008; *Stanimirović v. Serbia*, no. 26088/06, § 52, 18 October 2011, *Laska and Lika v. Albania*, no. 12315/04 and 17605/04, 20 April 2010; *Melich and Beck v. the Czech Republic*, no. 35450/04, 24 July 2008; *Mirilashvili v. Russia*, no. 6293/04, §§ 164-166, 11 December 2008.

სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება

როსტომაშვილი საქართველოს წინააღმდეგ²⁷
ROSTOMASHVILI V. GEORGIA
№ 13185/07; 08.11.2018

გამამტყუნებელი განაჩენის დაუსაბუთებლობა: დარღვევა

ფაქტები: 2006 წლის 8 მაისს განმცხადებელი პაატა როსტომაშვილი დამნაშავედ ცნეს დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობის ჩადენასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ფლობასა და ტარებაში. გარდაცვლილის მამა აცხადებდა, რომ ის შეესწრო მკვლელობას. გამამტყუნებელი განაჩენი დიდწილად ეფუძნებოდა მის ჩვენებას. ბატონმა როსტომაშვილმა განაჩენი გაასაჩივრა და დავობდა, რომ არ არსებობდა მტყუნილება,

რომელიც მას ამ დანაშაულთან დააკავშირებდა. მან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა გარდაცვლილის მამის ჩვენება, რადგან ის ეწინააღმდეგებოდა სხვა ორი მოწმის ჩვენებას, რომლის მიხედვით, მათ აცნობეს მამის მკვლელობის შესახებ და ამ უკანასკნელს არ უთქვამს, რომ ის ამ ფაქტს შეესწრო. ზემდგომი ინსტანციების სასამართლოებმა ძალაში დატოვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი. ბატონი როსტომაშვილი ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ მის მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო.

სამართალი - ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა:

აღნიშნული მუხლი ეროვნულ სასამართლოებს ავალდებულებს, ნათლად მიუთითონ გადაწყვეტილების მიზეზები. ეს ვალდებულება არ გულისხმობს განმცხადებლის მიერ წამოჭრილ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას, თუმცა, აუცილებელია, მხარეებმა მიიღონ ცალსახა პასუხები იმ არგუმენტებზე, რომლებიც გადამწყვეტია სამართალწარმოების შედეგისთვის. გადაწყვეტილებიდან ნათლად უნდა ჩანდეს, რომ სასამართლომ ყველა საკვანძო საკითხი განიხილა.

განმცხადებლის მიერ ეროვნული სასამართლოების წინაშე წარმოდგენილ ორ ძირითად არგუმენტს არ გაეცა ცალსახა პასუხი: პირველი, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ არც ერთი მტკიცებულება არ ეხებოდა მას და არ იკვეთებოდა მისი მონაწილეობა დანაშაულებში, რომლებიც ბრალად ედებოდა. მეორე, საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ გარდაცვლილის მამა ნამდვილად იყო მკვლელობის თვითმხილველი.

ევროპული სასამართლოს კომპეტენცია არ არის იმის განხილვა, თუ როგორ შეაფასა ეროვნულმა სასამართლომ მტკიცებულებები. მას არც პირის ბრალეულობის ან უდანაშაულობის დადგენა ევალება; თუმცა, ევროპული სასამართლო აფასებს, სამართალწარმოება, მთლიანობაში, შეესაბამებოდა თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიერ ეროვნული სასამართლოების წინაშე წამოყენებულ ორ არგუმენტს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმისთვის და საჭიროებდა

²⁷ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Rostomashvili%22%22%5D%22itemid%22:%5B%222001-187363%22%5D%7D>

სპეციფიკურ და მკაფიო შეფასებას. მიუხედავად ამისა, არც ერთ ინსტანციას ისინი არ განუხილავს. ეროვნული სასამართლოების ზოგადი პასუხი – „საქმის მასალებში არსებული ყველა მტკიცებულება საკმარისი იყო განმცხადებლის დამნაშავედ ცნობისთვის“, ნიშნავს დასაბუთების არარსებობას, ვინაიდან არც ერთი მტკიცებულება არ მიუთითებდა განმცხადებლის ბრალეულობაზე და ერთადერთი თვითმხილველის ჩვენება არ შეესაბამებოდა უტყუარობისა და სანდოობის სტანდარტებს. მთლიანობაში, ეროვნულმა სასამართლომ ვერ შეძლო გადაწყვეტილების დასაბუთება.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი:
დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 3600 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

ჭანკოტაძე საქართველოს წინააღმდეგ²⁸ TCHANKOTADZE V. GEORGIA № 15256/05; 21.06.2016

გამამტყუნებელი განაჩენის დაუსაბუთებლობა:
დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი ბატონი ზურაბ ჭანკოტაძე საქართველოს სამართლის იურიდიულ პირის საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს (“CAA”) თავმჯდომარე იყო 2002 წლის 12 მარტისა და 2004 წლის 13 მარტის პერიოდში. 2004 წლის 16 მარტს მთავარმა პროკურატურამ მას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენების ბრალდება წაუყენა; კერძოდ, მას ბრალად ედებოდა ორი ეპიზოდი: (i) სამოქალაქო ავიაციის სამ კომპანიასთან 2003 წლის 28 მარტსა და 13 აგვისტოს მომსახურების ხელშეკრულებების გაფორმება „მომსახურების საფასურის“ შეგროვების მიზნით, რომელიც,

ბრალდების ვერსიით, სინამდვილეში შეფარულად წარმოადგენდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შეჩერებული სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებულ „რეგულირების საფასურს“; და (ii) ის ფაქტი, რომ იმავე რეგულირების საფასურს იღებდა რვა სხვა სამოქალაქო ავიაციის კომპანიებისგან, განმცხადებლის მიერ 2003 წლის 25 ნოემბერს უკანონოდ გამოცემული N1 ბრძანების საფუძველზე.

ბატონი ჭანკოტაძე ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტიდან გამომდინარე, ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისად არ დაასაბუთეს მისი მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები.

სამართალი - მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი:

პირველ ეპიზოდთან დაკავშირებით ეროვნულმა ორგანოებმა ბრალი დასდეს განმცხადებელს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში. აღნიშნული გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, უკრძალავდა შესაბამის ორგანოებს ნებისმიერი საფასურის დაწესებას სამოქალაქო ავიაციის კომპანიებისთვის; თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველების გათვალისწინებით, გადაჭრით არ შეიძლებოდა დასკვნის გაკეთება, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ აშკარად აუკრძალა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მომსახურების ხელშეკრულებების დადება სამოქალაქო ავიაციის კომპანიებთან. უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ ბათილად ცნო კანონით გათვალისწინებული ნორმატიული ვალდებულება „ყოველწლიური რეგულირების საფასურის სატრანსპორტო საქმიანობისთვის“ გადახდის შესახებ; თუმცა, იმავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლომ, ასევე, გაითვალისწინა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს არგუმენტი, რომლის თანახმად, მისი სავარაუდო ფუნქციონირება განპირობებული იყო მომსახურების საფასურის შემოსავლებითა და სამოქალაქო ავიაციის კომპანიებთან მომსახურების კონტრაქტების გაფორმებით. აღნიშნული გარემოება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და სამოქალაქო ავიაციის კომპანიებს ანიჭებდა უფლებას, დაემყარებინათ თავი-

²⁸ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-163799%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-163799%22]})

სუფალი სახელშეკრულებო ურთიერთობები. ამ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი კომპანიები სახელშეკრულებო ვალდებულებას იღებდნენ, გადაეხადათ მომსახურების საფასური სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთვის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად. ამდენად, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ გაუგებარია, თბილისის საქალაქო სასამართლომ, განმცხადებლის მსჯავრდებისას, რატომ არ გასცა დასაბუთებული პასუხი დაცვის მხარის ძირითად არგუმენტს, რომ ბრალდებული უბრალოდ, დაემორჩილა საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებას ასეთ სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლასთან დაკავშირებით. შემდგომი მნიშვნელობის იყო აუდიტის 2004 წლის 20 ივლისის დასკვნა, რომლითაც დასტურდებოდა, რომ სადავო ხელშეკრულებები აშკარად შეესაბამებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებას. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ასეთი ხელშეკრულებებიდან ერთი მაინც - 2003 წლის 13 აგვისტოს გარიგება ეფუძნებოდა დამატებით სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ, პრეზიდენტის 2003 წლის 25 ივლისის N354 ბრძანებულებას. აღნიშნული სამართლებრივი აქტი ცალსახად ადგენდა, რომ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო უფლებამოსილი იყო, დაენესებინა რეგულირების მომსახურების საფასური სამოქალაქო ავიაციის კომპანიებისთვის, კერძო ხელშეკრულებების საფუძველზე.

მეორე ეპიზოდთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეაფასეს ის უდავო ფაქტი, რომ N1 ბრძანება ეფუძნებოდა სახელმწიფო რეგულირების აქტის 24-ე მუხლის მე-5 ნაწილს, რომელიც წარმოადგენდა 2003 წლის 14 აგვისტოს ცვლილებების შედეგად წარმოშობილ გარდამავალ დებულებას; აღნიშნული სამართლებრივი ნორმით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, როგორც ტრანსპორტის მარეგულირებელი ორგანო, უფლებამოსილი იყო თავად დაენესებინა რეგულირების საფასური, ელოდა რა აღნიშნულ საკითხზე პარლამენტის მიერ ახალი კანონის მიღებას. იმის გათვალისწინებით, რომ რეგულირების საფასურის განაკვეთები დადგინდა საკმაოდ გვიან, კერძოდ - 2004 წლის 30 ივნისიდან, ძნელია იმის გარკვევა, თუ, რატომ იყო განმცხადებლის, როგორც სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის

მიერ 2003 წლის 25 ნოემბერს გამოცემული N1 ბრძანებით აღნიშნული საკითხის დარეგულირება არამართლზომიერი, ზემოთ მითითებული აქტის 24-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად. გარდა ამისა, თუ განმცხადებლის მიერ გამოცემული, 2003 წლის 1 ოქტომბრიდან მოქმედი N1 ბრძანება იყო აშკარად უკანონო, მაშინდელი იუსტიციის სამინისტრო, რომელიც კურირებდა სხვადასხვა კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტის კანონიერებას, ვალდებული იყო, გამოეაშკარავებინა ბრძანების ყველა ძირითადი სამართლებრივი ხარვეზი. ამასთან, აუდიტის 2004 წლის 20 ივლისის დასკვნით, რომელიც საქმეში არსებული ერთადერთი სასამართლო მტკიცებულება იყო, კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ განმცხადებელი ნამდვილად მოქმედებდა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, N1 ბრძანების გამოცემის მომენტში.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველა ზემოთ მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტის დაზუსტება აუცილებელი იყო ორივე ეპიზოდში განმცხადებლის ბრალეულობის დასადგენად; თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარემ სათანადოდ გააუღერა ყველა შესაბამისი არგუმენტი, ეროვნულმა სასამართლოებმა თავიანთ გადაწყვეტილებებში არ მიანიჭეს მათ მნიშვნელობა.

ევროპული სასამართლო გამოხატავს გაოცებას იმის გამო, რომ არ არსებობს საკმარისი საფუძველი იმის ასახსნელად, თუ რატომ იყო განმცხადებლის ქმედებები - მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე საფასურის შეგროვება და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტის გამოცემა - მიჩნეული, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული. ბატონი ჭანკოტაძე არ სარგებლობდა სამართლიანი სასამართლო განხილვით, ვინაიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობა თვითნებურად იყო განმარტებული მის საზიანოდ.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა

კონვენციის 41-ე მუხლი: 20 000 არამატერიალური ზიანისთვის; 15 000 ევრო განუული ხარჯებისა და დანახარჯებისთვის;

შენიშვნა: აგრეთვე, დადგინდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.

ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ²⁹

JGARKAVA V. GEORGIA

№ 7932/03; 10.07.2007

სამოქალაქო სამართლებრივ დავაზე სასამართლოს გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი ნოდარ ჯღარკავა იყო სოფელ ლეხაინდარაოს ლიცეუმის დირექტორი და ადგილობრივი გამგეობის წევრი. 1995 წლის 29 ოქტომბერს ის დაიბარეს თბილისში, გენერალურ პროკურატურაში, სადაც, ყოველგვარი დაკითხვისა და ახსნა-განმარტების გარეშე, დააკავეს და წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. შემდგომ გაირკვა, რომ ის ექვმიტანილი იყო არჩევითი თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და ქრთამის გამოძღვის სანაცვლოდ გარკვეული სამსახურის განკვეთაში.

1998 წლის 20 ივლისს, საქმის საკასაციო წესით განხილვის შემდეგ, თბილისის საოლქო სასამართლომ სრულად გააუქმა განმცხადებლის მიმართ 1998 წლის 7 მაისის განაჩენი და გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება „დანაშაულის მტკიცებულებათა არარსებობის გამო“ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ.

2000 წლის 13 ივნისს ბატონმა ჯღარკავამ რაიონულ სასამართლოში გენერალური პროკურატურისა და მისი საქმის გამომძიებლის წინააღმდეგ შეიტანა სამოქალაქო სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. განმცხადებელი ირწმუნებოდა, რომ მან განიცადა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ციხეში, არსებითად შეიღახა მისი რეპუტაცია, დაკარგა გასამრჯელო, როგორც დირექტორმა და როგორც რეპეტიტორმა, ვერ შეძლო გაძღოლოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, პატიმრობის აუტანელმა პირობებმა გამოიწვია მისი ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება, რაც ძვირადღირებულ მკურნალობასთან იყო დაკავშირებული, მოუწია ადვოკატის ჰონორარის გადახდა და სხვ.

2001 წლის 12 იანვარს რაიონულმა სასამართლომ განმცხადებლის მოთხოვნათა დიდი ნაწილი არ დააკმაყოფილა. მან აღნიშნა, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც

ძალაში შევიდა 1999 წლის 15 მაისს, არ იცნობს „მტკიცებულებათა არარსებობის“ გამო სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას და განმცხადებელს არასოდეს მიუმართავს სასამართლოსათვის რეაბილიტაციის მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დაკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნები. უზენესი სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომ განმცხადებელს უნდა მიეღო განაცდური ხელფასი. დანარჩენ ნაწილში უარყო განმცხადებლის მიერ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, შეცვალა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დაადგინა: „(...) მხოლოდ რეაბილიტირებულ პირს აქვს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება და ისიც მისი გამართლების ან რეაბილიტირებულად აღიარების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანიდან ექვსი თვის ვადაში; მაგრამ საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მომჩივანი რეაბილიტირებულ იქნა“.

ბატონი ჯღარკავა ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტიდან გამომდინარე, ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისად არ დაასაბუთეს მისი მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებები.

სამართალი - მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი:

ეროვნულ სასამართლოებს განმცხადებლისთვის უარი არ უთქვამთ იმ მოტივით, რომ ახალი კოდექსი მას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას არ ანიჭებდა. ეროვნული სასამართლოები განმცხადებელს მხოლოდ იმაზე მიუთითებდნენ, რომ მას არ წარმოუდგენია სასამართლოს გადაწყვეტილება მისი რეაბილიტაციის შესახებ და დროულად არ მიუმართავს ეროვნული სასამართლოსთვის.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, განაცხადში წამოყენებული პრობლემის სათავეა ის გარემოება, რომ განმცხადებლის დავის განხილვა ძველი და ახალი კოდექსების მოქმედების პერიოდებს მოიცავდა. ახალი კოდექსის თანახმად, გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დარღვეული უფლებების აღდგენისა და რეაბილიტაციის საფუძველს წარმოადგენს. გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის შესახებ უნდა შეიცავდეს მითითებას კომპენსაციის უფლებაზე და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ექვსი თვის

²⁹ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-91485%22%5D%7D>

ვადაში დაყენების შესაძლებლობაზე; თუმცა, ახალი კოდექსის გარდამავალ დებულებებში არაფერია ნათქვამი მის მიღებამდე შეწყვეტილი სამართალწარმოების შესახებ.

ევროპულმა სასამართლომ, რომლის მოვალეობაც არ არის შესაბამისი კანონმდებლობის აბსტრაქტული კონტროლი, უნდა შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა კონვენციის მოთხოვნებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოყენებული მიდგომა განსახილველ საქმეში.

უზენაესმა სასამართლომ განმცხადებელს უსაყვედურა, იმის გამო, რომ, პირველი, მან ვერ დაასაბუთა მისი რეაბილიტირებულად ცნობა, და მეორე, მას ექვსი თვის ვადაში არ დაუყენებია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა; თუმცა, უზენაესმა სასამართლომ არ განმარტა ის მიზეზები, რომელთა გამოც განმცხადებელი არ იქნა რეაბილიტირებულად ცნობილი, მაშინ როდესაც მის მიმართ წარმოებული სისხლის-სამართლებრივი დევნა შეწყდა და ახალი კოდექსის შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება საკმარისი იყო მისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. პრაქტიკულად, თავად გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ იმთავითვე წარმოადგენს „რეაბილიტაციის“, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „უფლებების აღდგენის“ „საფუძველს“ და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენამდე პირის რეაბილიტირებულად ცნობის შესახებ ცალკე სამართლებრივი პროცედურის წარმოება არ არის აუცილებელი.

უზენაესმა სასამართლომ არ განმარტა მიზეზები, რომელთა გამოც მან მხოლოდ წინამდებარე საქმის ფარგლებში გადაწყვიტა, ერთმანეთისაგან განეცალკევებინა „რეაბილიტირებულად ცნობა“ და „უფლებების აღდგენა“, რომლებიც იდენტურ ცნებებს წარმოადგენს, არამარტო სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, არამედ თავად კანონმდებლის თვალშიც. ამასთან, მან არც ის დააზუსტა, თუ რა მტკიცებულებები უნდა წარედგინა განმცხადებელს მისი რეაბილიტაციის ფაქტის დასადასტურებლად.

თუკი დავუშვებთ, რომ უზენაესმა სასამართლომ იგულისხმა, რომ განმცხადებელმა არ მიმართა ეროვნულ სასამართლოებს 1998 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების ახალ კოდექსთან „შესაბამისობაში მოყვანის“ მოთხოვნით, ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული მოტივი მას ნათლად უნდა განემარტა თავის გადაწყვეტილებაში და ის

სამართლებრივი ნორმა მიეთითებინა, რომელიც განმცხადებელს ამგვარი პროცედურის წარმოების დაწყებას ავალდებულებდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ახალი კოდექსი მსგავს ნორმას არ შეიცავდა.

ასევე, ბუნდოვანია, უზენაესი სასამართლოს მსჯელობა იმ ექვსთვიან ვადასთან დაკავშირებით, რომელიც ახალი კოდექსის მიხედვით, გამართლების ან რეაბილიტირებულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან აითვლება; საკასაციო ინსტანცია არ აზუსტებს, თუ რომელი გადაწყვეტილების მიღებიდან უნდა დაწყებულიყო ზემოთ აღნიშნული ვადის ათვლა განმცხადებლის მიმართ.

ამასთან, უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება განმცხადებლისთვის განაცდური ხელფასის აღდგენის ნაწილში; თუმცა, მას მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ აღნიშნულის მარეგულირებელი სამართლებრივი დებულება მხოლოდ რეაბილიტირებულად ცნობილ პირს ეხება და იმავე გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ განმცხადებელს მისი რეაბილიტაციის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარუდგენია.

გამომდინარე იქიდან, რომ უზენაესი სასამართლო იძულებული იყო, გადაწყვეტილება მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების ფონზე გამოეტანა, მან ბუნდოვანი და არასაკმარისად დასაბუთებული დასკვნები გააკეთა. ევროპული სასამართლოს შეფასებით, აღნიშნულმა ინსტანციამ ვერ დააკმაყოფილა დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნა.

მთავრობა აცხადებს, რომ ბატონ ჯღარკავას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 1999 წლის 15 მაისიდან ანუ ახალი კოდექსის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უნდა დაეყენებინა. ასეთი ინტერპრეტაცია არც უზენაეს სასამართლოს გაუკეთებია და არც კოდექსში ყოფილა მითითებული.

მთავრობა, ასევე, აცხადებდა, რომ მისი საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ახალ კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განმცხადებელს ხსენებული გადაწყვეტილების მიმღები ორგანოსთვის - თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის უნდა მიემართა; თუმცა, შეკითხვაზე - რომელი სამართლებრივი ნორმის ან სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად უნდა ეწარმოებინა მას ამგვარი სამართლებრივი პროცედურა, მთავრობამ პასუხი ვერ გასცა. ამასთანავე, თბილისის საქალაქო სასამართლო,

როგორც სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამომტანი საკასაციო ინსტანცია, პოსტაბჭოთა პერიოდის სასამართლო რეფორმის ფარგლებში, ახალი კოდექსის ამოქმედებამდე გაუქმდა.

დასკვნა:

მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

41-ე მუხლი: მოთხოვნა უარყოფილია, რადგან არ ყოფილა წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებები.

იხ. აგრეთვე: *Taxquet v. Belgium*, no. 926/05, 16 November 2010; *Nikolay Genov v. Bulgaria*, no. 7202/09, 13 July 2017; *Ruiz Torija v. Spain*, no. 18390/91, 9 December 1994, *Moreira Ferreira v. Portugal*, no. 19867/12, 11 July 2017; *Fomin v. Moldova*, no. 36755/06, 31, 11 October 2011 ; *Deryan v. Turkey*, no. 41721/04, 21 July 2015; *Boldea v. Romania*, no. 19997/02, 15 February 2007; *Uche v. Switzerland*, no. 12211/09, 17 April 2018; *Rohlana v. the Czech Republic*, no. 59552/08, 27 January 2015; *Popov v. Russia*, no. 26853/04, 13 July 2006.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

დადიანი და მაჩაბელი

საქართველოს წინააღმდეგ³⁰

DADIANI AND MACHABELI V. GEORGIA
№ 8252/08; 12.06.2012

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა რეგისტრაციის ორგანოს მიერ მასში შესწორების შეტანის მოთხოვნის გამო: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებლები - ქალბატონი ელენე დადიანი და ბატონი დავით მაჩაბელი არიან დეიდა და დისშვილი. 2004 წელს მათ სარჩელი შეიტანეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინააღმდეგ სამკვიდრო მიწის

რესტიტუციის მოთხოვნით. სარჩელს თან დაურთეს საარქივო მასალები, რომლითაც დასტურდებოდა მათი წინაპრების საკუთრების უფლება სადავო მიწაზე. 2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით, გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ სოფელ ბაკურციხეში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის ოფიციალური სახელწოდება იყო „მიწა №604“ განმცხადებლების თანამფლობელობა დაადგინა. მოპასუხე მხარემ არ გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება და ის აღსასრულებლად სავალდებულო გახდა. რეგისტრატორმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია და მიუთითა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში სათანადოდ არ იყო ასახული ყველა საჭირო მონაცემი უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. ამ საფუძვლით მისი აღსრულება შვიდ წელზე მეტ ხანს გაჭიანურდა და ევროპული სასამართლოს მიერ ამ საკითხის განხილვის დროისთვის კვლავ აღუსრულებელი იყო.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი:

„საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის“ უფლების განუყოფელი კომპონენტია სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი. აღნიშნული უფლება ილუზორული იქნებოდა, თუკი სასამართლოს საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილება დარჩებოდა აღუსრულებელი. განსახილველ საქმეში სასამართლო გადაწყვეტილებით დასტურდებოდა მიწის მესაკუთრის ვინაობა და მის საფუძველზე შესაძლებელი იყო საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაცია. მთავრობის მტკიცებით, გადაწყვეტილების აღსრულებლობის მიზეზი იყო განმცხადებლებისგან დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტების წარუდგენლობა. ევროპული სასამართლო ეთანხმება მთავრობის არგუმენტს, რომ რეგისტრატორის მოთხოვნა ისეთი დამატებითი დოკუმენტების წარდგენის თაობაზე, როგორცაა ადვოკატის პირადობის მოწმობის ასლი, რწმუნებულება და სააღსრულებო ფურცლის ორიგინალი, არ წარმოადგენდა თვითნებურ მოთხოვნას; თუმცა, მთავარი წინააღმდეგობა, რაც განმცხადებლებს შეხვდათ, იყო რეგისტრატორის მიერ სადავო გადაწყვეტილების კრიტიკა იმ მოტივით, რომ ის არ შეიცავდა ინფორმაციას №604 მიწის ნაკვეთის ზომის ან მისი კატეგორიის შესახებ ანუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იყო თუ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების.

³⁰ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%22001-111419%22%7D>

ევროპული სასამართლო იზიარებს განმცხადებლების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ რეგისტრატორმა მათ de facto დააკისრა ახალი სარჩელის შეტანის ვალდებულება სადავო გადაწყვეტილების შესწორების მიზნით. აქედან გამომდინარე, მან უნდა გაარკვიოს, ზედმეტად ხომ არ უშლის განმცხადებლებს ხელს შესწორებული გადაწყვეტილების წარდგენის ვალდებულება მათ სასარგებლოდ მიღებული სავალდებულო, საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებაში.

უპირველეს ყოვლისა, ახალი სასამართლო პროცესის დაწყების ვალდებულებასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ პირს, რომელსაც გააჩნია სასამართლოს მიერ, მის სასარგებლოდ, სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულო აღსრულებას ექვემდებარება, არ შეიძლება დაეკისროს მოთხოვნათა იძულებით დაკმაყოფილება ან სხვა მსგავსი მოქმედებები გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ №604 მიწის ნაკვეთის ზომა და დანიშნულება მანამდე იყო დადგენილი და ხელმისაწვდომი, სანამ სასამართლო სადავო გადაწყვეტილებას გამოიტანდა; უფრო მეტიც, ამ სახის ინფორმაციას ფლობდა საჯარო რეესტრი, რომელიც inter alia პასუხისმგებელია უძრავი ქონების საკადასტრო მონაცემთა ბაზის შექმნასა და შენახვაზე. მთავრობას არ გაუპროტესტებია განმცხადებელთა აღნიშნული არგუმენტი. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ რეგისტრატორის მიერ იმ ინფორმაციის მოთხოვნა, რომელიც იყო ან უნდა ყოფილიყო საჯარო რეესტრის განკარგულებაში, არ ემსახურებოდა კანონიერ მიზანს და იწვევდა აღსრულების პროცესის გაჭიანურებას.

შესაბამისად, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელთა მიერ დამატებითი დოკუმენტების წარუდგენლობამ, შესაძლოა, ხელი შეუწყო გადაწყვეტილების აღსრულებლობას, ეს არ ათავისუფლებს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს მათი ვალდებულებებისგან, აღასრულონ სასამართლოს საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილება. აღსრულების შესაბამისი ორგანოების მხრიდან გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში გამორჩენილი ინერტულობა პასუხისმგებლობას აკისრებს მოპასუხე სახელმწიფოს.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 2 000 ევრო თითოეულ განმცხადებელს არამატერიალური ზიანისთვის; 1500 ევრო ორივე განმცხადებელს ერთობლივად განეული ხარჯებისა და დანახაჯებისთვის.

შენიშვნა: კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი პუნქტის დარღვევის დადგენის მოთხოვნის ცალკე განხილვა საჭირო აღარ არის.

ამატ-ჯი და მებაღიშვილი საქართველოს წინააღმდეგ³¹ AMAT-G LTD AND MEBAGHISHVILI V. GEORGIA № 2507/03; 27.09.2005

ზიანის ანაზღაურების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებლობა: დარღვევა

ფაქტები: „Amat Shipping Company Limited“-მა და მეორე განმცხადებელმა ვაჟა მებაღიშვილმა საქართველოში დააარსეს შპს „Amat-G“. მეორე განმცხადებელი დაინიშნა ამ კომპანიის დირექტორად. 1998-99 წლებში „Amat-G“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა სახის თევზის პროდუქციით ამარაგებდა; თავდაცვის სამინისტრომ კომპანიას არსებული დავალიანების მხოლოდ ნაწილი გადაუხადა. 1999 წელს განმცხადებლებმა ხელშეკრულების პირობების დარღვევის შედეგად მიყენებული 6.625.26 ლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შეიტანეს სამოქალაქო სარჩელი. თბილისის საოლქო სასამართლომ 1999 წლის 6 დეკემბერს ნაწილობრივ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და თავდაცვის სამინისტროს 2.541.88 ლარის ოდენობის კომპენსაციის გადახდა დაავალა. სასამართლოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და ის ძალაში შევიდა. 2000 წლის 10 ივლისს თავდაცვის სამინისტრომ განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს

³¹ <https://hudoc.echr.coe.int/fre#%7B%22fulltext%22:%5B%22Amat%20LTD%20and%20Mebaghishvili%22%5D,%22documentcollection-id%22:%5B%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22,%22DECISIONS%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-70293%22%5D%7D>

და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება, რაზეც უარი მიიღო. შესაბამისად, ძალაში დარჩა თავდაცვის სამინისტროს მიმართ არსებული სავალდებულო მოთხოვნა სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე; მაგრამ სამინისტროს ვალი არც ამის შემდეგ გადაუხდია.

2001 წლის სექტემბერში კომპანია “Amat-G” 1999 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულებლობით მიყენებული ზიანის გამო, თავდაცვის, იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროების კოლექტიური პასუხისმგებლობის აღიარების მოთხოვნით სარჩელი შეიტანა თბილისის საოლქო სასამართლოში, მაგრამ უშედეგოდ. განმცხადებლების მიმართ არსებული დავალიანება, ხუთნახევარი წლის შემდეგაც, გადაუხდელი დარჩა. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა განმცხადებლებმა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრეს.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: განმცხადებელმა კომპანიამ ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა სახელმწიფო ორგანოების მიერ 1999 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულებლობა. ამის საპასუხოდ, მთავრობამ აღიარა, რომ ნამდვილად იყო შეჩერებული მითითებული გადაწყვეტილების აღსრულება გარკვეული ვადით; თუმცა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე შეუძლებელი იყო ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული სახელმწიფო დავალიანების სრულად დაფარვა, რაც, საერთო ჯამში, 47 000 000 ლარს შეადგენდა. აღნიშნულთან დაკავშირებით მთავრობამ გამოსცა 2004 წლის 2 ივლისის განკარგულება.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, მიუღებელია, სასამართლო გადაწყვეტილებით აღიარებული დავალიანების გადაუხდელობის ასახსნელად სახელმწიფო ორგანოს მიერ არასაკმარისი ფინანსური რესურსების მომიზეზება. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება დასაშვებია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას; თუმცა, ასეთმა შეჩერებამ არ უნდა შელახოს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით მინიჭებული უფლების არსი. ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ მთავრობის მიერ მითითებული განკარგულება არ ყოფილა ასეთი განსაკუთრებული გარემოება.

სახელმწიფოს ფინანსური სირთულეების გამო, განმცხადებელ კომპანიას ხელი არ უნდა შეშლოდა, ესარგებლა სასამართლო გადაწყვეტილებით, რომელსაც მისი ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

იმის გამო, რომ საქართველოს ოფიციალურმა ორგანოებმა ხუთი წლისა და რვა თვის განმავლობაში ვერ უზრუნველყვეს 1999 წლის 6 დეკემბრის ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

კონვენციის მე-13 მუხლი: ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებელ კომპანიას არ ჰქონია შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც მას აღნიშნული სამართალწარმოების შეფერხების გამო მიადგა.

კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი: განმცხადებლის მიმართ მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა არის საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევა. კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის პირველი და უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, სახელმწიფო ორგანოს ნებისმიერი ჩარევა იყოს კანონიერი - „კანონით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე“. განსახილველ საქმეში პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოები ვალდებულნი იყვნენ, ჯერ კიდევ 2004 წლის 2 ივლისამდე, ანუ მთავრობის №62 განკარგულების მიღების დღემდე, აღსრულებინათ 1999 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 6 იანვარს.

ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ცნებები „კანონი“ და „კანონიერი“, მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი კანონის არსებობაზე არ მიუთითებს, არამედ, ადგენს, რომ კანონი გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა შეესაბამებოდეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მთავრობის განკარგულების მიღებას შედეგად მოჰყვა ხელისუფლების მეორე მცდელობა, ჩარეულიყო განმცხადებელი კომპანიის უფლებაში მისი საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობასთან დაკავშირებით. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მთავრობის განკარ-

გულეა ნორმატიული სამართლებრივი აქტების კატეგორიას არ განეკუთვნება; ის არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მისი დანიშნულება არ არის ზოგადი წესის განსაზღვრა მრავალჯერადი გამოყენებისათვის; ინდივიდუალური აქტი ნორმატიულ აქტებს უნდა შეესაბამებოდეს; ის გამოიყენა მხოლოდ ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ საფუძველზე და ვადაში; განკარგულების შინაარსი განმცხადებელ კომპანიას არ აძლევდა საშუალებას, განეჭვრიტა დავალიანების დაფარვის გაჭიანურება. განკარგულება არ აკონკრეტებდა, თუ როდის მიიღებდა განმცხადებელი კომპანია კუთვნილ თანხას განერილი გეგმის მიხედვით და არც იმას, თუ რა რიგითობა შეიძლებოდა რგებოდა მას „სხვა კრედიტორთა პროპორციული გასტუმრების“ დროს.

შესაბამისად, ევროპული სასამართლოს შეფასებით, განკარგულება საკმარისად არ აკმაყოფილებდა სიზუსტისა და განჭვრეტადობის კრიტერიუმებს, რომლებსაც კონვენციის თანახმად „კანონის“ ცნება გულისხმობს. აქედან გამომდინარე, განმცხადებლის საკუთრების უფლებაში ჩარევა არ შეესაბამება კანონიერების მოთხოვნებს. ასეთ ვითარებაში ევროპულ სასამართლოს არ მოეთხოვება იმის დადგენა, შეესაბამებოდა თუ არა განმცხადებელი კომპანიის საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობის უფლებაში ჩარევა კანონიერ მიზანს და იყო თუ არა დაცული ბალანსი საჯარო ინტერესის დაცვის საჭიროებასა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის მე-13 მუხლი: დარღვევა;

კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 200 000 ევრო მატერიალური ზიანისათვის; 2000 ევრო განუღებელი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

**შპს „იზა“ და მაკრახიძე
საქართველოს წინააღმდეგ³²
„IZA“ LTD AND MAKRAKHIDZE V.
GEORGIA
№ 28537/02; 27.09.2005**

ზიანის ანაზღაურების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებლობა: დარღვევა

ფაქტები: 1998 წლის ივლისში მეორე განმცხადებელმა, როგორც სამშენებლო კომპანია შპს „იზას“ დამფუძნებელმა და დირექტორმა ნოდარ მაკრახიძემ, საჯარო სკოლასთან გააფორმა ხელშეკრულება რემონტის ჩატარების თაობაზე. ხელშეკრულების თანახმად, განათლების სამინისტროს 117.514 ლარი (53.892,50 ევრო) უნდა გადაერიცხა განმცხადებელი კომპანიის ანგარიშზე. მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს თვეში მას უკვე ჰქონდა შესრულებული 13.000 ლარის (5.965 ევრო) ღირებულების სარემონტო სამუშაოები, განათლების სამინისტრომ მის ანგარიშზე მხოლოდ 5.800 ლარი (2.661 ევრო) გადარიცხა. საგადასახადო სამსახურებმა განმცხადებელი კომპანიისა და პირადად მეორე განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრეს საქმე 30.735 ლარის (14.104 ევრო) ოდენობით გადასახადის გადახდის მოთხოვნით. განმცხადებელთა მტკიცებით, აღნიშნული ოდენობა დაანგარიშებული იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი თანხის ოდენობის საფუძველზე, მაშინ როდესაც რეალურად, განმცხადებელმა კომპანიამ მხოლოდ ანაზღაურების ნაწილი მიიღო. მეორე განმცხადებელმა წამოიწყო სამართალწარმოება და 2001 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნები. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, განათლების სამინისტრო ვალდებული იყო, განმცხადებელი კომპანიისთვის გადაეხადა 11.628 ლარი (5.332 ევრო). მოწინააღმდეგე მხარეს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია და ის ძალაში შევიდა. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილება არ აღსრულებულა. პასუხად, სააღსრულებო დეპარტამენტის უფროსმა მას განუმარტა, რომ სახელმწიფო საბიუჯეტო დაწესებულებათა წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსრულება იყო ერთ-

³² <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22iza%22%22%22%5D%22%22%7D>

ერთი ურთულესი ამოცანა და არ იცოდა, კონკრეტულად როდისთვის იყო მოსალოდნელი მისი საკითხის გადაწყვეტა. განმცხადებელმა მიმართა გენერალურ პროკურატურას, თუმცა, პასუხად მიიღო, რომ პროცესის გაჭიანურება განპირობებული იყო ობიექტური მიზეზებით - სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსების ნაკლებობით და შესაბამისად, არავის ეკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა განმცხადებლებმა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: აღნიშნული დებულება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება ილუზორული იქნებოდა, თუ მაღალი ხელშემკვრელი მხარის ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების, ერთი მხარის საზიანოდ, უმოქმედოდ დატოვებას; თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება გარკვეული ვადით შესაძლებელია გამართლებული იყოს, თუკი ეს ცალსახად აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემის გადასაჭრელად. განსახილველ საქმეში მთავრობას არ მიუთითებია რაიმე კონკრეტულ გარემოებაზე, რომელიც გაამართლებდა სასამართლო გადაწყვეტილების ოთხ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში აღუსრულებლობას. ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელ კომპანიას ხელი არ უნდა შეშლოდა, ესარგებლა მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით, რასაც მისი ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

კონვენციის მე-13 მუხლი: ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელს არ ჰქონია სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც მას სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობით მიადგა. მთავრობას საპირისპირო არგუმენტი არ წარმოუდგენია.

კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი: განმცხადებლის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა

არის საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობის უფლებაში ჩარევა, როგორც ეს კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის პირველ წინადადებაშია ჩამოყალიბებული. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი ამ ჩარევის გასამართლებლად.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის მე-13 მუხლი: დარღვევა;

კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი პუნქტი: დარღვევა;

კონვენციის 41-მუხლი: 10 000 ევრო მატერიალური ზიანისათვის; 1000 ევრო არამატერიალური ზიანისათვის; 2050 ევრო განუვლი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

იხ. აგრეთვე: *Burdov v. Russia*, no. 59498/00, 4 September 2002; *Romashov v. Ukraine*, no. 67534/01, 27 July 2004; *Shestakov v. Russia*, no. 48757/99, 18 June 2002; *Poleshchuk v. Russia*, no. 60776/00, 7 October 2004; *Jasiūnienė v. Lithuania*, no. 41510/98, 6 March 2003; *Qufaj Co. Sh.p.k. v. Albania*, no. 54268/00, 18 November 2004; *Beshiri and Others v. Albania*, no. 7352/03, 22 August 2006; *Mutishev and Others v. Bulgaria*, no. 18967/03, 3 December 2009; *Antonetto v. Italy*, no. 15918/89, 20 July 2000; *Sokur v. Ukraine*, no. 29439/02, 26 April 2005; *Kryshchuk v. Ukraine*, no. 1811/06, 19 February 2009; *Kosmidis and Kosmidou v. Greece*, no. 32141/04, 8 November 2007; *Rompoti and Rompotis v. Greece*, no. 14263/04, 25 January 2007; *Akashev v. Russia*, no. 30616/05, 12 June 2008.

უდანაშაულობის პრეზუმფცია

„ყოველი ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად“.

ბათიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ³³

BATIASHVILI V. GEORGIA

№ 8284/07; 10.10.2019

ხელისუფლების მიერ განმცხადებლის „მამხილებელი“ დამონტაჟებული აუდიო ჩანაწერის გავრცელება: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი ირაკლი ბათიაშვილი იყო ოპოზიციის ლიდერი. 2006 წლის 22 ივლისს დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც უკავშირდებოდა კოდორის ხეობაში უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნასა და ხელმძღვანელობას. მეორე დღეს გამოიცა სასამართლო ბრძანება შეიარაღებული ჯგუფის ლიდერის სატელეფონო მოსმენის თაობაზე. ჩაიწერეს საუბარი ლიდერსა და განმცხადებელს შორის. ეს ჩანაწერი მიაწოდეს კერძო სატელევიზიო არხს, რომელმაც ის გაასაჯაროვა 2006 წლის 25 ივლისს. განმცხადებელმა საჯაროდ დაგმო ეს ფაქტი და განაცხადა, რომ ჩანაწერი დამონტაჟებული იყო. პოლიტიკურმა ფიგურებმა გააკეთეს კომენტარები ბატონ ბათიაშვილსა და ადგილობრივ ლიდერს შორის კავშირის შესახებ და მათ ჩართულობაზე მთავრობის წინააღმდეგ საქმიანობაში და წარმოაჩინეს განმცხადებლის ბრალეულობა, როგორც უპირობოდ დადგენილი. 2006 წლის 29 ივლისს განმცხადებელი დააკავეს. მას ბრალი ედებოდა შეიარაღებულ დაჯგუფებასა და ხელისუფლებას შორის კონფლიქტში აფხაზი სეპარატისტების მონაწილეობის თაობაზე

ხელისუფლების ორგანოებისთვის შეუტყობინებლობა და შეიარაღებული დაჯგუფება „მონადირის“ ხელმძღვანელისთვის ინტელექტუალური მხარდაჭერა. განმცხადებელი დამნაშავედ ცნეს, თუმცა უზენაესი სასამართლოს მიერ საჩივრის გადაწყვეტამდე ის საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა. ბატონმა ბათიაშვილმა მისი უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის დასადგენად ევროპულ სასამართლოს მიმართა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის მე-2

პუნქტი: განმცხადებელი ასაჩივრებდა ხელისუფლების მიერ მედიისთვის ინფორმაციის მიწოდების დასაშვები ფარგლების დარღვევას, კერძოდ, ის აცხადებდა, რომ მასსა და დაჯგუფების ლიდერს შორის სატელეფონო საუბარი დამონტაჟდა ისე, რომ ამოიჭრა საუბრის გარკვეული ნაწილი და შეიქმნა შთაბეჭდილება იმისა, რომ მან შესაბამის უწყებას არ აცნობა დანაშაულის შესახებ.

განმცხადებლისგან განსხვავებით, მთავრობის მიერ ეროვნულ დონეზე და ევროპული სასამართლოსთვის წარდგენილ ინფორმაციას შორის შეუსაბამობა იკვეთებოდა. მთავრობამ ევროპული სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ არსებობდა აუდიო ჩანაწერის ერთადერთი ვერსია და ის, რომელიც ტელევიზიით გაშუქდა, იყო საქმის მასალებში არსებული ჩანაწერის იდენტური. ამის საპირისპიროდ, პროკურატურამ დაადას-

³³ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Batiashvili%22%2C%22languageisocode%22:%5B%22ENG%22%5D%2C%22documentcollectionid%22:%5B%22JUDGMENTS%22%2C%22DECISIONS%22%5D%2C%22itemid%22:%5B%22001-196374%22%5D%7D>

ტურა ჩანანერის სრული ვერსიის არსებობა, რომელიც საქმეში მტკიცებულების სახით იყო წარმოდგენილი და რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა; მისი ავთენტურობა და სანდოობა არასდროს დამდგარა ეჭვქვეშ ეროვნულ დონეზე. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ არსებობდა ჩანანერის ორი ვერსია, რასთან დაკავშირებითაც მთავრობამ სათანადო ახსნა-განმარტება ვერ წარმოადგინა.

ჩნდება კითხვა, ჩანანერის მონტაჟი განახორციელეს სახელმწიფო ორგანოებმა, თუ კერძო სატელევიზიო არხმა. ეროვნული სასამართლოს წინაშე ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ ეს იყო სატელევიზიო კომპანიის კომპეტენცია, ეთერში გაეშვა საუბრის ის ნაწილი, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევდა. ევროპული სასამართლოსთვის მთავრობის არგუმენტი ეროვნულ დონეზე, რომ, შესაძლოა, სატელევიზიო არხმა მოახდინა ვიდეოს რედაქტირება და ამოჭრა შესაბამისი ნაწილები სატელევიზიო ეთერის დროის სიმცირის გამო, არ იყო დამაჯერებელი. ამასთან, აღნიშნული არგუმენტი არსებითად ეწინააღმდეგებოდა მთავრობისავე პოზიციას, რომლის მიხედვით, არსებობდა ჩანანერის მხოლოდ ერთი ვერსია.

ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩანანერი მედიას მიაწოდა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. ზემოთ მოყვანილი მსჯელობის მხედველობაში მიღებით, ევროპულმა სასამართლომ საქმის მასალებიდან და ხელისუფლების ქცევიდან გამოიტანა დასკვნა, რომ განმცხადებლის პოზიცია, რომ მტკიცებულება გააყალბეს და ეს დროში დაემთხვა მისთვის ბრალდების წარდგენას, არის კარგად დასაბუთებული.

ევროპულმა სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს კითხვას - არის თუ არა ეს ქმედება თავსებადი კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტთან. საგულისხმოა, რომ ჩანანერი ტელევიზიით გადაიცა განმცხადებლისთვის ფორმალურად ბრალდების წარდგენამდე და დაკავებამდე ოთხი დღით ადრე. მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენების თანმიმდევრობა, მთლიანობაში, მიუთითებს, რომ მათზე გავლენა მოახდინა საგამოძიებო ორგანოების ქმედებებმა. მტკიცებულების გაყალბების და სატელევიზიო არხით მისი გავრცელების გზით შექმნეს განმცხადებლის, როგორც დამნაშავეს პორტრეტი და ამ ფაქტიდან მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ

გადაეცა საბრალდებო დასკვნა სასამართლოს. ამ დროისათვის ბრალდების მხარისთვის უკვე ცნობილი იყო მტკიცებულების გაყალბების შესახებ; მიუხედავად ამისა, ბრალდება მას დააფუძნეს.

ევროპული სასამართლო, დამატებით, აღნიშნავს, რომ სატელეფონო აუდიო ჩანანერის ტელევიზიით გაშუქების შემდეგ, პარლამენტის წევრებმა შეაფასეს კოდორის ხეობაში არსებული ვითარება და გააკეთეს განცხადებები ამ პროცესში განმცხადებლის როლზე. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონი ბათიაშვილის სატელეფონო საუბრის ჩანანერის დამონტაჟება, რაშიც სახელმწიფო უწყება იყო ჩართული, და მისი ტელევიზიით გავრცელება ემსახურებოდა განმცხადებლის დამნაშავედ წარმოჩენის მიზანს სასამართლოს მიერ მისი დამნაშავეობის დამტკიცებამდე, რითაც დაირღვა მისი უდანაშაულობის პრეზუმფცია.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: დარღვევა;
კონვენციის 41-ე მუხლი: 3,600 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

ნაცვლიშვილი და თოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ³⁴ NATSVLISHVILI AND TOGONIDZE V. GEORGIA № 9043/05; 29.04.2014

მაღალი თანამდებობის პირის საჯარო კომენტარი განმცხადებლის დაკავებასთან დაკავშირებით: არ არის დარღვევა

ფაქტები: განმცხადებლები ამირან ნაცვლიშვილი და რუსუდან თოგონიძე არიან მეუღლეები. პირველი განმცხადებელი 1993-1995 წლებში ქუთაისის მერის მოადგილე იყო და ქუთაისის საავტომობილო ქარხანას ხელმძღვანელობდა. ის გახდა ქარხნის უმსხვილესი აქციონერი სახელმწიფოს შემდეგ. 2004 წელს ბატონი ნაცვლიშვილი

³⁴ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22ap-pno%22:%5B%229043/05%22%2C%22itemid%22:%5B%22001-142672%22%5D%7D>

დააკავეს თავის სამუშაო ადგილას კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ ფინანსური დანაშაულების ბრალდებით. ტელევიზიით აჩვენეს ხელებშეკრული განმცხადებელი, რომელსაც გარს პოლიციელები და ჟურნალისტები ეხვია. აღნიშნულს მოჰყვა გუბერნატორის განცხადება: „ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, არ უნდა გადავხვიოთ არჩეული გზიდან, რათა მოხდეს იმ პირთა გამოვლენა და დასჯა, რომლებმაც სახელმწიფო სახსრები მიითვისეს. სწორედ მათ გამო ვერ ხდებოდა პენსიების და ხელფასების გაცემა“. განმცხადებელსა და პროკურატურას შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება - გამოძიებასთან აქტიური თანამშრომლობის და, ზიანის სახით 4 201 663 ლარის ანაზღაურების სანაცვლოდ, ბატონი ნაცვლიშვილი მაშინვე გაათავისუფლეს. შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილება საბოლოო გახდა და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

მოგვიანებით, განმცხადებელმა მიუთითა, რომ მთავრობის წარმომადგენლები მასზე ახორციელებდნენ ზეწოლას, რათა მას უარი ეთქვა ევროპულ სასამართლოში საქმის წარმოებაზე. ამის დასადასტურებლად ბატონმა ნაცვლიშვილმა წარმოადგინა მისი ქალიშვილისა და პროკურატურის თანამშრომელს შორის არაოფიციალური და ფამილარული ელექტრონული მიმოწერა. თანამშრომელი განმცხადებელს კონსულტაციას უწევდა, პროკურატურისთვის მიმართვის შემთხვევაში, საქმის ხელახლა გამოძიების და თანხის ნაწილის უკან დაბრუნების შესაძლებლობის და მეგობრული მორიგების პროცედურის შესახებ.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-7 ოქმის მე-2 მუხლი: განმცხადებლები ასაჩივრებდნენ თვითნებურ სამართალწარმოებას და გასაჩივრების შეუძლებლობას; განაცხადში უთითებდნენ საქართველოში არსებულ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან დაკავშირებულ მთელ რიგ ხარვეზებზე; სახელდობრ, სასამართლოებს არ ჰქონდათ საკმარისი შესაძლებლობა, ჯეროვნად შეემოწმებინათ საპროცესო შეთანხმების პირობები და გამოერიცხათ პროკურატურის მხრიდან შესაძლო დარღვევები. სასამართლოს ჰქონდა მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დო-

კუმენტის გადახედვის უფლებამოსილება; თუმცა, არ შეეძლო გამოეძიებინა მოლაპარაკების დროს დაშვებული შესაძლო დარღვევები, რადგან არ არსებობდა ამ მოლაპარაკების ამსახველი დოკუმენტური თუ აუდიო მტკიცებულება. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თუნდაც ფორმალურად რომ ეკითხა განმცხადებლისთვის მის მიმართ განხორციელებული შესაძლო დარღვევების შესახებ, აღნიშნული გამოკითხვა არ იქნებოდა ეფექტიანი, რადგან ბატონი ნაცვლიშვილი, რომელიც იმ დროისათვის აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლქვეშ იმყოფებოდა, ვერ გაბედავდა განაცხადებინა მის მიმართ გამოყენებული ზეწოლის მეთოდების თაობაზე. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ის იძულებული გახდა, მონაწილეობა მიეღო საპროცესო შეთანხმებაში და ამის გამო, მას არ დარჩა შესაძლებლობა, გაესაჩივრებინა მითითებული სასამართლო გადაწყვეტილება.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული სისხლისსამართლებრივი სისტემისთვის დამახასიათებელია ბრალდებულის განთავისუფლება სასჯელისგან ან უფრო მსუბუქი სასჯელის განსაზღვრა დანაშაულის აღიარების ან გამოძიებასთან თანამშრომლობის სანაცვლოდ. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი კონვენციის მოთხოვნებთან თავსებადია. ის წარმოადგენს კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან საშუალებას, ხელს უწყობს სწრაფ მართლმსაჯულებას, უფრო მსუბუქი სასჯელების გამოყენებას და პატიმართა რაოდენობის შემცირებას.

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ზოგიერთ საპროცესო უფლებაზე უარის თქმით, სისხლის სამართალწარმოების ვადა მცირდება. აღნიშნული არ შეიძლება შეფასდეს, როგორც კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა. ჯერ კიდევ 1987 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წარმომადგენლებმა მოუწოდეს წევრ სახელმწიფოებს, დაენერგათ გამარტივებული სამართალწარმოება; თუმცა, იმისათვის, რომ უფლებაზე უარის თქმა, კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, ეფექტიანი იყოს, აუცილებელია, იგი განხორციელდეს ღია ფორმით და ასევე, უზრუნველყოფილი იყოს მინიმალური დაცვის გარანტიები.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, გადაწყვეტილება საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან

დაკავშირებით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: (1) ბრალდებულის თანხმობა საპროცესო შეთანხმებაზე უნდა იყოს ნებაყოფლობითი; (2) სასამართლომ ჯეროვნად უნდა შეამოწმოს მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების და მოლაპარაკების სამართლიანობა.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია შემდეგ გარემოებებს: საპროცესო შეთანხმების ინიციატორი იყო განმცხადებელი. მან ნათლად გამოხატა სურვილი, აენაზღაურებინა მის მიერ მიყენებული ზიანი. განმცხადებელი იცნობდა საქმის მასალებს. მას ხელი არ შეშლია დაცვის უფლების განხორციელებაში. სასამართლო მოსმენები ჩატარდა საჯაროდ. განმცხადებელმა სასამართლოს წინაშე ნათლად დააფიქსირა, რომ იგი აცნობიერებდა საპროცესო შეთანხმების პირობებს; ბატონ ნაცვლიშვილსა და პროკურატურას შორის მიღწეული შეთანხმება დოკუმენტურად დაფიქსირდა. სასამართლო დაინტერესდა, განმცხადებლის მიმართ ბრალდება იყო თუ არა დასაბუთებული და გამყარებული მტკიცებულებებით. საპროცესო შეთანხმების ყველა პირობა სასამართლო გადასინჯვას დაექვემდებარა და სასამართლოს ჰქონდა უფლებამოსილება, არ დაემტკიცებინა საპროცესო შეთანხმება, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: პირველი განმცხადებელი, ასევე, ასაჩივრებდა მისი უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას. ევროპული სასამართლო აცნობიერებს, რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფო თანამდებობის პირებმა სწორად შეარჩიონ სიტყვები ბრალდებულთან მიმართებით საჯარო კომენტარებისას მანამ, სანამ მისი ბრალეულობის საკითხს გადაწყვეტს სასამართლო. თუმცა, გუბერნატორს არ მიუთითებია პირველი განმცხადებლის დამნაშავეობაზე და, უფრო მეტიც, მის განცხადებაში არ ყოფილა პირდაპირ ან არაპირდაპირ იდენტიფიცირებული განმცხადებელი. გუბერნატორმა მხოლოდ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სახელმწიფოს პოზიცია დააფიქსირა. განმცხადებლის დაკავება ადგილობრივი ტელევიზიის წარმომადგენელთა თანდასწრებით არ შეიძლება შეფასდეს, როგორც აგრესიული მედია-კამპანია, რომელიც საქმის სამართლიანი განხილვისთვის დაბრკოლების შექმნას ისახავდა მიზნად. მთლიანობაში, მედია დაფარვა არ გაცდენია საზოგადოების

ინფორმირებას ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ქარხნის დირექტორის დაკავების შესახებ.

კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი პუნქტი: ზიანის ანაზღაურება და სხვა ფულადი სანქციები პირველი განმცხადებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარეობდა. შესაბამისად, მათი კანონიერების შეფასება არ შეიძლება გაიმიჯნოს საპროცესო შეთანხმების სამართლიანობის შეფასებისგან - მითითებული მუხლი არ დარღვეულა იგივე მიზეზების გამო.

კონვენციის 34-ე მუხლი: განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მთავრობის წარმომადგენლები მასზე ზეწოლას ახორციელებდნენ, რომ გამოეტანა საჩივარი ევროპული სასამართლოდან. პროკურატურის თანამშრომლისა და განმცხადებლის ქალიშვილის ელექტრონული მიმოწერა, რომლის ინიციატორიც თავად განმცხადებლის ქალიშვილი იყო, არ ყოფილა შეუთავსებელი კონვენციის 34-ე მუხლის მიზნებთან. ასეთი არაფორმალური კომუნიკაცია არ წარმოადგენდა საქმის მორიგებით დასრულების საშუალებას და ეს ინტერაქცია არ შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც განმცხადებელზე ზეწოლა და საკუთარი უფლებების რეალიზებაში ხელისშეშლა.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-7 ოქმის მე-2 მუხლი: არ არის დარღვევა;

კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: არ არის დარღვევა;

კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი პუნქტი: არ არის დარღვევა;

კონვენციის 34-ე მუხლი: არ არის დარღვევა.

იხ. აგრეთვე: *Peša v. Croatia*, no. 40523/08, 8 April 2010; *Magyar Helsinki Bizottság v. Hungary*, no. 18030/11, 8 November 2016; *Karakaş and Yeşilirmak v. Turkey*, no. 43925/98, 28 June 2005; *Shuvalov v. Estonia*, no. 39820/08 and 14942/09, 29 May 2012; *Anguelov v. Bulgaria*, no. 45963/99, 14 December 2004; *Kuzmin v. Russia*, no. 58939/00, 18 March 2010; and *Konstas v. Greece*, no. 53466/07, 24 May 2011.

მონეების დაკითხვა თანაბარ პირობებში

„ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

...თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები, და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში“.

ქარცივაძე საქართველოს

წინააღმდეგ³⁵

KARTSIVADZE V. GEORGIA

№ 30680/09; 12.12.2019

გამამტყუნებელი განაჩენის დაფუძნება სასამართლოს სხდომაზე გამოუკვლევად მტკიცებულებაზე: დარღვევა

ფაქტები: 2007 წლის 25 ივლისს საქალაქო სასამართლომ განმცხადებელი თამაზ ქარცივაძე დამნაშევდ ცნო მკვლელობის, მკვლელობის მცდელობის, იარაღის უკანონო შექმნის, ფლობისა და ტარების, ასევე, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო და შეუფარდა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

1992 წლის 15 სექტემბერს დ.მ.-ს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი და ის დაკითხა გამომძიებელმა, ისე რომ ამის შესახებ არ უცნობებიათ ბატონი ქარცივაძის დამცველისთვის.

დ.მ.-ს ჩვენება იყო შემდეგი შინაარსის: 1992 წლის 12 სექტემბერს განმცხადებელი ესტუმრა მას ბინაში. მათ იჩხუბეს. ამ დროს სახლში დაბრუნდა დ.მ.-ს მამა გ.მ.. ამის შემდეგ, განმცხადებელმა დ.მ. და გ.მ. წაიყვანა ახლომდებარე სოფელში, რათა საერთო მეგობარი ენახათ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ეს უკანასკნელი მათ დავის გადაჭრაში დაეხმარებოდა. გზაში კონფლიქტი გამწვავდა. განმცხადებელმა მოულოდნელად მანქანა გააჩერა და ესროლა დ.მ.სა და გ.მ.-ს. დ.მ.-მ გონება დაკარგა და გ.მ. გარდაიცვალა.

ბატონი ქარცივაძე წარდგენილი ბრალდებებიდან მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას აღიარებდა. ის აცხადებდა, რომ დ.მ მის ერთ-ერთ მეგობარს სძალავდა ფულს და ესტუმრა მას, რათა ეთქვა, რომ ეს შეეწყვიტა. როდესაც ის დ.მ.-ს სახლში შევიდა, ამ უკანასკნელმა მისი მისამართით რამდენჯერმე გაისროლა. შემდეგ დ.მ-მ ხელი კრა. ამ დროს სახლში დ.მ.-ს მამა მოვიდა და სამივენი შეთანხმდნენ, რომ კონფლიქტის გადასაჭრელად მიემართათ ა. ჩ-სთვის - ადგილობრივი კრიმინალური ლიდერისთვის. გაემგზავრნენ განმცხადებლის მანქანით. მათ შემოუერთდა ა.ჩ. ეს უკანასკნელი და დ.მ. შეკამათდნენ, რა დროსაც ა.ჩ-მ ფეხებში დაჭრა დ.მ... ბატონმა ქარცივაძემ დ.მ. მანქანიდან ჩამოიყვანა. ამის შემდეგ მან მანქანაში მეორე გასროლა გაიკონა. მას არ ახსოვს გ.მ. თვითონ გადმოვიდა მანქანიდან თუ ჩამოვარდა. ა.ჩ. დაპირდა განმცხადებელს, რომ ის „მოავკარებდა ამ ინციდენტს“. მეორე დღეს ბატონმა ქარცივაძემ ა.ჩ.-ს ძმისგან შეიტყო, რომ დ.მ იმყოფებოდა საავადმყოფოში და გ.მ გარდაიცვალა; აგრეთვე, ა.ჩ.-სგან გაიგო, რომ გ.მ. მოკლეს მისი საკუთარი იარაღით და დ.მ დაჭრეს ა.ჩ.-ს იარაღით. ა.ჩ.-ს ძმამ განმცხადებელს მოსთხოვა, რომ ელიარებიანა დანაშაული, რადგან ა.ჩ. ავად იყო და ამ პასუხისმგებლობას ვერ აიღებდა.

2007 წლის 2 ივლისს დ.მ.-მ წერილობით მიმართა სასამართლოს და სთხოვა პროცესი მის გარეშე

³⁵ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Kartsivadze%22,%22languageisocode%22:%5B%22ENG%22%5D,%22documentcollectionid%22:%5B%22JUDGMENTS%22,%22DECISIONS%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-198883%22%5D%7D>

ჩატარებულიყო, რადგან მას მკურნალობის მიზნით უნდა დაეტოვებინა ქვეყანა 2007 წლის 4 ივლისს. განმცხადებლის დამცველმა სასამართლოს წარუდგინა ოფიციალური ცნობა, რომლის თანახმად, დ.მ.-მ საზღვარი გადაკვეთა 2007 წლის 15 ივლისს. დ.მ.-ს დედამ მოწმის სახით დაკითხვისას განმარტა, რომ მისი შვილი ორი-სამი თვით გაემგზავრა. დაცვის მხარემ მოითხოვა დ.მ. იძულებით მოეყვანათ სასამართლოში, რადგან გამოძიების წინაშე მიცემული ჩვენების მტკიცებულებად გამოყენება, ისე, რომ მათ არ ჰქონდათ მოწმის ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა, არღვევდა დაცვის უფლებებს. აღნიშნული შუამდგომლობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

დ.მ.-ს დედამ და ცოლმა სასამართლოს წინაშე დაადასტურეს დ.მ.-ს სახლში განმცხადებლის სტუმრობა და აღნიშნეს, რომ განმცხადებელმა გაისროლა და ხელი კრა დ.მ.-ს. მეზობლებმა დაადასტურეს, რომ გასროლის ხმა გაიგონეს და ნახეს, როგორ დატოვეს სახლი მამა-შვილმა და უცნობმა პირმა.

სამმა მოწმემ აღნიშნა რომ დ.მ მათ ფულს სძალავდა და ამიტომ დახმარება სთხოვეს განმცხადებელს, რაც გახდა მასსა და დ.მ-ს შორის კონფლიქტის მიზეზი.

განმცხადებლის მამამ სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ მას შვილმა უთხრა, რომ კონფლიქტის დროს შემთხვევით გავარდა იარაღი, რამაც იმსხვერპლა გ.მ.

ბალისტიკური ექსპერტიზის თანახმად, მკვლელობის სცენიდან და ბინიდან ამოღებული ვაზნები და ტყვიები, შესაძლოა, ერთი ცეცხლსასროლი იარაღიდან ყოფილიყო გასროლილი.

განმცხადებელი სააპელაციო სასამართლოს წინაშეც ითხოვდა დ.მ-ს დაკითხვის უზრუნველყოფას; ამტკიცებდა, რომ პროკურატურა წარმოაჩენდა, რომ ის საზღვარგარეთ იყო, სინამდვილეში კი სასამართლო სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე ის ბათუმში ნახეს. ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა სასამართლომ. უზენაესმა სასამართლომ პროცესი შეაფასა, როგორც სამართლიანი და გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა.

სამართალი - მე-6 მუხლი 1-ლი პუნქტი და მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი: ბატონი ქარცივაძე დავობდა, რომ მისი მსჯავრდება ეფუძნებოდა, inter

alia დ.მ.-ს მიერ გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებას და დაცვის მხარეს არ მისცემია შესაძლებლობა, რომელიმე ეტაპზე შეინააღმდეგებოდა მას. ევროპულმა სასამართლომ ეს საკითხი განიხილა შემდეგი თანმიმდევრობით:

(i) არსებობდა თუ არა დ.მ.-ს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი:

ეროვნული სასამართლოსთვის მისაღები აღმოჩნდა მოწმე დ.მ-ს გამოუცხადებლობის ორი არგუმენტი: ის გაემგზავრა საზღვარგარეთ სამედიცინო დახმარების მისაღებად და ის არ იყო ხელმისაწვდომი საზღვარგარეთ ყოფნის გამო.

პირველი არგუმენტი ისე გაიზიარა ეროვნულმა სასამართლომ, რომ დ.მ-ს არც კი წარმოუდგენია აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება; ასევე, მან შეატყობინა სასამართლოს, რომ 4 ივლისს დატოვებდა ქვეყანას; სინამდვილეში კი გაემგზავრა სასამართლო პროცესის დაწყებიდან (ანუ 6 ივლისიდან) 10 დღის ვადაში.

მისი საზღვარგარეთ ყოფნის გამო განმცხადებლის მიუწვდომლობასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს თავისთავად არ არის საკმარისი არგუმენტი. სასამართლოს ევალუბოდა პოლიციის დახმარებით მოეძებნა მოწმე და ეთხოვა საერთაშორისო სამართლებრივი დახმარება. სასამართლომ არ გამოიყენა მის ხელთ არსებული რესურსები; ამასთან, დაეთანხმა მოსაზრებას, რომ მოწმე საზღვარგარეთ იმყოფებოდა, მაშინ როდესაც მას ჰქონდა მოწმის მიერ ოთხი თვის წინ საზღვრის გადაკვეთის დამადასტურებელი ცნობა და ინფორმაცია, რომ ის მიემგზავრებოდა ორი ან სამი თვით; აგრეთვე, დაცვის მხარე აცხადებდა, რომ რამდენიმე დღით ადრე ნახა მოწმე თავის მშობლიურ ქალაქში და მას, უბრალოდ, არ სურდა გამოცხადება.

(ii) იყო თუ არა მისი ჩვენება განაჩენის ერთადერთი საფუძველი ან გადამწყვეტი ფაქტორი მსჯავრდებისთვის:

ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია სხვა მტკიცებულებათა ხელმისაწვდომობასა და ძალაზე. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, ტარებისა და შენახვის, აგრეთვე, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ბრალდება დასტურდებოდა სხვა მტკიცებულებებითაც;

გ. მ.-ს მკვლელობისა და დ.მ.-ს მკვლელობის მცდელობის ბრალდებებს ადასტურებდა დ.მ.-ს

ბინიდან და მკვლელობის ადგილიდან ამოღებული ვაზნები და ტყვიები, შესაბამისი სასამართლო ექსპერტიზის დასკვნები და მოწმეთა ჩვენებები, რომელთა მიხედვით, ბატონმა ქარცივაძემ გაისროლა დ.მ-ს ბინაში. ყველა მათგანი იყო ირიბი მტკიცებულება. განმცხადებლის მამის - ე.კ-ს ჩვენებით, შვილმა მასთან აღიარა, რომ მან გ.მ. შემთხვევით მოკლა. ეს ჩვენება ეწინააღმდეგებოდა დ.მ-ს ჩვენებას, რომლის მიხედვით, მას და მამამისს განმცხადებელმა გამიზნულად ესროლა. ამიტომაც, ამ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დ.მ-ს ჩვენებას. შესაბამისად, დ.მ-ს ჩვენებების დაშვებამ ხელ-ფეხი შეუკრა დაცვას თავისი სტრატეგიის განხორციელებაში.

(iii) არსებობდა თუ არა საკმარისი ფაქტორები, რომლებიც დააკომპენსირებდა იმ სირთულეებს, რასაც დაცვის მხარე წააწყდა:

სასამართლო გადაწყვეტილებაში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ გამოუკვლეველი მოწმის ჩვენებას სასამართლო განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდა ან ნაკლები წონა მიანიჭა. ამის საპირისპიროდ, მათ დაადგინეს, რომ ეს ჩვენება იყო სარწმუნო და შეესაბამებოდა სხვა მტკიცებულებებს, ამ მოსაზრების დეტალური დასაბუთების წარმოდგენის გარეშე.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, სასამართლოს წინაშე გამოუცხადებელი მოწმის ჩვენება არ არის გამყარებული საკმარისად ძლიერი და თანმიმდევრული მამხილებელი მტკიცებულებებით.

და ბოლოს, განმცხადებელს არ ჰქონდა შესაძლებლობა, წარმოედგინა სადავო მოვლენების თავისი ვერსია და ეჭვი შეეტანა დ.მ-ს, როგორც მოწმის სანდოობაში. განმცხადებელს, არ შეეძლო, თუნდაც წერილობით დაესვა მისთვის შეკითხვები; უფრო მეტიც, მას და მის დამცველს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, გამოძიების ეტაპზე დაეკითხათ დ.მ.

(iv) მთელი პროცესის სამართლიანობის შეფასება:

ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ დ.მ-ს ჩვენება იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის მსჯავრდებისთვის. საქმეში არსებობს ცალკეული მამხილებელი მტკიცებულებები მკვლე-

ლობისა და მკვლელობის მცდელობის ეპიზოდის დასამტკიცებლად, თუმცა, ისინი არ არის საკმარისად ძლიერი და თანმიმდევრული. ამასთან, სასამართლოს არ მიუღია ადეკვატური ზომები მოწმე დ.მ-ს გამოცხადების უზრუნველსაყოფად; არ ყოფილა გამოყენებული საპროცესო ზომები იმის დასაკომპენსირებლად, რომ დაცვის მხარეს არ ჰქონდა ერთადერთი პირდაპირი მოწმის ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა სასამართლოს წინაშე. არც ერთი ინსტანციის სასამართლო არ მოეკიდა ამ მტკიცებულებას საკმარისი სიფრთხილით. შესაბამისად, პროცესი, მთლიანობაში, არ ყოფილა სამართლიანი.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი: დარღვევა
კონვენციის 41-ე მუხლი: არ ყოფილა მოთხოვნილი.

ბრეგვაძე საქართველოს წინააღმდეგ³⁶
BREGVADZE V. GEORGIA
№ 49284/09; 17. 01.2019

სასამართლოს უარი დაცვის მხარის მოწმეების დაკითხვაზე: დარღვევა

ფაქტები: 2007 წლის 3 დეკემბერს ტაქსის მძღოლმა შეატყობინა პოლიციას, რომ ორმა ახალგაზრდა ბიჭმა ის დანის გამოყენების მუქარით დააყარა და წაართვა მობილური ტელეფონი და ოცდაექვსი ლარი. მეორე დღეს ამ ფაქტის გამო დააკავეს განმცხადებელი გიორგი ბრეგვაძე. ის ამოიწყო ტაქსის მძღოლმა, როგორც ერთ-ერთი თავდამსხმელი. მისი პირადი და საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკის შედეგად არ აღმოჩნდა უკანონო ნივთები. განმცხადებელმა პირველივე დაკითხვისას დეტალურად აღწერა, რომ იმ საღამოს, როდესაც დანაშაული მოხდა, ის თავის შეყვარებულთან და მეგობრებთან ერთად სეირნობდა ქუჩაში და დაასახელა არაერთი ადამიანი, ვინც ის იმ დროს იხილა.

³⁶ [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:\[%22Bregvadze%22\],\[%22languageisocode%22:\[%22EN-G%22\],\[%22documentcollectionid%22:\[%22JUDGMENTS%22,%22DECISIONS%22\],\[%22itemid%22:\[%22001-189085%22\]\]](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:[%22Bregvadze%22],[%22languageisocode%22:[%22EN-G%22],[%22documentcollectionid%22:[%22JUDGMENTS%22,%22DECISIONS%22],[%22itemid%22:[%22001-189085%22]])

2007 წლის 7 დეკემბერს ბატონი ბრეგვაძის დამცველმა მიმართა საქმის გამომძიებელს შუამდგომლობით, დაეკითხა თორმეტი მონმე, რომელიც დაადასტურებდა განმცხადებლის ალიბს. გამომძიებელმა ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ შეყვარებული და მეგობრები დაინტერესებული იყვნენ საქმის შედეგით, ხოლო დანარჩენ პირებს განმცხადებელი არ უნახავთ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის დროს. ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმა ზედამხედველი პროკურორიც.

2008 წლის 22 აპრილს დაიწყო სასამართლო პროცესი. ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო, სხდომა გადაიდო 30 აპრილამდე. საქმეში ჩაერთო ახალი ადვოკატი და, მისი მოთხოვნის გათვალისწინებით, გაცნობოდა საქმის მასალებს, სხდომა გადაიდო იმავე წლის 6 მაისამდე. წინა დღეს ადვოკატმა წერილობით მიმართა სასამართლოს იმის თაობაზე, რომ ჩატარებული გამოძიება იყო არასრული და ცალმხრივი და მოითხოვა შვიდი მონმის დაკითხვა. სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ დარღვეული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 575-ე მუხლის მოთხოვნა - შუამდგომლობის სასამართლო პროცესამდე 5 დღით ადრე წარმოდგენის წესი. ადვოკატი ამტკიცებდა, რომ მისთვის შეუძლებელი იყო ამ მოთხოვნის შესრულება, რადგან მხოლოდ მოგვიანებით ჩაერთო საქმეში. სასამართლო დაეთანხმა ბრალდების მხარეს და არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა. განმცხადებლის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ეფუძნებოდა ტაქსის მძღოლის ჩვენებას, ამოცნობის ოქმს, გამომძიებლის ჩვენებას და ორი ექსპერტიზის დასკვნას. განმცხადებელს სასჯელის სახით შეეფარდა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელი დატოვეს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებმა. ბატონმა ბრეგვაძემ დაცვის მხარის მონმეების დაკითხვაზე უარის თქმა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი: კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი: როდესაც განმცხადებლის მსჯავრდება ეფუძნება მტკიცებას, რომ ის იმყოფებოდა კონკრეტულ დროს კონკრეტულ ადგილას, მხარეთა თანასწორობის პრინციპი, და უფრო ზოგადად, საქმის სამართ-

ლიანი განხილვის უფლება გულისხმობს ბრალდებულისთვის გონივრული შესაძლებლობის მიცემას, ეფექტიანად უარყოს ეს მტკიცება.

თუკი ბრალდებულის მოთხოვნა, დაიკითხონ მონმეები, არის კეთილსინდისიერი, საკმარისად დასაბუთებული და რელევანტური და, სავარაუდოდ, შეუძლია გააძლიეროს დაცვის პოზიცია ან, საერთოდაც, გაამართლოს ბრალდებული, სახელმწიფო ორგანოებს მართებთ საკმარისი მიზეზების დასახელება ასეთ მოთხოვნაზე უარის თქმისთვის. ამ შემთხვევაში ეროვნულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა პროცესუალურ საფუძველზე მითითებით; თუმცა, იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ბრალდებულს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე შეეძლო მონმეების მოწვევა, თუკი ამისთვის შესაბამისი საფუძველი არსებობდა; ის ფაქტი, რომ ადვოკატი ახალი ჩართული იყო პროცესში, სწორედ ასეთ ვალიდურ საფუძველს წარმოადგენდა ამ შუამდგომლობის დაგვიანებით წარმოსადგენად. განმცხადებელმა მონმეების დაკითხვა მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს წინაშეც, ყველა წესის დაცვით-წინასწარ და წერილობით. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ მას უარი უთხრა იმ საფუძველით, რომ შუამდგომლობა არ იყო წერილობითი სახის. უზენაესმა სასამართლომ ამ ხარვეზს არ მიაქცია ყურადღება და საჩივარი მიიჩნია დაუსაბუთებლად.

საქართველოს მთავრობა აცხადებდა, რომ დაცვის მხარის მონმეების დაკითხვაზე უარის თქმას არ ჰქონდა გადამწყვეტი გავლენა საქმის საბოლოო შედეგზე და მის სამართლიანობაზე, მთლიანობაში. ეს პოზიცია არ გაიზიარა ევროპულმა სასამართლომ შემდეგი მიზეზების გამო: განმცხადებელი მსჯავრდებული იყო ტაქსის მძღოლის ყაჩაღობის გამო; მისი დაკავების დროიდან მთელი სამართალწარმოების მანძილზე ის ამტკიცებდა, რომ ჰქონდა ალიბი; მოითხოვდა მონმეების დაკითხვას, რაც დაცვის მხარის ერთადერთი ხაზი იყო ამ ალიბის დასამტკიცებლად. ეჭვგარეშეა, რომ ეს შუამდგომლობა იყო საკმარისად დასაბუთებული, საქმისთვის რელევანტური და უფრო მეტიც, შესაძლოა, მის საფუძველზე დამდგარიყო გამამართლებელი განაჩენი.

ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასების გარეშეც, ევროპული სასამართლო

მიიჩნევს, რომ, მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, იმის გამო, რომ დაცვის მხარეს არ მიეცა საპროცესო შესაძლებლობა, წარმოედგინა მტკიცებულებები, სასამართლომ განმცხადებელი ჩააყენა არახელსაყრელ მდგომარეობაში პროკურატურასთან მიმართებით.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი: დარღვევა;
კონვენციის 41-ე მუხლი: მოთხოვნა უარყოფილია.

ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგ³⁷

KARTVELISHVILI V. GEORGIA

№ 17716/08; 07.06.2018

სასამართლოს უარი დაცვის მხარის მოწმეების დაკითხვაზე: დარღვევა

ფაქტები: 2000 წელს განმცხადებელი გიორგი ქართველიშვილი გახდა მსჯავრდებული მკვლელობის ჩადენის გამო და შეეფარდა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2004 წელს სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აკრძალული საგნის შენახვაში და ამისთვის სასჯელის სახით შეუფარდა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები: იმის დასადგენად, ხომ არ იმყოფებოდა განმცხადებელი არახელსაყრელ მდგომარეობაში ბრალდების მხარესთან მიმართებით და იყო თუ არა სამართალწარმოება, მთლიანობაში, სამართლიანი, ევროპულმა სასამართლომ, პირველ რიგში, უნდა შეაფასოს, რას ეფუძნებოდა განმცხადებლისთვის წარდგენილი ბრალდება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის - სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კანონით აკრძალული

საგნის შენახვა - დასტურდება განმცხადებლის საკნის ჩხრეკის შედეგად, მისი საწოლიდან დანის ამოღებით და ამ ფაქტზე დაყრდნობით, სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნით, რომ დანა, უცილობლად, განმცხადებელს ეკუთვნოდა.

ბატონმა ქართველიშვილმა ეროვნული სასამართლოს წინაშე ეჭვქვეშ დააყენა, როგორც ჩხრეკის კანონიერება, ასევე, სასამართლოს მითითებული დასკვნის საფუძვლიანობა. ამ მიზნით მან მოითხოვა, მოესმინათ მისი თანამესაკნეების ჩვენებები. განმცხადებელმა განმარტა, რომ ვინაიდან მათ ჰქონდათ ჩხრეკის პროცესისთვის თვალყურის დევნების შესაძლებლობა, რაც თავად სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებმაც აღიარეს, მათ ჩვენებებში, შესაძლოა, გამოკვეთილიყო თანამშრომლების მიერ განხორციელებული თვითნებური ქმედებების ნიშნები. განმცხადებელი სთხოვდა სასამართლოს, ნაჩქარევი დასკვნები არ გაეკეთებინა იარაღის მფლობელის დადგენასთან დაკავშირებით - შეიძლებოდა დაშვება, რომ იარაღი სხვა პირმა განზრახ ჩადო განმცხადებლის საწოლში, იმ დროს, როდესაც ციხის თანამშრომლები საკანში ჩხრეკის ჩასატარებლად შევიდნენ. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეს შუამდგომლობა იყო რელევანტური საქმისთვის და შეეძლო დაცვის ხაზის გაძლიერება.

ევროპულმა სასამართლომ, ასევე, ყურადღება გაამახვილა სამ ფაქტზე, რომელმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა პროცესის სამართლიანობა: პირველი, ბრალდების მხარის მოწმეებმა - ციხის თანამშრომლებმა, რომლებმაც საკნის ჩხრეკა ჩაატარეს, მისცეს აშკარად ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები დანის აღმოჩენასთან დაკავშირებული ზუსტი გარემოებების აღწერისას. მეორე, სასამართლო სხდომაზე პროკურორმა თავად აღიარა, რომ ჩხრეკის ვიდეოჩანაწერით ზუსტად არ დგინდებოდა, რომ დანა განმცხადებლის საწოლში იპოვეს; და მესამე, სახეზე იყო აშკარა შეუსაბამობა ზემოთ ხსენებულ ვიდეოჩანაწერსა და ჩხრეკის ოქმს შორის, რომლის თანახმად, დანა საწოლზე არსებული ლეიბის ქვეშ აღმოჩნდა.

საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა უარი უთხრეს განმცხადებელს მოწმეების დაკითხვაზე იმ მოტივით, რომ დაცვის მხარე ვერ ასაბუთებდა, რატომ იყო მათი მოწვევა მნიშვნელოვანი, ეს მოწმეები არ იყვნენ სანდო პირები, რადგან სას-

³⁷ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Kartvelishvili%22%22%5D%22itemid%22:%5B%22001-183376%22%5D%7D>

ჯელს იხდიდნენ დანაშაულის ჩადენისთვის, და საქმის ფაქტები უკვე დადგენილი იყო. ევროპული სასამართლოს შეფასებით, განმცხადებლის მოთხოვნის უარყოფის ეს საფუძვლები ნიშნავს სასამართლოს მიერ თავისი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმას. ამით სასამართლომ განმცხადებელს წაართვა მის ხელთ არსებული ერთადერთი საშუალება, შეინააღმდეგებოდა მის მიმართ წარდგენილ ბრალდებას. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერი, ჩხრეკის ოქმი და ამოღებული დანა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ და პირდაპირ მტკიცებულებებს და არ არის საკმარისი განმცხადებლის დამნაშავეობის დასამტკიცებლად და ვერ განსაზღვრავს მთლიანი პროცესის სამართლიანობას.

მთლიანობაში, მსჯავრდების არასაკმარისი დასაბუთების მხედველობაში მიღებით, ეროვნული სასამართლოების უარი დაცვის მხარის მოწმეების დაკითხვაზე, იმის გაუთვალისწინებლად, მათ ჩვენებს რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა საქმისთვის, პროცესს ხდის უსამართლოს.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 2500 ევრო არამატერიალური ზიანისათვის; 300 ევრო განუელი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

ყუფარაძე საქართველოს ნიკაალბაძე KUPARADZE V. GEORGIA № 30743/09; 21.09.2017

დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნების გაუთვალისწინებლობა: არ არის დარღვევა იხ. გვ. 15

იხ. აგრეთვე: *Bobes v. Romania*, no. 29752/05, 9 July 2013; *Vronchenko v. Estonia*, no. 59632/09, 18 July 2013; *Seton v. the United Kingdom*, no. 55287/10, 31 March 2016; *İshak Sağlam v. Turkey*, no. 22963/08,

10 July 2018; *N.K. v. Germany*, no. 59549/12, 26 July 2018; *Fąfrowicz v. Poland*, no. 43609/07, 17 April 2012; *Brzuszczryński v. Poland*, no. 23789/09, 17 September 2013; *Prájiná v. Romania*, no. 5592/05, 7 January 2014; *Nikolitsas v. Greece*, no. 63117/09, 3 July 2014; *Báték and Others v. the Czech Republic*, no. 54146/09, 12 January 2017; *Štulíř v. the Czech Republic*, no. 36705/12, 12 January 2017; *Garbuz v. Ukraine*, no. 72681/10, 19 February 2019; *Topić v. Croatia*, no. 51355/10, 10 October 2013; *Dorokhov v. Russia*, no. 66802/01, 14 February 2008; *Guilloury v. France*, no. 62236/00, 22 June 2006; *Borisova v. Bulgaria*, no. 56891/00, 21 December 2006; *Poropat v. Slovenia*, no. 21668/12, 9 May 2017; *Destrehem v. France*, no. 56651/00, 18 May 2004.

მუხლი 7.1

არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე

„არავინ შეიძლება ბრალეულად იქნეს მიჩნეული რაიმე დანაშაულში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც არ წარმოადგენდა დანაშაულს ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით იმ დროს, როდესაც იგი ჩაიდინეს“.

აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ³⁸

ASHLARBA V. GEORGIA

№ 45554/08; 15.07.2014

სასაუბრო გამოთქმის გამოყენება დანაშაულის შემადგენლობის განსაზღვრისას: არ არის დარღვევა

ფაქტები: 2005 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც განისაზღვრა მთელი რიგი ახალი დანაშაულების შემადგენლობები ორგანიზებული კრიმინალური საქმიანობის წინააღმდეგ, მათ შორის, „ქურდული სამყაროს წევრობა“ და „კანონიერი ქურდობა.“ ეს გამოთქმები ქართულ საზოგადოებაში ცნობილი იყო, როგორც კრიმინალური წრის და კრიმინალურ ელიტაში „ნათლიმამას“ ტიპის ფიგურების ამსახველი. 2007 წელს სასამართლომ განმცხადებელი - იხეტ აშლარბა მსჯავრდებულად ცნო „კრიმინალური სამყაროს წევრობისთვის“ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223¹ მუხლის მიხედვით და შეუფარდა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა. განმცხადებელმა ევროპული სასამართლოს წინაშე გაასაჩივრა კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევა იმ საფუძვლით, რომ კანონი არ იყო საკმარისად მკაფიო და განჭვრეტადი იმისთვის, რომ მას შეეძლებოდა, განესაზღვრა, თუ რომელი ქმედება წარმოადგენდა დანაშაულს.

სამართალი - კონვენციის მე-7 მუხლი: კონვენციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი მოითხოვს, რომ დანაშაული და მოსალოდნელი სასჯელი მკაფიოდ განისაზღვროს კანონით. შესაბამისი დებულებების ფორმულირებიდან ნათელი უნდა იყოს, რომელი ქმედებები იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. განმცხადებელი დამნაშავედ ცნეს „ქურდული სამყაროს წევრობის“ გამო, რის დეფინიციასაც პირდაპირ არ ითვალისწინებდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. შესაბამისი კვლევები აჩვენებს, რომ „ქურდული სამყაროს“ გაგენა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პენიტენციური დაწესებულებებით და ვრცელდებოდა მთელ საზოგადოებაზე და განსაკუთრებით მის მოწყვლად ნაწილზე-ახალგაზრდობაზე. კრიმინალური ავტორიტეტების ძალაუფლება სცდებოდა კრიმინალურ სამყაროს და ზიანს აყენებდა ჩვეულებრივი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ ასპექტს. სოციალურ გარემოსთან დაკავშირებით სპეციალური საკანონმდებლო ცვლილებების მიღების გადაწყვეტილების ლოგიკა მდგომარეობდა იმაში, რომ სახელმწიფოს მისცემოდა უფრო ეფექტიანი ბრძოლის ბერკეტი ორგანიზებული კრიმინალური საქმიანობის ამ საშიში ფორმის წინააღმდეგ. მთავრობის მიერ ევროპული სასამართლოსთვის წარმოდგენილმა სოციო-სამართლებრივმა კვლევებმა „ქურდული სამყაროს“ კრიმინალური ინსტიტუტის საზოგადოებაზე ზემოქმედების შესახებ, აჩვენა, რომ ამ კრიმინალურ ფენო-

³⁸ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%22ashlarba%22%2C%22languageisocode%22%3A%22ENG%22%2C%22documentcollectionid%22%3A%22JUDGMENTS%22%2C%22itemid%22%3A%22001-145572%22%7D>

მენს ღრმად აქვს ფესვები გადგმული საზოგადოებაში და ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა კარგად იციან ისეთი ცნებების მნიშვნელობა, როგორცაა „ქურდული სამყარო“, „კანონიერი ქურდი“, „ქურდული გარჩევა“, „ობშიაკი“ და ა.შ. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223¹ მუხლით მოხდა იმ კონცეფციების კრიმინალიზება, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილი იყო. ევროპული სასამართლოს შეფასებით, კანონმდებელმა გადანყვითა, გამოეყენებინა სასაუბრო ტერმინი სამართლებრივ დეფინიციაში, რადგან სურდა, რომ ამით დანაშაულების არსი უფრო ადვილად დამკვიდრებულიყო ფართო საზოგადოებაში. ევროპული სასამართლო არ იზიარებს მოსაზრებას, რომ ეს კონცეფციები უცხო იყო განმცხადებლისთვის, მით უმეტეს, როდესაც ადგილობრივი გამოძიებისთვის ჩვენებების მიცემისას მან სრულიად საპირისპირო გამოავლინა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სადავო საკანონმდებლო ცვლილება იყო ნაწილი საკანონმდებლო პაკეტისა, რომელიც შეიცავდა საქართველოს კანონს „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის წინააღმდეგ“. ამ კანონის მე-3 მუხლი განმარტავს ტერმინებს „ქურდული სამყაროს წევრობა“ და „კანონიერი ქურდი“. მითითებულ დებულებებთან ერთობლიობაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223¹ მუხლის ნაკითხვით, ორდინალური მკითხველისათვის გასაგები ხდება ორივე დანაშაულის ყველა შემადგენელი ელემენტი. შესაბამისად, თუ საყოველთაო ცოდნით არა, ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის წინააღმდეგ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის გამოყენებით მაინც, და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი იურიდიული კონსულტაციის გზით, განმცხადებელს შეეძლო ადვილად განესაზღვრა მისი რომელი ქმედებები გამოიწვევდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სადავო დებულების მიხედვით.

დასკვნა:

კონვენციის მე-7 მუხლი: არ არის დარღვევა.

იხ. აგრეთვე: *Sud Fondi S.r.l. and Others v. Italy*, no. 75909/01, 20 January 2009; *Huhtamäki v. Finland*, no. 54468/09, 6 March 2012; *Kasymakhunov and Saybatalov v. Russia*, no. 26261/05 and 26377/06, 14 March 2013.

მუხლი 8

პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება

„1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.

პირადი ცხოვრებისა და საცხოვრისი პასტივისცემა

ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ³⁹

JUGHELI AND OTHERS V. GEORGIA
№ 38342/05; 13.07.2017

თბოელექტროსადგურის საქმიანობის ზემოქმედება ახლომდებარე შენობის მაცხოვრებლებზე: დარღვევა

ფაქტები: „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ 1996 წლის 15 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ენერგეტიკული მრეწველობა, მათ შორის, თბოელექტროსადგურის მშენებლობა, საჭიროებს გარემოს დაცვის სამინისტროს ნებართვას, რომელიც ეფუძნება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას. მითითებული კანონი ვრცელდება იმ კომპანიებზე, რომლებმაც საქმიანობა დაიწყეს მისი მიღების შემდეგ, ხოლო კომპანიებს, რომლებიც მანამდე ფუნქციონირებდნენ, დაევალებათ გარემოზე ზემოქმედების შეფასების წარმოდგენა 2009 წლის 1 იანვრამდე.

განმცხადებლები ცხოვრობდნენ თბილისის ცენტრში, შენობაში, რომელიც მდებარეობდა თბოელექტროსადგურის სიახლოვეს - დაახლოებით 4 მეტრის მანძილზე. თბოელექტროსადგური მიმდებარე საცხოვრებელ რაიონს ამარაგებდა გათბობითა და ელექტროენერგიით. ის ფუნქციონირებდა 1939 წლიდან. ნაწილობრივ შეწყვიტა საქმიანობა 2001 წლიდან ფინანსური პრობლემების გამო, თუმცა, გრძელდებოდა ზოგიერთი გენერატორის გამოყენება. სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა 1986 წლის შემდეგ. განმცხადებლები ევროპული სასამართლოს წინაშე ასაჩივრებდნენ იმ ფაქტს, რომ თბოელექტროსადგური იწვევდა ხმაურს და ატმოსფეროში გამოყოფდა სხვადასხვა ტოქსიკურ ნივთიერებას, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მათ ჯანმრთელობას და უარყოფითად ზემოქმედებდა მათ საცხოვრებელ გარემოზე.

³⁹ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Jughe-li%22%22%22documentcollectionid%22:%5B%22GRANDCHAMBER%22%22%22CHAMBER%22%22DECISIONS%22%22%22itemid%22:%5B%22001-175153%22%22%7D>

ფსიქიკური ჯანმრთელობის კვლევისა და მონიტორინგის კომისიის წევრი. 2005 წელს იუსტიციის მინისტრმა ქალბატონი ჯიშკარიანი დაადანაშაულა თანხის სანაცვლოდ პატიმრებისთვის სამედიცინო დასკვნების შედგენაში, რომელთა მეშვეობით ჯანმრთელი პატიმრები ციხის საავადმყოფოებში გადაყავდათ. მინისტრმა აღნიშნული განცხადებები გააკეთა ტელევიზიითა და ბეჭდური მედიის საშუალებით.

ქალბატონმა ჯიშკარიანმა ცილისნამებისთვის მინისტრის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი შეიტანა. ეროვნულმა სასამართლოებმა სარჩელი არ დააკმაყოფილეს - აღნიშნეს, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ სახელმწიფო ორგანოებს გამოძიება არ უნარმოებიათ და მინისტრის ბრალდებები „შესაძლოა მცდარ ფაქტებს შეიცავდეს“. ამასთან, ისინი წარმოადგენს პირად მოსაზრებას, რომელიც გამოითქვა საზოგადოებისთვის აქტუალურ თემაზე მიმდინარე დისკუსიის დროს; განმცხადებელი იყო საჯარო პირი და ჰქონდა თმენის ვალდებულება. შესაბამისად, მინისტრის განცხადება არ გაცდენია კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული დასაშვები კრიტიკის ფარგლებს. ქალბატონმა ჯიშკარიანმა ეროვნული სასამართლოების უარი, დაეცვათ მისი რეპუტაცია, ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი - კონვენციის მე-8 მუხლი:

(ა) მინისტრის ბრალდებების სიმძიმე: მინისტრის ბრალდება იყო მძიმე, რადგან ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ განმცხადებელმა ჩაიდინა დანაშაული. ამას შეეძლო ნეგატიური გავლენა მოეხდინა მისი, როგორც სამედიცინო სფეროს პროფესიონალისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წარმომადგენლის რეპუტაციაზე.

(ბ) საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე დებატებში წვლილის შეტანა: ევროპული სასამართლო ეთანხმება ეროვნული სასამართლოების შეფასებას, რომ იმ დროისთვის ციხეებში სამედიცინო მომსახურების მენეჯმენტის შესაძლო ხარვეზები საჯარო დისკუსიის ნაწილი იყო.

(გ) იყო თუ არა განმცხადებელი საჯარო პირი: ევროპული სასამართლო იზიარებს ეროვნული სასამართლოების პოზიციას, რომ განმცხადებელი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“

საქართველოს კანონის მიზნებისთვის იყო საჯარო პირი; აგრეთვე, სადავო განცხადებები ეხებოდა არა მის პირად ცხოვრებას, არამედ საქმიანობას პენიტენციურ დაწესებულებებში. შესაბამისად, დასაშვები კრიტიკის ფარგლები მასთან მიმართებით ფართო იყო.

(დ) განცხადებების შინაარსი, ფორმა და შედეგები: ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მინისტრის განცხადება იყო შეფასებითი მსჯელობა, თუმცა, არც ერთ სასამართლოს არ განუმარტავს, როგორ შეიძლება მოსაზრებას წარმოადგენდეს ბრალდება ფაქტების შესახებ კონკრეტული პირის წინააღმდეგ და როგორ შეეძლო ამას წვლილი შეეტანა დებატებში საჯარო ინტერესის საგანზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ მინისტრის განცხადებები შეადგენდა შეფასებით მსჯელობას, დადგინილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, უნდა არსებობდეს მისი დამადასტურებელი საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი; წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მიიჩნევა გადაჭარბებულად.

(ე) ინფორმაციის მოპოვების მეთოდი და მისი სიზუსტე: მინისტრი ხაზს უსვამდა კონკრეტულ ინციდენტს, რომლის მონაწილე პატიმარი, განმცხადებლის სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მინისტრის თქმით, პაციენტი ფაქტობრივად ჯანმრთელი იყო; ამასთან, ქალბატონი ჯიშკარიანი არ იყო უფლებამოსილი, პატიმართა ჯანმრთელობის შესახებ ჟურნალში ჩანაწერები გაეკეთებინა; ის ჩართული იყო ჯანმრთელი პატიმრების მიმართ მცდარი სამედიცინო დასკვნების შედგენის კორუფციულ სქემაში.

ამ განცხადების პირველ ელემენტთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, ინციდენტის მონაწილე პატიმარი ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს განმცხადებლის სამედიცინო შეფასების საფუძველზე, თუმცა, სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნა, რომელიც სადავო განცხადებების გაკეთების შემდეგ გამოიცა, ადასტურებდა, რომ აღნიშნულ პატიმარს ნამდვილად ჰქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული, მათ შორის, ფსიქიკური პრობლემები და თავის ტრავმა. ეს არგუმენტი ეროვნულმა სასამართლოებმა უპასუხოდ დატოვეს.

განცხადების მეორე ელემენტთან - შესაბამის ჟურნალში პატიმრის ჯანმრთელობის შესახებ

ჩანაწერის გაკეთების კომპეტენციასთან დაკავშირებით, ეროვნულ სასამართლოებს დასკვნა არ გაუკეთებიათ; თუმცა, იმ შემთხვევაშიც, თუ დავეშვებით, რომ მინისტრის ბრალდების მეორე ელემენტი სინამდვილეს შეესაბამებოდა, მისი განცხადების მთავარი ასპექტი იყო და ქალბატონ ჯიშკარიანის მიერ დანყებული სამოქალაქო სამართალწარმოება ეხებოდა მინისტრის ბრალდების მესამე ელემენტს, სახელდობრ, იმ მძიმე ბრალდების ნამდვილობას, რომ განმცხადებელი თანხის სანაცვლოდ ჯანმრთელ პატიმრებს საავადმყოფოში განთავსებაში ეხმარებოდა. ამასთან დაკავშირებით, ეროვნულმა სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ ქალბატონი ჯიშკარიანის მიმართ სახელმწიფო ორგანოებს გამოძიება არასდროს უწარმოებიათ და მინისტრის ბრალდებები „შესაძლოა შეიცავდეს მცდარ ფაქტებს“. ზემოთ ხსენებული კონკრეტული ინციდენტის გამოძიება კი შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო. აქედან გამომდინარე, მინისტრის ბრალდებებს აკლდა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი. ეროვნულმა სასამართლო ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ მინისტრმა შიდა ინსპექციის ჩატარების გზით გამოიჩინა ძალისხმევა იმისთვის, რომ ინფორმაციის ნამდვილობა დაეზუსტებინა. ევროპული სასამართლოს შეფასებით, გამოძიების ჩატარება, მისი შედეგების დალოდების გარეშე და წინმსწრები საჯარო განცხადების გაკეთება არ შეესაბამება გულისხმიერების სტანდარტს.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ეროვნული კანონმდებლობა მტკიცების ტვირთს აკისრებდა არა მინისტრს, არამედ განმცხადებელს; ამ უკანასკნელს უნდა დაედასტურებინა არა მხოლოდ მის წინააღმდეგ გაუღებელი ბრალდებების სიმცდარე და განცდილი ზიანი, არამედ ისიც, რომ მინისტრმა გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, როდესაც გაავრცელა დაუდასტურებელი ბრალდებები.

კონვენცია არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, თითქოს ის მოითხოვს პირისგან, შეიწყნაროს მის მიმართ საჯაროდ გაუღებელი სისხლის-სამართლებრივი ბრალდებები მთავრობის წარმომადგენლების მიერ, რომელთაგანაც საზოგადოება მოელის, რომ ისინი ფლობენ დადასტურებულ ინფორმაციას და ამ დროს განცხადებები არ არის გამყარებული ფაქტებით.

სტრასბურგის სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მინისტრის გამომხატვის თავისუფლების უზრუნველსა-

ყოფად წარმოდგენილი მიზეზები გადანონის განმცხადებლის რეპუტაციის დაცვის უფლებას. ამრიგად, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაიცვეს სამართლიანი ბალანსი შეპირისპირებულ უფლებებს შორის.

დასკვნა:

კონვენციის მე-8 მუხლი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 1500 ევრო არამატერიალური ზიანისთვის; 1833 ევრო განუვლი ხარჯებისთვის.

ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ⁴¹
NIKOLAISHVILI V. GEORGIA
№ 37048/04; 13.01.2009

მოწმის სახით დასაკითხი პირის ფოტოს გამოქვეყნება ძებნილთა დაფაზე: დარღვევა

ფაქტები: 2003 წლის 3 ივლისს განმცხადებლის - გიორგი ნიკოლაიშვილის ძმასა და სხვა პირს წაუყენეს ბრალდება მკვლელობისა და იარაღის უკანონო შექმნის, შენახვისა და ტარებისათვის. აღნიშნული პირები გამოცხადდნენ ძებნილებად.

2003 წლის ივლისში ოთხი პირის-განმცხადებლის, მისი ძმის, მეორე ბრალდებულისა და ამ უკანასკნელის ძმის ფოტოები ვინაობის მითითებით გამოაქვეყნეს ძებნილთათვის განკუთვნილ დაფაზე თბილისის ვაკე-საბურთალოს, ამბროლაურის რაიონისა და საქართველოსომხეთის საზღვარზე მდებარე პოლიციის განყოფილებებში. ფოტოებზე მითითებული იყო, რომ აღნიშნული პირები იძებნებოდნენ მკვლელობის საქმეზე. აღმოჩნდა, რომ სამართალდამცავები ვერ ადგენდნენ განმცხადებლის ადგილსამყოფელს და ფოტო მისი მოწმედ დაკითხვის მიზნით გამოაქვეყნეს. ბატონი ნიკოლაიშვილის დამცველმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს ფოტოს ჩამოხსნის მოთხოვნით, რასაც შედეგი არ მოჰ-

⁴¹ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Nikolaishvili%22%22%22documentcollectionid%22:%5B%22GRAND-CHAMBER%22%22CHAMBER%22%22%22itemid%22:%5B%22001-90590%22%22%7D>

ყოლია. შემდგომ, ცილისნამების დადგენის მოთხოვნით, განმცხადებელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში. 2004 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით, სასამართლომ მისი მოთხოვნა უარყო, მაგრამ საქმე რეაგირებისთვის პროკურატურას გადაუზღავნა. იმავე წლის 9 თებერვალს სადავო ფოტოსთან დაკავშირებული ისტორია ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა. ამის შემდეგ ის მალევე ჩამოხსნეს. განმცხადებლის დამცველმა კიდევ ერთხელ მიმართა გენერალურ პროკურატურას, მაგრამ პასუხისმგებელი პირები არასოდეს გამოუვლენიათ და დაუსჯიათ. ბატონმა ნიკოლაიშვილმა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი - კონვენციის მე-8 მუხლი: ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ პირადი ცხოვრების უფლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია პირის უფლება საკუთარ ფოტოზე. პირის ფოტოს გამოქვეყნება, მისი თანხმობის გარეშე, თუნდაც ის არ ისახავდეს რაიმე კონკრეტულ მიზანს, წარმოადგენს კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევას.

წარმოდგენილ საქმეში განმცხადებლის ფოტო არ დაბეჭდილა გაზეთში და არ გავრცელებულა მედიის საშუალებით; თუმცა, ფოტოების პოლიციის სხვადასხვა განყოფილებაში გამოქვეყნებით სახელმწიფო ორგანოებმა მიზანმიმართულად გახადეს ისინი ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის. ევროპული სასამართლოსთვის საინტერესოა არა მხოლოდ საკუთრივ ფოტოს გასაჯაროების ფაქტი, არამედ გარემოებები, რომელშიც ის გამოქვეყნდა და მიზანი, რომელსაც ემსახურებოდა. განმცხადებელი სახელმწიფო ორგანოების მიერ იდენტიფიცირებული იყო, როგორც ძებნილი მკვლელობის საქმეზე, მაშინ როდესაც ოფიციალურად მას ბრალდებულის ან ეჭვმიტანილის სტატუსიც კი არ ჰქონია. კონვენციის მე-10 მუხლის გაგებით, ეს იყო მცდარი ფაქტის გავრცელება, რაც შეადგენს ცილისნამებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა ბატონი ნიკოლაიშვილის რეპუტაციას, რომელიც მისი სოციალური იდენტობისა და ფსიქოლოგიური მდგრადობის ნაწილია და შესაბამისად, ექვევა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების სფეროში.

განსახილველი საქმე განსხვავდება ევროპული სასამართლოს მიერ ადრე განხილულ საქმეთაგან, სადაც, ძირითადად, საჯარო პირთა ფოტოების გამოქვეყნების საკითხი განიხილებოდა. განმცხადებლის სტატუსი - ჩვეულებრივი მოქალაქე - გამორიცხავდა მისი პირადი ცხოვრების სივრცის შეკვეცის შესაძლებლობას კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

ეროვნული სასამართლოს დასკვნით, ფოტოს განთავსება ძებნილთა დაფაზე იყო ოპერატიული საგამოძიებო მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავდა სამართალდამცავ ორგანოში განმცხადებლის გამოცხადების უზრუნველყოფას, რათა მას ჩვენება მიეცა, როგორც მოწმეს.

ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, თუკი მოწმე უარს იტყვის ნებაყოფლობით ჩვენების მიცემაზე, სასამართლომ შეიძლება გამოსცეს ბრძანება მისი იძულებით მოყვანის შესახებ; თუმცა, იმ შემთხვევაში, თუკი პოლიცია ვერ შეძლებს მოწმის მოყვანას, მისი როლი შემოიფარგლება სასამართლოსთვის ბრძანების დაბრუნებით, როგორც „აღუსრულებელის“. მოწმეზე ძებნის გამოცხადების არც ერთი სხვა ზომა არასოდეს ყოფილა გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით. განმცხადებელთან მიმართებით არ არსებობს სასამართლოს ბრძანება მოწმის იძულებით მოყვანის შესახებ.

განსახილველ საქმეში მთავრობას არ მიუთითებია რომელიმე სამართლებრივ აქტზე, როგორც განმცხადებლის ფოტოს გამოქვეყნებისა და მის მკვლელობასთან დაკავშირების კანონიერ საფუძველზე. შესაბამისად, ჩარევა არ შეესაბამება კანონს კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით. აქედან გამომდინარე, დარღვევა დგინდება შემდგომი გამორკვევის გარეშე, ჩარევას ჰქონდა თუ არა ლეგიტიმური მიზანი და იყო თუ არა ამ მიზნის პროპორციული.

ევროპული სასამართლო, ასევე, აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-8 მუხლით დაცული, ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების შელახვის ფაქტი, იწვევს სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობას, ჩაატარონ ეფექტიანი გამოძიება და გამოასწორონ ვითარება, რამდენადაც ეს შესაძლებელია. განსახილველ საქმეში ეს არ მომხდარა. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ „შეცდომა“ აღიარა სასამართლოს წინაშე, კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს

არასოდეს გამოუვლენიათ და დაუსჯიათ პასუხისმგებელი სახელმწიფო მოხელეები.

დასკვნა:

კონვენციის მე-8 მუხლი: დარღვევა;

41-ე მუხლი: 8000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

შენიშვნა: დადგინდა, აგრეთვე, **კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების** დარღვევა.

გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ⁴²

GURGENIDZE V. GEORGIA
№ 71678/01; 17.10.2006

**ღირსებისა და პატივის შელახვისგან დაცვის
იფექტიანი საშუალების არარსებობა: დარღვევა**

ფაქტები: განმცხადებელი დავით გურგენიძე იყო ყოფილი ლექტორი. მან გადაწყვიტა, გაეყიდა მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული ხელნაწერები, რათა გაჭირვებაში მყოფი ოჯახი ერჩინა. 1999 წელს რამდენიმე გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება დიდი ქართველი მწერლის - კონსტანტინე გამსახურდიას ხელნაწერის გაყიდვის შესახებ. აღნიშნული ხელნაწერი ავტორს 1970 წელს გაეგზავნა გაზეთ „კომუნისტისთვის“, რომლის არქივშიც ადრე მუშაობდა ბატონი გურგენიძის მამა. მითითებულ განცხადებას გამოეხმაურა მწერლის რძალი და საქართველოს გარდაცვლილი ექსპრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მეუღლე მანანა არჩვაძე-გამსახურდია. ის ახლობელ ქალთან და შურნალისტ გ. ბალაძესთან ერთად სახლში ეწვია განმცხადებელს. ამ შეხვედრას მოჰყვა ინტერვიუებისა და სტატიების სერია, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ახალი თაობის“ ნომრებში. აღნიშნულმა შელახა ბატონი გურგენიძის რეპუტაცია; კერძოდ, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ხელნაწერი ეკუთვნოდა მწერლის ოჯახს და განმცხადებელს ის უკანონოდ ჰქონდა მითვისებული. მწერლის რძალმა მიმართა პროკურატურას განმცხადებ-

ლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე, რაზეც უარი მიიღო ამ უკანასკნელის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო. ბატონმა გურგენიძემ მიმართა ეროვნულ სასამართლოს, რომელმაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა მისი სარჩელი: დაადგინა განმცხადებლის ღირსებისა და პატივის შელახვა და გაზეთს დაავალა მცდარი ცნობების უარყოფა; ამასთან, უარი თქვა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე დაუსაბუთებლობის მოტივით, რადგან მიიჩნია, რომ პირადი და არაქონებრივი უფლების დარღვევა ვერ გამოიწვევდა მატერიალურ ზიანს. აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა. ბატონმა გურგენიძემ მისი პირადი ცხოვრების ხელყოფის ფაქტზე დავა ევროპულ სასამართლოში გააგრძელა.

სამართალი - კონვენციის მე-8 მუხლი: ევროპული სასამართლო აფასებს, საკმარისად დაიცვეს თუ არა ეროვნულმა სასამართლოებმა განმცხადებელი მის პირად ცხოვრებაში განხორციელებული ჩარევისაგან, კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებისა და მე-10 მუხლით დაცული გაზეთ „ახალი თაობის“ რედაქციისა და ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლებას შორის ბალანსის აუცილებლობის გათვალისწინებით.

ევროპული სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში გამოხატვის თავისუფლებას არ შეიძლება მიენიჭოს ფართო ინტერპრეტაცია, ვინაიდან განმცხადებელი არ არის საჯარო პირი და მას არ მოეთხოვება განსაკუთრებული შემწყნარებლობის გამოჩენა მის მიმართ გამოთქმული კრიტიკის მიმართ. ამასთან, „ახალი თაობის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, უდავოდ, ჰქონდა ნეგატიური გავლენა მის პიროვნებაზე, ოჯახთან, მეგობრებთან ურთიერთობებსა და სხვა სოციალურ კავშირებზე, მათ შორის, კოლეგებისა და სტუდენტების მხრიდან მის მიმართ წლების მანძილზე არსებულ დამოკიდებულებებზეც.

ადამიანის უფლებათა კონვენცია არ უშვებს, რომ შეილახოს ინდივიდის ის „შინაგანი“ სამყარო, რომელიც მის პიროვნებას თავისუფლად განვითარებისა და ჩამოყალიბების შესაძლებლობას უნდა აძლევდეს ან, ზიანი მიადგეს იმ „გარეგან“ სამყაროს, რომელშიც ინდივიდს, გარე ფაქტორების ჩარევის გარეშე, უნდა შეეძლოს

⁴² <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-77519%22%5D%7D>

ერთიერთობათა დამყარება სხვა ინდივიდებთან, მთელ სამყაროსთან, მათ შორის, პროფესიულ და კომერციულ სფეროებშიც.

ევროპული სასამართლო არ უარყოფს, რომ გამსახურდიების ოჯახის რეზიდენციის გაქურდვასა და განსახილველი ხელნაწერის გაყიდვის ფაქტს შეეძლო გამოეწვია მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი, იმის გათვალისწინებით, რომ კონსტანტინე გამსახურდია საქვეყნოდ აღიარებული მწერალი, ხოლო პოსტკომუნისტური საქართველოს პირველი პრეზიდენტი სწორედ ამ ოჯახის წარმომადგენელი იყო. თუმცა, ეს არ ამართლებს იმ გარემოებას, რომ ჟურნალისტი განმცხადებლის მიერ ხელნაწერის გაყიდვის საკითხს სერიოზულად და ობიექტურად არ მოეკიდა.

პირველი ინსტანციის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ მიღებული დადგენილების გათვალისწინებით, მწერლის რძლის შემდეგმა სიტყვებმა: „ქურდობა, ძარცვა მისთვის არაფერია“ შელახა განმცხადებლის პატივი და ღირსება. სასამართლოს მსჯელობის საგანიც კი არ გამხდარა მანანა არჩვადე-გამსახურდიას სხვა სიტყვები, როგორცაა: „ხელნაწერებზე მონადირე“, „ქურდი“, „საშინელი ათეისტი“, „ამ ხელნაწერების წყალობით თავს ირჩენდა“, მისი საქციელი „ყოველგვარ მორალურ ფარგლებს სცილდება“, „ასეთი პიროვნება ანათემას უნდა გადასცე“, „მან ერის წინაშე დანაშაული ჩაიდინა“ და სხვ.

ეროვნული სასამართლოების შეფასებით, გაზეთის რედაქციამ და ჟურნალისტმა გაავრცელეს მხოლოდ მესამე პირის სიტყვები. ევროპული სასამართლო აღნიშნულს არ ეთანხმება ჟურნალისტის შემდეგი ფრაზების გათვალისწინებით: „[განმცხადებელს] არ შეეშინდა პოლიციის და არ დაუბრუნა ხელნაწერი მფლობელს“; „რამდენიმე დღეა, რაც კოლხური კოშკიდან მოპარული ერთ-ერთი ხელნაწერი სავაჭრო გარიგების საგანი გახდა“; „ჩვენ კოლხური კოშკიდან მოპარული კონსტანტინე გამსახურდიას ხელნაწერის გაყიდვის მოწმენი გავხდით, (...) დაინტერესებული პირი – ბ-ნი დ. გურგენიძე აცხადებს, რომ იგი ხელნაწერის მფლობელი იყო“.

ეროვნულმა სასამართლოებმა, არ შეაფასეს, გამოიჩინა თუ არა ჟურნალისტმა პროფესიული კეთილსინდისიერება და გადაამოწმა თუ არა

მოპოვებული მასალის სისწორე. ჟურნალისტი არც კი დაელოდა განმცხადებლის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ დადგენილებას, რომელიც პირველი პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში გახდა ცნობილი. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ძნელია დასკვნის გაკეთება, რომ ჟურნალისტმა ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებთან დაკავშირებით გამოაქვეყნა ზუსტ ფაქტებზე დაყრდნობით, კეთილსინდისიერად გამოთქვა საკუთარი მოსაზრება და ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვით მკითხველს მიანოდა „უტყუარი და სანდო“ ინფორმაცია. განმცხადებელს არც კი შეეძლო ევარაუდა, რომ ჟურნალისტი, რომელიც გაეცნო, როგორც ხელნაწერის ყიდვის მსურველი, მას საქვეყნო კრიტიკის საგნად აქცევდა. საქმის ამ ასპექტზე ეროვნულ სასამართლოს არ უმსჯელია.

ფოტო, რომელიც თან ერთვოდა პუბლიკაციას, ბატონ გურგენიძეს გადაუღო „ახალი თაობის“ ფოტოგრაფმა, მისი თანხმობის გარეშე. ფოტოს განმცხადებლის სახელი და გვარი იმდენად გარკვევით ჰქონდა მიწერილი, რომ ახლობლებს, კოლეგებსა და სტუდენტებს მისი ადვილად ამოცნობა არ გაუჭირდებოდათ. ევროპული სასამართლოს შეფასებით, არც მის წინაშე და არც ეროვნული სამართალწარმოებისას, არ არის წარმოდგენილი არგუმენტი, რომელიც ახსნიდა საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე სადავო ფოტოსურათის გამოქვეყნების გონივრულობას ან ინფორმაციულ ღირებულებას; აშკარა იყო, რომ ის განმცხადებლის პიროვნების იმგვარად წარმოჩენას ემსახურებოდა, როგორადაც იგი ზემოთ არის დახასიათებული.

სადავო ინფორმაციისა და ფოტოსურათის გამოქვეყნებასთან მიმართებით საქართველოს ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს კონკურენტულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენა და ვერ უზრუნველყვეს განმცხადებლის პირადი ცხოვრების საკმარისი და ეფექტიანი დაცვა.

დასკვნა:

კონვენციის მე-8 მუხლი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 4 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის; 2 116 ევრო განუული ხარჯებისთვის.

შენიშვნა: კონვენციის მე-13 მუხლის ცალკე განხილვის საჭიროება არ არის.

იხ. აგრეთვე: *Von Hannover v. Germany*, no. 40660/08 and 60641/08, 7 February, 2012; *Axel Springer AG v. Germany*, no. 39954/08, 7 February 2012; *Pfeifer v. Austria*, no. 12556/03, 15 November 2007; *Delfi AS v. Estonia*, no. 64569/09, 16 June 2015; *Medžlis Islamske Zajednice Brčko and Others v. Bosnia and Herzegovina*, no. 17224/11, 27 June 2017; *Worm v. Austria*, 83/1996/702/894, 29 August 1997, *Du Roy and M Laurie v. France*, no. 34000/96, 3 October 2000; *Couderc and Hachette Filipacchi Associés v. France*, no. 40454/07, 10 November, 2015; *Egill Einarsson v. Iceland*, no. 24703/15, 7 November 2017; *Bédat v. Switzerland*, no. 56925/08, March 29, 2016; *G.K. v. Poland*, no. 38816/97, 20 January 2004; *Michta v. Poland*, no. 13425/02, 4 May 2006; *Belchev v. Bulgaria*, no. 39270/98, 8 April 2004; *McKay v. the United Kingdom*, no. 543/03, 03.10 2006; *Labita v. Italy*, no. 26772/95, 6 April, 2000; *Ilijkov v. Bulgaria*, no. 33977/96, 26 July 2001; *Nikolov v. Bulgaria*, no. 38884/97, 30 January 2003; *Panchenko v. Russia*, no. 45100/98, 8 February 2005.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა

6. 6. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ⁴³

N. TS. AND OTHERS V. GEORGIA № 71776/12; 2.02.2016

სასამართლოს ბრძანება ბავშვების ნების სანინააღმდეგოდ, მათი მამასთან დაბრუნების შესახებ: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებლები არიან დეიდა ნ.ნ. და სამი არასრულწლოვანი ძმისშვილი - ნ.ბ., ს.ბ. და ლ.ბ.. განაცხადის წარდგენისას ბიჭები იყვნენ ათი და ექვსი (ტყუპები) წლის ასაკის. 2009 წლის ნოემბერში ბავშვები, დედის გარდაცვალების

შემდეგ, საცხოვრებლად გადავიდნენ დედის ნათესავებთან. მათი მამა, რომელიც ნასამართლევ იყო ნარკოტიკის უკანონო მოხმარებისთვის, გადიოდა მკურნალობას ნარკოდამოკიდებულებისათვის. 2010 წლის დასაწყისში მამამ დაიწყო სამართლებრივი პროცესი შვილების დაბრუნების მოთხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს თავიდანვე მიმართა სასამართლომ, მას არ წარმოუდგენია ბავშვების ინტერესები პირველ ინსტანციაში და პროცესში ჩაერთო მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას. საქალაქო სასამართლომ გამოიტანა ბავშვების მამასთან დაბრუნების გადაწყვეტილება. მან არ გაითვალისწინა ექსპერტის დასკვნა, რომლის თანახმად, არ იყო რეკომენდებული ბავშვების საცხოვრებელი გარემოს შეცვლა, რადგან ისინი განიცდიდნენ შფოთვით აშლილობას, რომელიც გამონვეული იყო ახლობლის დაკარგვის შიშით და გამოხატავდნენ უარყოფით დამოკიდებულებას მამის მიმართ. სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვეს ზემდგომი ინსტანციების სასამართლოებმა; მაგრამ მისი აღსრულება ვერ მოხერხდა. ბავშვებმა უარი თქვეს მამასთან საცხოვრებლად გადასვლაზე და მათი გადაყვანის ორი მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა.

ევროპული სასამართლოს წინაშე დეიდა, მისი ძმისშვილების სახელით, ასაჩივრებდა, რომ დარღვეული იყო ბავშვების უფლება, პატივი სცენ მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებას იმ საფუძვლით, რომ ეროვნულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ბავშვების მამასთან დაბრუნების შესახებ. მთავრობა აცხადებდა, რომ დეიდა არ იყო უფლებამოსილი, წარმოედგინა მისი დისშვილების ინტერესები, რადგან დედის გარდაცვალების შემდეგ, მამა იყო მათი ერთადერთი სამართლებრივი წარმომადგენელი და სასამართლოს დეიდა არასოდეს დაუნიშნავს ბავშვების მეურვედ.

სამართალი - კონვენციის მე-8 მუხლი - ჰქონდა თუ არა დეიდას წარმომადგენლობის (Locus standi-ს) უფლება: არასრულწლოვნები, რომლებმაც დაკარგეს დედა და ჰქონდათ მტრული თუ არა, რთული ურთიერთობა მამის, მამასთან, იმყოფებოდნენ მოწყვლად მდგომარეობაში. არ არის სადავო, რომ დეიდას ჰქონდა საკმარისად ახლო კავშირი ბავშვებთან და მას შეეძლო

⁴³ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%22N.%20T.S.%22%22documentcollectionid%22%3A%22GRAND-CHAMBER%22%22CHAMBER%22%22DECISIONS%22%22itemid%22%3A%22001-160313%22%7D>

საჩივარი მათი სახელით შემოეტანა. დეიდამ უზრუნველყო სამივე ბიჭი საცხოვრებელი სახლით და ზრუნავდა მათზე. უფრო მეტიც, ისინი მკვეთრად გაუცხოებული იყვნენ მამასთან, იმისთვის, რომ მას შეძლებოდა მათი ინტერესების ჯეროვნად წარმოდგენა სასამართლოში. რაც შეეხება პოტენციურ ინსტიტუციურ ალტერნატივებს, სოციალური მომსახურების სააგენტო თავად იყო კრიტიკის საგანი განსახილველ საქმეში და არ იქნებოდა რეალისტური მისგან იმის მოლოდინი, რომ მოამზადებდა საჩივარს ბავშვების სახელით. ვინაიდან არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი საჩივრის საგნის მიმართ და საქმე ეხება არასრულწლოვანთა მნიშვნელოვან ინტერესებს, დეიდა იყო უფლებამოსილი, წარმოედგინა დისპვილების ინტერესები. ამით, მთავრობის წინასწარი პროტესტი ერთსულოვნად უარყოფილია ევროპული სასამართლოს მიერ.

საქმის არსებითი მხარე: ამ საქმის არსი ძვეს განმცხადებლის საჩივარში, რომლის მიხედვით, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროცედურები არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ის უგულებელყოფდა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას. ამიტომაც, გამოსაკვლევია ორი ძირითადი ასპექტი: იყვნენ თუ არა ბიჭები სათანადოდ ჩართულები საქმის წარმოებაში, და იყო თუ არა ეროვნული სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები ნაკარნახევი მათი საუკეთესო ინტერესებით.

(ა) უფლება წარმოგადგინონ და მოვისმინონ: მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მოითხოვა წარმომადგენლის დანიშვნა ბიჭებისთვის, ევროპულ სასამართლოს ჰქონდა შენიშვნები იმ სპეციფიკურ როლთან დაკავშირებით, რომელიც შეასრულა წარმომადგენელმა ეროვნული სამართალწარმოებისას. პირველი, სოციალური მომსახურების სააგენტო ფორმალურად ჩართული იყო პროცესში, ოღონდ მხოლოდ სააპელაციო ინსტანციიდან და მხოლოდ „დაინტერესებული მხარის“ - სტატუსით, რომლის მარეგულირებელ დებულებას არ შეიცავდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. ამიტომაც, გაურკვეველი იყო, როგორ შეძლებდა სააგენტო მათი ინტერესების ეფექტიან წარმოდგენას, როდესაც არ ჰქონდა ფორმალური საპროცესო როლი. მეორე, ბუნდოვანი დარჩა ეს წარმომადგენლობა ზუსტად რას გულისხმობდა, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა არ გან-

საზღვრავდა წარმომადგენლის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს. ორ წელზე მეტი ხნის მანძილზე, რომლის განმავლობაშიც გრძელდებოდა პროცესი განმცხადებლების საქმეზე, სააგენტოს წარმომადგენლები სულ რამდენიმეჯერ შეხვდნენ ბიჭებს. ვიზიტების მიზანი იყო მათი ემოციური მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების შესახებ ანგარიშის შედგენა; თუმცა, არ დამყარებულა რეგულარული კონტაქტი ბიჭებზე დაკვირვებისა და ურთიერთდობის ჩამოყალიბებისთვის.

ამ კონტექსტში, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანოს რეკომენდაციებზე, მათ შორის, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპებზე ბავშვისთვის მეგობრული სასამართლო სისტემის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები ადგენს, რომ იმ საქმეებში, სადაც კონფლიქტია მშობლებსა და შვილებს შორის, ინიშნება მეურვე ან სხვა დამოუკიდებელი წარმომადგენელი ბავშვის შეხედულებების და ინტერესების წარმოდგენისა და სამართალწარმოების შინაარსის შესახებ ბავშვისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ევროპული სასამართლო ვერ ხედავს, როგორ შეიძლება სოციალური სააგენტოს მიერ ანგარიშების მომზადება და სასამართლო პროცესებზე დასწრება, საჭირო სტატუსის გარეშე, მიჩნეული იყოს ადეკვატურ წარმომადგენლობად ზემოთ აღნიშნული სტანდარტების მიხედვით. უფრო მეტიც, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების საპირისპიროდ, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს განეხილათ უფროსი ბიჭის (დაბადებული 2002 წელს) პროცესში პირდაპირი ჩართვის შესაძლებლობა.

ბ) ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება: ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება, ძირითადად, ეფუძნებოდა ორ მიზეზს: ბიჭების საუკეთესო ინტერესებში იყო, რომ მათ აღედგინათ მამასთან ერთობა და დედისეულ ოჯახს ჰქონდა უარყოფითი გავლენა მათზე. ევროპული სასამართლო იზიარებს ეროვნული სასამართლოების მოტივაციას - მართლაც, მშობლისა და შვილის ერთად ყოფნით მიღებული სიხარული არის ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტური ელემენტი და ბავშვების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს მათთვის მშვიდ და ჰარმონიულ გარემოში განვითარების შესაძლებლობის შექმნა; თუმცა, განსახილველ საქმეში არასრულ-

ნლოვანთა საუკეთესო ინტერესების შეფასებისას, ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი - ბიჭებს არ სურდათ მამასთან დაბრუნება. როგორი მანიპულაციური როლიც არ უნდა ეთამაშა დედის ოჯახს, ეროვნული სასამართლოებისათვის წარდგენილი მტკიცებულება მამის მიმართ ბავშვების მტრულ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით, აშკარა იყო.

უფრო მეტიც, საქმეში არსებობდა ფსიქოლოგების არაერთი ანგარიში ბიჭების ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისთვის პოტენციური საფრთხეების არსებობის შესახებ, თუკი ისინი ძალდატანებით დაბრუნდებოდნენ მამასთან. ამგვარ ვითარებაში, ასეთი რადიკალური ზომის მიღება სათანადო გარდამავალი და მოსამზადებელი ღონისძიებების გათვალისწინების გარეშე, რომელიც მიზნად ისახავს ბიჭებისა და მათი გაუცხოებული მამის დახმარებას ურთიერთობების აღდგენაში, ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, არაჯეროვანმა წარმომადგენლობამ და შედეგად, ბიჭების შეხედულებების არასათანადოდ მოსმენამ ეჭვქვეშ დააყენა ამ საქმეში გადაწყვეტილების მიღების პროცესის პროცედურული სამართლიანობა. ამ დასკვნას კიდევ უფრო ამძაფრებს ბიჭების საუკეთესო ინტერესების არაადეკვატური და ცალმხრივი შეფასება, რომლითაც მათი ემოციური მდგომარეობა, უბრალოდ, იგნორირებულ იქნა, კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ.

დასკვნა:

კონვენციის მე-8 მუხლი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 10,000 ევრო სამივე ბიჭს ერთად არამატერიალური ზიანისთვის; 900 ევრო განუული ხარჯებისთვის.

გ. ს. საქართველოს წინააღმდეგ⁴⁴

G. S. V. GEORGIA

№ 12361/13; 21.07.2015

ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებლად: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი ქალბატონი გ.ს. არის უკრაინის მოქალაქე. 2004 წელს მას შეეძინა ვაჟი ლ. ორმაგი (საქართველო-უკრაინის) მოქალაქეობის მქონე გ.ჩ.-სგან. 2005 წელს გ.ჩ. გაემგზავრა რუსეთში და ლ. დარჩა საცხოვრებლად დედასთან. 2005-2006 წლებში გ.ჩ.-მ ორჯერ მოინახულა დედაშვილი. 2006 წლის ბოლოს წყვილს მეორე ბავშვი შეეძინა, რომელიც 2010 წელს გარდაიცვალა ტრაგიკული შემთხვევის შედეგად - გადავარდა ღია ფანჯრიდან. ამ ფაქტს შეესწრო ლ. 2010 წლის ივლისში განმცხადებელმა ნება დართო გ. ჩ.-ს, ბავშვი წაეყვანა საქართველოში ზაფხულის არდადეგების გასატარებლად. შეთანხმების მიხედვით, აგვისტოს ბოლოს ბავშვი უნდა დაბრუნებულიყო ხარკოვში, დედასთან და სწავლა დაეწყო სკოლამდელ დაწესებულებაში. გ. ჩ.-მ გადაწყვიტა ბავშვი საცხოვრებლად დაეტოვებინა თავის ძმასთან და მამასთან საქართველოში. თვითონ ცხოვრობდა რუსეთში და დროდადრო აკითხავდა ბავშვს. მას შემდეგ, რაც ვერ შეძლო დაერწუნებინა თავისი ყოფილი პარტნიორი, დაებრუნებინა ბავშვი, განმცხადებელმა წამოიწყო სასამართლო პროცესი 2010 წლის ოქტომბერში, ჰააგის კონვენციის საფუძველზე, უკრაინისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროების დახმარებით. თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვის დაბრუნება უკრაინაში იყო ფსიქოლოგიური ზიანის რისკის შემცველი ბავშვისთვის მამასთან დაშორების და იმ ტრავმის გამო, რომელიც დის გარდაცვალებისას ჰქონდა მიღებული. სააპელაციო სასამართლომ შეცვალა ეს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ უკვე ტრავმირებული ბავშვი არ უნდა დაეშორებინათ დედისთვის, რომელიც არ წარმოადგენდა მისთვის საფრთხეს, იყო ფსიქიატრიული საავადმყოფოს ინტერნი, და ლ.-ს მკურნალობდა დელფინოთერაპიული სარეაბილიტაციო პროგრამით. საკასაციო ინსტანცია არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს და გაიმეორა საქა-

⁴⁴ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22G.S.%22%5D%2C%22documentcollection-id%22:%5B%22GRANDCHAMBER%22%2C%22CHAMBER%22%5D%2C%22itemid%22:%5B%22001-156273%22%5D%7D>

ლაქო სასამართლოს დასკვნა ბავშვის საქართველოში დატოვების შესახებ. ქალბატონმა გ.ს.-მ მისი შვილის უკრაინაში დაბრუნებაზე უარის თქმა და პროცესის ხანგრძლივობა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამართალი - კონვენციის მე-8 მუხლი: ევროპული სასამართლო ეთანხმება მთავრობას, რომ განმცხადებლის ოჯახური ცხოვრების უფლებაში ჩარევა მოხდა კანონის მიხედვით, კერძოდ, ჰააგის კონვენციის მე-13 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად და ატარებდა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის კანონიერ მიზანს. ევროპულმა სასამართლომ უნდა გაარკვიოს, რამდენად აუცილებელი იყო ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში; ამ მიზნით უნდა გამოარკვიოს, ეროვნული სასამართლოების დასკვნა შეიცავდა თუ არა საკმარის დასაბუთებას და იყო თუ არა გამოტანილი საკმარისად სწრაფი პროცედურით.

ა) ბავშვის დაბრუნების მოთხოვნის უარყოფის მიზეზები: ეროვნული სასამართლოს დასკვნა, რომ ბავშვის დაბრუნება დედასთან იყო მისთვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური რისკის შემცველი, ძირითადად, ეფუძნებოდა ლ.-ს დის გარდაცვალების ფაქტს, რა დროსაც ლ.-მ მიიღო ფსიქოლოგიური ტრავმა. ევროპული სასამართლო ეთანხმება პოზიციას, რომ აღნიშნული ტრაგიკული ფაქტი მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ საქმეში, მაგრამ არ არის წარმოდგენილი დამაჯერებელი ახსნა-განმარტება, რატომ არსებობს ბავშვისთვის სერიოზული რისკი უკრაინაში დაბრუნების შემთხვევაში. გასათვალისწინებელია, რომ უკრაინაში ჩატარებული სამართალწარმოების შედეგად, დადგინდა, რომ ეს იყო ტრაგიკული შემთხვევა. ამასთან, ბავშვის მამა, ეროვნული სასამართლოს წინაშე არ ამტკიცებდა, რომ თავად განმცხადებელი წარმოადგენდა საფრთხეს ბიჭისთვის. ის იყენებდა ზოგად ფრაზებს - „ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი“ ან „აუტანელი სიტუაცია,“ მაგრამ მან ვერ ახსნა, კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ეს.

ასევე, საქმეში არ არსებობდა ექსპერტის დასკვნა, რომელიც მიაჩნებდა, რომ ბიჭის უკრაინაში დაბრუნება გაამძაფრებდა მის ტრავმას. სამწუხაროდ, ეროვნულ სასამართლოს არც ერთი ანგარიში არ სთავაზობდა ლ.-ს უკრაინაში დაბრუნების სავარაუდო შედეგების ანალიზს;

ასევე, სასამართლოს არ გამოუკვლევია ამ საკითხთან დაკავშირებული შესაძლო რისკები. ფსიქოლოგის ანგარიში მხოლოდ იმაზე მიუთითებდა, რომ ბიჭი იყო ტრავმირებული და ესაჭიროებოდა ფსიქოლოგიური დახმარება, რასაც განმცხადებელიც იზიარებდა და მუდმივად გამოსატავდა უკრაინაში აღნიშნულის უზრუნველყოფის მზაობას.

მთავრობის არგუმენტის მიხედვით, ბიჭს სურდა საქართველოში დარჩენა, და უკრაინაში დაბრუნება, რასაც თან სდევდა მამასთან და ოჯახთან განშორება, მას მიაყენებდა დამატებით ფსიქოლოგიურ ტრავმას. ჰააგის კონვენციის მიზანია თავიდან აიცილოს გამტაცებელი მშობლის მიერ ლეგალური აღიარების საკითხში წარმატების მიღწევა, დროის გასვლის მიზეზით, იმ დე ფაქტო სიტუაციით, რომელიც მან ცალმხრივად შექმნა. არ შეიძლება გამტაცებელმა მშობელმა მიიღოს სარგებელი საკუთარი არასწორი ქმედებისგან. ასევე, ჰააგის კონვენციის მიერ დაშვებული გამოწვევები უნდა იყოს მკაცრად განმარტებული და არ შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ იმ მშობელთან დაშორების არგუმენტისგან, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვის უკანონო გადაადგილებაზე. ეს განცალკევება, რამდენადაც რთული არ უნდა იყოს ბავშვისთვის, შეიძლება არ პასუხობდეს სერიოზული რისკის ტესტს. ჰააგის კონვენციის მე-13 მუხლის „ბ“ პუნქტში მოყვანილი გამონაკლისი ეხება მხოლოდ სიტუაციებს, რომლებიც იმ ზღვარს მიღმაა, რომლის დაძლევაც ბავშვს შეუძლია.

იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ არ ჩატარებულა ექსპერტიზა ლ.-ს მამის ოჯახისგან დაშორების შედეგებზე, ასევე, არ ყოფილა გათვალისწინებული ბიჭის მომავალი საცხოვრებელი პირობები უკრაინაში, ევროპული სასამართლო ადგენს, რომ მთავრობის არგუმენტი ლ.-ს მამისგან და მამის ოჯახისგან დაშორების შემთხვევაში შესაძლო ფსიქოლოგიური ტრავმის მიღების შესახებ, იყო არასწორი.

ეროვნულმა სასამართლომ უგულებელყო ფსიქოლოგიური და სოციალური სამსახურის ანგარიშებში მითითებული რისკები, იმ შემთხვევაში, თუ ბიჭი საქართველოში დარჩებოდა. აღსანიშნავია, რომ მას დაუდგინდა ადაპტაციური აშლილობის დიაგნოზი და ჰქონდა „მშობლებთან ურთიერთობის ნაკლებობის პრობლემა“, აგრეთვე, ფსიქოლოგიური ტრავმა „ამჟამინდელი რთული

და გაურკვეველი სიტუაციიდან გამომდინარე“. მოცემული საქმის განხილვის შედეგი იყო ის, რომ ბიჭი საცხოვრებლად დარჩა ბაბუასთან და ბიძასთან. სასამართლომ, უბრალოდ, იგნორირება გაუწია იმ ძალიან საყურადღებო ფაქტს, რომ მამა სინამდვილეში ცხოვრობდა რუსეთში. არც ბიძას და არც ბაბუას არ ჰქონდა ლ.-ზე მეურვეობის უფლება.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს სიტუაცია – ბავშვის დატოვება საქართველოში მშობლების არყოფნისას, როდესაც ბავშვმა ცხოვრების პირველი ექვსი წელიწადი გაატარა უკრაინაში დედასთან ერთად – ბაბუას კითხვებს ამ გადაწყვეტილების ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან თავსებადობასთან დაკავშირებით.

ეროვნულმა სასამართლომ ვერ მოახერხა ლ.-ს საუკეთესო ინტერესების სწორად განსაზღვრა საქმის სპეციფიკური გარემოებებიდან გამომდინარე; ასევე, ვერ შეძლო მხარეების კონკურენტულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა.

ბ) სამართალწარმოების სისწრაფე: ჰააგის კონვენციის მე-2 და მე-11 მუხლები მოითხოვს იურიდიული ან ადმინისტრაციული ორგანოებისგან სწრაფ მოქმედებას ბავშვის დაბრუნების უზრუნველსაყოფად, და ქმედებების შეუსრულებლობა 6 კვირაზე მეტი ხნით, შესაძლებელია გახდეს ახსნა-განმარტების მოთხოვნის საფუძველი. განსახილველ საქმეში განმცხადებელმა წარადგინა თავისი ვაჟის დაბრუნების მოთხოვნა 2010 წლის ოქტომბერში. ეროვნულმა სასამართლომ სამართალწარმოება დაიწყო 2010 წლის 2 დეკემბერს და 2012 წლის 22 აგვისტოს უზენაესი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით საქმე დასრულდა. პროცესის ხანგრძლივობა - დაახლოებით ოთხმოცდაათი კვირა - ბაბუას კითხვებს, ასრულებს თუ არა მოპასუხე სახელმწიფო პოზიტიურ ვალდებულებას - იმოქმედოს სწრაფად ჰააგის სამართალწარმოებაში.

მთავრობა პროცესის გაჭიანურებას ხსნიდა ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის ჩართულობით. ევროპული სასამართლო მზადაა, ნაწილობრივ მიიღოს ეს არგუმენტი მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლო პროცესთან მიმართებით; სააპელაციო სამართალწარმოება თითქმის ოთხ თვეს გაგრძელდა და არ მოიცავდა რაიმე ახალი მტკიცებულებების მოკვლევას. ყველაზე შემამფოთებელი ევროპული სასამარ-

თლოსთვის არის უზენაესი სასამართლოს წინაშე პროცესის მიმდინარეობა თითქმის ცხრა თვის განმავლობაში, მაშინ როდესაც უპირი მოსმენა არ ჩატარებულა, შესაბამისად, მოწმეები არ დაკითხულან და არც ახალი მტკიცებულება ან ექსპერტის დასკვნა ყოფილა წარმოდგენილი. შესაბამისად, სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე პროცედურული ვალდებულებებიც.

დასკვნა:

კონვენციის მე-8 მუხლი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 300 ევრო მატერიალური ზიანისთვის; 8000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის; 800 ევრო განუული ხარჯებისთვის.

იხ. აგრეთვე: *Neulinger and Shuruk v. Switzerland* no. 41615/07, 6 July 2010; *Maumousseau and Washington v. France*, no. 39388/05, 6 December 2007; *Lipkowsky and McCormack v. Germany*, no. 26755/10, 18 January 2011; *Diamante and Pelliccioni v. San Marino*, no. 32250/08, 27 September 2011; *Eberhard and M. v. Slovenia*, no. 8673/05 and 9733/05, 1 December 2009; *S.I. v. Slovenia*, no. 45082/05, 13 October 2011; *Süß v. Germany*, no. 40324/98, 10 November 2005; *Strömblad v. Sweden*, no. 3684/07, 5 April 2012; *Karrer v. Romania*, no. 16965/10, 21 February 2012; *Blaga v. Romania*, no. 54443/10, 1 July 2014; *Monory v. Romania and Hungary*, no. 71099/01, 5 April 2005; *Iosub Caras v Romania*, no. 7198/04, 27 July 2006; *Adžić v. Croatia*, no. 22643/14, 12 March 2015; *P., C. and S. v. the United Kingdom*, 56547/00, 11 December 2001; *C. and D. v. the United Kingdom*, no. 34407/02, 31 August 2004; *Giusto, Bornacin and V. v. Italy*, no. 38972/06, 15 May 2007; *Moretti and Benedetti v. Italy*, no. 16318/07, 27 April 2010; *Šneerson and Campanella v. Italy*, no. 14737/09, 12 July 2011; *M.D. and Others v. Malta*, no. 64791/10, 17 July 2012; and *A.K. and L. v. Croatia*, no. 37956/11, 8 January 2013; *Tonchev v. Bulgaria*, no. 18527/02, 19 November 2009.

მუხლი 9

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

„1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, აგრეთვე, თავისუფლებას იმისა, რომ ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გაამჟღავნოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გამჟღავნების თავისუფლება მხოლოდ იმ პირობით შეიზღუდება, თუ ასეთი შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.

რელიგიის თავისუფლება

ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ⁴⁵

TSARTSIDZE AND OTHERS V. GEORGIA № 18766/04; 17.01.2017

იუკოვას მოწმეების მიმართ ძალადობის ფაქტებზე პასუხისმგებელი ორგანოების რეაგირების არარსებობა: დარღვევა

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეში ძალადობის ინციდენტებს განიხილავს არა იზოლირებულად, არამედ საქართველოში არსებული ზოგადი ვითარების გათვალისწინებით. ამ მიზნისთვის ის ამოსავალ წერტილად აღიარებს საქმეზე „ბელელური და სხვები“ გამოტანილ შემდეგი შინაარსის დასკვნას: „... თავიანთი წარმომადგენლების ქცევით, რომლებიც ან პირადად მონაწილეობდნენ იუკოვას მოწმეებზე თავდასხმაში ან კერძო პირების უკანონო ქმედებებს ხელს არ უშლიდნენ და ეთანხმებოდნენ, საქართველოს სახელმწიფო ორგანოებმა შექმნეს დაუსჯელობის გარემო, რამაც, თავის მხრივ, წაახალისა იუკოვას მოწმეებზე თავდასხმა მთელი ქვეყნის მასშტაბით...“

⁴⁵ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%22Tsartsidze%20%20And%22%22documentcollectionid%22%3A%22GRANDCHABER%22%22CHAMBER%22%22itemid%22%3A%222001-170349%22%7D>

საქმე № 2

ფაქტები: განაცხადის ეს ნაწილი შეეხება ბატონ ალექსანდრე მიკირტუმოვსა და ბატონ ბინალი ალიევს. 2000 წლის 26 ოქტომბერს ისინი იუკოვას მოწმეების აზერბაიჯანული კონგრეგაციის შეხვედრის სამზადისში იყვნენ, როდესაც მათ თავს დაესხა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ხუთი პოლიციელი. განმცხადებლებს – შეკრების მასპინძელსა და პასტორს შურაცხყოფა მიაყენეს და ჩამოართვეს რელიგიური ლიტერატურა. შემდეგ ისინი გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც აიძულეს ხელწერილის დადება, რომ ბატონი ალიევი მომავალში აღარ გამართავდა რელიგიურ შეკრებებს და ბატონი მიკირტუმოვი არ დაბრუნდებოდა მარნეულში. განმცხადებლებმა ამ ფაქტზე შეიტანეს საჩივარი და საქმე განიხილა სამივე ინსტანციის სასამართლომ, თუმცა, პოლიციელების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ან ბოროტად გამოყენება არ დადგინდა. ევროპული სასამართლოს წინაშე საქართველოს მთავრობა

აცხადებდა, რომ ამ ინციდენტში სახელმწიფოს წარმომადგენელი არ მონაწილეობდა.

სამართალი - კონვენციის მე-9 მუხლი: ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნულ დონეზე საქმისწარმოებისას, განმცხადებლებმა და სხვა თვითმხილველებმა დაასახელეს სამი პოლიციის ოფიცრის სახელი, რომლებიც, სავარაუდოდ, მონაწილეობდნენ შეკრების დაშლაში. პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, ს.ხ.-მ ეროვნული სასამართლოების წინაშე აღიარა, რომ მისმა კოლეგამ, გ. ნ.-მ, მართლაც, სთხოვა განმცხადებლებს და იეჰოვას სხვა მოწმეებს, „შეწყვიტათ შეკრება“, რათა თავიდან აეცილებინათ მოწინააღმდეგეებთან დაპირისპირება. თუნდაც იმის დაშვებით, რომ პოლიციის ოფიცრის ეს მოთხოვნა არ შეიცავდა დამცირებას ან ძალადობას რაიმე ფორმით, ის მაინც უტოლდებოდა კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული განმცხადებლების უფლებებში ჩარევას. ეს მოთხოვნა რომ წამოეყენებინა, სულ მცირე, ერთი პოლიციის ოფიცერი, მისი ქმედება წარმოშობდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, მიუხედავად იმისა, ის მოქმედებდა უფლებამოსილების გადამეტებით თუ მის ფარგლებში.

სასამართლოებს, ეროვნულ დონეზე საქმისწარმოებისას და მთავრობას ევროპული სასამართლოს წინაშე არ მიუთითებიათ რაიმე ნორმა, რომელიც განმცხადებლებმა დაარღვიეს თავიანთ სახლში შეკრებისას. ეროვნულ სასამართლოებს საკუთარ გადანყვეტილებებში არც კი უმსჯელიათ იმის თაობაზე, თუ რატომ იყო შეკრების დაშლა „კანონიერი“ და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, საერთოდ, რა საჭიროებით იყო განპირობებული. მათ არც კი უცდიათ, გამოერკვიათ პოლიციის ოფიცრების ქცევის სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივები; არც უკითხავთ პოლიციელებისთვის, ნაცვლად შეკრების დაშლისა, რატომ არ მიიღეს ზომები განმცხადებლების რელიგიური უფლებების ადეკვატურად დასაცავად, მათ შორის, იმის უზრუნველყოფით, რომ შეკრება ჩატარებულიყო უსაფრთხო გარემოში. შესაბამისად, გაუმართლებელია, როგორც შეკრების დაშლა, ასევე, მისი თანმდევი სამართალწარმოება.

საქმე № 3

განაცხადის ეს ნაწილი შეეხება ბატონ გია ძამუკოვსა და ვლადიმერ გაბუნიას. ბატონი ძამუკოვი ქუთაისში, ქუჩაში გააჩერა ორმა უნიფორმიანმა პოლიციელმა, ჩამოართვა რელიგიური ლიტერატურა და გადაიყვანა პოლიციის განყოფილებაში. იქ მას რამდენიმეჯერ დაარტყეს, სახეში ბიბლია ესროლეს და ჰალსტუხით ლამის დააახრჩვეს. მეორე დღეს ბატონი გაბუნია ქუჩაში გააჩერა ორმა პოლიციელმა, მუცელში დაარტყა, ჩანთა წაართვა, იქიდან ამოყარა რელიგიური წიგნები და დახია.

2002 წლის 18 დეკემბერს ქუთაისის საოლქო სასამართლომ შეწყვიტა წარმოება მოსარჩელის სააპელაციო საჩივარზე იმავე საფუძვლით, რომელსაც პირველი ინსტანციის სასამართლო დაეყრდნო; კერძოდ, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებები, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ბრალდებები უარყვეს და მოსარჩელეებს ფიზიკური დაზიანება არ მიუღიათ. საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ არ ყოფილა წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულებები განმცხადებლების ღირსების შელახვის ან რელიგიის თავისუფლების უფლების შეზღუდვის დასადგენად. უზენაესმა სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო.

სამართალი - კონვენციის მე-9 მუხლი:

აღნიშნულ საქმეზე ეროვნულმა სასამართლოებმა განმცხადებლის ბრალდება, პოლიციის მხრიდან ძალადობრივ და შეურაცხმყოფელ მოპყრობასთან დაკავშირებით, დაუსაბუთებლად მიიჩნიეს. მათ გადანყვეტილებებში მითითებულ მიზეზებზე მსჯელობის გარეშე, ევროპული სასამართლო იმთავითვე ყურადღებას ამახვილებს მოსამართლეების დამოკიდებულებაზე, რაც განსაზღვრავს მათი გადანყვეტილებების ბუნებას: პირველი ინსტანციის სასამართლომ გადანყვეტილების შესავალ ნაწილში აღნიშნა, რომ „საყოველთაოდ ცნობილია, რომ იეჰოვას მოწმეები უხეშად არღვევენ კონსტიტუციის 19.3 მუხლის მოთხოვნებს და ხშირად თავს ახვევენ სხვებს თავიანთ აზრებსა და მრწამსს, რითაც არღვევენ მათ უფლებებს“. უფრო მეტიც, ამავე სასამართლომ განმცხადებლების პოზიციის გასამყარებლად მოწვეული რამდენიმე მოწმე დაითხოვა და სხვა მიზეზებთან ერთად, იმაზეც მიუთითა, რომ ისინი იეჰოვას მოწმეები იყვნენ.

აღნიშნული გარემოებებისათვის ზემდგომ ინსტანციებს ყურადღება არ მიუქცევიათ. ამ კონტექსტში, რთულია, მთავრობის არგუმენტის გაზიარება, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ადეკვატურად შეისწავლეს განმცხადებლების ბრალდებები. იკვეთება, რომ განმცხადებელთა საჩივრების განხილვა იყო ზედაპირული და მიკერძოებული და პოლიციის ვერსიები იმთავითვე მიჩნეულ იქნა სიმართლედ. რაც შეეხება თავად ინციდენტებს, მიუხედავად მტკიცებულებათა სიმწირისა, რაც, განაპირობა ეროვნულ დონეზე საქმის არასრულფასოვანმა შესწავლამ, საქმის მასალებში მნიშვნელოვანი მინიშნებებია განმცხადებლების მიერ მითითებული რელიგიური ძალადობის დასამტკიცებლად. იმ დროისთვის იეჰოვას მოწმეების მიმართ ქვეყნის მასშტაბით არსებული ძალადობის კონტექსტის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლები პოლიციის მხრიდან ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ მათი რელიგიური მრწამსის საფუძვლით.

საქმე № 5

საქმის ეს ნაწილი შეეხება ბატონ ჯიმშერ გოგელაშვილს, გიორგი ყურუასა და ომარ ჩუბინიძეს. განმცხადებლებისა და სხვა პირების შეკრება ჩაშალა რელიგიურ ექსტრემისტთა ჯგუფმა. ისინი შეიჭრნენ იეჰოვას მოწმეების შენობაში და ფანჯრიდან გადაყარეს მათი რელიგიური წიგნები და ძელსკამები, რომლებსაც შეკრებისას იყენებდნენ. მეორე დღეს საჯაროდ დანვეს რელიგიური ლიტერატურა. საქმეში არსებობს აღნიშნული ფაქტების ვიდეოჩანაწერი, რომელშიც, განმცხადებლის მტკიცებით, ჩანს, პოლიციელი ლ.გ. სამოქალაქო სამოსით. იგი ეზოში დგას და აკვირდება იეჰოვას მოწმეების ბინიდან გაძევების პროცესს. ამასთან, ბავშვს ნებას რთავს, წაიღოს ფანჯრიდან გადმოგდებული ძელსკამი.

სამართალი: კონვენციის მე-9 მუხლი: ამ საქმეში კერძო პირების მიერ ძალადობის განხორციელების ფაქტებს მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ. განსახილველი საკითხი იყო, პოლიციის ოფიცრებმა დაუშვეს თუ არა ეს. ეროვნულმა სასამართლოებმა არ შეისწავლეს განმცხადებლების მტკიცებები იმის თაობაზე, რომ პოლიციის თანამშრომელთაგან ერთ-ერთი

თავად ესწრებოდა ინციდენტს. აღნიშნული ჩვენების მხარდამჭერი ვიდეომასალა, უბრალოდ, არ არის ნახსენები ეროვნული სასამართლოების დასაბუთებაში. ასევე, სასამართლოებმა ვერ უპასუხეს განმცხადებლების არგუმენტს, რომ პოლიციის ოფიცრებს, მიუხედავად დაგვიანებული მოქმედებისა, მაინც შეეძლოთ დაშლის შეჩერება. ისინი მხოლოდ იმის დადგენას დასჯერდნენ, რომ თანმდევი სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო ამ მოვლენებთან დაკავშირებით. და ბოლოს, ეროვნულმა სასამართლოებმა უგულვებლყოვეს ძალადობრივი ინციდენტის კულმინაცია – განმცხადებლებისა და იეჰოვას სხვა მოწმეებისთვის ჩამორთმეული რელიგიური ლიტერატურის დანვა საჯაროდ, დღის შუქზე, საჯარო ბაზრობაზე, შეკრების დაშლის მომდევნო დღეს. ევროპული სასამართლო შეფასებით, ეს ფაქტი ვერ შედგებოდა პოლიციის ხელშეწყობის ან სულ მცირე, მისი თანხმობის გარეშე. საქმის ამგვარი ზედაპირული და ცალმხრივი განხილვა, რაც გულისხმობდა სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების ჩვენებებზე უპირობო დაყრდნობას და მოვლენათა განმცხადებლებისეული ვერსიის დაუსაბუთებელ უარყოფას, უტოლდება სასამართლო ხელისუფლების პასუხისმგებლობას განმცხადებლების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების მფარველობისათვის.

დასკვნა:

კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა ცალკე და კონვენციის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში: დარღვევა საქმეში № 2, № 3, № 5; საქმეები № 1 და № 4 დაუშვებელია;

კონვენციის 41-ე მუხლი: 1500 ევრო ინდივიდუალურად შვიდ განმცხადებელს არამატერიალური ზიანისთვის; 500 ევრო სამ განმცხადებელს – გოგელაშვილს, ყურუას და ჩუბინიძეს მატერიალური ზიანის სანაცვლოდ; 10 000 ევრო, მთლიანობაში განუული ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

**ბელურის და სხვები
საქართველოს წინააღმდეგ⁴⁶
BEGHELURI AND OTHERS V. GEORGIA
№ 28490/02; 07.10.2014**

იეჰოვას მოწმეების მიმართ ძალადობის ფაქტებზე პასუხისმგებელი ორგანოების რეაგირების არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებლები, გარდა მეცხრე განმცხადებლისა, არიან იეჰოვას მოწმეები. განაცხადში აღწერილია მათ მიმართ სხვადასხვა დროს განხორციელებული ძალადობის 30 შემთხვევა. ბატონმა ბელურმა და სხვებმა დაახლოებით 160 საჩივარი შეიტანეს საგამოძიებო ორგანოებში, მათ შორის, გენერალურ პროკურატურაში დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის მოთხოვნით; თუმცა, შედეგი არ დამდგარა.

სულ მცირე, რელიგიური სიძულვილით მოტივირებული ოთხი აქტი განხორციელდა პოლიციისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მონაწილეობით; სხვა ოთხ შემთხვევაში იკვეთებოდა მათი არაპირდაპირი მონაწილეობა. სავარაუდო ძალადობის ოცდაათიდან თორმეტი აქტი მოიცავდა იეჰოვას მოწმეებზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიიდან განკვეთილი მღვდლის ბატონი ბასილ მკალავიშვილის მრევლის თავდასხმას იეჰოვას მოწმეებზე.

მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლებმა ყველა ინციდენტი გაასაჩივრეს, მათ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში მიიღეს წერილობითი პასუხი საგამოძიებო ორგანოებისგან; ბატონმა ბელურმა და სხვებმა საგამოძიებო ორგანოების ინდიფერენტულობის შესახებ შეატყობინეს გენერალურ პროკურატურას, მაგრამ ამ უკანასკნელს ადეკვატური ზომები არ მიუღია. სულ მცირე, 15 შემთხვევაში, როდესაც განმცხადებლებმა გაასაჩივრეს სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობა და კანონის იგნორირება, სასამართლოებმა უარი თქვეს მოსმენის ჩატარებაზე. მხოლოდ სამ შემთხვევაში მიაღწიეს განმცხადებლებმა თავიანთი საქმის უზენაესი სასამართლოსთვის წარდგენას, რაც მათი მოთხოვნების უარყოფით დასრულდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია, გაეროს კომისარი ადამიანის უფლებების საკითხებზე, „ემნესტი ინტერნეშენალი“ და ადგილობრივი და საერთაშორისო მედია გამოხატავდნენ შეშფოთებას იმის გამო, რომ იეჰოვას მოწმეები იყვნენ ძალადობის სამიზნე ქვეყანაში და შესაბამისი ორგანოები ვერ ახერხებდნენ ამის აღკვეთას.

განაცხადის დასადასტურებლად განმცხადებლებმა წარმოადგინეს ასზე მეტი დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებები, პოლიციის თანამშრომელთა ფოტოები, რომლებიც აჩვენებს მათ უმოქმედობას ინციდენტის დროს, დაშავებული განმცხადებლების ფოტოები და იეჰოვას მოწმეების დარბეული შეკრების ადგილების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა.

განმცხადებლები ევროპული სასამართლოს წინაშე ჩიოდნენ, რომ პასუხისმგებელმა ორგანოებმა ისინი ვერ დაიცვეს ძალადობისგან და არ უზრუნველყვეს მათი რელიგიის თავისუფლება - თავიანთი აღმსარებლობის თავისუფლად გამოხატვა, მშვიდობიანი შეკრებები და რიტუალების ინდივიდუალური და კოლექტიური აღსრულება.

სამართალი - კონვენციის მე-9 მუხლი: ევროპული სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ, როგორც ქალბატონმა მ. კვერგელიძემ (განმცხადებელი № 9) განაცხადა, იგი არ არის იეჰოვას მოწმე. შესაბამისად, მის მიმართ კონვენციის მე-9 მუხლი არ დარღვეულა.

დანარჩენი განმცხადებლების (№ 25, 45, 50, 58, 63, 67, 69, 71, 81, 95) ბრალდებები იმის თაობაზე, რომ მათ თავს დაესხნენ და დაამცირეს, ხოლო ზოგიერთ მათგანს ფიზიკურადაც გაუსწორდნენ თავიანთი რელიგიური მრწამსის გამო, მთავრობას არ გაუპროტესტებია. შესაბამისად, ყველა აღნიშნული ინციდენტი განმცხადებლების რელიგიის თავისუფლების უფლებით სარგებლობისთვის უკანონოდ ხელის შეშლას შეადგენდა.

მთავრობას არ წარმოუდგენია ასეთი ძალადობრივი ჩარევის გამამართლებელი მტკიცებულება. მისი განცხადებით, ჯერ ერთი, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები არ მონაწილეობდნენ არც ერთ სავარაუდო ინციდენტში, და მეორე, მათი რეაგირება კერძო

⁴⁶ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%22Beggeluri%22%22%22documentcollectionid%22%3A%22GRAND-CHAMBER%22%22%22CHAMBER%22%22%22item%22%3A%222001-146769%22%7D>

პირების მიერ ჩადენილ, რელიგიურად მოტივირებულ ძალადობაზე იყო ადეკვატური. ევროპული სასამართლო, საქმის მასალებზე დაფუძნებით, ადგენს, რომ განმცხადებლების მიმართ რამდენიმე ძალადობრივი თავდასხმა განხორციელდა სხვადასხვა საჯარო მოხელის უშუალო მონაწილეობით ან მათი უსიტყვო მხარდაჭერითა და თანხმობით; ხოლო რეაგირების ადეკვატურობასთან დაკავშირებით შენიშნავს: განმცხადებლების რელიგიური შეკრებები დაშალეს ძალის გამოყენებით, დაარბიეს მათი სახლები და ჩამოართვეს და დანვეს რელიგიური ლიტერატურა; ასეთი მოპყრობის შემდეგ, განმცხადებლები აღმოჩნდნენ სახელმწიფო ორგანოების გულგრილობისა და უმოქმედობის პირისპირ. სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალებას მოკლებულმა განმცხადებლებმა ვერ შეძლეს რელიგიის თავისუფლებიდან გამომდინარე უფლებების დაცვა ეროვნულ სასამართლოებში. დამნაშავეთა დაუსჯელობამ გზა გაუხსნა იეჰოვას მოწმეთა წინააღმდეგ რელიგიური ძალადობის ფართოდ გავრცელებას საქართველოს მასშტაბით. ამრიგად, განმცხადებლებს გაუჩინდათ შიში, რომ თავიანთი რელიგიური რწმენის ყოველი ახალი გამოხატვისას ისინი ხელახლა დაექვემდებარებოდნენ ძალადობას.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა ვერ შეასრულეს თავიანთი პოზიტიური ვალდებულება, არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ უნდა არსებულებოდა შესაბამისი სამართლებრივი ბაზა რელიგიის თავისუფლების დასაცავად, არამედ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქმედითი ზომების მიღების უზრუნველყოფა ამ უფლების იმპლემენტაციისათვის. ამ კონკრეტულ საქმეში საკვანძო პრობლემა არის არა, უბრალოდ, ის ფაქტი, რომ ინციდენტებში მონაწილე საჯარო მოხელეებს ან კერძო პირებს არ დააკისრეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, არამედ, იეჰოვას მოწმეების მიერ თავიანთი რელიგიის თავისუფლებაში განმეორებით და ფართომასშტაბიან ძალადობრივ ჩარევაზე სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ადეკვატური პასუხის არარსებობა. შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოების უმოქმედებამ, მთლიანობაში, გამოიწვია კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა ოთხმოცდარვა განმცხადებლის მიმართ.

დასკვნა:

კონვენციის მე-9 მუხლი ცალკე და კონვენციის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში: დარღვევა; **კონვენციის 41-ე მუხლი:** 350 ევრო თითოეული იმ განმცხადებლისთვის, რომლის მიმართ დადგინდა დარღვევა და 15 000 ევრო, მთლიანობაში, განეული ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

შენიშვნა: აგრეთვე, დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა ცალკე და კონვენციის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში; არ არის კონვენციის მე-6, მე-10, მე-11 და მე-13 მუხლების დარღვევის დადგენის მოთხოვნის ცალკე განხილვის საჭიროება.

იეჰოვას მოწმეთა გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ⁴⁷

97 MEMBERS OF THE GLDANI GONGREGATION OF JEHOVAH'S WITNESSES AND 4 OTHERS V. GEORGIA № 71156/01; 03.05.2007

იეჰოვას მოწმეების მიმართ ძალადობის ფაქტებზე პასუხისმგებელი ორგანოების რეაგირების არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებლები არიან იეჰოვას მოწმეთა გლდანის კონგრეგაციის წევრები. 1999 წლის 17 ოქტომბერს მათ თავს დაესხა რელიგიურ ექსტრემისტთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიიდან განკვეთილი სასულიერო პირი ბასილ მკლავიშვილი. ისინი შეიჭრნენ თეატრის შენობაში და ალყაში მოაქციეს იქ შეკრებილი იეჰოვას მოწმეები. თავდამსხმელები მათ სასტიკად გაუსწორდნენ და გამოიყენეს ფიზიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, სცემდნენ ჯოხებითა და ქამრებით, მუშტებს და ფეხებს გამეტებით ურტყამდნენ სახეში და სხეულის სხვადასხვა ადგილას,

⁴⁷ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%2297%20members%20of%20The%20Gldani%22%5D%22%22documentcollection-id%22:%5B%22GRANDCHAMBER%22%2C%22CHAMBER%22%2C%22DE-CISIONS%22%5D%22itemid%22:%5B%22001-80395%22%5D%7D>

ათრევდნენ თმებით და სხვ. თექვსმეტი დაზარალებული სხვადასხვა მძიმე დაზიანებით მოათავსეს საავადმყოფოში. განმცხადებლებს წაართვეს პირადი ნივთები, რომლებიც არასოდეს დაბრუნებიათ; ასევე, ჩამოართვეს რელიგიური ლიტერატურა და მათ თვალწინ დაწვეს კოცონში; იეჰოვას მოწმეები აიძულეს, ამისთვის ეყურებინათ. ერთ-ერთ განმცხადებელს ბატონ ა. ხითარიშვილს გადაპარსეს თავი. თავდამსხმელებმა თავად შექმნეს აღნიშნული მოვლენების ვიდეოჩანაწერი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გლდანის რაიონის საგამოძიებო ორგანომ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ გამოძიება ორჯერ შეწყდა: 2000 წლის 13 სექტემბერს და, მოგვიანებით, 3 დეკემბერს, იმ მიზეზით, რომ ვერ ადგენდნენ დამნაშავეებს. 2001 წლის მარტ - აპრილში, როდესაც პროცესი კვლავ განახლდა, გამოძიებელმა კ.-მ აგრძობინა განმცხადებლებს, რომ იმ წელიწადში რაიმე შედეგი მოსალოდნელი არ იყო. საქართველოს გენერალური პროკურორის სახელზე გაიგზავნა ხუთი საჩივარი, რომელთაგან უკანასკნელი თარიღდება 2001 წლის 8 მარტით, თუმცა, მათ მსვლელობა არ მოჰყოლია.

სულ 1999 წლის ოქტომბრიდან 2002 წლის ნოემბრამდე იეჰოვას მოწმეებზე განხორციელდა 138 თავდასხმა; შესაბამის ორგანოებში შევიდა 784 საჩივარი. არც ერთი მათგანი არ გამხდარა საფუძვლიანი განხილვის საგანი.

განმცხადებლები ევროპული სასამართლოს წინაშე ჩიოდნენ, რომ დაირღვა მათი უფლება, გამოხატონ საკუთარი რელიგია ლოცვის, შეხვედრებისა და რიტუალების კოლექტიური შესრულების გზით.

სამართალი - კონვენციის მე-9 მუხლი: თავდასხმისას კონგრეგაციის შეკრებას ესწრებოდა არაერთი ადამიანი; მათგან ხუთი პირის ვინაობა არ არის დადგენილი. შესაბამისად, ევროპული სასამართლო, განიხილავს ოთხმოცდაჩვიდმეტი განმცხადებლის პრეტენზიებს.

კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული რელიგიის თავისუფლება მოიცავს „რელიგიის გამოხატვის თავისუფლებასაც“. რელიგიურ გაერთიანებაში მონაწილეობა პირის მიერ რელიგიის გამოხატვაა. ევროპული სასამართლოს

პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, სხვადასხვა აღმსარებლობასთან ურთიერთობაში იყოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი. ამ პრინციპთან შეუთავსებელია სახელმწიფოს მიერ რომელიმე სარწმუნოების ლეგიტიმაციის შეფასება.

ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს, რომ დაუშვებელია რელიგიის თავისუფლების სახელით სხვა ადამიანებზე ზეწოლის განხორციელება საკუთარი რელიგიური შეხედულებების გავრცელების მიზნით. ამასთანავე, ხელისუფლების როლია არა პლურალიზმის აღმოფხვრა დაძაბულობის განმუხტვის მიზნით, არამედ იმის უზრუნველყოფა, რომ დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის დამკვიდრდეს შემწყნარებლობა. სახელმწიფოს ეს ფუნქცია ხელს უწყობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, რელიგიური მშვიდობისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამ მისიის აღსრულება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ ის აკნინებს ეკლესიისა და სარწმუნოების როლს, რომლის მიმდევარიც ისტორიულად და კულტურის თვალსაზრისით არის ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობა.

განსახილველ საქმეში, 1999 წლის 17 ოქტომბერს ოთხმოცდაჩვიდმეტ განმცხადებელს, მათი რელიგიური მრწამსის გამო, თავს დაესხნენ, დაამცირეს და მიაყენეს სერიოზული ფიზიკური შეურაცხყოფა კონგრეგაციის შეკრებისას. ასეთი მოპყრობის შემდეგ განმცხადებლები შეეჭახნენ სრულ გულგრილობასა და უმოქმედობას ხელისუფლების მხრიდან. სახელმწიფო ორგანოებმა არ მისცეს ოფიციალური მსვლელობა მათ საჩივრებს. ამის გამო განმცხადებლებმა ვერ შეძლეს საკუთარი რელიგიის თავისუფლების დაცვა. სახელმწიფო ორგანოების უმოქმედობამ, დაეცათ ამ თავდასხმის მსხვერპლები რელიგიური ექსტრემისტებისგან, შესაძლებელი გახდა აგრესორთა იმავე ჯგუფის მხრიდან რელიგიური ძალადობის გავრცელება მთელ საქართველოში. ამრიგად, განმცხადებლებს გაუჩნდათ შიში, რომ მათი რწმენის მორიგი გამოხატვის შემთხვევაში, ისინი კვლავ გახდებოდნენ ძალადობის მსხვერპლნი.

კონვენციის მე-14 მუხლი: ევროპული სასამართლო ადგენს, რომ პოლიციის უარი, დაუყოვნებლივ, ადგილზევე ჩარეულიყო შექმნილ სიტუაციაში და დაეცვა განმცხადებლები რე-

ლიგიური ძალადობისაგან, ასევე, შემდგომ კომპეტენტური ორგანოების გულგრილობა ამ პირთა მიმართ, დიდწილად განპირობებული იყო განმცხადებლების აღმსარებლობით. მთავრობამ ვერ წარმოადგინა ამ მოსაზრების სანინააღმდეგო არგუმენტი. ევროპული სასამართლოს შეფასებით, იმ სახელმწიფო მოხელეთა გამონათქვამები და პოზიციები, ვისაც შეატყობინეს თავდასხმის შესახებ და ვისაც მოგვიანებით დაევალა საქმის გამოძიება, შეუთავსებელია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპთან. მთავრობამ ვერ წარმოადგინა განმცხადებელთა მიმართ გამოვლენილი დისკრიმინაციული მოპყრობის გამამართლებელი რაიმე არგუმენტი.

2013; *Ireland v. the United Kingdom*, no. 5310/71, 18 January 1978; *East African Asians v. the United Kingdom*, no. 4403/70, 14 December 1973; *Smith and Grady v. the United Kingdom*, no. 33985/96 and 33986/96, 27 December 1999; *Moldovan and Others v. Romania*, no. 41138/98 and 64320/01, 12 July 2005; *Abdu v. Bulgaria*, no. 26827/08, 11 March 2014.

დასკვნა:

კონვენციის მე-9 მუხლი ცალკე და კონვენციის მე-14 მუხლთან ერთად: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 120 ევროდან 700 ევრომდე ინდივიდუალურად განმცხადებლებისთვის არამატერიალური ზიანისთვის; მთლიანობაში, 12 103 ევრო განუული ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

შენიშვნა: აგრეთვე, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, როგორც ცალკე, ასევე, მე-14 მუხლთან ერთად; კონვენციის მე-10 (რელიგიური ლიტერტურის დანვის გამო), მე-11 (შეკრების ჩაშლის გამო) და მე-13 მუხლების (ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების არარსებობის გამო) დარღვევის დადგენის მოთხოვნების ცალკე განხილვის საჭიროება არ არის.

იხ. აგრეთვე: *Krupko and Others v. Russia*, no. 26587/07, 26 June 2014; *Dimitrova v. Bulgaria*, no. 15452/07, 10 February 2015; *Rostaş and Others v. Romania*, no. 41138/98 and 64320/01, 13 March 2001; *El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, no. 39630/09, 13 December 2012; *Farbtuhs v. Latvia*, no. 4672/02, 2 December 2004; *Bazjaks v. Latvia*, no. 71572/01, 19 October 2010; *Koky and Others v. Slovakia*, no. 13624/03, 12 June 2012; *D.J. v. Croatia*, no. 42418/10, 24 July 2012; *Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom*, no. 46477/99, 14 March 2002; *Gäfgen v. Germany*, no. 22978/05, 1 June 2010; *Hristovi v. Bulgaria*, no. 42697/05, 11 October 2011; *Eremia v. the Republic of Moldova*, no. 3564/11, 28 May

მუხლი 10

გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელი-სუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომანუწებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უნესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.

გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ⁴⁸

GORELISHVILI V. GEORGIA

№ 12979/04; 05.06.2007

მედიის პასუხისმგებლობა პოლიტიკოსის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ კრიტიკული სტატიის გამო: დარღვევა

ფაქტები: 2000 წლის ივლისში განმცხადებელმა ია გორელიშვილმა გამოაქვეყნა სტატია გაზეთ „მერიდიანის“ რუბრიკაში, რომელიც მკითხველს სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურის ფინანსურ მდგომარეობას აცნობდა მათ ქონებრივ დეკლარაციაში მითითებული მონაცემების მიხედვით. ავტორი სხვა პოლიტიკოსებსა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის, აკრიტიკებდა იმ დროისთვის პარლამენტის წევრ გივი ლომინაძეს; გაზეთის პირველ გვერდზე განთავსებული იყო პარლამენტარის საზაფხულო აგარაკის შავ-

თეთრი ფოტო, რომელსაც შემდეგი შინაარსის წარწერა ახლდა: „აფხაზეთიდან დევნილისა და პარლამენტის წევრის, გივი ლომინაძის სახლი არ გამოიყურება მოკრძალებულად. მერე რა? ქართველები, რომელთაც მოუწიათ აფხაზეთის დატოვება, იმსახურებენ სადმე მაინც ჰაერის ჩასუნთქვას...“ გივი ლომინაძის სიძე პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურს ხელმძღვანელობდა. სტატიაში აღნიშნული იყო, რომ „სავარაუდოდ, სიძე დაეხმარა სიმაძრეს; სხვაგვარად ეს უკანასკნელი ვერ შეძლებდა 25-35 ათას ლარად ღირებული საზაფხულო აგარაკის (რომელიც, ფაქტობრივად, სასახლეს ჰგავს) მშენებლობის დასრულებას მდინარე არაგვის სანაპიროზე სოფელ წითელსოფელში“. სტატია დეტალურად აღწერდა ბატონი ლომინაძის სხვადასხვა უძრავ ქონებას შესაბამისი ადგილმდებარეობებისა და ფასების მითითებით. ავტორი წერდა: „მიუხედავად იმისა,

⁴⁸ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Gorelishvili%22%22%22documentcollectionid%22:%5B%22GRAND-CHAMBER%22%22%22CHAMBER%22%22%22itemid%22:%5B%222001-80865%22%22%7D>

რომ გასულ წელს, პარლამენტარის ერთადერთ შემოსავალს ხელფასი წარმოადგენდა, რომლის წლიური ოდენობა იყო სულ 6.300 ლარი, მისი დანაზოგი 7.000 ლარს შეადგენს“.

ბატონმა ლომინაძემ სასამართლოში შეიტანა სარჩელი ჟურნალისტისა და გაზეთის რედაქტორის წინააღმდეგ ცილისწამების გამო. საბოლოო ინსტანციამ- უზენაესმა სასამართლომ 2003 წლის 12 სექტემბერს დაადგინა, რომ ჟურნალისტმა ვერ დაამტკიცა გამოთქმული მოსაზრებების სისწორე; კერძოდ ის, რომ დავის საგნად ქცეული ქონება წარმოიშვა პარლამენტარის პოლიტიკური მოღვაწეობის პერიოდში 1990-იან წლებში; შესაბამისად, მისი გამონათქვამები ცილისწამებლურია. სასამართლომ აღნიშნა, რომ ჟურნალისტმა სტატიის დაწერისას დაუდევრობა გამოიჩინა, ირიბად უწოდა პარლამენტარს „არამზადა“ და გაუმართლებლად დაადანაშაულა იგი „თვითნებობაში“. უზენაესმა სასამართლომ დაავალა განმცხადებელსა და გაზეთის რედაქტორს ერთობლივად 100 ლარის გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. ამასთან, განმცხადებელს დაევალა შემდეგი ორი გამონათქვამის უარყოფა: „სიძე დაეხმარა სიმამრს; სხვაგვარად ეს უკანასკნელი ვერ შეძლებდა... საზაფხულო აგარაკის მშენებლობის დასრულებას...“ და „შეიძლება მხოლოდ ვიკითხოთ ლომინაძე და მისნაირი ადამიანები მხოლოდ ჰაერით ხომ არ იკვებებიან და ამიტომაც ხელფასის დახარჯვა აღარ უწევთ; სხვაგვარად, როგორ შეიძლება ამდენის დაზოგვა?!“ ქალბატონი გორელიშვილის თქმით, მას საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ აცნობეს დადგენილი ვადების დარღვევით, ხოლო საბუთს არ ჰქონდა უზენაესი სასამართლოს კანცელარიის ბეჭედი.

განმცხადებელი ევროპული სასამართლოს წინაშე ჩიოდა, რომ დეფამაციის პროცესმა შეზღუდა მისი, როგორც ჟურნალისტის თავისუფლება.

სამართალი- მე-10 მუხლი: განსახილველ საქმეში განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა ემსახურებოდა სხვა ადამიანის რეპუტაციის დაცვის მიზანს ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. ბატონი ლომინაძე იყო აფხაზეთიდან დევნილი პარლამენტარი. მისაღები კრიტიკის ზღვარი უფრო ფართოა პოლიტიკოსთან მიმართებით, ვიდრე ეს არის კერძო პირის შემთხვევაში. განმცხადებელი აფასებდა ბატონი ლომინაძის ფინანსურ მდგომარეობას. გაკრი-

ტიკებული დეკლარაციის არც ერთი ნაწილი კონფიდენციალური არ იყო და მისი გამოქვეყნება არ იკრძალებოდა კანონით. სადავო სტატია იყო ნაწილი რეგულარული რუბრიკისა, რომელიც მკითხველს აწვდიდა ინფორმაციას სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურის მატერიალური კეთილდღეობის თაობაზე. წამოჭრილი საკითხისადმი არსებობდა საზოგადოებრივი ინტერესი იმ დროისთვის საჯარო სამსახურში გავრცელებული კორუფციის პრობლემის გამო.

ჩარევა პრესის თავისუფლებაში შეუთავსებელია კონვენციის მე-10 მუხლის დებულებებთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის გამართლებულია საჯარო ინტერესის სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მოთხოვნით. უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ცილისწამებლურია არა მთლიანად პუბლიკაცია, არამედ მხოლოდ მასში გამოყენებული, ზემოთ მითითებული ორი ფრაზა. საკასაციო ინსტანციამ დაასკვნა, რომ აღნიშნული გამონათქვამები წარმოადგენდა ფაქტის კონსტატაციას, ვინაიდან მხოლოდ უკანასკნელი მოითხოვს დამტკიცებას. სარჩელის წარდგენის დროისათვის, საქართველოს კანონმდებლობა ერთმანეთისგან არ განასხვავებდა „ფაქტს“ და „აზრს“, არამედ იყენებდა მხოლოდ ტერმინ „ცნობებს.“ მტკიცების ტვირთი მოპასუხე მხარეს ეკისრებოდა. სიტყვის შეფასების მსგავსი მიდგომა, ევროპული სასამართლოს აზრით, შეუთავსებელია აზრის გამოთქმის თავისუფლებასთან, რაც კონვენციის მე-10 მუხლის ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გამონათქვამები, რომლებიც არ მოიწონა უზენაესმა სასამართლომ, წარმოადგენს პროვოკაციულად წარმოთმულ მოსაზრებას, ვინაიდან არის პარლამენტარის ქონებრივი დეკლარაციის სანდოობის სუბიექტური შეფასება. მოცემულ შემთხვევაში აშკარაა, რომ საკმაოდ რთულია მტკიცების ტვირთის მოთხოვნის შესრულება. სასამართლოს მიერ სარკასტულად და ცინიკურად მიჩნეული ფრაზები მიზნად არ ისახავდა პირად თავდასხმას პარლამენტარზე, ვინაიდან გამონათქვამები არ იყო მოკლებული ფაქტობრივ საფუძველს; ანუ ისინი ეყრდნობოდა პარლამენტარის მიერ დეკლარირებული ქონების ტიპსა და ღირებულებას, ხელფასს, მის ნათესაურ კავშირს პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელთან და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განმცხადებლის სადავო ფრაზებსა და

საქმის გარემოებებს შორის არსებობს საკმაოდ მჭიდრო კავშირი.

ევროპული სასამართლოსთვის არ არის სარწმუნო მთავრობის არგუმენტი, რომლის მიხედვით, ქალბატონი გორელიშვილი ვალდებული იყო, გამოერკვია როდის და როგორ შეიძინა პარლამენტარმა აღნიშნული ქონება. გასაჩივრებულ სტატიაში ქონების ტიპი და ღირებულება აღწერილია სწორედ ისე, როგორც ეს მოცემულია პარლამენტარის დეკლარაციაში. არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ განმცხადებელმა განზრახ დაამახინჯა ან უგულებელყო საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია პარლამენტარის ქონების წარმომავლობის თაობაზე; მას, როგორც ჟურნალისტს, რომელსაც სამსჯავროზე გამოჰქონდა კანონიერი ინტერესის საგანი, ჰქონდა ქონების დეკლარაციაზე - ოფიციალურ დოკუმენტზე-დაყრდნობის უფლება და არ სჭირდებოდა დამოუკიდებელი შესწავლის ჩატარება. სხვაგვარად, ზიანი მიადგებოდა „მოდარაჯე ძაღლის“ უმნიშვნელოვანეს როლს, რომელსაც ასრულებს პრესა დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ გამოყენებული სტანდარტები შეუთავსებელია კონვენციის მე-10 მუხლის დებულებებთან; განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

დასკვნა:

კონვენციის მე-10 მუხლი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 1500 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

იხ. აგრეთვე: *Zakharov v. Russia*, no. 14881/03, 5 October 2006; *Karman v. Russia*, no. 29372/02, 14 December 2006; *Feldek v. Slovakia*, no. 29032/95, 12.07.2001; *Colombani and Others v. France*, no. 51279/99, 26 June, 2002; *Grinberg v. Russia*, no. 23472/03, 21 July 2005; *Vogt v. Germany*, no. 17851/91, 2 September 1995; *Jerusalem v. Austria*, no. 26958/95, 27 February 2001; *Fressoz and Roire v. France*, no. 29183/95, 21 January 1999.

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

„1. ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლება, მათ შორის, პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება საკუთარი ინტერესების დასაცავად.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელების შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, ამ უფლების განხორციელებაზე დააწესოს კანონიერი შეზღუდვები შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიმართ“.

შეკრების თავისუფლება

ტუსკია და სხვები საქართველოს წინააღმდეგ⁴⁹

TUSKIA AND OTHERS V. GEORGIA
№ 14237/07; 11.10.2018

უნივერსიტეტის პროფესორების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა რექტორის კაბინეტში შეჭრის გამო: არ არის დარღვევა

ფაქტები: 2006 წლის ივლისში განმცხადებლებმა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხრა პროფესორმა გააპროტესტა უნივერსიტეტის რეფორმები. ისინი შეიკრიბნენ სასწავლებლის მთავარი კორპუსის დიდ დარბაზში. შეკრებაზე ერთ-ერთი განმცხადებელი „აირჩიეს“ უნივერსიტეტის ახალ რექტორად. ამის შემდეგ, დაახლოებით ოცი პირისგან შემდგარი ჯგუფი, მათ შორის, განმცხადებლები, შეიჭრნენ მოქმედი რექტორის კაბინეტში და მოითხოვეს მისი გადადგომა. ისინი პოლიციამ გაიყვანა იქიდან და ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად. განმცხადებლები ევროპული სასამართლოს წინაშე ჩიოდნენ, რომ მათი მშვიდობიანი შეკ-

რების დაშლა და ჯარიმის გამოყენება იყო უკანონო და ამ ფაქტებზე არ დაწყებულა გამოძიება პასუხისმგებელი პირების მიმართ.

სამართალი - კონვენციის მე-11 მუხლი მე-10 მუხლთან მიმართებით:

(ა) მოხდა თუ არა მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებაში ჩარევა - განმცხადებლების მიერ რექტორის კაბინეტში შეჭრის შემდეგ განვითარებული მოვლენები არ წარმოადგენს „მშვიდობიანი შეკრების“ სტანდარტულ სიტუაციას. ისინი მიმდინარეობდა დაძაბულობის ფონზე, თუმცა, ეროვნული პროცედურის შედეგად, განმცხადებლების ქცევები არ შეფასებულა, როგორც ძალადობრივი. მათი პროტესტი, მთლიანობაში, არ იყო ისეთი ხასიათის და ხარისხის, რომ გაცდეს კონვენციის მე-11 მუხლით დაცულ სფეროს მე-10 მუხლთან მიმართებით. შესაბამისად, განმცხადებლების გაძევება და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არის ჩარევა მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებაში.

⁴⁹ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%22Tuskia%20and%20others%20-%22%7D%22documentcollectionid%22%3A%22GRANDCHAMBER%22%22CHAMBER%22%22itemid%22%3A%222001-186667%22%7D>

ბ) იყო თუ არა ჩარევა კანონით გათვალისწინებული, ემსახურებოდა თუ არა ის ლეგიტიმურ მიზანს და იყო თუ არა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში:

ი) კაბინეტიდან გაძევება: სადავო ჩარევას ჰქონდა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი და ემსახურებოდა საჯარო უნესრიგობის პრევენციისა და სხვათა უფლებების დაცვის ლეგიტიმურ მიზნებს. განმცხადებლების ქცევამ შეაშინა სხვა თანამშრომლები და სტუდენტები, რამაც ხელი შეუშალა საგანმანათლებლო დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას. პროფესორ-მასწავლებლების პროტესტმა, სულ მცირე, ორი საათით შეაფერხა რექტორისა და მისი თანამშრომლების მუშაობა.

განმცხადებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, წინასწარ მიღებული ოფიციალური ნებართვით, რამდენიმე საათის განმავლობაში შეკრებილიყვნენ სასწავლებლის მთავარ შენობაში. ამის შემდეგ, ისინი ორი საათის განმავლობაში, პროტესტს გამოხატავდნენ მოქმედი რექტორის სამუშაო კაბინეტში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (მათ შორის მოქმედმა რექტორმა) - და შემდგომში პოლიციამ - გამოიჩინა საჭირო შემწყნარებლობა. პოლიციას არ გამოუყენებია ფიზიკური ძალა განმცხადებლების წინააღმდეგ. ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, პოლიციის თანამშრომლები აწარმოებდნენ მოლაპარაკებას მათთან, მათი მშვიდობიანი დაშლის მიზნით. უფრო მეტიც, აღნიშნული კაბინეტიდან გაძევების შემდეგ, განმცხადებლებს უფლება მიეცათ, დარჩენილიყვნენ უნივერსიტეტის შენობაში და გაეგრძელებინათ საპროტესტო აქცია. ამ მსჯელობის და მსგავს საქმეებზე სახელმწიფოსთვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების არის გათვალისწინებით, განმცხადებლების გაძევება არ ყოფილა არაპროპორციული.

(ii) – განმცხადებელთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა: განმცხადებლებს დაეკისრათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის შენობაში საჯარო წესრიგის დარღვევის და პოლიციისთვის წინააღმდეგობის განწევის გამო. მიუხედავად იმისა, რომ მათ ფიზიკური წინააღმდეგობა არ გაუწევით პოლიციისთვის და, საბოლოოდ, ნებაყოფლობით დატოვეს რექტორის კაბინეტი, მათი უარი (დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში) დამორჩილებოდნენ პოლიციის თანამშრომელთა განმეორებით მოთხოვნას, ეროვნულმა სასამართლომ შეაფასა, როგორც

პოლიციის კანონიერი ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობა. ადმინისტრაციული სამართალწარმოების შედეგად, მათ დაეკისრათ ჯარიმა დაახლოებით ორმოცდახუთი ევროს ოდენობით. არც ერთი მათგანი არ ყოფილა დაკავებული ან დაპატიმრებული. მოვლენათა საერთო კონტექსტის გათვალისწინებით, კერძოდ, იმ ფაქტის, რომ განმცხადებლებს თვეების განმავლობაში ჰქონდათ უფლება, პროტესტი გამოეხატათ უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმების წინააღმდეგ და შეკრებილიყვნენ დაწესებულების შენობაში, 2006 წლის ივლისის საპროტესტო აქციის ბუნება, რისი კულმინაციაც იყო განმცხადებელთა შეჭრა რექტორის კაბინეტში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სამუშაო პროცესის შეფერხება და რექტორის კაბინეტის დატოვების შესახებ პოლიციის თანამშრომელთა მკაფიო და განმეორებითი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, საკმარისია ევროპული სასამართლოსთვის იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ ჩარევა განმცხადებელთა მე-11 მუხლით დაცულ უფლებაში მე-10 მუხლის პრიზმაში იყო ლეგიტიმური მიზნის პროპორციული და აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

დასკვნა:

კონვენციის მე-11 მუხლი მე-10 მუხლთან მიმართებით: არ არის დარღვევა;

შენიშვნა: კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი: მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ არ უზრუნველყო უნივერსიტეტის რექტორისა და მისი მოადგილის დაკითხვა, განმცხადებელთა დაცვის უფლება არ შეზღუდულა იმ ხარისხით, რომ შეუსაბამო იყოს ამ მუხლით გათვალისწინებულ გარანტიებთან.

იდენტობა და სხვები
საქართველოს წინააღმდეგ⁵⁰
IDENTOBA AND OTHERS V. GEORGIA
№ 73235/12; 12.5.2015

ხელისუფლების ორგანოების წარუმატებლობა მშვიდობიანი შეკრების უზრუნველყოფასა და მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვაში: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებლები არიან არასამართავრობო ორგანიზაცია „იდენტობა,“ რომელიც დაფუძნდა ლგბტ საზოგადოების მხარდასაჭერად საქართველოში და 14 პირი. 2012 წლის 17 მაისს პირველი განმცხადებლის ორგანიზებით, თბილისში გაიმართა ჰომოფობიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობდა დაახლოებით 30 პირი, მათ შორის, განმცხადებლები. ღონისძიების დროს მათ თავს დაესხა და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა კონტრაქციის მონაწილეთა უფრო დიდმა ჯგუფმა. საბოლოოდ, პოლიციამ დააკავა ოთხი განმცხადებელი. ერთ-ერთი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანა ოცი წუთით და სამ მათგანს საპატრულო პოლიციის მანქანით ატარებდა, რათა მოერიდებინა შემთხვევის ადგილისთვის და დაეცვა ძალადობისგან. ამ მოვლენების შემდეგ, განმცხადებლებმა არაერთი საჩივრით მიმართეს პროკურატურას, რათა დაეწყოს გამოძიება კონტრდემონსტრანტების მიერ დისკრიმინაციული შეუწყნარებლობის მოტივით განხორციელებული თავდასხმის ფაქტებზე. განმცხადებლები, აგრეთვე, მოითხოვდნენ პოლიციის თანამშრომელთა უმოქმედობის ფაქტების გამოძიებას, რადგან მათ ვერ შეძლეს დემონსტრაციის მონაწილეების დაცვა თავდასხმებისგან. ორი განმცხადებლის მიერ მიღებული სხეულის დაზიანების ფაქტებზე დაიწყო ორი გამოძიება 2012 წელს და გრძელდება უშედეგოდ. განმცხადებლები ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდნენ, რომ მათ ვერ შეძლეს მშვიდობიანი დემონსტრაციის ჩატარება სიძულვილით მოტივირებული თავდასხმებისა და პოლიციის უმოქმედობის გამო.

სამართალი - კონვენციის მე-11 მუხლი მე-14 მუხლთან ერთობლიობაში: 2012 წლის 17 მაისს ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავი მშვიდობიანი დემონსტრაციის ჩაშლა უდავოდ წარმოადგენდა ჩარევას კონვენციის მე-11 მუხლით დაცულ თავისუფლებაში, მე-10 მუხლის რელევანტური პრინციპების ქრილში. მართლაც, კონვენცია იცავს გამოხატვის საჯარო ფორმებს, მათ შორის, მშვიდობიან შეკრებასა და შეხედულების გამოხატვას სექსუალური უმცირესობების ფუნდამენტურ უფლებებზე ცნობიერების ამაღლებითა და მხარდამჭერი კამპანიით.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო განმცხადებლების 2012 წლის 17 მაისის დემონსტრაციაში მონაწილეობის თავისუფლების დაცვა დისკრიმინაციით მოტივირებული ძალადობისგან; კერძოდ, 2012 წლის 8 მაისს განმცხადებლების მიერ იმავე წლის 17 მაისს მშვიდობიანი შეკრების ორგანიზების განზრახვის თაობაზე შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების გაფრთხილების მიუხედავად, ხელისუფლებამ ვერ შეძლო ცხრადღიანი პერიოდის სწორად გამოყენება მოსამზადებელი სამუშაოებისათვის. მართლაც, სექსუალური უმცირესობების მიმართ ქართული საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულების გათვალისწინებით, ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდნენ ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავი მსვლელობის მოსალოდნელი თანმდევი დაძაბულობის რისკები. შესაბამისად, მათ ჰქონდათ ვალდებულება, გამოეყენებინათ ყველა შესაძლო საშუალება და ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, მოეხდინათ ტოლერანტული, შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირება საჯარო განცხადებების გაკეთების გზით, ისევე როგორც, შეეძლოთ, გაეფრთხილებინათ პოტენციური სამართალდამრღვევები შესაძლო სანქციების თაობაზე. გარდა ამისა, დემონსტრაციის ადგილას განთავსებული საპატრულო პოლიციელების რიცხვი არასაკმარისი იყო. ვითარების ესკალაციის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო ქმედითი ზომების მიღება, მაგალითად, პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმის მობილიზება.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ, მთლიანობაში, შიდასახელმწიფოებრივმა სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ჰომოფობიური და ძალადობრივი განწყობის მქონე კონტრაქციის მონაწილეების სათანადოდ შეკავება და 2012 წლის 17 მაისის დემონსტრაციის

50 <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%22identoba%22%22%22documentcollectionid%22%3A%22GRAND-CHAMBER%22%22%22CHAMBER%22%22%22itemid%22%3A%222001-154400%22%7D>

მშვიდობიანი ჩატარება. ამ წინდაუხედაობის გათვალისწინებით, სახელმწიფომ ვერ შეასრულა კონვენციის მე-11 მუხლით განსაზღვრული პოზიტიური ვალდებულება, კონვენციის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

დასკვნა:

კონვენციის მე-11 მუხლი მე-14 მუხლთან ერთობლიობაში: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: ორგანიზაცია „იდენტობას“ 1500 ევრო, ორ განმცხადებელს - თითოეულს 4 000 ევრო; ორს - თითოეულს 3 000 ევრო; დანარჩენ განმცხადებლებს - თითოეულს 2 000 ევრო.

შენიშვნა: დადგინდა, აგრეთვე, **კონვენციის მე-3 მუხლის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში** დარღვევა

კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ⁵¹ KAKABADZE AND OTHERS V. GEORGIA № 1484/07; 02.10.2012

სასამართლოს ეზოში მშვიდობიანი აქციის მონაწილეების დაპატიმრება: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებლები - ირაკლი კაკაბაძე, ლაშა ჩხარტიშვილი, ზურაბ რთველიაშვილი და დავით დალაქიშვილი იყვნენ ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები. 2006 წლის 29 ივნისს ისინი შეიკრიბნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში და გამართეს საპროტესტო აქცია სატელევიზიო არხ „202“-ის მფლობელების - შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის მიმდინარე სასამართლო პროცესთან დაკავშირებით. მათ მოითხოვეს ბრალდებულების, როგორც უკანონოდ დაკავებულების, დაუყოვნებლივ განთავისუფლება, და მოუწოდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს, „არ გამხდარიყო [შს მინისტრის] კრიმინალური ქმედებების თანამონაწილე. „პირველმა განმცხადებელმა დამცინავად მიმართა შს მინისტრ ვ.მ.-ს

და „ლაგრენტი ბერიას ნაბიჭვარი“ უწოდა. მისი სიტყვა გაგრძელდა დაახლოებით სამ წუთს, რის შემდეგაც სასამართლოს მანდატურის თანამშრომლებმა, წინასწარი გაფრთხილების ან განმარტების გარეშე, განმცხადებლები ძალის გამოყენებით დააკავეს.

2006 წლის 29 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ე.ტ.-მ, საჯარო და ზეპირი მოსმენის გარეშე, მიიღო გადაწყვეტილება განმცხადებლების 30 დღით დაპატიმრების შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე. განკარგულებაში აღნიშნული იყო, რომ ის არ საჩივრდებოდა. მითითებული სამართლებრივი ნორმის მოქმედება მოგვიანებით შეაჩერა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ. განმცხადებლებმა საჩივრით მიმართეს უზენაეს სასამართლოს. ამ უკანასკნელმა 2006 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო დებულების შეჩერება ავტომატურად არ აძლევდა უფლებას განმცხადებლებს, გაესაჩივრებინათ დაკავების კანონიერება; თუმცა, იმის აღიარებით, რომ მათი პატიმრობა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, იყო ადმინისტრაციული სახდელი, საჩივარი შეიძლებოდა განხილულიყო ასკ-ის 279-ე მუხლის საფუძველზე. მოსამართლემ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება ცნო კანონიერად და სრულად დაეთანხმა მას. განმცხადებლები გათავისუფლდნენ მხოლოდ პატიმრობის ვადის ამონურვის შემდეგ. მათ ევროპული სასამართლოს წინაშე გაასაჩივრეს მათი პატიმრობის კანონიერება, სამართალწარმოების სამართლიანობა და გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების შეზღუდვა.

სამართალი - მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები: ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქმის განხილვის ფორმალური პროცედურით, დახურულ კარს მიღმა, მხოლოდ მანდატურთა მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, განმცხადებლების მონაწილეობის გარეშე, წარმოადგენს „საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის“ ელემენტარული პროცედურული მოთხოვნების უგულვებლყოფას, როგორცაა მხარეთა თანასწორობა და პროცესის შეჭიბრებითობა, დაცვის მომზადებისთვის საჭირო ადეკვატური დროისა და საშუალებების უფლება, კვალიფიციური იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება.

⁵¹ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%5B%22Kakabadze%22%22%22documentcollectionid%22%3A%5B%22GRAND-CHAMBER%22%22%22CHAMBER%22%22%22itemid%22%3A%222001-113300%22%7D>

ევროპული სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2006 წლის 29 ივნისის განკარგულება იყო სასამართლოს მანდატურების მიერ გამოთქმულ ბრალდებათა უპირობო გამეორება და არა ინციდენტის კონკრეტულ გარემოებათა ობიექტური და ყოველმხრივი განხილვის შედეგი. სასამართლოს შემოფოტების საგანს წარმოადგენს ისიც, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ პრესკონფერენციაზე ისეთი ტერმინები გამოიყენა, რომ მან აშკარად წინმსწრებად შეაფასა ფაქტები და გამოხატა აზრი, რომ განმცხადებლები იყვნენ დამნაშავენი, სასამართლოს მერ მათი ბრალეულობის კანონით დადგენილი წესით დამტკიცებამდე. ეს გარემოებები საკმარისია ევროპული სასამართლოსთვის, რათა დაასკვნას, რომ პროცესი არ შეესაბამებოდა „სამართლიანი სასამართლოს“ მოთხოვნებს.

კონვენციის მე-11 მუხლი: განმცხადებლებმა გამართეს აქცია თბილისის სააპელაციო სასამართლოს წინ. რამდენიმე წუთის შემდეგ, ისინი დააკავეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს შეურაცხყოფისთვის. შესაბამისად, მათი სისხლისსამართლებრივი დევნა არის ჩარევა შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლების განხორციელებაში.

ა) იყო თუ არა ჩარევა კანონით განსაზღვრული და ემსახურებოდა თუ არა კანონიერ მიზანს? საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქმედებები, რომლებიც, სავარაუდოდ, წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და სასამართლოს შეურაცხყოფას, თავიდან უნდა აიცილონ სასამართლოს მანდატურებმა და გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარემ, თუკი ეს ხდება სასამართლოს შენობის შიგნით. ევროპული სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებას, რომლის მიხედვით, დებულება „სასამართლოს შეურაცხყოფასთან“ დაკავშირებით არის ბუნდოვანი. ამასთან, მას გააჩნია სერიოზული ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლებს შეეძლოთ წინასწარ განესაზღვრათ, რომ აქცია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში გამოიწვევდა მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ზემოთ ხსენებული დებულებების მიხედვით; ევროპულ სასამართლოს შეუძლია მიიღოს მთავრობის არგუმენტი, რომლის თანახმად,

სადავო ჩარევა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს - საჯარო წესრიგის დარღვევის პრევენციასა და სასამართლო ხელისუფლების დაცვას. სასამართლო ხელისუფლების დაცვა საჭიროა, როდესაც საფრთხის ქვეშაა ის რწმენა, რომელიც უნდა ჰქონდეს სასამართლოს მიმართ დემოკრატიულ საზოგადოებას.

ბ) იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად, ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტს. შესაბამისად, მხოლოდ რეალურად დამაჯერებელ და ანგარიშგასაწევ მიზეზებს შეუძლია გაამართლოს ამ უფლების განხორციელებაში ჩარევა. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ აქცია, რომელშიც ზუსტად ხუთი პირი მონაწილეობდა, ჩაიშალა დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ; ძალიან მოკლე პერიოდში განმცხადებლებს შეეძლოთ მხოლოდ რამდენიმე ლოზუნგის წარმოთქმა. ეს ფაქტი ბადაებს ეჭვს მთავრობის იმ მტკიცებასთან მიმართებით, რომელიც ეხება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას. ამასთან, ამ ლოზუნგების შინაარსი არ წარმოადგენს სასამართლოს შეურაცხყოფას. მათი უმრავლესობა შეიცავდა კრიტიკულ ბუნდოვან შეფასებებს და გარკვეული ხარისხით გაზვიადებულ პოლიტიკურ გამონათქვამებს, რომლებიც მიმართული იყო საზოგადოების წუხილის საგნისკენ საქართველოში - სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისკენ. ამასთან, განმცხადებლებმა მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ძალადობის ან დემოკრატიული პრინციპების უარყოფის გარეშე.

ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ამ თვალსაზრისით, სასამართლო ხელისუფლება ყველა სხვა სახელმწიფო ინსტიტუტთან ერთად, ვერ აცდება კრიტიკას და ამ დროს შოკისმომგვრელი და მიუღებელი მოსაზრებები და სიტყვები შეიძლება იქნეს გამოყენებული. ერთადერთი შეურაცხმყოფელი ფრაზა - „ლაგრენტი ბერიას ნაბიჭვარი“, წარმოთქმული განმცხადებლების მიერ აქციაზე, მიემართებოდა შს მინისტრს და გაუგებარია, როგორ შეიძლება ის აღქმულ იქნეს სასამართლოს შეურაცხყოფად, როდესაც მისი ადრესატი არ ყოფილა სასამართლო ხელისუფლება. ნებისმიერ შემთხვევაში, დემოკრატიულ საზოგადოებაში, დიდი მოთმინება უნდა იქნეს გამოჩენილი მსგავსი შეხედულებებისადმი,

რომლებიც კრიტიკულია მნიშვნელოვანი საჯარო პირების მიმართ, მაშინაც კი, როდესაც მათი გამოხატვა ხდება ასე აშკარად და პროვოკაციული გზით, როგორც ეს ამ შემთხვევაში მოხდა.

უფრო მეტიც, ევროპული სასამართლო შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ ნაცვლად იმისა, რომ შეესრულებინა თავისი მოვალეობა და დაედგინა საფუძვლიანი მიზეზები, რომლებიც გაამართლებდა აქციის დაშლასა და განმცხადებლებისთვის პატიმრობის შეფარდებას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ, 2006 წლის 29 ივნისის განკარგულებაში მიუთითა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და სასამართლოს შეურაცხყოფასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის კვალიფიკაციის ზოგად და აბსტრაქტულ ტერმინებზე შიდა კანონმდებლობის მიხედვით. თავმჯდომარემ არ განმარტა, ინციდენტის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, თუ როგორ შეეშალა ხელი მართლწესრიგის უზრუნველყოფას და განმცხადებლების მიერ წარმოთქმული რომელი კონკრეტული ფრაზები მიიჩნია სასამართლოს შეურაცხყოფად; ერთადერთი არგუმენტი, რომელსაც ის დაეყრდნო თავის გადაწყვეტილებაში, არის მითითება იმაზე, რომ განმცხადებლებმა შეკრება გამართეს „შენობის შიგნით, მის ცენტრალურ შემოსასვლელში“, რაც არ იყო სწორი და შესაბამისად, მიუღებელია ჩარევის გასამართლებლად.

ევროპული სასამართლო გაოცებას ვერ მალავს იმ ფაქტის გამო, რომ განმცხადებელთა მხრიდან აქციის მიმდინარეობისას რაიმე ძალადობრივი ქმედების არარასებობის მიუხედავად, ისინი მაინც დაექვემდებარნენ ყველაზე მკაცრ სასჯელს, რომელიც გამოიყენება სადავო სამართალდარღვევისთვის, კერძოდ, 30-დღიან თავისუფლების აღკვეთას. მოცემულ შემთხვევაში, ზედმეტად მკაცრი სასჯელის ბოროტად გამოყენებას კიდევ უფრო ამძიმებს 2006 წლის 29 ივნისის განკარგულების დაუსაბუთებლობა.

ზემოთ ხსენებული მოსაზრებების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ საქართველოს შესაბამისმა ორგანოები არ მოეკიდნენ გაგებით და ვერ შეძლეს ემოქმედათ კეთილსინდისიერად შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებასთან მიმართებით, ვერ წარმოადგინეს საკმარისი და საფუძვლიანი მიზეზები, რომლებიც გაამართლებდა მათ ჩარევას და განსაზღვრეს სანქცია, რომელიც იყო აშკარად არაპროპორციული.

სამართალი - კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლი: იმ ფაქტის მიუხედავად, რომ განმცხადებელთა სააპელაციო საჩივარი განიხილა უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ასკ-ის 279-ე მუხლის საფუძველზე, ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ შიდა კანონმდებლობაში არსებობს უჩვეულო კონტროლის მექანიზმი, რომლის გამოყენება დამოკიდებულია შესაბამის ორგანოთა დისკრეციაზე, არ გააჩნია ნათლად განსაზღვრული პროცედურა ან ვადის ლიმიტი და წარმოადგენს არაეფექტიან შიდასამართლებრივ საშუალებას კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის მიზნებისთვის; უფრო მეტიც, სამართალდარღვევა, რომლისთვისაც განმცხადებლები დაისაჯნენ 2006 წლის 29 ივნისს, სასჯელის სიმძიმის გათვალისწინებით, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს „უმნიშვნელოდ“ და შესაბამისად, არ განეკუთვნება ამ დებულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევებს.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მე-6 მუხლის მე-3 პუნქტთან ერთად: დარღვევა;

კონვენციის მე-11 მუხლი: დარღვევა;

კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 6 000 ევრო თითოეულ განმცხადებელს არამატერიალური ზიანისთვის; 5957 ევრო განმცხადებლებს, მთლიანობაში, განუული ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.

იხ. აგრეთვე: *Kudrevičius and Others v. Lithuania*, no. 37553/05, 15 October 2015; *Taranenko v. Russia*, no. 19554/05, 15 May 2014; *Açık and Others v. Turkey*, no. 31451/03, 13 January 2009; *Angirov and Others v. Russia*, no. 30395/06, 17 April 2018; *Primov and Others v. Russia*, no. 17391/06, 12 June 2014; *Murat Vural v. Turkey*, no. 9540/07, 21 October 2014; *Kandzhov v. Bulgaria*, no. 68294/01, 6 November 2008; *Skalka v. Poland*, no. 43425/98, 27 May 2003; *Janowski v. Poland*, no. 25716/94, 21 January 1999; *Altuğ Taner Akçam v. Turkey*, no. 27520/07, 25 October 2011; *Amann v. Switzerland*, no. 27798/95, 16 February 2000; *Dink v. Turkey*, nos. 2668/07, 610 2/08, 30079/08, 7072/09 and 7124/09, 14 September 2010; *Nilsen and Johnsen v. Norway*, no. 23118/93, 25 November 1999; *Ukrainian Media Group v. Ukraine*, no. 72713/01, 29 March 2005; *Christians against Racism and Fascism v. the United Kingdom*, no. 8440/78, 16 July 1980; *Hyde Park and Others v. Moldova*, no. 6991/08 and 15084/08, 14 September 2010; *Plattform "Ärzte für das Leben" v. Austria*, no. 10126/82, 21 June 1988.

დინარე, როგორც ეს ხდება კონვენციის მე-14 მუხლთან მიმართებით, მე-18 მუხლი, შესაძლებელია, დაირღვეს მაშინაც კი, როცა არ ირღვევა ის მუხლი, რომელთან ერთობლიობითაც ის გამოიყენება. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მე-18 მუხლის დარღვევა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სადავო უფლება ან თავისუფლება დაექვემდებარა კონვენციით დაშვებულ შეზღუდვას; მაგრამ მხოლოდ ის ფაქტი, რომ კონვენციით განმტკიცებული უფლების ან თავისუფლების შეზღუდვა არ შეესაბამება კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს, აუცილებლად არ ნიშნავს მე-18 მუხლის დარღვევის საკითხის წამოწევას.

აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული საჩივრის დამოუკიდებლად განხილვა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოთხოვნა, რომ შეზღუდვა გამოყენებულია ისეთი მიზნით, რომელსაც არ ითვალისწინებს კონვენცია, არის შესაბამისი საქმის არსებითი ნაწილი.

ბ) რამდენიმე მიზნის არსებობა: როდესაც შეზღუდვა ემსახურება რამდენიმე მიზანს, ის შეიძლება თავსებადი იყოს კონვენციის რელევანტურ დებულებასთან, რადგან შეესაბამება ამ დებულებით გათვალისწინებულ მიზანს; მაგრამ, ამავდროულად, ის, შეიძლება არღვევდეს კონვენციის მე-18 მუხლს, რადგან ამ შეზღუდვის მთავარი მიზანი არ არის ის, რომელიც განსაზღვრულია კონვენციით ანუ სხვა მიზანი არის დომინანტური. ანალოგიურად, თუკი მთავარი მიზანი არის კონვენციით გათვალისწინებული მიზანი, შეზღუდვა არ ეწინააღმდეგება მე-18 მუხლს, თუნდაც, ის, ემსახურებოდეს სხვა მიზანსაც.

ეს ინტერპრეტაცია შეესაბამება კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების ეროვნული სასამართლოებისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. კონვენციის მოსამზადებელი სამუშაოები ნათლად აჩვენებს, რომ კონვენციის მე-18 მუხლი მოაზრებული იყო, როგორც „ძალაუფლების ბოროტად გამოყენების“ შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ცნების კონვენციური ვერსია.

ის, თუ რომელი მიზანია უპირატესი, დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე. განგრძობით სიტუაციებში, შესაძლოა, შეფასება, თუ რომელი მიზანია დომინანტური, დროთა განმავლობაში შეიცვალოს.

გ) მტკიცების საკითხები: იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ფარული მიზანი და არის თუ არა

ის დომინანტური, ევროპული სასამართლო თავის ჩვეულ მიდგომას იყენებს და არა სპეციალურ წესებს: 1. ზოგადი წესი - მტკიცების ტვირთი არ ეკისრება ერთ ან მეორე მხარეს; ამასთან, ის მხედველობაში იღებს იმ სირთულეებს, რომელთაც განმცხადებელი შეიძლება წააწყდეს მტკიცებულებების მოპოვებისას; ასევე, აკეთებს შესაბამის დასკვნებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც მთავრობა თავს იკავებს ან უარს ამბობს ინფორმაციის გამჟღავნებაზე, სათანადო განმარტების გარეშე; 2. მტკიცების სტანდარტი არის „დასაბუთებული ვარაუდი“ 3. ევროპული სასამართლო არის თავისუფალი, შეაფასოს მის წინაშე წარდგენილი თითოეული მტკიცებულების როგორც დასაშვებობა და რელევანტურობა, ასევე, მისი მტკიცებითი ძალა. ევროპული სასამართლო იხილავს მისთვის წარდგენილ ყველა მასალას იმის მიუხედავად, თუ ვინ წარადგინა ის და, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით, მოითხოვს მას. აქედან გამომდინარე, მას არ აქვს საფუძველი, რომ მხოლოდ პირდაპირი მტკიცებულებით შემოიფარგლოს ან სპეციალური მტკიცებითი სტანდარტი გამოიყენოს კონვენციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული საჩივრების განხილვისას.

განმცხადებლის პოზიციის თანახმად, განსახილველ საქმეში ხელისუფლებას ჰქონდა ორი ფარული მიზანი წინასწარი პატიმრობის გამოყენებისას. ევროპულმა სასამართლომ შეაფასა ორივე მიზანი ცალ-ცალკე, რათა დაედგინა, რომელი მათგანი იყო დომინანტური:

(i) განმცხადებლის პოლიტიკური სცენიდან ჩამოშორების მიზანი: მიუხედავად იმისა, რომ „ენმ“-ის წევრი რამდენიმე ყოფილი მინისტრისა და სხვა მაღალჩინოსნების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება ნიშნავდეს პარტიის განადგურების ან მისთვის ზიანის მიყენების განზრახვას, ეს, იმავე დოზით, შეიძლება ასახავდეს იმ შესაძლო დანაშაულების გამოძიების სურვილსაც, რომლებიც ჩაიდინეს წინა ხელისუფლების დროს. აღნიშნული ფაქტების საფუძველზე არ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ განმცხადებლის საქმის განმხილველი სასამართლო არ ყოფილა დამოუკიდებელი.

მონშეთა დიდ რაოდენობას, რომელთა გამოძახებაც მოითხოვა ბრალდების მხარემ, უსაფუძვლოდ არ გაუჭიანურებია სასამართლო პროცესი და განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა. საქმის განხილვა დაიწყო 2013 წლის 7 ოქტომბერს და

დასრულდა ოთხი თვისა და თერთმეტი დღის შემდეგ, 2014 წლის 17 თებერვალს, ბატონი მერაბიშვილის მსჯავრდებით, ზუსტად ცხრა - თვიანი მაქსიმალური ვადის ამონუნრვამდე, რაც არ შეიძლება შეფასდეს, როგორც არაგონივრული დრო.

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სამართალწარმოება, რომელიც მიმდინარეობდა ქუთაისში და არა თბილისში, მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ პროკურატურის ორგანოებმა შეარჩიეს ხელსაყრელი სასამართლო. ევროპული სასამართლო ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ორი მიზეზის გამო: პირველი, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გირაოს საფუძველზე გაათავისუფლა მისი თანაბრადებული ბ-ნი ზ.ჭ, რომელიც, ასევე, „ენმ“-ის ლიდერი იყო; მეორე, თბილისის საქალაქო სასამართლომ განმცხადებელს, ასევე, შეუფარდა წინასწარი პატიმრობა.

ბატონი მერაბიშვილის ერთ-ერთი არგუმენტი იყო ის, რომ საფრანგეთის, საბერძნეთისა და გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მოთხოვნა „ენმ“-ის ორი ყოფილი მაღალჩინოსნის ექსტრადიციის თაობაზე იმ საფუძველით, რომ, inter alia, მათ მიმართ არსებული სისხლის სამართლებრივი დევნა იყო პოლიტიკურად მოტივირებული. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ამით არ დგინდება, რომ განმცხადებლის მიმართ სისხლის სამართლის პროცესი პოლიტიკური ხასიათისაა შემდეგი მიზეზების გამო: აღნიშნული საქმეები ეხებოდა ბრალდებებს „ენმ“-ის სხვა ლიდერების მიმართ, მაგრამ არ იყო იდენტური განმცხადებლის საქმისა. ამასთან, სასამართლოები ექსტრადიციასთან დაკავშირებულ საკითხებზე არსებითად აფასებენ სამომავლო საფრთხეებს, მაშინ, როდესაც ევროპული სასამართლო დაინტერესებულია მხოლოდ მომხდარი ფაქტებით; იგივე დასკვნები ვრცელდება ინტერპოლის გადაწყვეტილებებზე ბატონ სააკაშვილთან და ბატონ დ.კ.-სთან მიმართებით.

მთლიანობაში, ის ფაქტი, რომ განმცხადებლის წინასწარი დაპატიმრება მოხდა „ენმ“-სა და „ქართულ ოცნებას“ შორის მწვავე პოლიტიკური ანტაგონიზმის ფონზე, არ არის საკმარისი იმის დასადგენად, რომ პატიმრობის უპირატესი მიზეზი იყო მისი ქართულ პოლიტიკაში მონაწილეობისთვის ხელის შეშლა და არა მის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების წარმართვა.

(ii) პატიმრობა, როგორც ბერკეტი სხვა საქმეებზე ინფორმაციის მისაღებად: განმცხადებლის

პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ 2013 წლის 14 დეკემბერს იგი ციხის საკნიდან ფარულად გაიყვანეს, მთავრობამ სადავო გახადა. ევროპული სასამართლო არის მგრძობიარე მისი სუბსიდიური როლის მიმართ და აცნობიერებს, რომ სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ფაქტების პირველადი დამდგენის ფუნქციის შესრულებას. მან უნდა ჩაატაროს დეტალური შემოწმება და გაითვალისწინოს ეროვნული გამოძიების ხარისხი და ხარვეზები გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ბატონი მერაბიშვილის ჩვენება იყო დეტალური და კონკრეტული და მთელი პროცესის განმავლობაში არ კარგავდა თანმიმდევრულობას. მართალია, რომ არ არსებობს მისი ახსნა-განმარტების გამამყარებელი პირდაპირი მტკიცებულება; თუმცა, განმცხადებელი, რომელიც იმყოფებოდა პატიმრობაში, ძნელად შეძლებდა ასეთი მტკიცებულების წარდგენას. არსებობს რამდენიმე ირიბი მტკიცებულება, რომელიც, გარკვეულწილად, ადასტურებს მის განცხადებებს - მისი პრეტენზიის შესამოწმებლად არ ჩატარდა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებები - ამოცნობა (როცა განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ შეეძლო ამოეცნო პირები, რომლებმაც მისი ტრანსპორტირება უზრუნველყვეს), მობილური კავშირის ანძების მონაცემების ამოღება (მაშინ, როდესაც, განმცხადებლის მტკიცებით, ერთ-ერთ პირს ორი სატელეფონო საუბარი ჰქონდა გზაში); ასევე, არსებობდა ორი მოწმის ირიბი ჩვენება იმის შესახებ, რომ მათ გაიგონეს ერთ-ერთი თანამშრომლის ნათქვამი, რომ მან მოახდინა ბატონი მერაბიშვილის ტრანსპორტირება.

ამავდროულად, მთავრობის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელი არ გამოუყვანიათ საკნიდან მთავარ პროკურორთან შესახვედრად, არ არის საკმარისად დამაჯერებელი. ეს მტკიცებულებები შეგროვდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურებრივი შემოწმებისა და მთავარი პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების დროს. პირველი მათგანი ჩატარდა 2013 წლის 17 და 18 დეკემბერს, პრემიერ-მინისტრისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ განმცხადებლის მტკიცების მყარი და მყისიერი უარყოფის ფონზე და განხორციელდა აღნიშნული სამინისტროს თანამდებობის პირების მიერ. მეორე პროცედურა დაიწყო მხოლოდ ევროპული სასამართლოს პალატის მიერ ამ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ და აშკარა

კავშირი ჰქონდა საქმის დიდი პალატისთვის გადაცემასთან. ის დასრულდა, სულ რაღაც, ოცდახუთი დღით ადრე დიდი პალატის მიერ საქმის მოსმენის გამართვამდე.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების და პენიტენციური დეპარტამენტის შენობის ვიდეომეთვალყურეობის ჩანაწერები - რომლებსაც შეეძლოთ განმცხადებლის მტკიცების საბოლოოდ დადასტურება ან უარყოფა - ავტომატურად წაიშალა ოცდაათი საათის შემდეგ. ევროპული სასამართლოს შეფასებით, გასაკვირია, რომ ვიდეომეთვალყურეობის ჩანაწერი ისეთ დაწესებულებაში, რომელიც ძალადობისა და უბედური შემთხვევის მაღალი რისკის შემცველია, ინახება უფრო მცირე დროით, ვიდრე საგზაო მოძრაობის კამერების ჩანაწერები.

სასჯელაღსრულების დაწესებულების უფროსისა და მისი მოადგილის და იქ მომუშავე თანამდებობის პირების განცხადებებს სერიოზული მნიშვნელობა ვერ მიენიჭება. პირველ რიგში, ის ადამიანები, რომლებმაც გააკეთეს განცხადებები და ის ინსპექტორები და გამომძიებლები, რომლებმაც ისინი მოისმინეს, იყვნენ სავარაუდოდ დამნაშავეების ქვეშევრდომები; მეორე, განცხადებების ავტორების მიერ ნებისმიერ აღიარებას იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს განმცხადებლის საკნიდან ფარულ გაყვანაში, შეეძლო საკუთარი ქცევის კანონიერება ეჭვქვეშ დაეყენებინა.

ევროპული სასამართლო ვერ მიანიჭებს რაიმე მნიშვნელობას იმ ფაქტს, რომ პენიტენციური დაწესებულების შესაბამის ჟურნალში არ არსებობს ჩანაწერი, რომელიც დაადასტურებდა განმცხადებლის საკნიდან გამოყვანას. სავარაუდოდ ოპერაციის ფარული ბუნების გათვალისწინებით, არც იყო მოსალოდნელი, რომ მონაცემები ოფიციალურად დარეგისტრირდებოდა.

ზემოთ ხსენებული მოსაზრებების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მას შეუძლია გამოიტანოს დასკვნები არსებული მასალების და ხელისუფლების ორგანოების ქცევის საფუძველზე და მიაჩნია, რომ განმცხადებლის პრეტენზიები საკნიდან მისი ფარულად გაყვანის შესახებ საკმარისად დამაჯერებელია და შესაბამისად – დადასტურებული.

დ) არის თუ არა მიზანი დომინანტური: განსახილველ საქმეში სადავო შეზღუდვას ჰქონდა განგრძობითი ხასიათი. წინასწარი პატიმრობის თავდაპირველი მიზანი პირველი შვიდი

თვის მანძილზე იყო დანაშაულების გამოძიება დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე; მოგვიანებით, ის შეიცვალა სხვა მიზნით-ინფორმაციის მოპოვება პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებასთან და ყოფილი პრეზიდენტის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ყოფილმა პრეზიდენტმა, რომელიც რამდენიმე სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიების სამიზნე გახდა, დატოვა საქართველო მისი პრეზიდენტობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ. ბატონი ჟვანიას გარდაცვალების გამოძიებას არ ჰქონდა მნიშვნელოვანი პროგრესი. ნათელია, რომ ორივე თემა ხელისუფლების ორგანოებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. მთავრობის განცხადება დიდ პალატაში გამართული მოსმენისას, იმასთან დაკავშირებით, რომ ჯერ კიდევ არსებობდა „დიდი კითხვის ნიშანი“ ბ-ნ ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებით, რომლისთვისაც ბატონ მერაბიშვილს პასუხი უნდა გაეცა, განსაკუთრებით მრავლისმეტყველია აღნიშნულ კონტექსტში.

ამავდროულად, პროკურატურის ორგანოებს ჰქონდათ უფლებამოსილება, ნებისმიერ დროს მოეხსნათ განმცხადებლის მიმართ არსებული ყველა ბრალდება სასამართლო ხელისუფლების კონტროლის გარეშე. ისინი დაპირდნენ ბატონ მერაბიშვილს, რომ ასეც მოიქცეოდნენ, თუკი მიიღებდნენ ინფორმაციას, რომელსაც ითხოვდნენ და შესაბამისად, სასამართლოს მოუწევდა სამართალწარმოების შეწყვეტა მის მიმართ.

ხელისუფლების ორგანოების თავდაპირველი რეაქცია განმცხადებლის მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ ის ფარულად გაიყვანეს საკნიდან გენერალური პროკურორისთვის წარსადგენად, იყო კატეგორიული უარყოფა, ხოლო შემდგომ გამოძიებასა და სამსახურებრივ შემოწმებას, როგორც უკვე აღინიშნა, თან სდევდა მთელი რიგი წინდაუხედაობები, რაც ევროპულ სასამართლოს აფიქრებინებს, რომ ხელისუფლების ორგანოებს სურდათ ეს ფაქტი არ გასაჯაროებულიყო.

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი: ა) წინასწარი პატიმრობის თავდაპირველი შეფარდება: ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება იყო გამართლებული; კერძოდ, არსებობდა მისი მიმალვის საფრთხე; ბრალდების მხარე, ძირითადად, უთითებდა ბატონი მერაბიშვილის საერთაშორისო კავშირების ფართო ქსელსა და მის ხშირ მოგზაურობაზე უცხოეთში. განმცხადებელს ჰქონდა

ყალბი პასპორტი; მისმა მეუღლემ საქართველო დატოვა სწორედ მას შემდეგ, რაც განმცხადებელი გამოიძახეს დასაკითხად; მათი ბინის ჩხრეკისას იპოვეს დიდი ოდენობით ნაღდი ფული, რომელიც, შესაძლოა, საქართველოდან გასამგზავრებლად ჰქონდათ მომზადებული. ასევე, არსებობდა საფრთხე, რომ ბატონი მერაბიშვილი გავლენას მოახდენდა მოწმეებზე, რადგან ბევრი მათგანი მისი ყოფილი ხელქვეითი იყო.

ბ) წინასწარი პატიმრობის გაგრძელების გამართლება: ბრალდების მხარის მიერ პატიმრობის გაგრძელების მოთხოვნისას ერთადერთი ახალი არგუმენტი აღმოჩნდა ის, რომ განმცხადებელს, შესაძლოა, ჰქონოდა სხვა დაუდგენელი ყალბი პასპორტებიც. ასეთი მეთოდით მანამდე ისარგებლეს სხვა ყოფილმა თანამდებობის პირებმა საზღვარგარეთ გასაქცევად; მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე კვლავ რჩებოდა, ვინაიდან გამოძიების წინაშე დაკითხვის შემდეგ, ისინი სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ ჩვენების მისაცემად. ბატონი მერაბიშვილის მხრიდან ერთადერთი ახალი არგუმენტი აღმოჩნდა ის, რომ გამოძიება უკვე დასრულებული იყო. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებაში არ განუმარტავს, თუ რატომ იყო მისთვის სარწმუნო ბრალდების მხარის მიერ მოყვანილი საფუძვლები და რატომ მიიჩნია, რომ ისინი განმცხადებლის არგუმენტებს გადაწონდა. მომდევნო განჩინებაში, რომელიც 2013 წლის 7 ოქტომბრით თარიღდება, აღნიშნული იყო, რომ განმცხადებელს არ დაუსახელებია რაიმე ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, არამედ მხოლოდ იმ საფუძვლებზე უთითებდა, რომლებიც მის მიმართ წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ თავდაპირველ განჩინებაში იყო აღნიშნული. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ამით ეროვნულმა სასამართლომ უგულვებლყო ის პრინციპი, რომ წინასწარი პატიმრობის გაგრძელების გამამართლებელი საფუძვლების არსებობის უცვლელობის დადგენა უფრო ხელისუფლების ორგანოების ვალდებულებაა, ვიდრე დაკავებულის. მაშინაც კი, თუ ამგვარი საფუძვლები არსებობს პატიმრობის პირველადი შეფარდებისას, ისინი შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში და ამიტომ ხელახლა უნდა შეაფასოს სასამართლომ. შესაბამისად, სულ მცირე, 2013 წლის 25 სექტემბრიდან ბატონი მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის გასაგრძელებლად საკმარისი საფუძველი აღარ არსებობდა და დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

დასკვნა:
კონვენციის მე-18 მუხლი მე-5 მუხლის პირველ პუნქტთან ერთობლიობით: დარღვევა;
კონვენციის 41-ე მუხლი: 4,000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

შენიშვნა: არ დადგინდა, აგრეთვე, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა;

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი: არ არის დარღვევა წინასწარი პატიმრობის თავდაპირველი შეფარდების ნაწილში; დარღვევა დადგინდა წინასწარი პატიმრობის გაგრძელების ნაწილში, სულ მცირე, 2013 წლის 25 სექტემბრიდან შემდეგ პერიოდში;

არ არსებობს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევის დადგენის მოთხოვნის ცალკე განხილვის საჭიროება.

იხ. აგრეთვე: *Sabri Güneş v. Turkey*, no. 27396/06, 29 June 2012; *Sâmbata Bihor Greek Catholic Parish v. Romania*, no. 48107/99, 25 May 2004; *Rasmussen v. Poland*, no. 38886/05, 28 April 2009; *Mathloom v. Greece*, no. 48883/07, 24 April 2012; *Ekimdjiev v. Bulgaria*, no. 47092/99, 3 March 2005; *Cornea v. Romania*, no. 13755/03, 15 May 2012; *Kırlangıç v. Turkey*, no. 30689/05, 25 September 2012; *The Times v. the United Kingdom* no. 6538/74; 6 November 1980; *Gillow v. the United Kingdom*, 24 November 1986; *Weeks v. the United Kingdom*, 2 March 1987; *Kucheruk v. Ukraine*, no. 2570/04, 6 September 2007; *United Macedonian Organisation Ilinden-PIRIN and Others v. Bulgaria*, no. 41561/07 and 20972/08, 18 October 2011; *E.O. and V.P. v. Slovakia*, no. 56193/00 and 57581/00, 16 September 2003; and *Oates v. Poland*, no. 35036/97, 11 May 2000; *Nemtsov v. Russia*, no. 1774/11, 31 July 2014; *Navalnyy and Yashin v. Russia*, no. 76204/11, 4 December 2014; *Kasparov v. Russia*, no. 53659/07, 11 October 2016.

1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი

საკუთრების უფლება

„1. ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს, დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით. არავის არ შეიძლება წაერთვას ქონება, იმ შემთხვევის გარდა, როცა ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვს და იმ პირობით, რაც გათვალისწინებულია კანონით და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით;

2. ზემოთ აღნიშნული დებულებები არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას, უზრუნველყოს ისეთი კანონების შესრულება, რომლებიც მას აუცილებლად ესაბება საკუთრების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებისათვის, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ან ბეგარის ან სხვა გადასახადებისა და ჯარიმების აკრეფის უზრუნველყოფისათვის“.

**ხიზანაშვილი და კანდელაკი
საქართველოს წინააღმდეგ⁵³
KHIZANISHVILI AND KANDELAKI V.
GEORGIA
№ N25601/12; 17.12. 2019**

ქონების ექსპროპრიაციის გამო კომპენსაციის გამოთვლის მეთოდის სამართლიანობა: დარღვევა

ფაქტები: განმცხადებლები - ლალი ხიზანიშვილი და გიორგი კანდელაკი იყვნენ თბილისის ცენტრში, მეტროსადგურ „გოცირიძის“ შესასვლელთან მდებარე მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული კომერციული ცენტრის შენობის მენილეები. 2007 წლის იანვარში თბილისის მერიამ აღნიშნული შენობა დაანგრია ბულდოზერით. იმ დღესვე, მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ შენობის დემონტაჟი განხორციელდა მერიის კამპანიის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა იმ ნაგებობების დანგრევას, რომლებიც უკანონოდ იყო აშენებული ან ვიზუალურად არ შეესაბამებოდა ქალაქის იერსახეს. ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ დემონტაჟი იყო არაკანონიერი და თბილისის მერიას განმცხადებლებისთვის კომპენსაცია უნდა გადაეხადა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ პირველი განმცხადებლის სასარგებლოდ თბილისის მერიას დააკისრა ზიანის ანაზღაურება 87.252 ევროს, ხოლო მეორე განმცხადებლის სასარგებლოდ - დაახლოებით 62.291 ევროს ოდენობით. აღნიშნული თანხა ასახავდა შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულებას და არა იმ მიწის ნაკვეთის ღირებულებას, რომელიც შენობის დანგრევის შემდეგ, განმცხადებლების საკუთრებაში რჩებოდა. სააპელაციო სასამართლომ საკომპენსაციო თანხა შეამცირა პირველი განმცხადებლისთვის 1.164 ევრომდე, ხოლო მეორე განმცხადებლისთვის - 617 ევრომდე. აღნიშნული გადაწყვეტილება დაეფუძნა ექსპერტთა დასკვნას, რომელიც ადგენდა ქონების საბაზრო ღირებულებას მისი დანგრევის შემდეგ. 2011 წლის სექტემბერში უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო. კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებლები ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდნენ, რომ კომპენსაციის ოდენობა არ შეესაბამებოდა იმ რეალურ დანაკარგს, რაც საკუთრების უკანონო დენომტაჟის შედეგად განიცადეს.

⁵³ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%22Khizanishvili%20and%20Kandelaki%22%2C%22documentcollectionid%22%3A%22GRANDCHAMBER%22%2C%22CHAMBER%22%2C%22itemid%22%3A%222001-199176%22%7D>

სამართალი - 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი

პუნქტი: მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლებს არ ჩამოერთვათ საკუთრების უფლება იმ მიწაზე, რომელზეც შენობა იყო განთავსებული, შენობის დემონტაჟი თავისთავად წარმოადგენდა მათი საკუთრების de facto ექსპროპრიაციას. შესაბამისად, ხელისუფლება ჩაერია მათი საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობის უფლებაში. გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლოებმა ცალსახად დაადგინეს, რომ შენობის დემონტაჟს არ გააჩნდა რაიმე სამართლებრივი საფუძველი. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების მხრიდან უფლების განხორციელებაში ჩარევა არ იყო კანონიერი და არ ემსახურებოდა რაიმე საჯარო ინტერესს. უფრო მეტიც, ასეთი ინტერესის არსებობა სადავო არ გამხდარა ეროვნული სასამართლოს წინაშე. შესაბამისად, ევროპული სასამართლოსათვის წინამდებარე საქმეში არსებით განსახილველ საკითხს წარმოადგენდა შემდეგი: იყო თუ არა განმცხადებლებისთვის მინიჭებული კომპენსაცია ადეკვატური 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მიზნებისთვის.

საქმის მასალები შეიცავდა დანგრეული ქონების ღირებულების კალკულაციის შესახებ სამი სხვადასხვა ექსპერტის დასკვნას. ევროპული სასამართლოს ამოცანა არ არის, შეაფასოს, კალკულაციის რომელი მეთოდი იყო უფრო რელევანტური ქონების დანგრევის შედეგად მიყენებული ზიანის გამოსათვლელად ან რომელი ექსპერტის დასკვნა იყო უფრო დამაჯერებელი. მისი როლი შემოიფარგლება ორი მთავარი საკითხის დადგენით: რამდენად დამაკმაყოფილებელია სასამართლოს განმარტება დანგრეული ქონების ღირებულების განსაზღვრის მიზნით მის მიერ გამოყენებული მიდგომის შესახებ ყველა წამოწეული ფაქტორისა და არგუმენტის გათვალისწინებით; და შედეგად, განსაზღვრული კომპენსაციის ოდენობა რამდენად სამართლიანი და საკმარისია მერიის ქმედების არაკანონიერების საპირწონედ.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილებას იმ საფუძველით, რომ ექსპერტის დასკვნაში, რომელსაც ის ეფუძნებოდა, არ იყო საკმარისად დასაბუთებული ზიანის გამოთვლის მეთოდი. სააპელაციო სასამართლო მთლიანად დაეყრდნო მესამე დასკვნას, რომელიც, მერიის მიმართვის საფუძველზე, ექსპერტთა ჰანელის მიერ იყო

შედგენილი. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მასში ინტეგრირებული იყო პირველი ორი ექსპერტის დასკვნა. სინამდვილეში, მესამე დასკვნაში მხოლოდ მეორე დასკვნაში აღწერილი ტექნიკური ასპექტები იყო გამოყენებული და არა, საკუთრივ, ამ დასკვნაში მოცემული შეფასებები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მესამე დასკვნა ადგენდა შენობის დანგრევის შედეგად მიღებული სამშენებლო მასალის ღირებულებას და არა დანგრეული შენობის საბაზრო ღირებულებას. სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა, რატომ გაუთანაბრა ეს ორი ღირებულება ერთმანეთს. მან აღნიშნა, რომ გამოყენებული კალკულაციის მიდგომა გვხვდება სხვა მსგავს საქმეებშიც, თუმცა, ეს საქმეები არ დაუკონკრეტებია. მას არ შეუფასებია აღნიშნული კალკულაციის მეთოდისა და მის შედეგად განსაზღვრული კომპენსაციის საკმარისობა და სამართლიანობა იმ ფონზე, როდესაც აშკარა იყო სხვაობა შენობის ღირებულებასა და მისი დანგრევის შედეგად მიღებულ მასალას შორის. სააპელაციო სასამართლოს არ უსარგებლია კანონით გათვალისწინებული უფლებებით, საკითხის დაზუსტების მიზნით, მოეთხოვა სხვა ექსპერტის დასკვნა. ამ დარღვევას ვერ გადანონის ის გარემოება, რომ მიწის ნაკვეთი დარჩა განმცხადებლების საკუთრებაში ან მთავრობის არგუმენტი, რომ განმცხადებლებს ამ ქონების შესაძენად რეალურად გაცილებით მცირე თანხა ჰქონდათ გადახდილი და შემდეგ გაიზარდა მისი საბაზრო ღირებულება.

მსგავსი მიდგომის შედეგად, განმცხადებლებს არ მიუღიათ ის კომპენსაცია, რომლის გონივრული მოლოდინიც ჰქონდათ, მათი საკუთრების უფლების აშკარა უგულებელყოფის გათვალისწინებით.

დასკვნა:
კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლი: დარღვევა;
კონვენციის 41-ე მუხლი: 3000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის თითოეულ განმცხადებელს.

**გოგითიძე და სხვები
საქართველოს წინააღმდეგ⁵⁴
GOGITIDZE AND OTHERS V. GEORGIA
№ 36862/05; 12.05.2015**

ბრალდებულისთვის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა: არ არის დარღვევა

ფაქტები: პირველი განმცხადებელი - სერგო გოგითიძე სხვადასხვა დროს იკავებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილისა და კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოზიციებს. მეორე და მეოთხე განმცხადებლები არიან მისი შვილები, ხოლო მესამე განმცხადებელი არის მისი ძმა. 2004 წელს ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ახალი პოლიტიკური ძალა მოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სათავეში. პირველ განმცხადებელს ბრალი წაუყენეს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, ქრთამის გამოძალვასა და სხვა დანაშაულების ჩადენაში. 2004 წლის 26 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს მიმართა განმცხადებლებისთვის უკანონოდ მოპოვებული და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის მოთხოვნით, 2004 წლის 13 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე. სხვა მტკიცებულებებთან ერთად, წარმოდგენილი იყო ორი დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, რომლის მიხედვით, განმცხადებელმა დაკავებულ ორ თანამდებობაზე ხელფასის სახით 1 644 ევრო და 6 023 ევრო მიიღო, ხოლო მისი და სხვა განმცხადებლების მიერ შექმნილი ქონების ღირებულება დაახლოებით 450 000 ევროს შეადგენდა. პირველი, მესამე და მეოთხე განმცხადებელი სასამართლოს წინაშე არ გამოცხადებულან და არც შესაგებელი წარმოუდგენიათ. აჭარის უმაღლესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება განმცხადებლებისთვის ქონების ჩამორთმევის შესახებ. სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პირველი განმცხადებლის მიერ გამოთხოვებული თანხა აღნიშნული ქონების შესაძენად საკმარისი ვერ იქნებოდა, და, ასევე, სხვა განმცხადებლებს არ ჰქონდათ მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო. ამასთან, სასამართლო დაეთანხმა მეორე

განმცხადებელს, რომელიც მონაწილეობდა პროცესში და მისი ერთ-ერთი უძრავი ქონება ცნო კანონიერი გზით შექმნილად. განმცხადებლებმა საჩივარი შეიტანეს უზენაეს სასამართლოში. ამ უკანასკნელმა სასამართლო გადაწყვეტილება მხოლოდ ერთ ნაწილში შეცვალა; კერძოდ, დაადგინა, რომ ერთ-ერთ სადავო სახლს სხვა მესაკუთრე ჰყავდა და ჩამოსართმევი ქონების სიდიდან ამოიღო. განმცხადებლებმა ევროპულ სასამართლოს მიმართეს მათი საკუთრების უფლების დარღვევის დადგენის მოთხოვნით.

სამართალი - 1-ლი ოქმის 1-ლი პუნქტი:

განმცხადებლები ასაჩივრებდნენ ევროპული კონვენციით დაცულ საკუთრების უფლებასთან იმ ადმინისტრაციული წესის შეუსაბამობას, რომლითაც მათ ჩამოსართვეს ქონება. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს არ არის, უბრალოდ, ადმინისტრაციული კონფისკაციის წესი, მიუხედავად ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ტერმინისა – მისი გამოყენების წინაპირობა არის სისხლის სამართლის ბრალდება და გულისხმობს სამოქალაქო სამართალწარმოებასაც, რადგან თანამდებობის პირის და მისი ახლო გარემოცვის უკანონოდ მოპოვებული ან დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევას ისახავს მიზნად.

ჩარევის კანონიერება: ევროპული სასამართლოს შეფასებით, განმცხადებლის ქონების კონფისკაცია განხორციელდა 2004 წლის 13 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებით, რომლის სიცხადე, სიზუსტე ან განჭვრეტადობა ეჭვს არ იწვევდა.

განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ამ საკანონმდებლო ცვლილების უკუქცევითი ძალით გავრცელება მის მიღებამდე შექმნილ ქონებაზე უკანონო იყო. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს არ ყოფილა პირველი სამართლებრივი აქტი, რომელიც დაუსაბუთებელი ქონებისთვის თანამდებობის პირების პასუხისმგებლობას ადგენდა. ჯერ კიდევ 1997 წელს არსებობდა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ითვალისწინებდა კორუფციულ სამართალდარღვევებს და განსაზღვრავდა თანამდებობის პირების მიერ საკუთარი და ოჯახის წევრების კუთვნილი ქონების დეკლარირებისა და დასაბუთების ვალდებულებას, რისი შეუსრულებლობაც სისხლისსამართლებრივი,

⁵⁴ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%5B%22Gogitidze%22%2C%22languageisocode%22%3A%22ENG%22%2C%22documentcollectionid%22%3A%22JUDGMENTS%22%2C%22DECISIONS%22%2C%22itemid%22%3A%22001-154398%22%7D>

ადმინისტრაციული და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. ახალი საკანონმდებლო ცვლილებით მხოლოდ არსებული ანტიკორუფციული სტანდარტები განახლდა. ამასთან, კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული „კანონიერების“ მოთხოვნა, ჩვეულებრივ, არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს კანონმდებელს არ შეუძლია მიიღოს ახალი უკუქვევითი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც განგრძობით ფაქტობრივ მდგომარეობას და სამართალურთიერთობას ახლებურად მოაწესრიგებს.

ლეგიტიმური მიზანი: გასაჩივრებული სამართლებრივი აქტი იმ საკანონმდებლო პაკეტის ნაწილი იყო, რომელიც საჯარო სამსახურში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზანს ემსახურებოდა. ამ პაკეტს ჰქონდა როგორც პრევენციის, ასევე, კომპენსაციის დანიშნულება.

კომპენსაციის ასპექტი გულისხმობს თანამდებობის პირის უსაფუძვლო გამდიდრებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას - კანონიერი მესაკუთრისთვის ან, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოსთვის დაბრუნებას; მაგალითად, განსახილველ საქმეში პირველი განმცხადებლის ერთ-ერთი სახლი, რომელიც მას კანონიერი მესაკუთრისაგან ზენოლის გზით ჰქონდა მოპოვებული, დაუბრუნდა აღნიშნულ მესაკუთრეს. ეს არის მკაფიო სიგნალი თანამდებობის პირებისთვის (რომლებმაც უკვე ჩაიდინეს კორუფციული დანაშაული ან ფიქრობენ მომავალში ჩადენას), რომ უკანონო ქმედება საბოლოოდ მაინც არ მოუტანს მატერიალურ კეთილდღეობას მათ ან მათი ოჯახის წევრებს.

ჩარევის პროპორციულობა: განმცხადებელი სადავოდ ხდოდა სამართალწარმოების ორ ელემენტს: (ა) ეროვნული კანონმდებლობა უშვებდა განმცხადებლის ქონების ჩამორთმევას, როგორც უკანონოდ მოპოვებულის და დაუსაბუთებელის, მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა დამტკიცდებოდა. (ბ) სამართალწარმოებისას მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა განმცხადებელს.

იყო თუ არა ქონების ჩამორთმევის პროცედურა თვითნებური: კორუფციის წინააღმდეგ 2005 წლის გაეროს კონვენციის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალურ ქმედებათა ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების და დანაშაულებრივი შემოსავლების ჩამორთმევის შესახებ ევროპის საბჭოს ორი კონვენციის (1990 წლის და

2005 წლის) მხედველობაში მიღებით, ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ პირველი, არსებობს უნივერსალური და ევროპული სამართლებრივი სტანდარტები, რომლებიც სახელმწიფოებს მოუწოდებს სერიოზულ დანაშაულებთან (როგორცაა კორუფცია, ფულის გათეთრება, ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულები და სხვ.) დაკავშირებული ქონების კონფისკაციისკენ; მეორე, უკანონოდ მიჩნეული ქონების კანონიერი წარმოშობის მტკიცების ტვირთი აკისრია მოპასუხეს სამართალწარმოებისას, რომელიც არ არის სისხლის სამართლის; მესამე, კონფისკაციის ზომები გამოიყენება არა მარტო დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლის მიმართ, არამედ, ასევე, ისეთი ქონების მიმართაც, როგორცაა სხვა შემოსავალი და არაპირდაპირი სარგებელი, რომელიც დანაშაულიდან პირდაპირ მიღებული შემოსავლების გარდაქმნის, გაცვლის ან სხვა შესაძლო კანონიერ ქონებასთან შეერთების გზით არის მიღებული; ბოლოს, ჩამორთმევის ზომა გამოიყენება არა მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელიც დანაშაულში არის ეჭვმიტანილი, არამედ ნებისმიერი მესამე პირის მიმართაც, რომლის მესაკუთრეობა ქონების უკანონო გზით შექმნის შენიღბვას ისახავს მიზნად და არ შეესაბამება კეთილსინდისიერების მოთხოვნას.

სერიოზულ დანაშაულებთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებით, ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL), კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ანტიკორუფციული ქსელი (OECD-ACN for Transition Economies), ქვეყანაში არსებული კორუფციის საგანგაშო მაჩვენებლების გამო, გამუდმებით მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას, ისეთი საკანონმდებლო ზომების მიღებისკენ, რომლებიც უზრუნველყოფდა კორუფციული დანაშაულების გზით მოპოვებული ქონების კონფისკაციას და ამასთან, ქონების ჩამორთმევა მესამე პირებისგანაც უნდა ყოფილიყო შესაძლებელი. 2014 წლის 13 თებერვალს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით, საქართველომ ეს რეკომენდაცია შეასრულა და მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია კორუფციასთან ბრძოლის კუთხით.

ევროპული სასამართლო კანონიერად მიიჩნევს ეროვნული სასამართლოს მიერ კონფისკაციის გადაწყვეტილების მიღებას, იმ მტკიცებაზე დაფუძნებით, რომ მოპასუხეთა კანონიერი შემოსავლები ხსენებული ქონების შესაძენად საკმარისი არ იყო, მაშინაც, როდესაც გამოტანილი არ არის გამამტყუნებელი განაჩენი. ასეთ დროს ევროპული სასამართლო არ ითხოვს „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაკმაყოფილებას“. ამის ნაცვლად, უკანონო წარმოშობის მაღალი ალბათობა, მესაკუთრის მიერ მისი კანონიერი წარმომავლობის დასაბუთების შეუძლებლობასთან ერთად, საკმარისია კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული პროპორციულობის მიზნებისთვის. ასეთ ვითარებაში, კონვენცია ანიჭებს თავისუფლებას ქვეყნის ხელისუფლებას, გამოიყენოს კონფისკაციის ზომები არა მარტო ბრალდებულის, არამედ მისი ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების მიმართაც, რომლებიც ბრალდებულის სახელით და მისი არაფორმალური დავალებით ფლობენ და მართავენ უკანონოდ მოპოვებულ ქონებას.

მოქმედებდა თუ არა ეროვნული სასამართლო თვითნებობის გარეშე: აჭარის უმაღლესმა სასამართლომ პროკურატურის საჩივარი და შესაბამისი დოკუმენტები გადაუგზავნა ოთხივე განმცხადებელს, რათა წარმოედგინათ შესაგებლები და მონაწილეობა მიეღოთ ზეპირ მოსმენაში. პირველმა და მეოთხე განმცხადებელმა საკუთარი საპროცესო უფლებები არ გამოიყენეს და სასამართლოს წინაშე არ გამოცხადნენ. პირველი განმცხადებლის განმარტება, რომ იგი სისხლისსამართლებრივ გამოძიებას გაეყვა, არგუმენტად არ გამოდგება, რადგან მას და მეოთხე განმცხადებელს შეეძლოთ, პირველი ინსტანციის სასამართლოში საკუთარი ინტერესების დასაცავად ადვოკატები დაენიშნათ, როგორც ეს მათ საკასაციო ეტაპზე გააკეთეს. მეორე განმცხადებელი პირველი ინსტანციის სასამართლოში დამცველთან ერთად იყო წარმოდგენილი. ქონების კანონიერ წარმომავლობასთან დაკავშირებით მისი ზოგიერთი არგუმენტი და მტკიცებულება სასამართლომ გაიზიარა და კონკრეტული უძრავი ქონება ჩამოსართმევი ქონების სიიდან ამოიღო.

საქმის საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო წესით განხილვისას განმცხადებლებმა ისარგებლეს შეჯიბრებითი პროცესით. მათ

ევროპული სასამართლოს წინაშე სადავოდ გახადეს საქმეზე ეროვნული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები. ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ მისი კომპეტენცია არ არის ქვეყნის შიდა სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების საკუთარი შეფასებით ჩანაცვლება და მტკიცებულებების გამოკვლევა ქვეყნის შიდა სასამართლოს უფრო ხელეწიფება.

ევროპული სასამართლო არ იზიარებს განმცხადებლების არგუმენტს, რომლის მიხედვით, მათ ქონება ჩამოართვეს მხოლოდ დაუსაბუთებელი ეჭვის საფუძველზე. წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით დასტურდებოდა, რომ პირველი განმცხადებლის ქონებასა და შემოსავლებს შორის არსებობდა არსებითი სხვაობა. ამასთან, სხვა განმცხადებლებს არ ჰქონდათ შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროები.

საქმეში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ განმცხადებლებმა ვერ შეძლეს საკუთარი არგუმენტების წარმოდგენა ან ეროვნული სასამართლოების დასკვნები იყო თვითნებური.

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს აქვს ფართო შეფასების არე საჯარო სამსახურში კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკის განსაზღვრის ნაწილში და ასევე, განმცხადებლებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ესარგებლათ შეჯიბრებითი პროცესით, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლების ქონების ჩამორთმევის პროცედურა არ არღვევს სამართლიანი ბალანსის მოთხოვნას.

დასკვნა:

კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი: არ არის დარღვევა.

შენიშვნა: კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი:

აღნიშნულ მუხლს აქვს ორი ასპექტი: ვინრო ასპექტი, რომელიც სასამართლო პროცესს უკავშირდება და ფართო ასპექტი, რომელიც გარკვეული გარემოებების არსებობისას სცილდება სასამართლო პროცესს. ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ აღნიშნულ საქმეზე პირველი განმცხადებლისთვის ქონება არ ჩამოურთმევიათ მისი მსჯავრდების შემდეგ; ამის საპირისპიროდ, ქონების ჩამორთმევა წინ უსწრებდა სამართალწარმოების დასრულებას. შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის უფრო ფართო გაგება, რომლის დანი-

შნულება არის უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დარღვევის პრევენცია მას შემდეგ, რაც პროცესი სრულდება გამამტყუნებელი განაჩენისგან განსხვავებული შედეგით (მაგ. გამართლებელი განაჩენი, სისხლის სამართლის წარმოების შეწყვეტა ხანდაზმულობის გამო, ბრალდებული პირის გარდაცვალება და სხვ.), არ არის რელევანტური განსახილველ საქმეში. რაც შეეხება კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ვინრო გაგებას, რომლის დანიშნულებაცაა ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა ექსკლუზიურად სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ მის მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ქონების ჩამორთმევა, დამნაშავეობის დადგენის გარეშე, ატარებს პრევენციულ ან/და კომპენსაციის ხასიათს და არა სადამსჯელოს. შესაბამისად, არ იწვევს კონვენციის ზემოთ მითითებული დებულების გამოყენებას და მისი დარღვევის დადგენის მოთხოვნა დაუშვებელია.

**სონიაკინა საქართველოს
წინააღმდეგ⁵⁵
KHONIAKINA V. GEORGIA
№ 17767/08; 19.06.2012**

უზენაესი სასამართლოს ყოფილი წევრის პენსიის ოდენობის განსაზღვრის წესის ცვლილება: არ არის დარღვევა

ფაქტები: განმცხადებელი-ადელინა ხონიაკინა იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე 1956 წლიდან. 2000 წლის 4 მაისს, საპენსიო ასაკის დადგომის გამო, მისი უფლებამოსილება შეწყდა და „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის თანახმად, დაენიშნა სამისდღეშიო პენსია 1,073 ლარის ოდენობით, რაც უთანაბრდებოდა მის ბოლო სახელფასო განაკვეთს. მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პენსიის ოდენობა უნდა შეცვლილიყო

მოქმედი მოსამართლის სახელფასო განაკვეთის ზრდის შესაბამისად. მოგვიანებით, აღნიშნულმა კანონმა განიცადა არაერთი ცვლილება და ზემოთ მითითებული ჩანაწერი 2001 წელს ჯერ ამოიღეს, შემდეგ სახეშეცვლილი სახით, ისევ დაამატეს 2005 წელს. განმცხადებელმა გაასაჩივრა პირველი ცვლილების შედეგად მისი მდგომარეობის გაუარესება, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. ქალბატონ ხონიაკინას სრულად აუნაზღაურდა განაცდური, რომელიც უნდა მიეღო იმ პერიოდში, როდესაც ჩანაწერი გაუქმებული იყო. 2005 წლის ცვლილებით დადგინდა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას ან საპენსიო ასაკის მიღწევისას ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია 1.200 ლარის ოდენობით. შესაბამისად, განმცხადებლის მიმართ არ გავრცელდა პენსიის ოდენობის ცვლილება მოქმედი მოსამართლის სახელფასო განაკვეთის ზრდის შესაბამისად. ქალბატონმა ხონიაკინამ გაასაჩივრა აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების კანონიერება, მაგრამ ამჯერად მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა. განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოს მიმართა მისი საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის უფლებისა და საკუთრების უფლების დარღვევის დასადგენად.

სამართალი - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: განმცხადებლის უფლება, მიიღოს სამისდღეშიო პენსია ხელფასის სრული ოდენობით, რომელიც უნდა დაკორექტირდეს უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეთა ხელფასის ზრდის შესაბამისად, „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის იმ დებულების საფუძველზე, რომელიც განმცხადებლის პენსიაზე გასვლის დროისთვის მოქმედებდა, წარმოშობს საკუთრების უფლებას კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე; უფრო მეტიც, პენსიის ოდენობის ცვლილების შესახებ მოთხოვნის შეწყვეტა, 2005 წლის საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც ჩარევა მისი საკუთრებით მშვიდობიან სარგებლობაში.

ჩარევის კანონიერება: განმცხადებლის პენსიის მიღების უფლებაში ჩარევა განხორციელდა 2005 წლის 23 დეკემბრის, მკაფიოდ ფორმულირებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე და შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოების მიერ მისი გამოყენება არ ყოფილა თვითნებური.

⁵⁵ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%22Khoniakina%22%22documentcollectionid%22%3A%22GRAND-CHAMBER%22%22CHAMBER%22%22item%22%3A%222001-111521%22%7D>

ჩარევის ლეგიტიმური მიზანი და პროპორციულობა: ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნული ხელისუფლება, საერთაშორისო მოსამართლესთან შედარებით, არის უკეთეს პოზიციაში, გადანაცვით, რა არის „საზოგადოების საჭიროება“ და ეს მიდგომა განსაკუთრებით ფართო მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც საფრთხის ქვეშ არის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება. ევროპული სასამართლოსთვის მისაღებია მთავრობის არგუმენტი, რომ სადავო საკანონმდებლო ცვლილება ემსახურებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის მდგრადობისა და სახელმწიფო სახსრების რაციონალიზაციის ლეგიტიმურ მიზნებს.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს გადანაცვეტილება, დაენიშნა განმცხადებლის სამისდღეშიო პენსია მისი ხელფასის სრული ოდენობით, რომლის ცვლილება შესაძლებელი იქნებოდა მოქმედ მოსამართლეთა ხელფასის მატების შესაბამისად, იყო ქალბატონ ხონიაკინას, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, ქვეყნის წინაშე დამსახურების საჯარო აღიარება. მართალია, ხელფასის მატების წესი გაუქმდა, მაგრამ 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილებამ განმცხადებელს მისცა უფლება, მიეღო თანხა 1.200 ლარის ოდენობით. გასათვალისწინებელია, რომ საპენსიო დახმარების ახალი ოდენობა ოდნავ აღემატებოდა მის ბოლო სახელფასო განაკვეთს და, აგრეთვე, გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე საშუალო პენსია საქართველოში; შესაბამისად, სპეციალური და უფრო გულუხვი კეთილდღეობის სქემის იდეა კვლავ მოქმედებდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ და განმცხადებლის მიერ სპეციალური საპენსიო დახმარებით სარგებლობის არსი არ დარღვეულა.

ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილება არ ყოფილა იზოლირებული ცვლილება, არამედ შეადგენდა ყოფილი სახელმწიფო მოხელეების საპენსიო სისტემის რეფორმის ნაწილს. შესაბამისად, არ შეიძლება ითქვას, რომ საპენსიო რეფორმამ დააკისრა ქალბატონ ხონიაკინას, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მცირე ჯგუფის წარმომადგენელს, ინდივიდუალური და ზედმეტი ტვირთი.

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს შეფასების არე ფართოა კომპლექსურ გარდამა-

ვალ ვითარებებში სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას, განმცხადებლის ხელფასში ცვლილების მოთხოვნის შეწყვეტა არ ყოფილა არაპროპორციული ჩარევა.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მოითხოვს სასამართლოსგან, იყოს მიუკერძოებელი. „მიუკერძოებლობა“ გულისხმობს წინასწარი განწყობისა და პირადი დაინტერესების არარსებობას. ევროპულმა სასამართლომ მოცემულ საქმეში ეროვნული მოსამართლის მიუკერძოებლობა დაადგინა როგორც სუბიექტურ ტესტზე დაყრდნობით - რაც გულისხმობს კონკრეტული მოსამართლის პირადი ინტერესის არარსებობას - ასევე, ობიექტური ტესტის გამოყენებით, რაც გულისხმობს იმის გარკვევას, უზრუნველყო თუ არა მოსამართლემ საკმარისი გარანტიები რაიმე ლეგიტიმური ეჭვის გამოსარიცხად ამ თვალსაზრისით.

იმის გადასაწყვეტად, განსახილველ საქმეში არსებობს თუ არა კანონიერი საფუძველი შიშისთვის, რომ ეს მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული, მხარის პოზიცია არის მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადამწყვეტი. მთავარია, ეს შიში რამდენად გამართლებულია ობიექტურად. ამ თვალსაზრისით, გარეგნულ ნიშნებსაც კი აქვთ გარკვეული მნიშვნელობა. ამ დროს საფრთხის ქვეშ არის ნდობა, რომლის ინსპირირება უნდა შეძლოს სასამართლომ დემოკრატიულ საზოგადოებაში და უნინარესად, სამართალწარმოების მხარეებისგან.

განსახილველ საქმეში განმცხადებელი ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ მოსამართლე ს. მონაწილეობდა მის მიერ საპენსიო უფლებასთან დაკავშირებით ინიცირებულ ორივე სამართალწარმოებაში. ევროპული სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული არ შეიძლება იქნეს მიჩნეული განმცხადებლის წინააღმდეგ რაიმე პერსონალური ინტერესის არსებობის საკმარის მტკიცებულებად მეორე საქმის განხილვისას.

ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მთავრობის არგუმენტი იმის შესახებ რომ ორი დავა თემატურად დაკავშირებული იყო ერთმანეთთან, მაგრამ ეს არ ყოფილა „იგივე საქმე“ ან „იგივე გადანაცვეტილება“, ვინაიდან ეხებოდა განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ დებულებებს. უფრო მეტიც, თუ გავითვალისწინებთ უზენაესი სასამართლოს შესაბამის პალატაში

მოსამართლეთა შეზღუდულ რიცხოვნობას, ხშირად გარდაუვალია, და ბუნებრივიცაა, რომ ერთი და იგივე მოსამართლე ჩართულია ისეთი საკითხის განხილვაში, რომლის შესახებ მას უკვე გამოთქმული აქვს მოსაზრება დაუკავშირებელ, მაგრამ მსგავს საქმეებში სამართალწარმოებისას საკასაციო ეტაპზე. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მოსამართლე ს. ჩართული იყო ქალბატონ ხონიაკინას ორივე მსგავს, მაგრამ ერთმანეთთან დაუკავშირებელი დავის განხილვის პროცესში, ობიექტური თვალთახედვიდან არ ამართლებს განმცხადებლის ეჭვს, რომ მოსამართლე გახდა მიკერძოებული მეორე საქმის განხილვისას.

დასკვნა:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: არ არის დარღვევა;

კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი: არ არის დარღვევა.

**საღინაძე და სხვები - საქართველო⁵⁶
SAGHINADZE AND OTHERS - GEORGIA
№18768/05; 27.05.2010**

იძულებით გადაადგილებული პირების ძალის გამოყენებით გამოსახლება სახელმწიფოს მიერ გადაცემული საცხოვრებელიდან: დარღვევა

ფაქტები: პირველი და მეორე განმცხადებლები - ბათალები და ლია საღინაძეები არიან ცოლ-ქმარი; მათი ვაჟი - მესამე განმცხადებელი და მისი მეუღლე - მეოთხე განმცხადებელი; მეხუთე და მეექვსე განმცხადებლები არიან პირველი და მეორე განმცხადებლების ქალიშვილები. განმცხადებლები, გარდა მეოთხე განმცხადებლისა, არიან იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთიდან. პირველ განმცხადებელს მაღალი თანამდებობა ეკავა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში. 1994 წელს საქართველოს შს მინისტრმა მას შესთავაზა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტი. პირველმა განმცხადებელმა, როგორც

სამინისტროს თანამშრომელმა და ამავედროულად, დევნილმა, მიიღო კოტეჯი თბილისის გარეუბანში, სადაც ოჯახთან ერთად შესახლდა. განმცხადებლებმა დაიწყეს კოტეჯის მიმდებარე ტერიტორიით სარგებლობა; დარგეს ხილი და ბოსტნეული, მოაშენეს შინაური ფრინველები და ცხოველები. მოგვიანებით, საღინაძეების ოჯახმა უსასყიდლოდ შეიფარა რვა უსახლკარო ნათესავი, რომლებიც, ასევე, აფხაზეთიდან იყვნენ დევნილები. 1998 წელს პირველი განმცხადებელი გავიდა პენსიაზე. 2000 წლის 20 აპრილს სამინისტრომ გასცა წერილი, რომელიც ადასტურებდა პირველი განმცხადებლის მიერ კოტეჯისა და მიმდებარე ტერიტორიის ფლობის მართლზომიერებას. წერილის თანახმად, საკუთრება იყო დროებითი ხასიათის, თუმცა, პერიოდი არ ყოფილა დაკონკრეტებული.

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ახლად დანიშნულმა შს მინისტრმა გამოიძახა პენსიაზე გასული პირველი განმცხადებელი და სთხოვა, ეხელმძღვანელა ფეხბურთელ კახი კალაძის ძმის მკვლელობის გახმაურებული საქმის გამოძიებისათვის. შს მინისტრის ბრძანებით, იგი დააწინაურეს, მიანიჭეს პოლიციის პოლკოვნიკის წოდება და დანიშნეს დამოუკიდებელი საგამოძიებო ერთეულის უფროსად. პირველი განმცხადებლის ხელმძღვანელობით, გამოვლინდა გარემოებები, რომლებიც, სავარაუდოდ, პრობლემებს უქმნიდა ზოგიერთ მაღალჩინოსანს. 2004 წლის 30 მარტს გენერალურმა პროკურორმა ბატონმა ი. ო.-მ პირადად სთხოვა პირველ განმცხადებელს, შეეწყვიტა საქმის გამოძიება. მოგვიანებით, აღნიშნული პირი გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გადაიყვანეს შს მინისტრის პოსტზე. სავარაუდოდ, ახლად დანიშნულმა მინისტრმა პირველი განმცხადებელი ჩამოაშორა კალაძის საქმეს და 2004 წლის 26 ივნისს დამამცირებელი ფორმით გამოაძევა კაბინეტიდან. 2004 წლის 13 ოქტომბერს ბატონმა საღინაძემ ეროვნული უშიშროების საბჭოს – საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს გადასცა კონფიდენციალური ფაილი, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას ბატონი ი. ო.-სა და სხვა მაღალჩინოსნების მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესახებ.

2004 წლის 25 ოქტომბერს პოლიცია მივიდა საღინაძეების ოჯახში და, შს მინისტრის გაცემული ზეპირი განკარგულების საფუძველზე, მოსთხოვა კოტეჯის დაცლა. განმცხადებელი არ

⁵⁶ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%22Saghinadze%20And%20Others%22%22documentcollectionid%22%3A%22GRANDCHAMBER%22%22CHAMBER%22%22itemid%22%3A%22001-98885%22%7D>

დაემორჩილა ამ მოთხოვნას, რადგან პოლიციას არ წარმოუდგენია სასამართლოს ბრძანება ან სხვა წერილობითი ნებართვა უძრავი ქონების ჩამორთმევის შესახებ. იგივე განმეორდა პოლიციის მეორე მცდელობისას. მესამედ უკვე ოჯახი სამოცმა ნიღბიანმა შეიარაღებული სპეცდანიშნულების ძალების წარმომადგენელმა იძულების წესით გამოასახლა.

განმცხადებლებმა აღნიშნული ფაქტი სასამართლოში გაასაჩივრეს, მაგრამ უშედეგოდ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, პირველ განმცხადებელს შეეძლო მფლობელობის აღდგენა კოტეჯზე მესაკუთრისაგან - მოპასუხე სამინისტროსაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ კოტეჯის თავდაპირველი ფლობა იქნებოდა ლეგიტიმური. სასამართლომ შს სამინისტროს 2000 წლის 20 აპრილის წერილი არ მიიჩნია იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად და განმარტა, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მხოლოდ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გააჩნდა კერძო პირებთან ასეთი ტიპის გარიგებების დადების კომპეტენცია; ასევე, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო იყო უფლებამოსილი, გადაეწყვიტა იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ ამ უკანასკნელს არ შეუთავაზებია კოტეჯი პირველი განმცხადებლისათვის, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ბინით დაკმაყოფილების გარანტია არ ვრცელდებოდა მოცემულ სიტუაციაზე. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სამინისტრო, როგორც კოტეჯის კანონიერი მფლობელი, უფლებამოსილი იყო, გამოესახლებინა სალინაძეების ოჯახი. განმცხადებლებმა საკუთრების უფლებისა და საცხოვრებლის პატივისცემის უფლების დარღვევა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრეს.

სამართალი - პირველი ოქმის პირველი მუხლი:

I. იყო თუ არა „მფლობელობა“: საქმის მასალებზე დაფუძნებით, ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ პირველი განმცხადებელი მის ოჯახთან ერთად კოტეჯში შესახლდა კანონიერად. შენობა მას შესთავაზა მისმა დამსაქმებელმა – შს

სამინისტრომ. ევროპული სასამართლო არ იზიარებს პრეზიდენტის 1997 წლის 8 სექტემბრის ბრძანებულებას და „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ 1996 წლის 28 ივნისის კანონს იმის დასასაბუთებლად, რომ მხოლოდ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გააჩნდათ პირველი განმცხადებლის კოტეჯში შესახლების უფლებამოსილება, ვინაიდან განმცხადებლის ჩასახლება 1994 წელს წინ უსწრებდა აღნიშნული ნორმატიული აქტების მიღებას. არსებობდა მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 29 ოქტომბრის ბრძანება, რომელიც ნათლად მიუთითებს, რომ სამინისტრო უფლებამოსილი იყო, კოტეჯი გამოეყენებინა აფხაზეთიდან დევნილი თანამშრომლების ჩასახლებლად; თუმცა, იმის დაშვებითაც კი, რომ არსებობდა კოტეჯის პირველი განმცხადებლისათვის გადაცემის უფრო შესაფერისი ფორმალური პროცედურა, ვიდრე ეს არის კერძო სამართლის ჩვეულებრივი გარიგება, სამინისტროს მიერ ჩადენილი ეს შეცდომა არ შეიძლება მიენეროს პირველ განმცხადებელს და არ იძლევა ისეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს, თითქოს იგი თვითნებურად შესახლდა კოტეჯში. ევროპული სასამართლო ითვალისწინებს პირველი განმცხადებლის მოსაზრებას, რომ 1993-1994 წლებში საქართველოში არსებული ჰუმანიტარული კრიზისის გათვალისწინებით, რა დროსაც ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა დაეხმებინა დაახლოებით 300.000 იძულებით გადაადგილებული პირი აფხაზეთიდან, ნაკლებად რეალისტური იყო მთავრობის მიერ ყველა ფორმალურობის დაცვა ბინების გამოყოფის საკითხთან დაკავშირებით.

ევროპული სასამართლო დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ სამინისტროს მიერ კოტეჯის პირველი განმცხადებლისათვის დროებით თავშესაფრად გადაცემის შემდგომ, სახელმწიფომ, სხვადასხვა ნორმატიული აქტების შემოღებით, დაამტკიცა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები საბინაო სექტორში და შეიმუშავა სტაბილური გარანტიები მათ დასაცავად; კერძოდ, საქართველოს კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ აღიარებდა, რომ დევნილთა მიერ საცხოვრებლის კეთილსინდისიერი ფლობა წარმოდგენდა მატერიალურ უფლებას. ამგვარად, შეუძლებელი იყო იძულებით გადაადგილებული

პირის საცხოვრებელიდან გამოსახლება მისი ნების წინააღმდეგ ალტერნატიული თავშესაფრის ან ფულადი კომპენსაციის შეთავაზების გარეშე. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ „ხინთიბიძისა და სხვების“ საქმეზე 2001 წლის 28 ნოემბერს გამოტანილ განჩინებაში დაადასტურა, რომ იძულებით გადაადგილებული პირის დროებითი საცხოვრებელი, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა ასეთ პირს რეგისტრირებული საკუთრების უფლება, წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსში მოცემული მფლობელობის წესებით დაცულ უფლებას.

II. ჰქონდა თუ არა ადგილი ჩარევას: სახელმწიფომ განახორციელა ჩარევა და ეს უნდა შეფასდეს კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის ზოგადი წესის ფონზე.

III. იყო თუ არა ჩარევა გამართლებული: მოცემულ საქმეში განმცხადებლები გამოასახლეს და მფლობელობა ჩამოართვეს სასამართლო ნებართვის გარეშე. მთავრობამ მოიშველია შს მინისტრის „ზეპირი ბრძანების“ არსებობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ზეპირი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა დაიშვებოდა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც საფრთხეში იყო საჯარო ინტერესი ან სხვა პირთა უფლებების დაცვა. ევროპული სასამართლოსათვის გაუგებარია, თუ რატომ დადგა ასე მწვავედ პირველი განმცხადებლის მიერ კოტეჯის დაკავების საკითხი, როცა იგი ოჯახთან ერთად იქ ათ წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა მშვიდობიანად. უფრო მეტიც, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მინისტრს ბრძანება ხელახლა უნდა გამოეცა წერილობითი ფორმით სამი დღის ვადაში; ამ შემთხვევაში მან ეს არ გააკეთა.

მთავრობამ განაცხადა, რომ ადგილობრივმა სასამართლომ მოგვიანებით დაამტკიცა პირველი განმცხადებლის გასახლება და მფლობელობის ჩამორთმევა. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ შეჭმრებითი პროცესი, რომელიც მხარეებს საშუალებას მისცემდა, გამოეყენებინათ ეფექტიანი საპროცესო ზომები თვითნებური ქმედებების წინააღმდეგ, უნდა ყოფილიყო აღნიშნული ჩარევის წინმსწრები.

ადგილობრივმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს იმის აღიარება, რომ პირველმა განმცხადებელმა მიიღო კოტეჯი და კეთილსინდისიერად, უწყ-

ვეტად ფლობდა მას 10 წლის განმავლობაში. სასამართლოებს, ასევე, მხედველობიდან გამორჩათ ის გარემოება, რომ განმცხადებლისათვის მფლობელობის ჩამორთმევა და გასახლება მოხდა მოქმედი ადგილობრივი კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ.

რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ადგილობრივმა სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს პირველი განმცხადებელი სათანადო დაცვით „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ კანონის საფუძველზე, რადგან მისთვის საცხოვრებელი არ შეთავაზებია კომპეტენტურ უწყებას. სასამართლოსათვის მიუღებელია ამ კანონის ასეთი ფორმალისტური ინტერპრეტაცია, რომლის არსიც აბსოლუტურად საწინააღმდეგოს გულისხმობდა – იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების, მათ შორის, ბინით უზრუნველყოფის უფლების დადასტურებას სახელმწიფოს, როგორც ერთი მთლიანის და არა რომელიმე კონკრეტული აღმასრულებელი უწყების მიერ. ნათელია, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა შესახებ“ კანონის შემოღებით, საქართველო მიზნად ისახავდა უსახლკაროდ დარჩენილ დევნილთა მდგომარეობის შექმნისდაგვარად შემსუბუქებას.

ევროპული სასამართლო, ასევე, მიუთითებს, რომ უზენაესი სასამართლოს პოზიცია პირველი განმცხადებლის სიტუაციისადმი ეწინააღმდეგება მისსავე გადანყვეტილებას, რომელიც მან მსგავს საქმეზე – „ხინთიბიძე და სხვები“ გამოიტანა 2001 წლის 28 ნოემბერს. ამ საქმეში უზენაესმა სასამართლომ სახელმწიფო უწყებას აუკრძალა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საცხოვრებელი შენობის ჩამორთმევა დევნილთათვის, რომლებიც, პირველი განმცხადებლის მსგავსად, აღნიშნულ შენობაში 1993 წლიდან ცხოვრობდნენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ნებართვის გარეშე. როდესაც ასეთი აშკარად ურთიერთსაწინააღმდეგო გადანყვეტილებები მომდინარეობს ერთი და იმავე ინსტანციიდან და ამ შეუსაბამობის გონივრული ახსნა-განმარტება არ არის წარმოდგენილი, იქმნება თვითნებურობის შთაბეჭდილება.

ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ ჩარევა განმცხადებლების მფლობელობის მშვიდობიან სარგებლობაში არ იყო კანონიერი და პროცესი არ შეესაბამებოდა სამართლიანობის მოთხოვნებს. ამ დასკვნის ფონზე, ზედმეტია იმის გარკვევა,

ჩარევა მართლზომიერ მიზნებს ემსახურებოდა თუ არა, და დადებითი პასუხის შემთხვევაში, იყო თუ არა დაცული სამართლიანი ბალანსი.

კონვენციის მე-8 მუხლი: სასამართლოს უდავოდ მიაჩნია, რომ კოტეჯის ჩამორთმევა, რომელიც იყო პირველი განმცხადებლის ბინა 10 წელზე მეტ ხანს, წარმოადგენდა უკანონო ჩარევას მისი საცხოვრებლის პატივისცემის უფლებაში.

დასკვნა:

კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი: დარღვევა;

კონვენციის მე-8 მუხლი: დარღვევა;

კონვენციის 41-ე მუხლი: 15 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის; 752 ევრო განუღებელი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის;

თუ კოტეჯის დაბრუნება შეუძლებელი იქნება, მოპასუხე სახელმწიფომ პირველი განმცხადებელი, როგორც იძულებით გადაადგილებული პირი, უნდა უზრუნველყოს შესაფერისი საცხოვრებელი ან გონივრული კომპენსაციით ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან 6 თვის ვადაში, ევროპული სასამართლო თავად დაადგენს მთავრობის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობას

შენიშვნა: აგრეთვე, დადგინდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების დარღვევა.

კლაუს და იური კილაძეები - საქართველო⁵⁷

KLAUS AND YURI KILADZE - GEORGIA
№ 7975/06; 02.02.2010

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ კომპენსაციის გაუცემლობა შესაბამისი ნორმატიული აქტის არარსებობის გამო: დარღვევა

ფაქტები: კლაუს და იური კილაძეები ძმები არიან, დაბადებულნი, შესაბამისად, 1926 და 1928 წლებში. 1937 წელს მათ მამა დაუხვრიტეს. 1938

წელს მათი დედა გადაასახლეს საბჭოთა კავშირის უკიდურეს ჩრდილოეთ მხარეში, სპეციალურ საპატიმრო ბანაკში. ბავშვებს, დაპატიმრების შიშით, მეზობლებიც ვერ ეკარებოდნენ. თავდაპირველად, თვენახევრის მანძილზე, განმცხადებლები მოათავსეს ქ. თბილისის ბავშვთა მიმღებში. იქ არსებული ცუდი კვებისა და სიბინძურის გამო, ძმები ტიფით დაავადდნენ. ამის შემდეგ, ისინი უდედმამო ბავშვთა თავშესაფარში გადაიყვანეს, სადაც ორი წელიწადი გაატარეს. როგორც „სამშობლოს მტრის“ შვილებს, მათ იქ მუდმივად სცემდნენ და შეურაცხყოფდნენ. გარდა ამისა, ერთ გრძელ ჭილოფზე ხუთ ბავშვს უწევდა დაძინება და იმავე ოთახში მდებარე ხის კასრს საპირფარეშოდ იყენებდნენ. განმცხადებლებს რწილები გაუჩნდათ და მუნი შეეყარათ. დედის დაპატიმრებისთანავე, მათ თბილისში მდებარე 90 მ² ფართობის საცხოვრებელი სახლი სხვა პირად თუ საოჯახო ნივთებთან ერთად ჩამოართვეს. 1940 წელს კლაუს და იური კილაძეების ბებია მათი მეურვეობის უფლება მიიღო. 1945 წელს მათი დედა გაათავისუფლეს და თბილისში მძიმედ დაავადებული დაბრუნდა.

1956-1957 წლებში განმცხადებლების მშობლები სამხრეთ კავკასიის სამხედრო სასამართლომ რეაბილიტირებულებად ცნო. 1998 წლის 16 მარტს ძმებმა საბურთალოს რაიონის სასამართლოს სარჩელით მიმართეს და მოითხოვეს მათი და მათი მშობლების პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლებად აღიარება, რაც სრულად დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, მათ 2005 წლის 15 მარტს მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით თითოეულისათვის 515 000 ლარის ოდენობით. ისინი ეყრდნობოდნენ 1997 წლის 11 დეკემბრის „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლს, რომელიც ძალაში შევიდა 1998 წლის პირველ იანვარს. 2005 წლის 2 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა საკასაციო სარჩელი - მატერიალური ზიანის მოთხოვნა უარყო, რადგან გაიზიარა საოლქო სასამართლოს პოზიცია ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებით საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის ნაწილში და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უარყო იმ მოტივით, რომ შესაბამისი

⁵⁷ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Klaus%20and%20Yuri%20Kiladze%22%5D,%22languageiso-code%22:%5B%22ENG%22%5D,%22documentcollectionid%22:%5B%22JUDGMENTS%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-97083%22%5D%7D>

ნორმატიული აქტი, რომელზეც მიუთითებდა ზემოთ ხსენებული მე-9 მუხლი, საქმის განხილვის დროისთვის არ იყო მიღებული. განმცხადებლებმა, მითითებული კანონის არარსებობა, როგორც მათი საკუთრების უფლების დარღვევის საფუძველი, ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრეს.

სამართალი - 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი: აღნიშნული მუხლით დაცული საკუთრების უფლების ეფექტიან განხორციელებას აბრკოლებს მორალური ზიანისათვის კომპენსაციის განსაზღვრისა და გაცემის შესახებ კანონის მიუღებლობა.

აღნიშნული კანონის მიღებას 1997 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-9 მუხლი ითვალისწინებდა მოგვიანებით, რაც იყო ხელისუფლების უმოქმედობის საფუძველი. შესაბამისად, განმცხადებელთა საკუთრების უფლებაში ჩარევა, გარკვეულწილად, „კანონით იყო გათვალისწინებული“. ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს ამ უმოქმედობის ბუნებასა და შედეგებს, რათა განსაზღვროს, დაიცვა თუ არა საქართველოს ხელისუფლებამ ზუსტი ბალანსი საზოგადოებრივ ინტერესსა და პირის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის იმპერატივს შორის. ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ სახელმწიფოებს შეფასების ფართო არე გააჩნიათ; თუმცა, შეფასების შესაძლებლობა განუსაზღვრელი არ არის და ის კონვენციის ორგანოების კონტროლს ექვემდებარება.

განსახილველ საქმეში საქართველოს მთავრობას არ წარმოუდგენია ახსნა-განმარტება ქვეყნისთვის იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ფინანსური შედეგების შესახებ, რომლებიც, შესაძლოა, განმცხადებლებისთვის კომპენსაციის განსაზღვრას გამოეწვია. ნებისმიერ შემთხვევაში, იმის დაშვებითაც კი, რომ სახელმწიფოს უმოქმედობა კანონიერ მიზანს ემსახურებოდა, საქმეში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ზუსტად იყო დაცული ბალანსი პირისა და საზოგადოების ინტერესებს შორის; კერძოდ, ევროპული სასამართლო ვერ ხედავს მიზეზებს, რომელთა გამოც სახელმწიფომ არ შეასრულა ვალდებულება, მაშინ როდესაც მას 11 წელიწადზე მეტი დრო ჰქონდა იმისთვის, რომ რაიმე ნაბიჯი გადაედგა 1997 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული კანონის მიღების პროცესის ინიცირების მიზნით; კერძოდ, ზუსტად განესაზღვრა მსხვერპლთა რაოდენობა,

განხორციელებინა ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური კვლევა საზოგადოების იმ წევრთა დანაკარგების შესახებ, რომლებსაც აღნიშნული პროცესი შეეხო.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, საქართველოს ხელისუფლება ვალდებული იყო, მოეხდინა თანმიმდევრული რეაგირება. ვინაიდან ქვეყანამ გააკეთა მორალური და ფინანსური არჩევანი საბჭოთა რეჟიმის მიერ დევნილი მისი მოქალაქეების სასარგებლოდ, მას, სულ მცირე, საქართველოსთან მიმართებით კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ მაინც უნდა მიეღო ზომები და ჩაეტარებინა სამუშაოები, რათა განმცხადებლები განუსაზღვრელი დროით არ ყოფილიყვნენ გაურკვევლობაში. ამ უკანასკნელებს არ გააჩნდათ ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალება ამ ვითარებაში თავის დასაცავად. ასეთი მიდგომით, ხელისუფლება, ხანდაზმულ განმცხადებლებს, ფაქტობრივად, ტოვებს ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე, სიცოცხლეში ისარგებლონ მათთვის 1997 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მინიჭებული უფლებით.

რამდენიმე წლის განმავლობაში სახელმწიფოს სრული უმოქმედობის გამო, ბატონმა კილაძეებმა ვერ შეძლეს, გონივრულ ვადაში, ეფექტიანად ესარგებლათ კომპენსაციის მიღების უფლებით, რის გამოც განიცადეს არაპროპორციული და გადაჭარბებული შედეგები, რაც გაუმართლებელია.

დასკვნა:

კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი: დარღვევა; **კონვენციის 41-ე მუხლი:** 3 537 ევრო განუღო ხარჯებისა და დანახარჯებისთვის; იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ექვსი თვის ვადაში არ გაატარებს საჭირო საკანონმდებლო და სხვა სახის ზომებს, თითოეულ განმცხადებელს გადაუხდის 4 000 ევროს არამატერიალური ზიანისათვის.

იხ. აგრეთვე: *Zammit and Vassallo v. Malta*, no. 43675/16, 28 May 2019; *Bélané Nagy v. Hungary*, no. 53080/13, 13 December 2016; *Beyeler v. Italy*, no. 33202/96, 5 January 2000; *Silickienė v. Lithuania*, no. 20496/02, 10 April 2012; *Phillips v. the United Kingdom*, no. 41087/98, 12 December 2001; *Arcuri and Others v. Italy*, no. 52024/99, 5 July 2001; *Butler v. the United Kingdom* no. 41661/98, 27 June 2002; *Webb v. the United Kingdom* no. 56054/00, 10 February 2004;

and *Saccoccia v. Austria*, no. 69917/01, 18 December 2008; *Silickienė v. Lithuania*, no. 20496/02, 10 April 2012; *Phillips v. the United Kingdom*, no. 41087/98, 5 July 2011; *Jahn and Others v. Germany*, no. 46720/99, 72203/01 and 72552/01, 30 June 2005; *Azienda Agricola Silverfunghi S.a.s. and Others v. Italy*, nos. 4 8357/07, 52677/07, 52687/07 and 52701/07, 24 June 2014; *Terazzi S.r.l. v. Italy*, no. 27265/95, 17 October 2002; *Wieczorek v. Poland*, no. 18176/05, 8 December 2009; *haylo v. Ukraine*, no. 39964/02, 13 November 2008; *Baumann v. France*, no. 33592/96, 22 May 2001; *Zehentner v. Austria*, no. 20082/02, 16.10.2009; *Agbovi v. Germany*, no. 71759/01, 25 September 2006.

ოქმი 7; მუხლი 2

სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება

„1. ყველას, ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადაასინჯვინოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. ამ უფლების განხორციელება, იმ საფუძვლების ჩათვლით, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება ის განხორციელდეს, მოწესრიგებულია კანონით.

2. ამ წესიდან გამონაკლისი დასაშვებია მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა მიმართ, როგორც ეს განსაზღვრულია კანონით, ან როდესაც შესაბამისი პირი პირველი ინსტანციის წესით გაასამართლა უმაღლესი ინსტანციის სასამართლომ, ან მსჯავრი დაედო მის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გადასინჯვის შედეგად“.

ნაცვლიშვილი და თოგონიძე - საქართველო
NATSVLISHVILI AND TOGONIDZE - GEORGIA
№ 9043/05; 29.04.2014

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ხარვეზები და გასაჩივრების შეუძლებლობა: არ არის დარღვევა იხ. გვ. 84

კაკაბაძე და სხვები - საქართველო
KAKABADZE AND OTHERS - GEORGIA
№ 1484/07; 02.10.2012

ადმინისტრაციული პატიმრობის გასაჩივრების შეუძლებლობა: დარღვევა იხ. გვ.129.

პუბლიკაციის ავტორი: ელენე სიჭინავა

ელენე სიჭინავა არის არასამთავრობო ორგანიზაცია ილიას სამართლის ინსტიტუტის (ილიასის) თავმჯდომარე, ავტორი და პასუხისმგებელი პირი სხვადასხვა პროექტის განხორციელებაზე, მათ შორის, „ადვოკატირება სკოლაში ბულინგის წინააღმდეგ სისტემის შესაქმნელად“ (2019) და სხვ.; როგორც ადამიანის უფლებათა სამართლის ექსპერტი, მონაწილეობდა საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთ პროექტში, მათ შორის, „ადამიანის უფლებები ყველასათვის“ (გაეროს განვითარების ფონდი, UNDP 2017წ.), „საპარლამენტო დემოკრატიის გაძლიერება საქართველოში“ (გაეროს განვითარების ფონდი, UNDP 2017წ.), ინკლუზიური განათლების საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა (გაეროს ბავშვთა ფონდი, UNICEF 2015წ.), ადრეული და სკოლამდელი განათლების საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა (გაეროს ბავშვთა ფონდი, UNICEF, 2015წ.) და სხვ.;

როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტისა და იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის მოწვეულ სპეციალისტსა და მთავარ სპეციალისტს, მომზადებული აქვს საკანონმდებლო ექსპერტიზა 900-ზე მეტ კანონპროექტზე (2012-2019წწ.), სამართლებრივ დახმარებას უწევდა მართლმსაჯულების მე-4 ტალღის რეფორმის განხორციელებას (კანონის უზენაესობა საქართველოში, PROLOG, 2018 წ.), ახორციელებდა სტრატეგიულ სამართალწარმოებას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (2007-2009 და 2012 წწ.), არის სხვადასხვა პუბლიკაციის ავტორი ადამიანის უფლებათა სამართლისა და საპარლამენტო ზედამხედველობის საკითხებზე, არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი და ტრენერი ადამიანის უფლებების საკითხებზე.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLOG)

